

114  
1947/2



# მნათობი

4

---

თბილისი  
1947



გეორგიული  
მუშაკლასის

# მნათობი

სრულიდ-საქართველოს საბჭოთა მფარველის  
კავშირის უმჯობესი სალიბერატორ  
სახელოვნო და საზოგადოებრივ-საკოლბიბიკო  
ჟურნალი

წილიწადი ოცდამეოთხე

4



1375

19

სახელებანი  
აკანილი

47

საქართველოს  
კავშირების  
გეორგიული  
მუშაკლასის

შინაარსი

|  |     |
|--|-----|
| ნიკოლოზ ტიხონოვი — ცელიდან, „ლექსები კახეთზე“, თარგმანი რაქდენ<br>გვეტაძისა . . . . .              | 29  |
| ი.ი.ო მოსხაშვილი — სადგურის უფროსი, პიესა . . . . .  | 3   |
| სერგო კლდიაშვილი — აპრილის საიდუმლო, მოთხრობა . . . . .  | 5   |
| ვლადიმერ სულაბერიძე — ოთხი ლექსი . . . . .   | 47  |
| შალვა დადიანი — მენჯი-რობუ, რომანი, გაგრძელება . . . . .   | 51  |
| შალვა ამისულაშვილი — ლექსები . . . . .   | 54  |
| ნინო აბაშიძე — ალანის-პირას, მოთხრობა . . . . .  | 61  |
| ანდრო ლომიძე — ქარიშხალი, მოთხრობა . . . . .   | 65  |
| პლატონ ასანიძე — აპრილი, ლექსი . . . . .   | 97  |
| —  | 104 |
| მარიამ საფაროვი-აბაშიძე — მოგონებანი . . . . .   | 105 |
| —  |     |
| პროფ. პაატა გუგუშვილი — ალექსანდრე წულუკიძე როგორც ეკონომისტი, წერილი . . . . .                    | 132 |
| პროფ. ალექსანდრე ბარაშიძე — ვახტანგ შიშკუაძე, წერილი . . . . .                                     | 148 |
| —  |     |
| ვლადიმერ ზამბახიძე — „ქარლო კალაძე — ლექსებისა და ბალადების<br>ერთგომეული“, ბიბლიოგრაფია . . . . . | 161 |

ნიკოლოზ გიხონოვი

## სიკლიდან „ლეჩხები კახეთზე“

•  
•

დაეცქერდი, როგორც მთებიდან ლეკი  
ალაზნის თასმას თეთრს და კრიალას.  
ჩემს ქვევით თრთოდა ნისლის ლეჩაქი,  
ჰაეროპლანმა შიგ გაიარა.

თვალს ადევნებდნენ შთიქლნი მის ხმას,  
როგორც ფრინველნი კალიას ფრენას, —  
მათ უანდერძა წინაპართ სისხლმა  
ზევიდან ქვევით ჰვრეტდნენ ქვეყანას.

საბჭოთა ხალხის მკვიდრნი არიან,  
თუ ძველ ადათებს მთა ისევ იცავს?  
იმათ სახეზე ახლა დარია,  
დაბლა კი ყვავის კახეთის მიწა.

სალამოვდება. ბალადის ნაცვლად  
სჯობს ძველისძველი ვთქვათ ჩვენ ამბავი.  
და ვნახავთ ხანძარს ავარდნილს ცამდე,  
ვნახავთ ტყვია გზებს როგორ ლამბავდა.

დიოდა ბოლი წინანდალს მაშინ  
და ინგრეოდა ციხე ხმაურით.  
მოწმენი მყისვე გარბოდნენ მთაში,  
შემდეგ იწვოდა ასი აული.

ახლა სადღაა მურიდთა ურდო,  
ორბელიანი, ან ჰაკეკავაძე.  
ჩანს მხოლოდ მუქი ზერებიდან მყუდროდ,  
ბამბის მინდორსაც სიმშვიდე, აძვეს.



ბოლშევიკური ძალა უტეხი  
გვეუბნებოდა: თუ ვიელით სწრაფად,  
ტყვილად მიგვიღებს ჩვენ ლავოდენი  
და თბილ კერასთან გავიშრობთ ნაბადს.

შემოვესხდებით თან წყნარად სუფრას,  
და შევეკცევით ხინკალს ნიორით.  
ვიტყვით ძველ ამბებს ჩვენ თავისუფლად,  
ღვარძლს არ მოვეშვებთ ახლოს იოლად.

და შავულვაშა კაცი კახელი  
ლექთან დილამდე დაღევს, იღბინებს,  
მთიელ ქალისთვის, შემდეგ, ძმურ ხელით  
აჩუქებს სტუმარს მოვერცხლილ დილებს.

თარგმანი რამდენ გვიბაძისა.

## სადგურის უპროსი

პიესა 4 მოქმედებად და 8 სურათად

★

მოქმედნი პიესნი:

ლეევან ჩაღუნელი — რკინიგზის სადგურის უფროსი, ზნეერი კაცი.  
 მარინე — მისი ქალიშვილი, 18 წლისა.  
 ბორის ვოლკოვი — დაქრილი ლეიტენანტი, მარინეს საქმრო.  
 კუზმიჩი — ბორისის მამა, გზის დარაჯი, მოხუცი.  
 პელაგია — კუზმიჩის ცოლი.  
 სერგეი პეტროვიჩი — რაიკომის მდივანი.  
 არსენ ლეჟავა — სადგურის ბუფეტის გამგე, შუახნისა.  
 არჩილ მენაბდე — მოსკოველი სტუდენტი.  
 ასლან ბეკოევი — ოსი მწყემსი, უშველებელი ტანისა.  
 პავლიკა — ახალგაზრდა კაზაკი, მწყემსი.  
 მაქსიმე — ტყეში გახიზნულთა მეთაური.  
 ბრმა მეფანდურე — ღრმა მოხუცი.  
 შკურატი — გზის მუშა, პარტიზანი.  
 ლიზა — ახალგაზრდა გლეხისქალი.  
 შურაევი — ყველგან ნათრევი კაცი.  
 ვალტერ ტრაუბე — გერმანელი შაიორი.  
 კრანცი — გერმანელი ოფიცერი.  
 კუნცი — } ეფრეიტორები.  
 მაკურეკი — }  
 გერმანელი ჯარისკაცები.  
 მგზავრები, გლეხი ქალები, გზის მუშები.

26

მოქმედება სწარმოებს ჩრდილო-კავკასიაში 1942 წელს.

პირველი სურათი

რკინიგზის სადგური. მარცხნივ სადგურის გრძელი დერეფანი, საათი, ზარი. შუშაბახ-  
დანი ბუფეტი. წინ — შვეანე გაზონები. სადგურის შენობის მეორე კედელი მიცქერაღლა  
დარბაზისაკენ არის მიმართული. მას ერთი კარი აქვს, ერთი ფანჯარა და ერთიც სამ-  
ოთხსაფეხურიანი კიბე, რომელიც ეზოში ჩადის აქ სადგურის უფროსი ცხოვრობს. სად-  
გურის დერეფანს და უფროსის ბინას დაბალი, მოაჯირიანი აივანი აერთებს კიბის შორი-  
ახლო ჭა, — მაღალი ორთაფეხრით. მარჯვენა მხარეს ტოტებგაშლილი, ასწლოვანი მუხა  
სცენას თავქვე დაქანებული ღიანდაგი სჭრის. იგი მარჯვენა კუთხიდან მაღალ ზიდზე  
გადმოდის, ერთბაშად მარცხნივ უხვევს და სადგურის წინ ეშვება. ზიდს ქვეშ გზატკეცილი  
გადის. ღიანდაგს მეორე მხრიდან პატარა სტანიცა ეკვრის. შორს, სიღრმეში, ცამდე აწე-  
დილი, ჩამოთვლილი მთავრებილი მოსასანს.

სადგურში მგზავრები ირევიან სავსე ტომრებით, ჩემოდნებით, კალათებით, ზოგი მა-  
ტარებლის მოლოდინში დერეფანს ძირას მიწოლილა, ზოგი ბუფეტის წინ ფეხდაფეხ ნაყრ-  
დება, ზოგნიც—ღიანდაგს გასცქერიან მოუსვენრად,—ეტყობა მატარებელს ელიან. გზა-  
ტკეცილზე გულანაბადმოკიდებულნი, დატვირთული ურიკებით მიდიან ქალები, მოზარ-  
დები, მოზუტები, მიდიან თავიაციდულნი, ზმამოუღებლად, თითქოს ქვეყნის გადასახლება  
დაწყებულა. მზის ჩასვლის ეამია... შორიდან დროგამოშვებით ყრუ საარტილერიო სრო-  
ლა ისმის.

ბუფეტის პირდაპირ ჩამომჯდარი ბრმა მეფანდურე მრავალსიმაან ფანდურზე მღერის...  
ეს სიმღერა კი არ არის, — მოთქმა სიბნელის შიშით შეპყრობილი ადამიანისა... ხანაც  
ღრმადმორწმუნე კაცის ლოცვას გვაგონებს.

მ ე ფ ა ნ დ უ რ ე — ბრმა ვარ და შენს ნათელს, მზეო,

თვალდაშრეტილიც ვხედავ!  
მარად გვიძლოდე ქვეყნად,  
მზეო, სინათლის დედავ!  
ეს რა ღრუბელი მოსჩანს,—  
რა წარღვნა მოდის ნეტავ?  
ბნელეთისაგან გვიხსენ,  
მზეო, სინათლის დედავ!  
ცაში არწივებს ვთვლიდი.  
ახლა ყორნები სხედან...  
ბრმა ვარ და უსინათლო  
ბნელეთის მოსვლას ვხედავ...  
მზეო, იხსენი ხალხი!  
მზეო, სინათლის დედავ!

ა რ ს ე ნ ა — (მას თვალმთოუშორებლად უსმენდა... ეტყობოდა მოსწონდა  
კიდევ, გულსაც უკლავდა ეს ნაღვლიანი სიმღერა... ბუფეტიდან სწრა-  
ფად გამოვიდა, მოზუტთან მივიდა და საქსე ჭიქა თითებში ჩაუღო) ბა-  
ბუა პანტელევი, არაყი დალიე და ასე მწარეს ნულარ იმღერებ, თუ  
ღმერთი გწამს!

მეფანდურე — მწარე ტყვილს მწარე წამალი უბღებდა, შეიღო...  
იცოცხლე!..

დალა, ასენა ბუფეტში შევიდა.

ერეკნული

პირველი მგზავრი — (ბარჯზე ჩამომსხდარანი საუბრობენ) ტყუილად  
ფუცდით, მოსასვლელი აქამდე მოვიდოდა...

მეორე მგზავრი — მაშ, ამდენი ბარჯი წყალში გადაეყარო?

პირველი მგზავრი — შენ საკუთარი ტყავიც აქ არ დასტოვო, თორემ...  
ბარჯი ეტყობა, მართლა ეშმაკის ლუქმა გახდებდა... დილას წასულებს  
რომ გაეყოლოდით, ახლა აგერ, — იმ უღელტეხილს იქით ვიქნებოდით.

მეორე მგზავრი — (სროლა გახშირდა, მკაფიოდ მოისმა) შენ, ალბათ,  
ახალი რაღაც შეგიტყვია... თუ ასეა, წავიდეთ... რაღა ჯანდაბას  
ფუცდით!..

წამოდგა.

პირველი მგზავრი — ცოტაც კიდევ... იქნებ ბედმა მატარებელი გა-  
მოგვიგზავნოს.

მეორე მგზავრი — ბედმა? (ცაში თვითმფრინავის გაბმული ზუზუნი)  
მატარებლისა რა მოგახსენო და, — გესმის?... ადექი, ადექი, შიგნით შევი-  
დეთ, სიფრთხილეს თავი არა სტკივა...

ქურქიანი მგზავრი — (ბუფეტს მიადგა) თუ ძმა ხარ, ერთი ჭიჭა პილა-  
ტეს ცრემლი გექნება!

არსენა — საიდან; ამხანაგო მოქალაქე! ერთი კვირაა მატარებელი არ მო-  
სულა, — არაყს აქ ვინ მომიტანდა?!

ქურქიანი მგზავრი — ფულის საქმე არ არის? ერთი ჭიჭა... რამდენიც  
გინდა აიღე!

უბიდან ფულის დასტა ამოიღო.

არსენა — (ერთბაშად შეიცვალა) მგონი მართლაც ერთი ჭიჭა ნამდვილად  
უნდა მქონდეს შემონახული, მუცლის ტყვილი ვიცი, — მოგეხსენებათ,  
მისწრებაა...

დაფატურდა, დაბლს ქვემოდას საქმე ჭიჭა ამოძვრინა.

ქურქიანი მგზავრი — შენი მუცლის ტყვილი აი ეს არის...

მგზავრმა არაფი გადაჰკრა, ფული დაბლზე დაუდო.

არსენა — მოიცა, მოქალაქე, ხურდა გერგება!

ქურქიანი მგზავრი — რა დროს ხურდაა, თავი გამანებე...

არსენა — წაიღე ძმაო, (ხურდა ჯიბეში ჩაუღო) წაიღე, განა ქვეყანა მართლა  
იღუპება?!

შურაევ — (კრაველის ქუდით, გვერდზე ნაბადმოგდებული ბუფეტთან  
შეჯგუფებულ მგზავრებში გაერია. ქურქიანი მგზავრს რაღაც ჰკითხა,  
განზე გაიხმო, ჩურჩილთ უთხრა) ნამდვილია, წუხელის მომხდარა!..  
(ბუფეტს მიადგა) თუ ძმა ხარ, ამ გამწარებულ გულზე ერთი მწარე ჩა-  
მაცეცხლე!

არსენა — რამდენი გამწარებელი კაცი დღეს აქ ჩაივლის, იმდენი ჭიჭა არა-  
ყი იმე კი არა, რუხის ხელმწიფეს არ გამოუხდია!

შურაევ — შენ ხუმრობის გუნებაზე ხარ, ჩემს გულში კი თონე ტრია-  
ლებს, ძმაო, თონე!..





- ა რ ს ე ნ ა—რა იყო, ბატონო, ამისთანა მოუხელებელი!
- შ უ რ ა ე ვ ი—მეტი რაღა იქნება, ცოლშვილი კაცკაცში ჩამჩჩა!
- ა რ ს ე ნ ა—ნეტაი შენი კარგა ყოფნით, ჩვენც იქ ვიყოთ აზღვანულა!
- შ უ რ ა ე ვ ი—კარგი დახლიც დაგიდგებოდა!.. შენ ქურპაში ჩამოხარ, ძმობილო?
- ა რ ს ე ნ ა—ვითომ რაღაო?
- შ უ რ ა ე ვ ი—(ნახევრად ჩურჩულით) აიღეს!
- ა რ ს ე ნ ა—კაცკაცი?! რაფერ? საიღან! აქედან ას კილომეტრზე მეტი იქნება!
- შ უ რ ა ე ვ ი—ასი კი არა, ათასი და ორი ათასიც გამოიარეს.—განა ურმებით მოდიან!.. თუ ძმა ხარ, დაასხი, გულზე ცეცხლი შეკიდება!
- ა რ ს ე ნ ა—(წარბი შეიკრა, მგზავრი ცერად აათვალიერა) რაც არა მაქვს, რა დაგისხა?
- შ უ რ ა ე ვ ი—ფულის საქმე არ არის? აიღე რამდენიც გინდა...
- ა რ ს ე ნ ა—არა მაქვს-მეთქი, ამხანაგო მოქალაქე!..
- შ უ რ ა ე ვ ი—არც ღვინო გაქვს?
- ა რ ს ე ნ ა—არც ღვინო მაქვს!
- შ უ რ ა ე ვ ი—ასე შეტყაოდი, შე კაიკაცო, ამდენს რაღას მალაპარაკებდი! გულზე ცეცხლი შეკიდება...  
ხალხს შეერია.
- ა რ ს ე ნ ა—რაეარც შენ გამახარე, მეც ისეთი პატივი გეცო... (დაფიქრდა) თუმცა... ღმერთო შეგცოდე და ... ჩოროთი ზნაი, ყველაფერი შეიძლება...
- ა რ ჩ ი ლ ი—(ხელში პატარა ჩემოდნით საყულო აწეული, აბუხული ბუფეტს მიაღდა) ბოდიშ, თვალი თუ არ მატყუებს, ქართველსა პგეხართ!
- ა რ ს ე ნ ა—(უღვაშებზე ხელი გადასხვა) ვგაეარ—რავა გეკადრებით, ბატონო!... პირდაპირ დაბეჭდილი ქართველი, ქუთაისიდან—არსენ ლეყავა გახლავარ!... თქვენ თვითონ საიღან?
- ა რ ჩ ი ლ ი—მოსკოვიდან,—ერთი თვეა მოვდივარ... ჯერ იქნა, ველარ ჩაქალ-წიე საქართველოში...
- ა რ ს ე ნ ა—იქ მსახურობთ, ბატონო?
- ა რ ჩ ი ლ ი—არა, სტუდენტი ვარ!
- ა რ ს ე ნ ა—თქვენი სახელი მაჩუქეთ!
- ა რ ჩ ი ლ ი—არჩილი გახლავართ!
- ა რ ს ე ნ ა—არჩილ ბატონო, ნუ მიწყენ და,—ერთი ჭიქა არაყი... გეტყობა ცოტა შეცივებული ხარ!  
ჭიქა აფესო და მიაწოდა.
- ა რ ჩ ი ლ ი—სიმწარე გაშოროს, სიტკბო მოგცეს!  
გადაჰკრა.
- ა რ ს ე ნ ა—იცოცხლე, მარა... (შორი აფეთქების ხმა) ამისთანა სიტკბო ჩემს მტერს მიეცა... ჩვენი საქმე მაინც და მაინც... მაგრამ ეჰ, რაც მოხდება—მოხდეს!.. (არჩილმა ფული ამოიღო) აჰ! არ მოგიკვდეს არსენა!.. სტუდენტის ფული ჯიბეში ცეცხლს გამიჩენს, ძალიან მეწყინება! (ძლიერი აფეთქების ხმა ზედიზედ. მგზავრები შეკრთნენ, მძინარენი წამოიშალნენ) არჩილ ბატონო! ჩემოდანი მომაწოდეთ, შინ შემობრძანდით... ხალხნი ვართ...
- არჩილი შევიდა.

მარინე—(აივანზე გამოვიდა, ცას დააქერდა, მკლავებზეველი ბორისი გამოჰყვა) შენ ფრონტზე გეჩქარებოდა გამგზავრება, ხედავ? ფრონტო თვითონ მოვიდა ჩვენთან...

ბორისი—როგორც მოვიდა,—ისე წავა...

ეროვნული  
ხმელეთი

მარინე—არ ვიცი, მამაც სულ ამას მეუბნება, მაგრამ. (დაფიქრდა) ბორის, ნეტავ მეც მამაკაცი ვიყო,—ან თოფი ვიცოდე, ან ცურვა, ან ცხენზე ჯდომა!... ყველაფერი მამაჩემის ბრალია, დედისერთა ხარფ: ბამბაში მხვევდა, ცივ ნიაფს არ მაკარებდა. ახლა?! ახია ჩემზე...

ბორისი—მე შენზე გამოუცდელი ქალიც შემხვედრია ბრძოლის ველზე... ვაქცატე ნაკლებ როდი უსახელებია თავი!

მარინე—განა მე არ მინდა, ბორის!.. მაგრამ რითი? მე ხომ არაფერი ვიცი, მე ხომ არაფერი შემიძლია!.. გახსოვს? იმ დღეს რევოლვერის სროლას რომ მასწავლიდი, როგორ შემეშინდა!.. კალია რომ კალიაა, იმისიც კი მეშინიან.

ბორისი—შენ რომ მხატვარი ხარ, მარინე?

მარინე—მერე რა? მეც მაგას ვჩივი!

ბორისი—შენ ხომ მხოლოდ იმას ხატავ, რაც გიტაცებს, რაც გიყვარს!

მარინე—რა თქმა უნდა!

ბორისი—ეს მთებზე დაგიხატავს როდისმე?—სტალინი დაგიხატავს როდისმე?..

მარინე—ბევრჯერ ძალიან ბევრჯერ, მაგრამ... ისე ვერასოდეს ვერ დაეხატე, როგორც მე მინდოდა!

ბორისი—იცი რატომ?

მარინე—ალბათ—ვერ შეეძელი...

ბორისი—არა, მარინე! დიდმა სიყვარულმა დიდი დაფალება იცის... სტალინი და სამშობლო ხალხის გულში განუყოფელია... რა გინდ დიდი მხატვარი იყოს მისი მხატვარი, რა ბრწყინვალე ნაწარმოებშიც უნდა გამოუვიდეს,—ვერასოდეს ვერ დაემაყოფილდება, რადგან ადამიანის სიყვარული მისდამი უფრო დიდია, ვიდრე ადამიანს ამ სიყვარულის გამოხატვა შეუძლია... (გატაცებით) მხოლოდ ეგ სიყვარულია საჭირო... ეს სიყვარული მიუძღვის ბრძოლაში ჩვენს ხალხს, ცეცხლში მიდიან და ცეცხლს არა გრძნობენ, კვდებიან და მაინც სტოცლობენ! კავკასიონამდე დაიხიეს და, აქედანაც ისევე ბერლინს გასცქერიან... ეს სიყვარული თოფსაც გასწავლის, ცურვასაც, მხედრობასაც და... (აღერსით) კალიისა არასოდეს აღარ შეგეშინდება, ჩემო მარინე!

მარინე—როგორ გამახარე, ბორის! შენ რომ ვისმენ... (საარტილერიო სროლა გახშირდა) აი, ეს საშინელი ხმა, ეს ქვეყნის ნგრევისა და უბედურების ხმა აღარ მესმის... ყველაფერი მივიწყდება! (რალაც მოაგონდა) იცი, ბორის, რა მინდა გითხრა? მაგრამ... არა, მერე იყოს, მერე როდისმე!..

ბორისი—მითხარი, მარინე, ახლავე მითხარი, თორემ... მერე იქნებ გადაგვიწყდეს, იქნებ ამისთვის აღარ გვეცალოს...

მარინე,—არ დამავიწყდება!..

ბორისი—არა, ახლა უნდა მითხრა... ძალიან გთხოვ, მარინე!..

მარინე—რა ცნობისმოყვარე ყოფილხარ! ასეთი არაფერია... (წელს ვას-  
წორდა, თვალბში ჩახედა) იცი რა? ომი რომ გათავდება, მე შენს სუ-  
რათს დავხატავ!

ბორისი—(გულწრფელად გახარებული) მართლა? მერე?

მარინე—(გულუბრყვილოდ) რა მერე! ვერ გაიგე?!

ბორისი—გახსოვს, წედან რა მითხარი? შე მხოლოდ იმას ვხატავ, რაც მიტა-  
ციებს და მიყვარსო! ხომ ასეა?

მარინე—(მიუხედა, გაელიმა) ჰო და, დავხატავ... უსათუოდ დავხატავ!..

მგზავრების ხმა—(დერეფანში სადგურის უფროსს ხალხი შემოეხვია)  
„იქნება თუ არა! რაო?!“ „არაო?“ „ეშმაკმა იცის?!“ „მაშ ბილეთები რად  
გაყიდეს?!“ „იქნება?“ „დამეხსენ, მე ჩემი კირიცი მეყოფა!“

ლევანი—(ხალხის წრე ძლივს გაარღვია) არ ვიცი... არაფერი არ ვიცი... არა-  
ფერი არ ვიცი, მოქალაქე!

თავის ბინისკენ მიდის, მას შეწუხებული მგზავრი ქალი არ ეშვება.

ქალი—მაშ როგორ მოვიქცე?

ლევანი—მე თვითონ არაფერი ვიცი და რა მოგახსენოთ!

ქალი—მაინც როგორ ფიქრობთ, იქნება თუ არა?

ლევანი—მოსასვლელი რომ ყოფილიყო, აქამდე მოვიდოდა... (ქალი ძლივს  
დაეხსნა... მარინე და ბორისი საუბარს განაგრძობენ). შეილო მარინე...  
ბორისი, რაღაც ცუდი ამბავია!.. აღარც ტელეფონი მუშაობს, მორზესაც  
ხმა ჩაუწყდა... წასასვლელად უნდა მოვემზადოთ!

მარინე—(შემკრთალი) რით, ან საით, მამავ?

ლევანი—რითა და რითაც ეს ხალხი... საითაც ეს ამოდენა ქვეყანა!..

ოთახში შევიდნენ.

პირველი მგზავრი—სიჩქმე, ამხანაგებო!.. (ხალხი გაინაბა... სადგურს  
თანდათან ბორბლების გრიალი უახლოვდება) მოდის!

ხალხი წამოიშალა, ჩემოდნებით, კალათებით ლიანდაგს მიაწყდა.

მეორე მგზავრი—წესრიგი, წესრიგი მოქალაქენო!

ხმაური მისწყდა, სულგანებული ხალხი ლიანდაგს მოსჭრებია, გუგუნე ახლოვდება  
და აი: ხიდზე მატარებლის ნაცვლად გამოჩნდა დრეზინა, რომელსაც მოაჭრებენ  
კუბზილი და ორიც სხვა მუშა. ხალხს თითქოს ცივი წყალი გადაესხა. დრეზინა სად-  
გურის წინ გაჩერდა, და კუბზი, რომელსაც მხარზე ორლულაიანი, სანადირო თოფი  
ჰქონდა, ჰბატკოვით მკვირცხლად გადმოხტა. მას მკერდზე გიორგის ჯვარმედლები  
უქანს. მატარებელი იქნება თუ არა? — მოიძახა მგზავრმა.

კუზმიჩი—(შესდგა, თითქოს ამდენი მგზავრი მხოლოდ ახლა შენიშნა) არ  
იქნება მოქალაქენო, ნამდვილად არ იქნება... ვიდრე გვიან არ არის, ფე-  
ხით გირჩევნით! (და უფროსის ოთახს მიაშურა. კარს მიაწვა, კარი და-  
კეტილი დახვდა, ფანჯარა დააკაკუნა, არავინ უპასუხა და ლევანის ბი-  
ნისაკენ გაეშურა. ხალხი აიშალა, აჩოჩქოლდა: ვინ ჩემოდანი მოიკიდა,  
ვინ ტომარა, ვინ—რა, გზატკეცილს გაუდგენენ; კუზმიჩმა ლევანის ბინის  
კარი მძლავრად შეანჯღრია). ამხანაგო ლევან! (ლევანი კარებში გამოეგე-  
ბა) ჩქარა, ყველაფერი გათავდა!

ლევანი—როგორ თუ გათავდა?!

კუზმიჩი—მტერმა ჩვენს სადგურს ზურგიდან შემოუარა, ამიტომ ჩვენმა ჯარებმა უფრო ხელსაყრელი ზღუდე დაიკავეს... ქალაქი დატოვებულია, რაიკომის მდივანს ელევატორის აფეთქება მოუსწრია, ნაფთსადგვიც აუფეთქებია, მაგრამ გზაზე დასწევნიან, მისი მანქანა ტყვედ ჩაქვით დაუცხრილავთ...

ლევანი—(შეშფოთებული) ვისი? სერგეი პეტროვიჩის?

კუზმიჩი—კაცი შემხვდა, შოფერი მოკლული უნახავს, მანქანა ხრამში გადაჩეხილა... ეტყობა თვითონ ან მკვდარი, ან მძიმედ-დაჭრილი ხელში ჩაიგდეს...

ლევანი—მამ ასე, კუზმიჩ, როგორც დილას მოვილაპარაკეთ... ჩემი დარჩენა შეუძლებელია, მარინეს შენთან დავტოვებდი, მაგრამ მეშინიან... ბორისის დარჩენა ხომ არავითარ შემთხვევაში.. მისი ჯგერი ნუ გექნება!

კუზმიჩი—ეჰ, ჩემი ბებერი, თორემ მე... ძაღლის სული მიდგას...

დაცარიელებულ დერეფანში ზურგზე ხურჯინმოკიდებული ორენა გამოჩნდა, იგი ხან ერთ ვარს ეცა, ხან შეორეს, არავინ დახვდა და, ლევანს რომ თვალი შეასწრო, მისკენ გამოქანდა.

ლევანი—აბა, კუზმიჩი!.. ხიდზე მუშები, ლიანდაგი აკაბოეთ,—ჩქარა!

კუზმიჩი უმაღ ვატრიოდლა.

არსენა—(გატენილ ზურჯინიდან ქაფქირი და საწვენი ამოსჩრია) მთელი სადგური ვადავაბრუნე... ბიჭო, რას მიშობი! ქვეყანა გააფრთხილე და მე აქანე მტოვებ?

აწრიალებული ერთ ადგილზე ვერ გაჩერებულა.

ლევანი—ბარემ ბუხარსაც ზურგზე მოიკიდებდი... ამდენი ხარახურა რა ამბავია?!

არსენა—შენ, ჩემო ძამიავ, რაეა არხეინად ლაპარაკობ? წავიდეთ, კაცო, შენი თავი თუ არ გეცოდება,—გოგო მაინც შეიცოდლე.

ლევანი—(დაცინვით) კი მაგრამ, რომ მიღიხარ, სად მიღიხარ?

არსენა—პირდაპირ ალაგირში, იქ ჩემს ბიძაშვილს ცხენები ჰყავს... მამისონზე დავეშვათ და ხვალვე რაჭაში ვიქნებით!

ლევანი—მერე? იქაც რომ მოვიდნენ?

არსენა—მერე, ნაჭერალა, ქუთაისი და მისი ჯანი!..

ლევანი—მერე თბილისი, ერევანი, ბაქო... მერე? მერე? (ენამწარედ) შენი მამა-პაპა რომ შენსავით ვაჟკაცი ყოფილიყო, ახლა საქართველო, ალბათ, ავღანისტანში იქნებოდა!..

კუზმიჩი და ორი მუშა ხიდზე გამალებით მუშაობენ. მათ რამდენიმე ძელი უკვე გადმოისროლეს გზატკეცილზე.

არსენა—შე კაცო! გერმანია რუსმა ვერ გააჩერა და მე რომელი კაენდვი მნახე?

ლევანი—(ლაპარაკის კილო შეიცვალა) არსენ, ბიჭო, ჩვენ რომ მივიღივართ განა ცხრა მთას იქით ვიხიზნებით? აქვე მთებში, პარტიზანებთან მივიღივართ...

არსენა—(გახარებულმა ზურჯინი იატაკზე დააგდო) ასეთ მეტყობდი, შე მამაცხონებულო!.. მოგიკედეს არსენა, თუ სადმე შეგარცხვინოს!..

ლევანი—წადი, კუზმიჩს მიეხმარე... დანარჩენს მერე შეიტყობ.

არსენამ ხურჯინს ხელი დასტაცა, მოაჯირზე გადაჰკიდა და კუზმიჩსკენ გაქანდა ლევანი შინ შევიდა.

სკენა დაკალიერდა, მხოლოდ ბრმა მეფანდურე, ისე თვის ყველაფერს ჩიბზე გამაღებით მუშაობენ კუზმიჩი და მუშები, რომლებსაც არსენა შეუერთდა. მათ ცალი ლიანდაგი უკვე აწყარეს. გზატკეცილის მხრიდან ჰიგოზე დაყრდნობილი სერგეი პეტროვიჩი შემოვიდა. მას მუბლზე სისხლის ნაკვლევი ატყვია. ფეხზე ძლივს დგას... მარინემ აივანზე საცხე ჩანთა გამოიტანა და ისევ შინ შებრუნდა. სერგეიმ თვალი შეასწრო და მუხამ ამოეფარა. ლევანმა ხელში ტელეფონის აპარატით კიბე ჩაირბინა, ჭასთან მივიდა. აპარატი შიგ ჩაავდო, მას თბილი ჭურჭი ჩაუტყავს და თბილი ქუდი დაუხურავს.

სერგეი—ამხანაგო ლევანი..

ხმადალა გასძახა სერგეი პეტროვიჩმა და ღონემიზილი მუხამ მიეყრდნო.

ლევანი—სერგეი პეტროვიჩი.. (მისკენ გაქანდა, ხელი შეაშველა და ხის მონაკერზე ფრთხილად დაუშვა) მარინე, წყალი!

სერგეი—(შემკრთალი) არა, არა... არაფერ დამინახოს!.. დამმალე სადმე...

ლევანი—ჩემი შვილია... ჩემი ქალიშვილი...

სერგეი—(თითქოს ბრძანებით) ვინც უნდა იყოს... ქვეყანაზე არაფერ უნდა იცოდეს... თვითონ ხედავ, მე აღარსად შემოძლიან წასვლა... მძიმე საქმეს გავალბებ, მაგრამ მეტი გზა არ არის, შენც აქ უნდა დარჩე... ერთ დღეს, ორ დღეს... სანამ ფეხზე დადგომას შეეძლებდე...

ლევანი—(ხელი შეაშველა, მიჰყავს. მცირე პაუზა) ამხანაგო სერგეი, რაც ერთ კაცს შეუძლია, ყველაფერს გავაკეთებ...

სერგეი—(შესდგა) ჩვენი მეკავშირე... ის ბრმა მეფანდურეა. დღეიდან მოხუცი მათხოვრობას დაიწყებს... ყველა ჩემს ბარათს იმას გადასცემ, დანარჩენი თვითონ იცის... მხოლოდ ერთადერთს სიტყვას ეტყვი „ყაზბეგი“. ეს არის ჩვენი ნიშანი!.. აი, ესენიც დღესვე გადაეცი.

ლევანს რამდენიმე ბარათი გადასცა.

ლევანი—ნურაფერი გეფიქრებათ... აქვე ლიანდაგს იქით ისეთი გამოქვაბულია,—კაცი ვერ მიაგნებს...

ბარათები უბეში ჩაიწყო.

სერგეი—შენ იცი... ახლა ეს საქმე შენს ხელთ არის...

(გადიდნენ, სროლის ხმა ახლოს ისმის).

კუზმიჩი—(მალლა აწვდილი ლიანდაგი გამოჩნდა) ამხანაგო ლევან, მზად არის!..

(კუზმიჩი და არსენა ბიდიდან ჩამოდიან).

არსენა—კუზმიჩ, ერთი სათხოვარი მაქვს!

კუზმიჩი—მითხარი, ჩემო არსენ!

არსენა—ქვაბები, ჭურჭელი, დანა-ჩანგალი... ერთი სიტყვით, ყველაფერი აქ მრჩება... თუ ძმა ხარ, შეშინაზე...

კუზმიჩი—(ჩაეცინა) კაცს თავსა სჭრიდნენ და მუწუკი არ მატკინოვო,—ასეა შენი საქმე... რა დროს ქვაბები და დანა-ჩანგალია, ხედავ?—ქვეყანა ინგრევა!..

- არსენა—შენგან არ მიკვირს, კუზმიჩი?! პირველ ომში ნამყოფი კაცი მაინც არ იყო... გახსოვს?—გერმანიამ მაშინაც ასე ფახა-ფუხით დაიწყო და ბოლოს რა მოუვიდა! იმ დღესაც მალე ვნახავ, ჩემი ქვაბებმანსვე ვეცხლზე თუხთუხებდნენ და შენ კიდევ მეუბნებოდე, არსენ უჩაბოვსკისა, მაგ შენი ოქრო-ხელის კირიმეო!..
- კუზმიჩი—შენ პირს მაქარი, ნეტავი ასე მოხდებოდეს...
- ლევანი—(ჩქარი ნაბიჯით შემოვიდა) კუზმიჩ, მოათავუთ?.. მარინე... ბორის, დაღამდა!..  
ჩანთამოკიდებულმა მარინემ და ბორისმა კიბე სწრაფად ჩაიბრინეს. ლევანმა მარინე აღერხით აათვალიერა, უცრად მკლავი მოხვია და აკოცა.
- მარინე—(გაუკვირდა) რა იყო, მამავ?
- ლევანი—(ნაძალადევი სიმშვიდით) არაფერი... დაგებრდი, შეილო, გულის ბრალია!.. (ხურჯინმოკიდებული არსენა, კუზმიჩი და მუშები მოვიდნენ) აბა, მივდივართ! (ლევანი წინ გაუძღვა, ერთბაშად შესდგა) უჰ!.. კინალამ დამავიწყდა!.. კუზმიჩ, ფარანი მათხოვე!.. თქვენ იარეთ, ახლავე დაგეწევით!..
- მარინე—მოგიცდით, მამავ!..  
დაბინდა... სროლა გახშირდა, თვითმფრინავის ხმა.
- ლევანი—იარეთ-მეთქი!.. მე ბილიკით დაგეწევით... (ლევანმა სწრაფად აირბინა კიბე, შინ შევიდა... მიმავალნი ხიდს შეიფარნენ... ცას მახლობელი ხანძრის შუკი მიაღდა, ტყვიამფრქვევის ხმა გახშირდა, ლიანდაგზე მწყობრი გუგუნნი გაისმა. ლევანი აივანზე გამოვიდა. მას ისევ რკინიგზელის ტანსაცმელი ჩაუტევამს. ღილები ხელდახელ შეიბნია, ქუდი გაისწორა, ფარანი აიღო და წამით შესდგა... ეტყობა რაღაც გაახსენდა, უბიდან ბარათები ამოიღო, სწრაფად მიუახლოვდა ბრმა მეფანდურეს) ყაზბეგი!
- მეფანდურე—(თითქოს თავისთვის) ყაზბეგი ვარ!  
ლევანმა ხელში ბარათები ჩაუღო და გაეცალა. მერე შესდგა, ფარანი ანთო, უკაცურო დრეიფანი გადასტრა, უბალ ხიდს ყურში, ლიანდაგზე გაჩნდა და—გაეშინიან დრეინაც გამოჩნდა. ლევანმა წითლად-განათებული ფარანი აწიწი, დრეინა აყრილ ლიანდაგთან ერთბაშად შესდგა.
- კუზმიჩი—(ლიანდაგს იქით ამოპყო თავი. იგი გაოცებული მისჩერებია ლევანს), აი თურმე, რად უნდოდა ფარანი... ფუ შენს კაცობას!  
ერთი შესძახა, მკერდზე მუშტა დიკია და უბალ გაქრა.
- ლევანი—(დრეინიდან გამოვიდნენ გერმანელი მაიორი და ნაბადმოსხმული შურაევი. მათ გერმანელი ჯარისკაცები ახლავან. ლევანი მაიორს მხედრულად მიესალმა) სადგურ არლოვკას უფროსი—ლევან ჩადუნელი.
- შურაევი—(ხიდს დახედა) აშკარა სიკვდილს გადავრჩიფ!..
- ლევანი—(შურაევს) თქვენს უფროსს გადაუთარგმნე, რომ მე გულწრფელად გაგიწიეთ ეს მცირე სამსახური!
- მაიორი—(ჯერ აყრილ ლიანდაგს დააკვირდა; მერე ლევანს ახედ-დახედა) მე თქვენი ენა კარგად მესმის... ბრავე,—მოლოდევ რუს!..

## მეორე სურათი



ი ვ ი ე ე ს ა ნ ა ხ ა ო ბ ა , რ ა ც პ ი რ ე ე ლ

ქ ე რ მ ა ნ ე ლ ი  
ს ე რ ა ო მ ო შ თ ა

კუზმიჩი და ორი მუშა, რომელთაც მაშინ ხიდი დაანგრიეს, იმავე ხიდის აღდგენაზე მუშაობენ. კუზმიჩი თავადღებლად, უხალსოდ ურტყამს შიშვე კვერს. სამგლოვიარო ზარივით ისმის ლიანდაგზე მისი ერთფეროვანი წყარუნი, მოშორებით გერმანელი გუშაგი დადის. სტანიციდან სამხრეთულებზე ჩამოკიდებულ სათლგებით ოცი-ოცდაათი ქალი მოდის მწყრივად. — ისინი ჭაზე წყალს იღებენ.

მ ე ფ ა ნ დ უ რ ე — (იმავე ადგილას ზის)

ცაზე ღამეა შავი.  
ჭვეყანას მოსაეს თაღბი...  
მზეო, სინათლის დედაე,  
ხალხი დაიხსენ, ხალხი!

ლიზა — (მეფანდურესთან მიივრბინა, კალთაში პურის ნაჭერი ჩაუღო) ყაზბეგი!

მ ე ფ ა ნ დ უ რ ე — ყაზბეგი ვარ!

უბიდან ბარათი ამოიღო და ლიზას ხელში მიანიჭა.

პ ე ლ ა გ ი ა — ლიზა, რა დაგეძარათა? ამდენმა ხალხმა შენ უნდა გიცადოთ?

ლიზა — მოედივარ დეიდა პელაგია!

ქასთან მიივრბინა.

პ ე ლ ა გ ი ა — შენ რა სიარულს მოუხშირე ამ ჩვენს პანტელისთან?

ლიზა — საწყალი, მამაჩემი ვნახე სიზმარში. პური მთხოვა... იმის შემდეგ ყოველდღე პურს ვუზიდავ ამ უბედურს, ამბობენ მიცვალებულს მიუეთა... სათლს ხელი დაავლო და ჩქარი ნაბიჯით გავიდა.

კ უ ზ მ ი ჩ ი — (წელში ძლივს გაიმართა, შუბლზე ოფლი მოიწურა) ცოტა რომ დავისვენოთ, ღმერთი არ გაგვიწყრება! სულ-ერთია, გერმანელები რკინის ჯვრებს არ დაგვირიგებენ!..

მ უ შ ა — ნურც შევეცილებით, — მათვე გამოადგებათ საფლავის ჯვრებად.

თამბაქოს ქისა ამოიღო.

კ უ ზ მ ი ჩ ი — (ქალებს თვალი შეასწრო) საწყლები, როგორ წერთებევით და-მწყრივებულან!.. ესეც იმ ვაებატონის ოინია. — ან კი როგორ მოიფიქრეს! სოფელს-ერთადერთი წყალსადენი ჰქონდა, — ისიც მოუშალეს, რომ ხალხი მხოლოდ ამ ჭაზე ატარონ და ყოველ დილა-საღამოს ნახირივით დათვალონ.

მ უ შ ა — უნდა გავუძლოთ, კუზმიჩ, ახალი გერმანული წესრიგი ესა ყოფილა...

პაპროსი გააბოლა.

კ უ ზ მ ი ჩ ი — (ჩიბუხი ამოიღო) მალე მიწაზე სიარულსაც დაგვიშლიან. პაერსაც კლიტეს დაადებენ, თვალებს დაგვთხრიან, რომ მზის სინათლე არ დაგვანებონ... (პაუზა) ცოტა თამბაქო ჩამიყარე, — გუშინდელს აქეთ არ მომიწევია.

მ უ შ ა—(ქისა ხელის გულზე დაუბერტყა) გაიგე? კიდევ ახალი სამეურა გაგვიჩნდა!

კ უ ზ მ ი ჩ ი—სადა!

მ უ შ ა—მეორე გადასარბენის ხიდიც აუფეთქებიათ... (მისკენ დაიხრჩვია) გერმანელი გუშაგიც ზედ მიუყოლებიათ...

კ უ ზ მ ი ჩ ი—ლმერთმა ამრავლოს!.. ორს დღეში მესამე ხილია... დამიჯერე, სერგეი პეტროვიჩი ცოცხალია... ამ საქმეს მისი ხელი ატყვია!

მ უ შ ა—ამიტომ დაძრწიან ძაღლებივით... (ჩიბუხი აუნთო) წუხელ ჩვენი აგრონომი დაუპატიმრებიათ...

კ უ ზ მ ი ჩ ი—წუხელ? (დაფიქრდა) მოიცა... გუშინ საღამოს სადგურის უფროსი სტანიცაში დაბრძანდებოდა... მჯერა და არცა მჯერა... ფულით თუ შეაცდინეს,—ფულზე კაცობა როგორ გაყიდა!.. შეაშინეს და,—ამ შერცხვენილ სიცოცხლეს სიკვდილი როგორ არ ერჩინეს!..

მ უ შ ა—ძალდი ხსენებაზე!

ლიანდაგზე ნელა მომავალი ლევანი გამოჩნდა.

ლ ე ვ ა ნ ი—(კუზმიჩს დააკვირდა) ის ძველი საკუბოვე ჯვარმედლები რატომ მოვიხსნია?... რისა შეგეშინდა?!

კ უ ზ მ ი ჩ ი—(ეწყინა) მე ის ჯვარ-მედალი გერმანელების ლაქობაში როდი მიმიღია,—გერმანელებთან ბრძოლაში მივიღე!

ლ ე ვ ა ნ ი—შენ ენა დაიმოკლე და მაგ საქმეს მიხედე... დროზე გაათავეთ!

კ უ ზ მ ი ჩ ი—გაათავეთ, სათქმელად ადვილია! (შხამიანად) მაშინ გვიბრძანე, დაანგრეთო, და,—დავანგრეთ... ახლა გვიბრძანე, გააკეთეთო, და—ჩვენც ვაკეთებთ... იქნებ, მესამე ბატონიც გამოიცვალო, მაშინ რაღას გვიბრძანებ, ბატონო უფროსო?

ლ ე ვ ა ნ ი—(წარბი შეიკრა) ენას რომ ძვალი ჰქონოდა, აჭამდე დავახრჩობდა... ამდენ ყბედობას,—შენს საქმეს ერთგულად ემსახურო,—ის გირჩევნია, ბებერო!

კ უ ზ მ ი ჩ ი—(აენტო) თავის საქმის მოღალატე მაღალმა ღმერთმა დარისხოს, ორგულსა და უნამუსო კაცს თვალის სინათლე უნდა გაუთავდეს, რომ ვისაც შეხედავს, ყველა უნამუსო არ ეგონოს!

ლევანი ღელავს, ნაბიჯი გადადგა წინ, თითქოს რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ მოახლოებული შურავეი შენიშნა და უმაღ გამბრუნდა.

კ უ ზ მ ი ჩ ი—(თვალი გააყოლა) ხედავ, სიტყვაც ველარ შემომიბრუნა! (შურავეს დააკვირდა) ნეტავი ეს მეორე ძალდი საიდანა მოიყვანეს!..

ქასთან ჩამოშდარი გერმანელი ჯარისკაცი დავთარში თვითული ქალის გვარს ინიშნავს: კუზმიჩის ცოლი პელაგია ნეტერენა სათლს აავსებს. ქის კედელზე ნახშირით მიუწერიათ „იღა“.

პ ე ლ ა გ ი ა—(გერმანელს) ვოლკოვა!

1-ლი ქ ა ლ ი—ანდრუშენკო!

2-რე ქ ა ლ ი—მიხაილოვა!

სამივემ საშრეტლები გაიდგეს მხარზე და იქვე შორიხლო შესდგნენ.

შ უ რ ა ე ვ ი—(ლევანთან საუბრით ქას მიუახლოვდა, წარწერას მოჰკრა თვალი; გულიანად გადაიხარხარა) ნათლობა უნდა გადაიხადო, ნათლობა! კი მაგრამ შენ მოგნათლეს, თუ მე?



ლევანი — (გული დაეწვა) ჯერჯერობით მე... (ერთბაშად შეუტრია ქალებს) ამდენი წყალი რა ამბავია? ცეცხლი ხომ არ გაგჩენიათ? ~~ქოშორ-~~ დით აქედან!

ქს სარჭელი დახურა.

ერკინული  
ხინჯიჩოთქა

დედაბერი — ნეტავი მართლა ცეცხლი გაგჩენოდა!... აგრემც ცეცხლმა და ნათამა წაიღოს თქვენი სახსენებელი...

1-ლი ქალი — ჩემად, ქალო... ვერა ზედავ, მგლებივით გვიცქერაან.

პელავია — იქ მოგვიშალეთ, აქაც აღარ გვანებებთ... წყალზე პირუტყვისაც არ ეტყვიან უარს, თქვე უღმერთონო! (წავიდა, ქალები უკან გაჰყვნენ).

ლევანმა ჩვარი იღო, წარწერის მოშლა დააბირა.

მურავე — რას შერები, მეგობარო! მაგან ფული იცის... რამდენსაც მეტს წააწერენ, იმდენი შენთვის ხეირია!..

მაიორი აივანზე გამოვიდა.

ლევანი — (დაფიქრდა. ჩვარი გადაისროლა) განა მწყინს, მაგრამ...

მაიორი — რა იყო, რა ხმაურია?!

მურავე — არაფერი, ბატონო მაიორო! იუდაო, კედელზე მიუწერიათ და ხომ მოგეხსენებათ, ამისთვის ახალი ხილია და, — ეხამუშება... მაშ მე რაღა ვქნა, ორჯერ ზედიზედ სიყვდილი დამიწერეს!..

ლევანი — მე მაგათ ვასწავლი, სამშობლოს სიყვარული როგორ უნდა!

მაიორი — ამათ მე ვასწავლი, შენ კი შენიანებს ასწავლე, როდესაც შენი სამშობლო იქნება თავისუფალი... ქართველი ვარო, ასე არ მითხარი?

ლევანი — ახლაც მაგას მოგახსენებთ, ბატონო მაიორო! ამ გზას თავს იმიტომ ვაკლავ, რომ ჩემი სამშობლო მალე გახდეს თავისუფალი...

მაიორი — მოლოდინ... ასე უნდა... რო, საქართველო მე ძალიან მომწონს... ოცდაოთხი წლის წინათ ვნახე პირველად. ნამდვილი სამოთხეა, ღვინოც ბევრია და ღამაზი ქალებიც... აღარ მეთმობოდა, მაგრამ... (პაუზა) აი, ახლა ისევ ვნახავ! ჩვენს ოფიცრებს უკრაინაში მიწებს ურიგებდნენ, იქ ხომ ნოყიერი შავი მიწაა, — მე უარი ვთქვი, საქართველოში, შავი ზღვის პირას მიჩვენებია-მეთქი... მგონი არ მოეტყუებულვარ, — ხომ უკეთეს მიწას ვიშოვნი საქართველოში?

ლევანი — (ძლიერ მშვიდად) რადგან იქ გირჩევიან, — თქვენი საკადრისი შავი მიწა საქართველოშიც მოინახება, ბატონო მაიორო!

მაიორი — მოლოდინ... ასე, აი ასე უნდა... შენც ხომ გეჩქარება? ამიტომ გზა მალე უნდა გაკეთდეს...

ლევანი — ბარემ მეც მინდა, მაგრამ რა გამოვიდა, ყოველდღე აფეთქება და უბედურება...

მაიორი — მალე მოვუღებთ ბოლოს, კვალი აქ არის მოტანილი...

ლევანი — არ დაიჯეროთ, ბატონო მაიორო!.. ის ცოცხალი აღარ არის.

მაიორი — საფლავებიც კი გადავთხარეთ, ყველა მკვდარი შევამოწმეთ... მაშ რა იქნა?

ლევანი — მაშინ უსათუოდ ტყეში არის, — სადაც ადგილობრივი ხელისუფლება წავიდა...

მაიორი — მაგასაც შევიტყობთ, ზევ ყველაფერი მეცოდინება... (ხილს გახედა) რა მოხდა? რით ვერ მოათავეს ეს ხილი?



ლევანი—ხვალამდე მივეცი ვადა... ნება მომეცით, წავიდე!

მაიორი—(თავი დაუქნია) შურავე!

შურავე—აქა ვარ, ბატონო მაიორო!

მაიორი—ფიქრე? გადასწყვეტე? ხვალ სალამომდე უნდა ვიცოდე, მის მდივანი ტყეშია თუ არა?..

შურავე—ძალიან ძნელია ბატონო მაიორო! ციხეში ნაჯდომი კაცი ვარ, იქ, ტყეში, ვინმემ რომ მიცნოს,—დავიღუპები...

მაიორი—გამოიგონე რამე!

შურავე—ძალიან ვცდილობ... გახიზნულ ხალხთან ასე დაგვიანებით მისულა?... არაფერი გამოვა, ბატონო მაიორო!

მაიორი—(გაბრაზდა) მიჰქარავ, მაშინ მე გასწავლი... მამაშენიც ხომ შენი ხელობის კაცია! წადი, თავი მოსკერი და მათ მიუტანე... უთხარი, სამშობლოს მოღალატე იყო-თქო... მაშინ ხომ გენდობიან!

შურავე—(უმწოდ) დიახ, დიახ, ბატონო მაიორო!

ოფიცერი—(შემოდის) ბატონო მაიორო! (პაკეტი გაუწოდა) ფრიად სასწრაფოა!

მაიორი—(პაკეტი გახია, კითხულობს, წარბები შეიკრა... გაბრაზებულმა ბოლთა დაჰკრა) აჰა კიდევ!.. ახლა მთელი ეშელონი!.. გუშაგებიც ჰყოლიათ, თვითმფრინავიც მიაცილებდა... პირდაპირ გაუგონარია!

შურავე—(გაუბედავად) ბატონო მაიორო!

მაიორი—(პაუზა) სტეფი!

შურავე—ამ სადგურის უფროსის სიცოცხლე ძვირად გიღირთ?

მაიორი—ვერ გავიგე?!

შურავე—გავცემ ბატონო მაიორო, მაშინ აღარაფერი გამიჭირდება...

მაიორი—(დაფიქრდა... გაეღიმა) მოლოდენ... წადი... (მიმავალს უკან მიაცხა) ხვალ სალამოს ყველაფერი უნდა ვიცოდე!  
გარედან ტირილს თუ კვილის ხმა მოისმა.

პავლიკა—გამიშვი... გამიშვი შე უღმერთო... ვაი დედაც!..

ახმაზი გერმანელი ჯარისკაცი 12—13 წლის ბიჭს მოათრევს, ხელში ვეება ხანჯალი უჭირავს.

პავლიკა—გამიშვი.. გამიშვი შე რჯულძაღლო!.. ვაი დედაც!..

ჯარისკაცი—(ბიჭი მაიორის წინ წამოაჩოქა) ბატონო მაიორო! სწორედ იმ ადგილას დაეხეტებოდა, სადაც ლიანდაგში ჩადგმული ტოლი ვიპოვნეთ...

მაიორი—მერე?

ბიჭს დააქვრდა.

ჯარისკაცი—არაფერი დავაკელით, მაგრამ ვერ გავტეხეთ...


პავლიკა—თხები გამომექენენ, მაშ თავი გამენებებინა!

დიდგულად შეუბღვირა ჯარისკაცს.

მაიორი—(ბიჭს მიუახლოვდა, თავზე ხელი გადაუსვა, ვეება შეაბრუნა) მოლოდენ... კარგი ბიჭი სჩანხარ, რა გქვია სახელი? **სახელი ვეება შეაბრუნა**

პავლიკა—პავლიკა, ბატონო!

მაიორი—სადაური ხარ?





მამაშენი ხად / არის?  
 შარკინული  
 გიგულიძისა

- პ ა ვ ლ ი კ ა—მალინოვკიდან!
- მ ა ი ო რ ი—მოლოდუც... შენ ყველაფერი გცოდნია... მამაშენი ხად / არის?
- პ ა ვ ლ ი კ ა—არსად... მკედარია!
- მ ა ი ო რ ი—დედაშენი?
- პ ა ვ ლ ი კ ა—ისიც... ობოლი ვარ!
- მ ა ი ო რ ი—(თითქოს მიაგნო რალაცას) მაშ თხები ვისი იყო?
- პ ა ვ ლ ი კ ა—მეზობლებისა... მწყემსი ვარ!
- მ ა ი ო რ ი—მოლოდუც... ნამდვილი კაზაკი ყოფილხარ! (ნაძალადევი ალერსით) ეს რა კარგი ხანჯალი ტქონია! (ჯარისკაცს ხანჯალი გამოართვა) ვინ ტაჩუქა?
- პ ა ვ ლ ი კ ა—(ერთბაშად შეკრთა) არავინაც არ მატუქა, ჩემია!..  
 თუ როდის შემოვიდა ლევანი, არვის შეუნიშნავს, ეს მუხას მიკუთვდება და სმენად ტყუილი ბიჭს თვალს არ აწორებს.
- მ ა ი ო რ ი—(ბიჭს იტყუებულად დააცქერდა) ერთი მტკაველი ბიჭი ხარ, ერთი ადლი ხანჯალი რად გინდა, ბიჭიკო?
- პ ა ვ ლ ი კ ა—(მღელვარება შეეტყო) ჩემი ხანჯალია... რა გინდათ, ჩემგან?.. მომეცი ჩემია!.. აქ მომეცი ხანჯალი!
- ხანჯალს წაებოტინა, მაგრამ ჯარისკაცმა ბიჭი ადვილად წამოაოტო მინაზე.
- მ ა ი ო რ ი—(ხანჯალი ხელში ემსუბუქა, სინჯვა დაუწყო, ქარქაშიდან ამო-  
 ზიდა, ხელში ერთი ბეწვა ხანჯლის პირი შერჩა) მოლოდუც... მე კი დი-  
 დი მეგონა!.. (ბიჭს ეტყით შეავლო თვალი, ქარქაშში ჩახედა და ხანჯლის  
 წვერით გრძელი რალაც ზონარი ამოაძრო). ოჰო! მოლოდუც! (ოფიცერს)  
 ხედავ? ნამდვილი ამაფეთქებელი—ბიჭფორდის ზონარი (და ბიჭს ისევ  
 ალერსით მიმართა) ეს ლამაზი თოკი ვინ მოგცა?
- პ ა ვ ლ ი კ ა—გზაში ვიპოვე... მომეცით ჩემი ხანჯალი! (ჯარისკაცმა ბიჭი  
 მძლავრად დაიქნია და პირქვე დასცა) ვაი დედავ!.. ვაი...
- მ ა ი ო რ ი—გაუშვი, რას აწვალე?.. ბავშვს გზაზე უბოვნია! (ჯარისკაცი გა-  
 ოცებული მისჩერებია მითორს, ბიჭს ხელს არ უშვებს) გაუშვი ხელი!  
 (ისევ უყვირა ჯარისკაცს, რომელიც გაოგნებული მისჩერებია უფროსს)  
 დურრაკ! გაუშვი მეთქი! (მაიორმა ხელი გააშვებინა ბიჭი წამოაყენა და  
 თავზე ხელი გადაუსვა) წადი, შენს თხებს მიხედე... ყოჩალი ბიჭი ყო-  
 ფილხარ! (ბიჭმა მადლოერი თვალები შეანათა მაიორს და უმაღლ გა-  
 ტრიალდა) მოიცა!.. ხანჯალი რომ დავრჩა?..
- პ ა ვ ლ ი კ ა—(მობრუნდა, ხანჯალი გამოართვა) მადლობელი!..  
 შეტი ვერაფერი მოახერხა და გახარებულმა მოკურცხლა... პაუზა.
- მ ა ი ო რ ი—(თვალეზგადმოკარკულ ჯარისკაცს) მარშ! (წელში გაშეშებული  
 ჯარისკაცი ჩექმების ბრახუნით გავიდა) ლეიტენანტ კრანც!
- ო ფ ი ც ე რ ი—აქა ვარ!
- მ ა ი ო რ ი—ახლავე ამ ბიჭს კვალდაკვალ მიჰყევ... სწრაფად!.. ასი ყური და  
 ასი თვალი!.. ეს ლამაზი თოკი სწორედ მასთან მიგვიყვანს, ვისაც  
 ვეძებთ...

## მოკმელება მეორე

პირველი სურათი



კაცქისის ჭედის ტყიანი კალთები. შუა ტყეში გორაკი გახიზნულთა მიწურებით, გორაკზე ძველის-ძველი კოშკი და მის ძირას რამდენიმე კოცონი, რომელზედაც ხიზნები თბებიან. კოშკთან თოფიანი გუშავი. თოვს აჩვენა და არჩილი კარავს მართავენ. საღამოა. ხმადაბალი, ნაღვლიანი სიმღერა. მარინე და ბორის ცეცხლის-პირას მარტონი

მარინე—რას ამბობ, ბორის! სამი დღე გავიდა... ცოცხალი რომ იყოს, აქამდე როგორ ვერ მოაღწევდა? არა, უეჭველად რაღაც უბედურება შეხვდა. თავი შეკაფებში ჩარგო.

ბორისი—უცნაური ხარ მარინე! რატომ მაინცა და მაინც ცუდი რამ უნდა იფიქრო? ხომ ხედავ, სადა ვართ! ამ მთებში, ამ უღრან ტყესა და დაკარგულ ხეობაში ჩვენი პოვნა ასე ადვილი რომ იყოს, მტერიც ხომ ადვილად მოგვაგენებდა?!

მარინე—ჩვენ ხომ შეგობრები ვართ, ბორის! რატომ პირდაპირ გულახდილად არ მეუბნები, რასაც ფიქრობ!.. აი, ისე, როგორც წინათ იცოდი... გული უნდა დამიმშვიდო?.. შენ არ იცნობ მამაჩემს! როდესაც შინ ვიყავი, თავს დამკანკალებდა, ღამეში ათჯერ დამხედავდა—მეძინა თუ მეღვიძა, და ახლა რა დამეართა? ამ ტყეში ასე მიმატოვა? ცოცხალია და ვერ მომნახა? რომელ ტყესა და მდინარეს შეეძლო მისი გაჩერება? არა, მაგას ნუ მეტყვი, ნუ!.. შენ არ იცი, მამაჩემი როგორი ამაყი კაცია,—ის გერმანელებს არაფერს დაუთმობდა, ნამდვილად სადგურში მიუსწრეს და...

თვლებზე ორივე ხელი მიიფარა.

ბორისი—შეიძლება ასეც მოხდა, მარინე... მერე—რა? (ორივენი წამოდგნენ) მამაშენიცა და მამაჩემიც, შენცა და მეც... დღეს ყველა ჩვენგანი შეიძლება შესდგეს სიკვდილ-სიცოცხლის ამ უხილავ სასწორზე... კაცს სიცოცხლე ასე აქვს, სიკვდილი კი—ერთი! მას შეუძლია ერთხელ ჩადენილი შეცდომა—მეორედ გამოასწოროს, ერთი უვარგისი წუთი სიცოცხლისა—მეორეთი ზღოს და თავის კაცობას სირცხვილი მოსწმინდოს... უსახელო სიკვდილს კი აღარაფერი ეშველება.—შავად ჩაებეჭდება სამუდამოდ! ამიტომ სიკვდილისა იმას უნდა ეშინოდეს, ვინც უსახელოდ კვდება... ახლა ამ საქვეყნო განსაცდელის ეამს, ხალხის საქმისათვის სიკვდილისა ვის ეშინიან? მხოლოდ იმას, ვისაც უსახელო სიკვდილი შეუძლია! განა მამაშენი ასეთი კაცია?

მარინე—(დამშვიდებული, ალერსით შესცქერის) არა, ის ასეთი კაცი არ არის!

ბორისი—მამ რისი გეშინიან?

მარინე—(ნაზად) ბორის, მე ისევე შენი მეგობრული ხმა გავიგონე... როგორ დამამშვიდე!.. ახლა აღარაფრისა მეშინიან.

კოშკთან გახიზნულთა მეთაური მაჭიმე გამოჩნდა, მას ორი პარტიზანი ახლავს—ერთი მათგანი ვეება ტანის ბეკოევი, მეორე შკურატი.

მაქსიმე—(არსენასთან და არჩილთან შესდგა) ამხანაგო არსენ, შენი გაკეთებული სამზარეულო ვნახე, კარვად მოგიწყვია, ჩვენი პარტიზანები მადლობას გეტყვიან!..

- ა რ ს ე ნ ა —სამზარეულოს არა უჭირს რა, ამხანაგო მაქსიმე, მაგრამ ეს ჩვენი პარტიზანები რომ არსად სჩანან?!  
 მაქსიმე —როგორ თუ არსად სჩანან! მაშ შენ ვინა ხარ? ეს შენი შეჭობარი ვინ არის?! აქ ვინცა ვართ, —ჩვენ ყველანი პარტიზანები ვართ...  
 ა რ ს ე ნ ა —კი, მარა იარალი?  
 მაქსიმე —იარალიც მალე გვექნება... ჩვენი თუ არ გვეყოფა, თითო მარჯვედ ნასროლი ტყვია, თითო გერმანულ ავტომატს გვაშოვნიებს... აი ამხანაგმა შეურატმა ორი ერთად მოიტანა!  
 ბ ო რ ი ს ი —(სიხარულით) ამხანაგო შეურატ, მაშ მეორე ხიდიც?  
 შეურატ —ავდარმა მიშველა, ნისლი იყო ჩამოწოლილი, ორივე ბურჯი ავაფეთქე, —ერთ კვირას იმ ხილზე ველარაფერი გაიელის...  
 წინ წამოვიდნენ.  
 მაქსიმე —ამხანაგო ბეკოვე, ქალაქში შესვლა როგორ მოახერხე?  
 ბ ე კ ო ე ვ ი —მენა, შენი ჭირიმე, მითომა გასაყიდად ერთი ბებერი თხა წავიყვანე, ერთიცა—მამალი ქათამი... თხა აღდგომის კვირცხვივით წითელმა გერმანელმა წამართვა, მამალი თამბაქოში გავცვალე.  
 მაქსიმე —მაშ სერგეი პეტროვიჩისა ვერსად, ვერაფერი შეიტყვე?  
 ბ ე კ ო ე ვ ი —არლოვკასთან, სადაც დიდი ხილია, დამტვრეული მანქანა ჩემი თვალითა ვნახე, მკედარი შოფერი ხევში ვიპოვნე... რუსსა ვკითხე... არაფერი მოთხრა, ოსსა ვკითხე, —არაფერი იცის... ის კი გვიგე, რომა გერმანელმა ვერც მკედარი, ვერც ცოცხალი ვერსად იპოვნა.  
 ბ ო რ ი ს ი —თვითონ სტანიცაში იყავით?  
 ბ ე კ ო ე ვ ი —ეერა, ამხანაგო ბორის, მას გერმანელი შაიორი თვითონაც მეძებარი ძალღივით დაქებეს, ვერ მოვახერხე...  
 შეურატ —სტანიცაში ხმას არაეინ იღებს, მაგრამ სადაც ან ხიდი აფეთქდება, ან მატარებელი კლდეზე გადაეარდება, —ყველას ისე ჰგონია, რომ ეს სერგეი პეტროვიჩის ხელია, —გუშინაც ელექტროსადგური აუფეთქებიათ...  
 მაქსიმე —(ხმამალლა) ამხანაგებო! (ბუჩქებიდან, მიწურებიდან მაშინვე წამოიშალა ხალხი, ზოგი იარალით, ზოგიც უიარალოდ, მეთაურს ირგვლივ შემოერთყენენ) ჩვენმა კაცებმა კარგი ამბავი ვერ მოგვიტანეს! სერგეი პეტროვიჩი აქ, ამ ადგილას უნდა დაგვხვედროდა, მას უნდა ჩაებარებინა ჩემთვის იარალისა და სურსათის საწყობები, მხოლოდ მან იცის—სად რა არის დამალული... ის კი, —არსადა სჩანს, არც ცოცხალი, აღარც მკედარი!  
 შეურატ —საგზაღს მთის სოფლებიდან ჩამოვიტანთ, ამხანაგო უფროსო!  
 მაქსიმე —კი, მაგრამ, იარალი? უბურობას კაცი კიდევ გაუძლებს, მაგრამ უთოფოდ, უტყვია-წამლოდ, ჩვენ ამ ხეობაში არ დაგვედგომება!  
 ბ ე კ ო ე ვ ი —მაშინ მეტი რა გზაა, —ავყევთ ამ ბილიკებს და პირდაპირ სვანეთში გადავალთ!..  
 ა რ ს ე ნ ა —შენ ჩემო ძამია, შეიხედე ერთი აქეთ! რაეა ფიქრობ, ამ ბილიკებს ისინი კი ვერ ამოყვებიან? მერე? მერე, შენ ხარ ჩემი ბატონი, —სომხეთი, აზერბაიჯანი, მერე?! ასთუ თუ ირბინე, ძამია, მალე კიტაიაში ამოყოფ

თავს.. ამ ქვეყანაზე გზას რა გამოლევს!.. სადმე ხომ უნდა გარკვევდეს? ამაზე დალოცვილ ადგილს სად ენახავთ?

მ ა ქ ს ი მ ე — მეც ეგრე ვფიქრობ, ამიტომ რაღაც უნდა დავეფიქროს... გვირგევი პეტროფიჩი უნდა მოეძებნოთ, ცოცხალია, — უნდა მივხედოთ, მისი რაია, — ისიც უნდა ვიცოდეთ. (ხალხს) ვინ არის აქ არლოვკიდან?

ა რ ს ე ნ ა — (წინ წადგა) შე გახლავართ!

მ ა რ ი ნ ე — მეც იქიდანა ვარ!

მ ა ქ ს ი მ ე — (არსენას დააცქერდა) კარგი იქნება, — ახლავე წახვიდე!.. სტანიცაში შესვლა უნდა მოახერხო როგორმე... ხალხში გაიარ-გამოიარე, არ შეიძლება მკვდარი ან ცოცხალი ვინმეს არ ენახოს!

ა რ ს ე ნ ა — (შეუყვანდა, თითქო შეკრთა) კაი და კეთილი, უფროსო, მარაა?..

მ ა ქ ს ი მ ე — ყური დამიგდე...

მისკენ დაიხარა, სიანს რაღაც საიდუმლოს ეუბნება.

მ ა რ ი ნ ე — გაეყვები, ბორის! შენ რას იტყვი?

ბ ო რ ი ს ი — რა უნდა გითხრა, მარინე! კიდეც რომ დავიშალო, შენ მაინც შენსას არ დაიშლი!.. მხოლოდ გახსოვდეს, — სად მიდიხარ, — რა ბეწვის ზიღზე უნდა გაიარო...

ა რ ს ე ნ ა — ეს ყველაფერი კაი, უფროსო, მარა, გზა რომ არ ვიცი?

მ ა ქ ს ი მ ე — მეგზურს გაგაყოლებ!

მ ა რ ი ნ ე — მე გაეყვები, თუ შეიძლება! რაც მამაჩემი აქ გადმოიყვანეს, სულ ამ გზებზე დავდივარ!

მ ა ქ ს ი მ ე — აი ეს ჩინებულია!..

ა რ ს ე ნ ა — (ცივად) აპი არა, შენი ქირიმე, ქალი არა... მე ჩემი თავი შეყოფა საპატრონოდ მე თუ მკითხავთ, — (გვერდით-მდგომი ვეება ბეკოევი აათვალიერა) ეს ამხანაგი ყველას მირჩევნია...

მ ა ქ ს ი მ ე — არა... ამ საქმეში ქალი უფრო გამოდგება, — ექვს ვერ მიიტანენ... (უბიდან პატარა რევოლვერი ამოიღო და მარინეს გაუწოდა) სროლა ზომ იცით?

მ ა რ ი ნ ე — ვიცი... (ბორისს) ხედავ? სად გამომადგა შენი გაცვეთილები!

რევოლვერი ხელში მოსინჯა, შეიარაღებულ რაზმებს თვალბახებული უცნობი მეთურისკენ მოჰყავს.

მ ა ქ ს ი მ ე — მამ ასე, ჯერ არლოვკაში შეხვალთ...

უ ც ნ ო ბ ი — (მეთაურის წინ შესდგა) არლოვკაში შესვლით კი შეხვალთ, მაგრამ ვაი, რომ ვეღარ გამოხვალთ!..

მ ა ქ ს ი მ ე — (გაოცებული დააცქერდა, ხალხიც სულგანაბული შესცქერის) ვინ არის?

რ ა ზ მ ე ლ ი — წყაროსთან დაქვიპირეთ, თქვენს უფროსთან წამიყვანეთ!

მ ა ქ ს ი მ ე — (დაეჭვებული) ვინა ხარ?... საიდან ხარ?

უ ც ნ ო ბ ი — ჯერ დამენახვეთ, ვის ველაპარაკები, მერე გაიგებთ — ვინცა ვარ!

მ ა ქ ს ი მ ე — (რაზმელს) ჩამოხსენი! (რაზმელმა თვალსახვევი უმაღ ჩამოიხსნა: ხალხის წინ შურაევი სდგას) არლოვკიდან ხარ?

შ უ რ ა ე ვ ი — დიახ, მგზავრი, — სადგურში ჩავეჩი!

მ ა ქ ს ი მ ე — სადაური ხარ?

შ უ რ ა ე ვ ი — შორიდან, სამუხ-აულიდან... მახმედ სელიმოვი! აი ჩემი საბუთები! (ქაღალდების მთელი დასტა გაუწოდა მეთაურს) ერთი თვეა გზაში

ვარ, მაგრამ რა ცეცხლიც არლოვეკაში ვნახე,—ღმერთო ღამისკენა (მეთაური საბუთებს ათვალეერებს, თან მას უსმენს) წელან კური მრეკარი, იქ ვილაცას გზავნი... არამც და არამც! ტყუილად ნუ დღეუქავდეს! გერმანელებმა სტანიცაში კაცის სახსენებელი გააქრეს, მაგრამ...  
 ყველა დაძაბული უსმენს, მარინე განსაკუთრებით.

ხ ა ლ ხ ი—(ერთად აღმოხდათ) ვინა?..

შ უ რ ა ე ვ ი—მოლაღატე გამიგონია, მაგრამ ისეთი, როგორიც იქ გერმანელებს უშოვნიათ,—ღმერთმა ყველა დაიფაროს!.. არავის ინდობს,—არც ქალს, არც ბავშვს, არც მოხუცს... მთელი სტანიცა ააწიოკა... მერე ვინ!—ჩვენივე სადგურის უფროსმა!

მ ა რ ი ნ ე—(თითქოს ბურანში იყო) ვინაო?.. ვერ გავიგე, ბორის!

მ ა ქ ს ი მ ე—რომელი სადგურის უფროსმა?

შ უ რ ა ე ვ ი—არლოვეკას უფროსმა, პირველსავე დღეს ჩემი თვალით ვნახე... (მარინე დაძაბული მისჩერებია ხალხი სულგანაბული უსმენს) სადგურისკენ გერმანელების ჯავშნიანი ღრეზინა მიჰქროდა, წინ ხიდი იყო აყრილი... უცებ საიდანღაც ის გამყიდველი გაჩნდა, წითელი ფარანი აუბრიალა და თორმეტი გერმანელი ჯარისკაცი და ერთიცი მაიორი სიყვილის გადაარჩინა!

მ ა რ ი ნ ე—(გაოგნებული ხან ბორისს, ხან არსენას შესცქერის) ვინ გადაარჩინა?

შ უ რ ა ე ვ ი—სადგურ არლოვეკის უფროსმა.

მ ა რ ი ნ ე—(თრთოლვამ აიტანა, მაგრამ თავი შეიმაგრა და ძლივს შეეკითხა) თქვენ უთუოდ გეშლებათ... მისი სახელი? რა გვარია?

შ უ რ ა ე ვ ი—ვერ დავიხსოვ, რაღაც უცნაური გვარი აქვს... მაგრამ ჭარბელი რომ არის,—ეს დანამდვილებით ვიცი!..

მ ა რ ი ნ ე—(ველარ გაუძლო, ერთბაშად აიღუწა, ტანი ფოცხვერივით დაძაგრა და მისკენ გაქანდა) ვინ? მამაჩემი... მოლაღატე? როგორ ბედავ, შე საზიზღარო?

შურავეს სილა გააწნა, ხალხი შეჩოქოლდა.

ბ ო რ ი ს ი—მარინე!

ქ უ რ ა ე ვ ი—ბოდიში, მაგრამ მეც დავინახე! სადგურს რომ გამოვეცილდით, საღამო იყო... აშკარად სჩანდა, ვილაცამ წითელი ფარანი ასწია!

მ ა რ ი ნ ე—(გარინდდა, რევოლვერი ხელიდან გაუშვა და ბორისის მხარს დაეყრდნო) არ დაიჯერო, ბორის, არ დაიჯერო!

შ უ რ ა ე ვ ი—(რევოლვერი აიღო და ბორისს მიაწოდა) მამა რომ მოლაღატე იყოს, შვილისა რა ბრალია.

ბორისმა რევოლვერი მეთაურის წინ გადახერხილ ხეზე დასდო.

ა რ ს ე ნ ა—(არჩილს ხელი წააელო, განზე გაიყვანა) მომკალი და ამას ვერ დავეიჯერებ... ვინ? ლევან ჩადუნელი და მოლაღატე? მაშინ მეც მოლაღატე ვყოფილვარ!..

მ ა რ ი ნ ე—(ბორისი არ უშვებს) არა, ბორის ნუ მაჩერებ! (ცდილობს ვაუსხლტეს) ჩემი თვალით უნდა ვნახო ჩემი უბედურება... (ერთბაშად

ვახსენდა) ვახსოვს? მამანემმა რომ მოულოდნელად მაკოცას. ჩვენბ მა-  
შინვე ჰქონდა გადაწყვეტილი... თუმცა,—რას ვამბობ! ღმერთო ჩემო...  
ეს შეუძლებელია!.. (მეთაურს მიუბრუნდა) წავალ, თქვენ ხომ თვითონ  
დამავალეთ წავსულიყავი! ერთსაც შევიტყობ,—მეორესს ვინ ვინ უნდა

მაქსიმე—(რევოლვერი აიღო, ჯიბეში ჩაიღო) არა, თქვენი იქ წასვლა ახ-  
ლა აღარ ივარგებს! თანაც აღელვებული ხარო, დამშვიდდით, მაგას ახ-  
ლავე გამოვარკვევთ... (მურავეს) თქვენ მოქალაქე... ერთი ჩემთან წა-  
მოდით... (ქურტიან მგზავრს) თქვენც,—ამხანაგო!

გაიდა, მურავეი და ქურტიანი მგზავრი გაყვნენ.

მარინე—ხედავ, ბორის, უკვე აღარ მენდობიანი!.. ჩვენბ შენც... ხმა ამოიღე,  
რას გაჩუქებულხარ? (ხალხს უმწეოდ მოავლო თვალი) ხალხო!.. (პაუზა,  
ყველა სდუმს) არსენ! შენ მაინც რალამ დაგამუნჯა? მე ჯერ დაბადებუ-  
ლიც არ ვიყავი, როდესაც შენ და მამა ერთმანეთს იცნობდით... მითხარი:  
შენ მითხარი, მამანემი და შოლალატე?! (ძირს დაეშვა).

არსენა—მარინე, შეილო!.. (წამოაყენა, მოუალერსა).

ბორის—(მკლავზე ხელი მოხვია) დამშვიდდი მარინე! მე თვითონ წავალ,  
ყველაფერს გავიგებ!..

განზე გაიყვანა... ორივე ცეცხლთან წაქცეულ ხეზე ჩამოსხდნენ... მარინე ტირის.  
ბინდი ეშვება-

არჩილი—(არსენასთან განმარტოებით) ქართველ ქალს ვენაცვალე, როგორ  
არწივივით მიაფრინდა!.. თუმცა... ვინ იცის,—ამ ქარიშხალს რამდენი  
ფესვი ვერ გაუძლებს, რამდენი ტოტი ჩამოტყდება!..

არსენა—რაღა გეკადრება არჩილი, ბატონო! ოცი წელიწადია კაცს ვიციობ...  
რომელ სადგურშიც გადაიყვანეს, ყველგან თან გავყევი... თავი ვერ გა-  
ვანებე,—იმისთანა ოქრო კაცი იყო!..

არჩილი—ქართული ანდაზა ხომ ვახსოვს,—გველი გარედან არის კრელი,—  
კაცი შიგნიდანაო!..

არსენა—აპაპაპა!.. ყველაფერს დავიჯერებ, მაგას — ვერა! როდესაც  
რევოლუციამ მეფის ტახტი პირველად შეარყია, კაცი იმ თავითვე სა-  
ქვეყნო საქმეს ემსახურებოდა, მაშინვე მის გზას გაჰყვა... სტალინის  
ხელით დაწერილი პროკლამაციები უბით დაჰქონდა... ახლაც როდესაც  
სტალინის სახელს ასხენებდა, თვალზე სიხარულის კურცხალი აღგე-  
ბოდა, იმის გამჩენს ვენაცვალეო,—ასე იტყოდა ხოლმე. ახლა შენ მით-  
ხარი, თუ ჩემი ძმა ხარ, დავიჯერო ასეთმა კაცმა სტალინს უღალატა?

არჩილი—კი მაგრამ... იმ კაცსაც რომ თავისი თვალით დაუნახავს...

იქვე ცეცხლის პირას ჩამოსხდნენ. შემოდიან მურავეი, ბეკოვი, ქურტიანი მგზავრი.

მურავეი—ხო, და-კიდევ კარგი, თქვენც გაგიგონიათ! (არსენას და არჩილს)  
აპა, ესაც მე ვარ? (მთიელებს) თუ კაცი ხარ, რა გაიგე, როდესაც  
სტალინისთან გამოიარე?

ბეკოვი—(არსენას) რა ვიცი, ერთი ატირებული დედაკაცი გამწარე-  
ბული იწყევლებოდა... ასე ამბობდა გამყიდველი არისო.

არსენა—(ბეკოვემა რომ დაუმოწმა, გულზე ცეცხლი მოეკიდა და სხვა რომ  
ვერაფერი მოახერხა, შარი აუტეხა) ვინ იცის, ამ ქვეყანაზე რამდენი



გამწარებული დედაბერი იწყევლება... მერე?! შენ რომელი პრაქტიკულით დაამტკიცებ, რომ სწორედ იმ კაცზე ამბობდა?! ძამია მაგონებდა კაცი რომ აყუდებულხარ, — სიტყვას ცოტა ჰქუაჯ უნდა დაატანო... ასეთა, აბა?!

ერჩენული

შურაევო—მოიცა, მოიცა, ძმობილო! (ვითომ გულის ტკიპრისას) ასე ბატომ გეწვის გული?!—რადგანაც ქართველია?.. რას იზამ, იმ არამზადამ, ჩვენ, ყველა მთიელებს მოგვეკრა თავი!.. საქვეყნოდ შეგვარცხენია!..

არჩილო—(ეწყინა) თქვენ სცდებით, ამხანაგო! ის არც ქართველია, არც რუსი; არც სომეხი, არც უკრაინელი და არც არავინ... ის მოლაღატეა, მოლაღატეს კი სამშობლო არა აქვს!.. ღიახ!..

შურაევო—(აიმრიზა) ნუ ფიცხობ... ახალგაზრდავ! (ისევ დაუტკბა) ჩვენი მთის ხალხმა ასე ერთბაშად ვიციტ აპილბილება, მაგრამ მთის კაცმა უფროსის პატივისცემაც იცის... შენ მე შევილად მერგები... ეგეც არ იყოს, ჩემი ხნის კაცს სიზმარიც დაეჯერება!

არჩილო—თქვენთვის არაფერი მიწყენინებია... სიზმრისა კი რა მოგახსენო, ამ საქმეში სიზმარი ანდაზად არ გამოდგება!

შურაევო—ვერა, მთის ხალხი ამ სირცხვილს ვერ აეიტანთ, —ქვეყანაზე თავმოჭრილნი ვერ ვივლით, ჩვენი სირცხვილი ჩვენივე ხელით უნდა მოვიწმინდოთ!

არსენა—ხატზე დაეფიცავ, მარჯვენას მოვიჭრიო...

შურაევო—ჩემი თუ არა გჯერა (ქურქიან მგზავრზე), —ი ამ კაცმაც თავისი თვალით დაინახა! (მგზავრს) მართალს ვამბობ თუ არა?

ქურქიანი მგზავრო—წითელი ფარანი ჩემი თვალით დავინახე, —სად გურის უფროსის მეტი სხვა ვინ იქნებოდა?

შურაევო—(ბეკოევს) ის დედაკაცი ზომ ნამდვილად სადგურის უფროსზე ამბობდა?..

ბეკოევო—ეგრება, მართალია!

არსენა—ოცი წელიწადია, ვიცნობ...

შურაევო—ჩუმად იყავი... (აქეთ-იქით მიიხედა) გაიგონებენ, ვინ რას იფიქრებს?

არჩილო—არსენ, მართალს გეუბნება!

შურაევო—(არჩილს ცბიერად) თქვენ განათლებული ახალგაზრდა სჩანხართ, მოლაღატის დანდობა განა შეიძლება?

არჩილო—ვინც მოლაღატეს დაინდობს, ის თვითონ მოლაღატეა.

შურაევო—შენს ენა-პირს ვენაცვალე!.. სწორედ ეგრება... (არჩილი გვერდით მოისვა) ერთი ეს მიბრძანეთ, გეთაყვა, ამდენ ხალხს რომ არც იარაღი გვაქვს, არც სურსათი, რა გეშველება?..

არჩილო—უეკაცსა გული რკინისა, აბჯარი ვინდა ზისაო, —ხომ გაგიგონიათ!.. (ბეკოევი და ქურქიანი მგზავრი არჩილის გვერდით ჩამოსხდნენ)...

არსენა—(შურაევს) ასეთა; ღიახ!.. და ჩვენს მტერსაც მალე დედა ეტირება... ზინდი ეწვება.

გუშაგო—ცეცხლი ჩაანელეთ, ზომ ბედავთ დალამდა!

ცეცხლს ყველგან აქრობენ, ტყეში ჩამობნელდა. ხეებს შორის მხოლოდ ჩრდილები და სწანან. ნაღვლიანი სიშლერა გაისმწ და მალე ისევ მისწყდა... ტყემ მიიძინა, მხოლოდ ერთი ჩრდილი შეირბა გორაკის ძირას, ბილიკი აირბინა, კოშკთან მდგომარეობაში დალაქამ გზა გადაუჭრა და კვიბის სანათური მიანათა.

მეზღვრისთვის

შურაევი—ეინ ხარ? სად მიდიხარ?

ხელი ჩაავლო.

მარინე—თუ კაცი ხარ, გამიშვი... მამა არა ყოფილხარ? შვილი არა გყოლია?

შურაევი—ოჰო, შენა?! (გესლიანად) მამაშენი მოგენატრა?

მარინე—გამიშვი, გვედრებში! ხვალვე დავბრუნდები... გამიშვი, თუ ადამიანი ხარ!

შურაევი—წილან სილა გამარტყი აღვლევებული იყავ და გააპტიე... წადი, ოლონდ, მე რომ მნახე,—არავის უთხრა. (მარინე დაღმართზე დაქანდა და უშალვე სიბნელეში გაჰქრა. შურაევი მბეუტავ ცეცხლთან ვილაც მძინარესთან მიიქრა) თოფი არა გაქვს?

ხმა—არა!..

შურაევი—(ბილიკი ჩამოირბინა, მეორე ცეცხლთან მძინარეს თოფი აართვა და დასცალა) შეთაური სად არის? შეთაური გააღვიძეთ!

ხალხი სიბნელეში წამოიშალა.

მაქსიმე—თოფი ეინ გაისროლა!

შურაევი—ფეხის ხმამ გამაღვიძა, სიბნელეში ძლივს ვაეარჩიე, მგონი სადგურის უფროსის ქალიშვილი იყო... დავუძახე, გაჩერდი-მეთქი, არ გაჩერდა... ვერ დავეწვიე და თოფი ვესროლე შესასწინებლად.

ბორისი—ამხანაგო უფროსო, ნება მომეცით... მე დავაბრუნებ, ცოდვია, ტყუილ-უბრალოდ დაიღუპება!

მაქსიმე—წადი!.. მოიცა, რახან მიდიხარ, ეცადე სადგურის უფროსის ამბავიც შეიტყო!..

ბორისი—დარწმუნებული იყავით, ყველაფერს გავაკეთებ...

ჩაბნელებულ ტყეს შევრია.

შურაევი—(თოფი პატრონს მიაწოდა) გეძინა, მგონი შენი უნდა იყოს!

მაქსიმე—ეძინა? როგორ თუ ეძინა! მაშ, ეს თოფი დღეიდან შენია, არსენ... იცოდე, იარაღს ფხიზელი პატრონი უყვარს!

გუშაგო—(იმხვე გუშაგმა, ვინც შურაევი წარუდგინა უფროსს ამხანაგურდა ქალი შემოიყვანა: ეს ის ქალია, მეფანდურესთან რომ ყოველდღე პური მიაქვს) ამხანაგო უფროსო, აი ეს ქალიც წყაროსთან დავაპტიმრე, თქვენს უფროსთან მიმიყვანეო... გაჩხრეკა მინდოდა, არ დამანება!

ლიზა—(გუშაგს ცერად გახედა) მერე და... ჩხრეკა ასე უნდა?! (შეთაურს) ამხანაგო უფროსო, ამ თქვენ გუშაგს ასწავლეთ, რომ ღლაბუცსა და არშიეობას ომი რომ გათავდება, მერეც მოესწრება! (გუშაგს შეუბღვირა) დიახ, ამხანაგო!..

გუშაგო—(გაწბილებული) ამხანაგო უფროსო...

მაქსიმე—(შეაწყვეტინა) კმარა... საგუშაგოზე!.. (გუშაგი გატრიალდა, ლიზას) მაგას მერე ვასწავლი ჭკუას... თქვენ საიდან ამხანაგო.

შურაევი ქალს აბლო-მაბლო უვლის.

ლიზა—(ხალხს გადახედა) პირადად თქვენთან, თუ შეიძლება!

მაქსიმე—(შურაევს და სხვებს) დაგეტოვებო!  
განუ გადგან.

ლიზა—(ხმადაბლა) ყაზბეგი!

მაქსიმე—(გახარებული) ყაზბეგი ვარ! (ლიზამ ბეკოვეს მხედველობა შეუშალა, მეთაურმა სწრაფად წაიკითხა, სახე გაუნათდა) ცოცხალია... (ბეკოვეს, რომელიც შორიახლო შურაევს ესაუბრება) ამხანაგო ბეკოვე, ეს ამხანაგი მოასვენეთ!..  
ბეკოვემა ლიზა მიწურისკენ წაიყვანა.

შურაევი—(ცბიერად) თუ რამე ცუდი ამბავია, მზადა ვარ, ამხანაგო უფროსო!

მაქსიმე—ცუდი არაფერია... ამხანაგებს გადაეცი, სურსათოცა და იარაღიც რამდენიც გვინდა, იმდენი გვაქვს.  
კოშკში შევიდა.

არჩილი—(მბეუტავ ცეცხლს ირგვლივ უსხედან არსენა, ბეკოვეი, ქურქიანი მგზავრი და არჩილი) ჰუ-და... თებერვლის რევოლუციის წინა დღეებში... (მათ შურაევი შეუერთდა) ის სტუდენტი თურმე თვითონ მეთაურობდა სტუდენტების წრეებს. ფარული სტამბა მოუწყვია, იარაღიც კი უშოვნია მათთვის... და იცით? რევოლუციის შემდეგ რა აღმოჩნდა? აღმოჩნდა, რომ სწორედ ეს სტუდენტი ოხრანკის თანამშრომელი იყო... მაშე!

შურაევი—ჰო, და,—ღმერთმა აგაშენა... კაცს ნურაფერი გაუყვარდება...

არჩილი—მერე ის სტუდენტი თვითონ სტუდენტებმა მოჰკლეს თურმე!

შურაევი—შეც მავას ვამბობ!.. მთის ხალხის სირცხვილი—ჩვენვე, მთის ხალხმა უნდა ჩამოვიწმინდოთ!.. (არჩილს) წედან შენ ჩინებულად სთქვი: ვინც მოღალატეს დაინდობს, ის თვითონ მოღალატეაო... ხომ ეგრება? რას იტყვით, ხალხო?..

ყველანი—ეგრება... ეგრება!..

შურაევი—ეგრება და,—რაღას ვუცდიოთ! სხვის ბრძანებას რომ ვუცადოთ, ეს რაღა ჩვენი კაცობა იქნება?! ავილოთ და კენჭი ვყაროთ!.. (არჩილს) ერთი ფურცელი ქალაქი გექნება!.. (თვითონ ფანქარი ამოიღო, არჩილმა ქალაქი მიაწოდა) რამდენი ვართ? ხუთნი.

არჩილი—(პირველად) ცოტა ჩქარა, შე კაი კაცო... რა სული ამოგვხადე!..

შურაევი—(ქალაქი ხუთად გახია, ქუდში ჩაყარა და ყველას გაუწოდა) ვისაც ჯვრიანი შეხვდება!  
არსენა—წამოდგა უკან დაიხია.

არჩილი—(ქალაქი ამოიღო) ჩემი ცარიელია!

ბეკოვევი—ჩემიც ცარიელია...

შურაევი—ჩემიც...

ქურქიანი მგზავრი—ჩემიც...

შურაევი—(არსენას მიუახლოვდა, ქუდი გაუწოდა) ბედი გქონია, ძმობილო, ბედი... თოფიც რომ დროზე მიიღე?!..

მაქსიმე—(შეუმჩნევლად თავს წამოადგათ) ამოიღე არსენ, რაღას უყურებ?

არსენა—(შეკრთა) ამხანაგო უფროსო...

მაქსიმე—მე რაღა უფროსი ვარ, განაჩენი უჩემოდ გამოგიტანიათ!..

შურაევი—მაპატიეთ... რა გქნათ, ასეთია ჩვენი,—მთიელების სამართალი...

მ ა ქ ს ი მ ე — (მტკიცედ) სანამ ბორისი ამბავს მოიტანდეს, თქვენ ამ წარადობილას თავი გაანებეთ... აჰ, ჯერჯერობით, მეთაურიცა და მოსამართლეც მე ვარ, სელიმოვს..

ერკინული  
ხეზლიჩოსეა

ფ ა რ დ ა .

### გიორგი სურათი

ეტზმინის ბინა. ჩვეულებრივი რუსული ქოხი: თეთრად-შედებილი კედლები, დიდი ღუმელი. ტახტის წინ მაგიდაზე სამოვარი ჩაის კურბულით, ერთ-ერთ კედელზე მოზრდილი სარკე და გვერდით—გრძელი წითლად-ნაქარგი პირსახოცი. ფანჯარაზე წითლად-ნაქარგი ფარდები, ქოხის ერთ კუთხეში ხატის წინ აწებებული კანდელი.

პ ე ლ ა გ ი ა — ეამიანობა იწყება, ნამდვილი ეამიანობა, ეტყობა ღმერთმაც დაგვივიწყა...

ახალგაზრდა ქ ა ლ ი — ღმერთი არაფერს გვიშველის დეიდა პელაგია... ჩვენს თავს ჩვენვე უნდა ვუპატრონოთ...

ნ ა ტ ა ლ ი ა — ჩვენ, — უბედურებს რა შეგვიძლიან?

პ ე ლ ა გ ი ა — როგორ თუ რა შეგვიძლიან? ვისაც შეუძლიან ხელი გაიჭნიოს, ვისაც მკლავი არ ერჩის—ილოცოს, ვისაც ლოცვა არა სწამს—იტვიროს... იტვიროს, ცრემლი ქალის გულის სალესავია, მტერს უფრო შეგვაძულებს, სიმართლეს არ დაგვიკარგავს...

ნ ა ტ ა ლ ი ა — ეეხ, სიმართლე სად არის პელაგია?..

ახალგაზრდა ქ ა ლ ი — მაშ ჩვენი ჯარი, მთელი ჩვენი ქვეყანა რისთვის იბრძვის?—სიმართლისათვის!.. ეგ აღარა სთქვა, დეიდა ნატალია!..

მ ო ხ უ ც ი ქ ა ლ ი — (შემოდის ტირილით) პელაგია, დავიღუპე!.. ჩემი ცალფეხა ანდრიუშა რაღას უშევებდათ? ჯარში ნამყოფი ხარო, სტაცეს ხელი და ცემა-ტყვებით წინ წაიგდეს... (იატაკზე დაემხო) ვაიმე, ვაიმე — შვილო...

პ ე ლ ა გ ი ა — (პირჯვარი გამოისახა) ღმერთო, მტერს ჩვენზე ნუ გაახარებს!..

ყ ვ ე ლ ა ნ ი — ღმერთო გვისმინე!..

გერმანელი ჯარისკაცი შემოვარდა

ჯ ა რ ის კ ა ც ი — (ქალებს ავი თვალით გადახედა, მერე პელაგიას შეუტია) რა გაღრიალებთ! თქვენ ამ დროს ძილი გაქვთ ნაბრძანები! დღეიდან გიცხადებთ: არც ღამით, არც დღისით სახლის კარი არ დაკეტოთ, რომ პატრულს ყოველთვის შეეძლოს შემოსვლა. ახლა კი დაიშალენით.

პ ე ლ ა გ ი ა — თქვე უღმერთონო, ლოცვასაც აღარ გვანებებთ? (ჯარისკაცმა კიდევ შეაელო თვალი ქალებს და გავიდა).

ყ ვ ე ლ ა ნ ი — ღმერთო, მტერს ჩვენზე ნუ გაახარებს!..

კ უ ზ მ ი ჩ ი — (შემოვიდა, ქალებს შეუბღვირა) როგორ არა ღმერთს თქვენს მტერი საქმე არა აქვს... (ჩიბუხი გააჩალა, ქალები აიშალნენ... პელაგიამ ისინი კარამდე მიაცილა) ქუჩაში გუშავები დადიან, გზები შეჭკერეს... სტანიცაში ოცი კაცი-ღა იყო დარჩენილი, — ოცივე დაპატიმრეს... თუ ზეგამდე რაიკომის მდივანს ან ცოცხალს ან მკვდარს არ ჩაგვაბარებთ, ყველას ჩამოვალრჩობთო...

- პელაგია—თუ კი თვალითაც არ გვინახავს,—საიდან უნდა ჩავხვართ?
- კუზმიჩი—არ ვიცი... (დედაკაცებს) ეზო-ეზო წადით, თორემ ღმერთი ვეღარაფერს გიშველით. ლოცვა ძვირად დაგიჯდებათ!
- პელაგია—(შეუტია) ნუ სცოდავ, შე სულწაწყვედილო! *გაიქნა*  
დედაკაცები გავიდნენ.
- კუზმიჩი—საკმელო თუ არაფერი გაქვს, ცხელი წყალი მაინც დამალევიწე!..
- პელაგია—(კარადიდან პური და მოხარშული კართოფილი ამოიღო, შუშის ქილაში ცხელი წყალი დაუსხა) რატომ შენს ძველს მეგობარს არ ესტუმრები! გერმანული კუბატებით უხვად გაგიმასპინძლდებოდა.
- კუზმიჩი—(თავი გაიქნია, ჩიბუხი გააბოლა) ღმერთსა ლოცულობ, და ღმერთი კი არ გაგაჩნია... ენა დააყენე, დედაკაცო!..
- პელაგია—არა, მასთან დამოყვრებასაც რომ აპირებდი? კარგი ნათესავი კი გვეყოლებოდა! (პაუზა) აკი ახალგაზრდობაშივე პარტიის კაცი იყოვო!.. შე მაშინაც არა მჯეროდა,—მაგ უწმინდურს იმ წმინდა ხალხთან რა უნდოდა?! (კუზმიჩი ჩიბუხს აბოლებს, ბოლმს ებრძვის) მაშინ ძალიან ბრტყელ-ბრტყელს ლაპარაკობდი,—ახლა ენა რად ჩავგივარდა მუცელში? (კუზმიჩმა ჩიბუხი ჩააწელა, პელაგია კიღობანში რალაცას ეძებს. ერთმანეთზე ასხმული ჯვარ-მედლები იატაკზე გადმოყარა) რა ეშმაკად გინდა, რომ ამ ჯვარ-მედალს ინახავ? ბავშვები გინდა გააკვიროვ? აკი მუსრს ვაღლებდი გერმანელებსაო! თუ მაშინ ისეთი ვაყვანი იყავი, ახლა რაღა ღმერთი გაგიწყრა? ქვეყანაზე ვინ არ დაბერებულა, მაგრამ თავისი კაცობა და სახელი არ შეურაცხვენიან!..
- კუზმიჩი—ლუკმა შემარგე, დედაკაცო!  
ჯვარმედლები აკრიფა. მაგიდის უჯრაში ჩაყარა.
- პელაგია—კაცი მე უნდა ვყოფილიყავი, შენ კი არა!.. მთელი სტანიცა ააწიოკა, სულ იმის ოინია, რაც აქ უბედურება დატრიალდა! აგრონომი იყო,—დააბატიმრეს... მეტყევე იყო, — წაიყვანეს... მოხუცი მასწავლებელიც კი არ დაინდევს!.. იმ დღეს წყალზე მივედი—იმ შეჩვენებულმა წყალი არ დაგვანება!.. კიდევ კარგი, ხალხის წყველა-კრულვას ვერ გაუძლო, დაკეტილი წყალსადენი თითონვე გაახსნევიან გერმანელებს!.. (პაუზა) სტანიცაში შენს მეტი კაცი აღარ დარჩენილა, ყველას შენი იმედი აქვს, შენ კი პირიქით, იმ გამყიდველს ემსახურები...
- კუზმიჩი—(შელონებული) დედაკაცო, ეს ცხელი წყალი ცხვირში ნუ ამომადინე!
- პელაგია—(უფრო გაავებული) ღვთის მონასავით უკან დასდევ... ხან ხილს გაშენებინებს, ხან მიწას გაზიდვინებს,—მაღე ჩექმებსაც დაგაწმენდინებს!.. თვითონ გერმანელებს მიჰყიდა სული და ხორცი, იქნება ახლა შენც მიგაყიდვინოს! ხალხმა რამდენჯერ გამაფონა—თქვენი ოჯახის მეგობარი იყოო... ვინ იცის, ახლაც შენი მეგობარი ჰკონიათ!
- კუზმიჩი—(მოთმინებადაკარგული) დედაკაცო, რას გადამეკიდე, რა გინდა ჩემგან?
- პელაგია—ვერ გაიგე, რაც მინდა? მაგ გამოჩურჩუტებულ თავს რას უფროთხილდები? (კარის გაბმული კაკუნი გაისმა, დუმილი ჩამოვარდა, კაკუნი განმეორდა. პელაგია კართან მივიდა) ვინა ხარ?

ქალის ხმა—გამიღეთ, მე ვარ! (თავშალმოხვეული მარინე ასე შემოვიდა, თითქოს უკან ვინმე მოსდევდა, მოხუცები სახტად დაჩინებულნი) საღამო მწვინდობისა (მასუხი არ მიიღო და გაწვილებულმა ჯერ მკვნიშნულმერე პელაგიას შეხედა) დეიდა პელაგია, ვერ მიცანით? მეზღინოქმეხა

პელაგია—(დაურიღებლად) შენი მამის შვილი ძნელი საცნობი არ არის! კუზმიჩი—დედაკაცო!

პელაგია—გაჩუმიდი ისიც შეყოფა, რომ ჩემს ოჯახს კინალამ თავი არ მოეჭრა?

მარინე—(ხმა აუთრთოლდა) ბიძია კუზმიჩ, მამ მართალია?

ხანგრძლივი პაუზა.

კუზმიჩი—(გულშემატკივრად) მართალია... შვილო...

პელაგია—(კუზმიჩს მკაცრად) ბარემ დედაბერივით ატირდი! ზურგი შეუტეო.

მარინე—(უმწეოდ აქვითინდა) მამავ, მამავ... ყველგან ასე როგორ დამიკეტე კარი!..

გარეთ გაეარდა.

კუზმიჩი—რამ გაგაცოფა დედაკაცო, ასე რამ გადაგრია?..

პელაგია—(მიიზედა, მარინე ვერ დაინახა) რა იქნა? წავიდა? (შეწუხებული) შენზე გაბრაზებულმა, იმასაც გული ვატკინე!.. (შეყოყმანდა) ხესავით რომ აპყუდებულხარ,—ეგრე როდემდე უნდა იდგე? დაიძარ-მეთქი, კაცო!.. ამ შუღლამისას ვისთან უნდა მივიდეს? ჩვენს მეტი ვინ გააჩნია?

კუზმიჩი—შენ დედაკაცი კი არა, ქაჯი ხარ, ქაჯი!..

კედლიდან ჯუბა ჩამოიღო.

პელაგია—რომ მიდიოდა, რატომ შენ მაინც არაფერი უთხარი?.. შე უბედურო, შენ რომ საქვეყნოდ თავი მოგეჭრას, შენი შვილისა რა ბრალია!

ბორისი—(უცებ შემოალო კარი) დედავ, მამავ... მარინე არ მოსულა?

პელაგია—ბორის, შვილო! ახლა აქ რამ მოგიყვანა?..

ბორისი—დედავ, მარინეს გეკითხები... აქ არ მოსულა?

კუზმიჩი—ეს არის გავიდა... აღელვებული იყო... ვერაფერი მოვახერხეთ...

ბორისი—მერე და... რად გაუშვით, რატომ კარი არ დაუკეტეთ?

პელაგია—დარდმა გადამრია... ჩემი ბრალია, შვილო!..

ბორისი—(წასვლა დააპირა) შორს არ იქნება... ახლავე დავეწვი.

პელაგია—(კუზმიჩს) შენ სად უნდა წახვიდე შვილო? თვითონ ვერ წავა? წადი, რაღას იგვიანებ, კაცო, ცოდვია...

ბორისი—გამიშვი მეთქი, დედავ... მე თვითონ დავეწვი!.. (ხელიდან გაუსხტა, გარეთ გაეარდა).

კუზმიჩი—(ჯუბა ტახტზე დააგდო) მე და ჩემმა ღმერთმა ამ დედაკაცისა ვერაფერი გამიგია.

პაუზა.

პელაგია—(ბუზღუნით) რო მიდიოდა, თვალები სადა გქონდა? რატომ მაშინვე არ გააჩერე.

გარედან ხმაური მოისმა, მოხუცები გაინახნენ. კუზმიჩმა ფანჯრის დარბაზს გახსნა. ხმაური გაძლიერდა... ფანჯარა გამოაღო, პელაგიაც ფანჯარას მივარდა.

კუზმიჩი—(შეშფოთებული) ბორის... რას შერები? არ დაპკრა, შეილო, არ დაპკრა!

ტახტზე მიგდებულ გუბას დაავლო ხელი.

ერკინული

პელაგია—(შეწუხებული) შეილო!.. (კუზმის) კაცო, მიშტელებს, სტეპე, კრამდენი დაესია?

თოდის ხმა.

კუზმიჩი—(ფანჯარას მივარდა, ორივე ხელი თავში იტაცა) ბორის... შეილო!..

პელაგია—(ფანჯრის წინ დაემხო) ვაი შენს დედას!

ფარდა.

## მოხმადება მისამო

### პირველი სურათი

დაბურული ტყე. მარცხენა მხარეს მალაღი, ჩამოღსილი კლდე და შიგ დაბალკერძიანი გამოქვაბული. შემოსასვლელს კაცის სიმაღლე ლოდი ნაბეჭად ჰფარავს. მარჯვენა კედელში სამზირი, საიდანაც ძირს დაფენილი ტყე მოსჩანს. სამზირის პირდაპირ სერგეი პეტროვიჩი თივაზე წევს გამოქვაბულში შუა ცეცხლის მერთალი სინათლეა.

სერგეი — (მოუსვენრობა ეტყობა, შემოსასვლელს მალიმალ აცქერდება, გულმა აღარ გაუძლო, წამოდგა, ჯოხი მოიშველა და სამზირთან კოჭლობით მივიდა. რადიო-მიმღების ზუზუნი გაისმა, მაშინვე აპარატს მიუჯდა) ყაზბეგი გისმენთ! ყაზბეგი ვარ! (უსმენს, ქალაღზე რალაცას სწერს. მიმღების ტარი გადასწია). ყველაფერი, რაც თქვენ ბრძანეთ!.. უკეთესად ვარ... შემოძლია, დიახ, შემოძლია!.. (წამოდგა, სახეზე ნათელი მოეფინა) რა გულთამხილავი კაცია ეს მარჯვენა-დალოცვილი!..

ხმა გარედან—ყაზბეგი!

სერგეი—ყაზბეგი ვარ!

შემოტრიალდა.

ლევანი—მიხარია, ფეხზე რომ გხედავთ...

სერგეი—რად დაიგვიანე?

ლევანი—უფრო ადრე ვერ მოვახერხე, ამხანაგო სერგეი!

ქალაღი გადასცა, სერგეი უმაღლე კოხვას შეუდგა.

სერგეი—(სახე გაუნათდა) ელექტრო-სადგურიც აუფეთქებიათ... ყოჩაღ ივანოვ! კარგად მუშაობს ჩემი მესამე მდივანი!.. როდესაც მტრის ზურგში მისი დატოვება გადაწყვიტე, ზოგიერთები ყოყმანობდნენ,—ახალგაზრდა კაცია, გამოუცდელი არისო... ხედავ? რამოდენა საქმეს აკეთებს!.. კიდევ რას მეტყვი, ამხანაგო ლევანი!..

ლევანი—ეტყობა ამ უბანზე მაშველი ჯარი მოჰყავთ... სწორეთ ამიტომ დამაგვიანდა,—ამღამინდელი ეშელონების ცხრილის გაგება მინდოდა... მთელი ღამე მორიგე ოფიცერს ვეხმარებოდი...

სერგეი—(მოუთმენლად) მერე?

ლევანი—(შეორე ქალაღი გადასცა) აი ეს არის!

სერგეი—(ქალაღს თვალი გადაავლო) ოო, რა დროზე მომიტანე... ამხანაგო ლევან! ამლამ სამივე ეშელონი შენს ჰირს წაიღებს... ახლა მხოლოდ ის ამბავი მაწუხებს,—რომელმა კკუათა მყოფელმა მოიფიქრა, უფროს-ტოლა ბიჭისათვის ამისთანა დავალება მიეცათ! მე ავს უნებურად ამბავ-დაპირ მივწერე — პავლიკა ამფეთქებელთა ჯგუფში არ შეეყვანათ!

ლევანი—მართალი ხართ, სერგეი პეტროვიჩ, მაგრამ... მანამდე ორი კაცა ჩავარდა თურმე!

სერგეი—მერე? შეეშინდათ? ორი კი არა, შეიძლება ოთხიც ჩავარდნილიყო!.. როდესაც საქმე მოითხოვს, მხოლოდ მსხვერპლს როდი ანგარიშობენ?! მათ დავიწყებით, რომ ბრძოლის ველზე ჯერ გამარჯვებას სთვლიან, დანარჩენს—მერე!.. ახლა? ის ბიჭი რომ გატეხონ, მსხვერპლი ხომ გაცილებით მეტი იქნება?! (მხოლოდ ახლა შენიშნა, რომ ლევანს თავი შეხვეული აქვს) ეს... რა არის?

ლევანი—ბედნიერი შემთხვევა, რამაც უბედურებას გადაპარჩინა.

სერგეი—რა ბედნიერმა შემთხვევამ, რომელ უბედურებას?!  
ლევანი—არაფერი... პირადი ამბავია... (ხელი შეაშველა) ჩამოვსხდეთ, ფეხი გეტყინებთ!

სერგეი—(ხელი მოიცილა) არ მომწონს, რა პირადი ამბავი? დღეს მე და თქვენ პირადი ცხოვრება აღარ გაგვაჩნია!.. როდესაც კაცი საქვეყნო უღელში შეებმება, მის პირად ტვირთსაც საქვეყნო ფასი ედება... ჩვენ ახლა ერთი დიდი ჯაჭვის რგოლები ვართ, საკმარისია, რომელიმე ჩვენგანი მოულოდნელად ამოვარდეს, ჯაჭვი უმაღლე გაწყდება, დროებით მაინც გამოვა წყობიდან... მერე? ვანა ეს ჩვენს საერთო საქმეს არ დაეტყობა?

ლევანი—ამხანაგო სერგეი, კი არაფერს გიმალავთ... მე მხოლოდ...

სერგეი—(სიტყვა გააწყვეტინა) ღვთის გულისათვის, გთხოვთ... ეს რა არის?

ლევანი—წუხელ სტანიციდან მოვდიოდი... (ხელი შეაშველა, ლოდზე ჩამოსხდნენ) ისე მომეჩვენა,—თითქოს უკან ვილაც მომდევდა... მივიხედე,—არავინ იყო! ბოგირს რომ გადმოველი, რაღაც შრიალი მომესმა,—მიხედვაც ვერ მოვასწარ,—ორი ქვა ზედიზედ მომხვდა!—მოკვდი ძაღლოო,—ქალის ხმა გავიგონე და თხრილში ჩაეჩხე... ეტყობა, გერმანელი ჯარისკაციც კვალდაკვალ მომდევდა, მომეშველა და სადგურში მიმიყვანა... სჩანს, ამ ბოლო დროს, ერთთავად მითვალთვლებენ... გუშინ თვითონ მაიორიც აღმაცერად მიცქერდა, თითქოს რაღაც ეშვი ჰქონდა... ღმერთმა იმისი ოჯახი ააშენა, ვინც ის ქვა მესროლა,—დღეს ისევ ერთბაშად დამიტკბა, ღვთის წყალობა არ დამაკლო, არაფიც კი შემომთავაზა...

სერგეი—გუშინ რაღა ცოფი ჰქონდა დალეული?

ლევანი—ნამდვილად დაცოფილსა ჰგავდა! რაც ის ეშელონი აფეთქდა, ყველას უღრენდა, თავისიანებსაც აღარ ინდობდა... ახლა კიდევ თქვენს კვალს მიავნეს!.. სანამ მკვდარი ეგონეთ,—მოსვენებით იყვნენ... მერე ასე ეგონათ, თქვენც ტყეში იყავით და შფოთვა დაიწყეს... გუშინდელს აქეთ კი, რახან დარწმუნდნენ, რომ ამ სტანიცაში იმალებით,—ცეცხლი მოეკიდათ!



სერგეი—ნამდვილად კი დარწმუნდნენ, რომ ამ სტანაციაში ვარ  
 ლევან—ნამდვილად, სერგეი პეტროვიჩ! დღე ერთია და ჩხრევა/ათასი,  
 ლამის მიწა გადათხარონ...

სერგეი—ჩვენს ფოსტალიონს ზომ არაფერი დაემართა...  
 ლევან—არაფერი... ო, ის ბრმა რამდენ თვალხილულსა სჯობია... გერმანელები გუმანსაც არ არიან... მაიორმა მხოლოდ ერთხელ შეთხა, ეს ბრმა რა ერთთავად სადგურში გლიაო... რა ქნას, უპატრონოა, წინათაც ასე მათხოვრობით ცხოვრობდა-მეთქი... მერე აღარ უხსენებია.

სერგეი—(დაფიქრდა) ცული ნიშანია... ტყეში თუ თავისი კაცი არა ჰყავთ შეგზავნილი, მამს საიდან დარწმუნდნენ, რომ იქ არა ვარ?

ლევან—უთუოდ ასეა! ჩვენებმა რამდენი მშვერავიც გამოგზავნეს, ყველა ხელში ჩაუვარდათ,—თითქოს წინააწინვე იციან ყველაფერი! (წამოდგა, სამზარსში გაიხედა) თუ ასე გაგრძელდა, ყველანი დაილუპებინან...

სერგეი—(თითქოს მიხედა, ადგა, მიუახლოვდა) შენი ქალიშვილი მგონი მათთან არის, არა?

ლევანი—(ნალვლიანად) დიახ...

სერგეი—(მხარზე ხელი დაადო) მე ყველაფერი მესმის, ამხანაგო ლევან! ისიც ვიცი—მამის დარღს კაცის სიტყვა წამლად ვერ დაედება... მხოლოდ იცოდე, დღეს ჩვენს შორის ძნელად მოიძებნება ადამიანი, ვისთვისაც ამ საქვეყნო განსაცდელს პირადი უბედურება არ დაევიწყებინოს (ფიქრს მიეცა) შარშან ზამთარს ქალაქ როსტოვში ასეთი ამბავი მოხდა: გერმანელებმა ქალაქში ჩარჩენილ მცხოვრებლებს ასორმოცდაათათი გრაში პური დააწესეს დღეში... ასორმოცდაათი გრაში ქატო და ნახერხი, რომ ნელნელა სიმშლით ამოეზოცნათ... (სახე მოედრებლა) ერთ გულკეთილ ქალს, რომელსაც ოჯახში შვიდი წლის ვაჟის მეტი არავინ გააჩნდა, დაჭრილი წითელარმიელი დაუშალავს სარდაფში, იმ ერთ მუქა ქატოს სამი სული იყოფდა... ასე მიათრევედნენ გაწამებულ სიცოცხლეს სიცივესა და სიმშლიში, სანამ იმ სამში, ყველაზე ადრე—ყველაზე ახალგაზრდა არ დაიღუპა... და იცი? იმ უბედურ დედას შვილის სიკვდილი არავისათვის გაუმხელია,—თვენახევრის განმავლობაში მიცვალებული შინ ესვენა, რომ მისი წილი ასორმოცდაათი გრაში ქატო ისევ მიეღო და დაჭრილი წითელარმიელი სიმშლისაგან სიკვდილს გადაერჩინა... (ხმა გაეზარა, სახე მოარიდა, თითქოს ცრემლის დამალვა უნდრდა) ლევან, ის დედა და შვილი ჩემი ყველაზე მახლობელი და ძვირფასი ადამიანები იყვნენ... ჩემი ცოლი და... ჩემი შვილი...

ხანგრძლივი პაუზა.

ლევანი—მაპატიეთ, სერგეი პეტროვიჩ!.. ჩემმა დარღმა თქვენი დარღი გააღვივა... თუმცა მაგ დარღს კაცის გულში რა დააძინებს!.. მე ვანა არ ვიცი, რაც მიაძებთ, რისთვისაც მიაძებთ?... მაგრამ გეფიცებით,—არც ჩემი თავი, არც ჩემი შვილი მე არ მენანება! ახლა თუ ასე გამიჭირდა, ალბათ—იმიტომ, რომ ჩემს სიცოცხლეში ასე ორადგაყოფილს არასოდეს არ მიცხოვრია!.. ვინც მიყვარდა,—სიყვარულს პირში ვეუბნებოდი, ვინც მძულდა,—იმასაც პირში ვაფურთხებდი... ახლა კი,—ეს რა

წისკვილის ქვა დაბრუნდა ჩემს თავზე? აქეთ მტერი უნდა დარწმუნონო, რომ მისი ერთგული ვარ... იქ კიდევ, სოფელი უკან მომდევ და მუძახის სამშობლოს გამყიდველო! განა სიკვდილისა მე შეწყვეტე სერგეი პეტროვიჩ, მაგრამ ჩემს გულშიც ჩაიხედეთ!..

სერგეი — ამხანაგო ლევან, ჩვენთვის ახლა სიკვდილი ადვილია და ეს უფრო ნაკლები ვაყვარობა იქნება, ვიდრე შენი დღევანდელი სიცოცხლე, რომლის ყოველი დღე და საათი შენი ნებისყოფის, შენი გულისა და გონების უდიდესი გამოცდაა... განა ყველა რკინა რკინად დარჩება ცეცხლის შემდეგაც? (პაუზა) ამიტომ ახლა ჩვენ ჩვენი პირადი ტანჯვა გულში უნდა ჩავიკლათ, რომ მხოლოდ ერთადერთი უბედურება, — ჩვენი მშობელი ხალხის უბედურება გვიშხამავდეს სიცოცხლეს... რაც მალე მოვერევით საკუთარ დარდსა და საღონებელს, — ჩვენი ძალა უფრო გამრავლდება, მტრის განადგურების საათი მალე დაკრავს!..

ლევან — ყველაფერს მოვერევი, ამხანაგო სერგეი, მაგრამ ერთი შავი ფიქრი არ მაძლევს მოსვენებას, მტერმა თქვენს კვალს შიგნით... ყოველ წუთს, ყოველ საათს... დღეს არა — ხვალ, მოსალოდნელია აქაც განდენა...

სერგეი — (მშვიდად) შეიძლება ასეც მოხდეს!

ლევან — ჰო და, მერე?!

სერგეი — მერე-და, — ძვირად გავყიდი ჩემს სიცოცხლეს, როგორც გითხარი, სიკვდილი ძნელი საქმე როდია!

ლევან — მეც სწორედ მაგისა მეშინიან... თქვენი სიცოცხლე ხალხისათვის საჭიროა, მაგრამ ყველაზე მეტად მე მჭირდება, ამხანაგო სერგეი! თქვენ რომ დაილუპოთ, მაშინ მე?! შერცხვენილი სახელით ჩავიდუ საფლავში? ჩემს ამბავს ვინ-ღა იტყვის? რას იტყვის ქვეყანა? ის რას იტყვის, — ის ყველაზე დიდი ადამიანი, ვინც თავის ჭაბუკობაშივე ჩემო თაობის კაცს მარტო ხალხის სიყვარული ასწავლა?!

სერგეი — შიშვე ტვირთი დაგაკისრე, ამხანაგო ლევან, მაგრამ სტალინის პარტიამ კაცის დაფასება იცის! შენს სიცოცხლესა და სახელს ასე იოლად ვერავინ მოეკიდება!.. თუ სიკვდილი მოვიდა, — მეც შენს გვერდით ვიქნები. ჩვენ ორივენი ერთად დაეიხოცებით!.. მაგრამ, ამხანაგო ლევან... მთელი სტანიცა ილუპება, მათ ასე, ბედის ამარა ვერ დავადებთ, ვერცერთი ჩვენი ადამიანის სიცოცხლეს მტერს ადვილად ვერ დავანებებთ!.. (დაფიქრდა, გაიარა) გერმანელებს სადგურში რამდენი ჯარისკაცი ჰყავთ?

ლევან — ამჟამად მხოლოდ ორმოცი კაცი, ერთი ოფიცერი და ერთი ციფითონ — მაიორი!

სერგეი — შეიარაღება?

ლევან — ერთი ის ჯავშნიანი დრეზინა, მე რომ გადავარჩინე... ორი დაზგის ტყვიამურქვევი, დანარჩენი ხელის იარაღი.

სერგეი — არც ისე მცირეა... იცი რა გახარო, ამხანაგო ლევან?.. აი ახლა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის წევრი მელაპარაკა!

ლევან — (გაოცებული) რას ამბობთ? საიდან?

სერგეი — კავკასიდან.

ლევან — ისევ აქ არის?

სერგეი — აქ არის, ვინ იცის ახლა კიდევ რამდენ ჩემისტანას ელმობრაკება. რაც მისი მადლიანი ხელი აქ, კავკასიონის მთებში, დატრეფლდა, ჩვენს გულსაც, ჩვენს იარაღსაც ძალა მიეცა... და აი, შედეგად... (წინადაბლა) ხვალ განთიადისას ჩვენი ჯარი შეტევაზე გადადის. თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის წევრმა ასეთი დავალება მომცა, ჩრდილოეთის ჯგუფმა, ესე-იგი ჩვენი უბნის პარტიზანებმა გერმანელებს უკანდასახევი გზები მოუშალონ და სადგურის ხიდი ხელთ იგდონ, ვიდრე მტერი აფეთქებას მოასწრებდეს...

ლევან — მაშ, ხვალ იწყება, ამხანაგო სერგეი?

სერგეი — ხვალ, ამხანაგო ლევან, და მეც დღესვე, შუადღემდე უნდა გავიდე აქედან.

ლევან — კი მაგრამ, მარტოს ვერ გავიშვებთ!

სერგეი — შენზე უკეთესი მეგზური რად მინდა?

ლევან — მე? ვერა... მე ვერ წამოვალ, ამხანაგო სერგეი!

სერგეი — როგორ თუ ვერ წამოხვალ?

ლევან — ჩემი წასვლა არ იქნება... (ყოყმანის შემდეგ) მამა ვარ... ვერ დაეტოვებ...

\* სერგეი — (გაოცებული) რა მოხდა?

ლევან — წუბელ ვერ გითხარით... საზრუნავი და საწყუხარი ისეც არ გაკლიათ!..

სერგეი — მე მოვალე ვარ—ყველაფერი ვიცოდე... რა მოხდა?

ლევან — გუშინდამ კუზმიჩის შვილი მოჰკლეს, ჩემი ქალიშვილი დაატყვევეს!..

სერგეი — (გაოცებული) ისინი... ორივენი აქი ტყეში იყვნენ?!

ლევან — დიახ, ტყეში იყვნენ... როგორც ეტყობა ჩემი ამბავი იქაც მისულა... ჯერ ისევ ბავშვია. ჩემს ქალს ალბათ გულმა ვერ გაუძლო... ის უბედურიც თან გამოჰყოლია!..

სერგეი — მერე... მერე?

ლევან — თოფი რომ გავარდა, დიდი ხანი არ გასულა—მაიორმა გამომიძახა... შეველ და,—ვაი იმ შესვლას!.. ეს ვინ არისო, მაშინვე მომახალა... მივიხედე და,—კინადამ გული შემიწუხდა... თავი შევიმაგრე, ჩემი შვილია-მეთქი, აბა რა უნდა მეთქვა? ყველაფერი ილუპებოდა... თქვენც, მეც, ყველაფერი... თვალბდაჭყეტილი მხეცი ახლა ჩემს ქალს მივარდა: მაშ, ეს მამაშენი არისო? სანამ სამშობლოს გაჰყიდდა, მამა-ჩემი იყო, ახლა მე მამა აღარა მყავსო,—ასე უპასუხა!.. ნეტავ ამ გულში ხანჯალი დაეკრათ და ეს არ გამეგონა... მაგრამ ერთი ჭირი მარგებელიაო. ამან გადაგვარჩინა... გაავებული გერმანელი მაშინვე გამომესარჩლა... ვის ეძახით მოლალატესო? და საწყალ ბავშვს სილა გააწნა... (ხმა პუტრთოლდა) ერთი პაპიროსი!.. (სერგეიმ პაპიროსი მისცა, ცეცხლი მიაშველა) თუ კარგი კაცი ხარ, შენ შვილს იმათთან რა უნდოდაო?—ისევ მე შემომიტია. ფანჯარაში ვაჩვენე ბატონო, აი ამ ხეს ზომხედავთ? თვითონ პირდაპირ იზრდება, ტოტები კი აქეთ-იქით მიდიან-მეთქი! მაგ ხეს ძირიანად ამოვიღებთო,—შემიყვირა და გარეთ გამავლო...

სერგეი—მერედა,—აქამდის რატომ არ მითხარ?

ლევანი—თქვენთან როგორ მოვიდოდი? თითო გერმანელს ათი თელი გაუხდა... (პაუზა) მერე რა ჰკითხეს. ან რა უპასუხა,—~~არაფერი~~... მაიორი გარეთ რომ გამოვიდა, გველის წიწილა გაგიყვანა... არაო,—ასე მითხრა... საწყალი გოგო, მთელ დამეს კენესოდა, რაღაცას ბოდავდა... ველარ დაეხატავო, ველარასოდეს ვერ დაეხატავო, ასე გაიძახოდა... რა ეჩვენებოდა... ან ვისა ხატავდა,—ვერაფერი გავიგე... (პაუზა) გვიან ღამით წყალი ითხოვა, დიდხანს არ მისცეს... მერე მაიორმა წყალი მე შემატანინა,—ალბათ იმიტომ, რომ ერთხელ კიდევ გამოვიცა და ჩვენი მამაშვილობა. წყურვილი აღრჩობდა... სიბნელეში პირველად ვერ მიცნო,—ტიქა მიეწოდე, დალიე-მეთქი, ჩემი ხმა გაიგო თუ არა,—ტიქა იატაკს დაანარცხა: შენი მოწოდებული წყალი საწამლაზე მწარეაო, მერე ტახტზე დაემხო და აქვითინდა. (ხმა ჩაუწყდა, სერგეის სახე მოარიდა, პაპიროსის კვამლი ღრმად შეისუნთქა და ნამწვი განზე გადისროლა) გული ჩამწყდა. სერგეი პეტროვიჩ!.. სუნთქვა შემეკრა... ტენი თითქოს ცხელმა ლურსმანმა დამიბურღა... არ მახსოვს, როგორ გამომიყვანეს... (პაუზა) ახლა კიდევ იმ ვილაც მამაცხონებულმა ქვა დამთხლიშა და,—გერმანელებისათვის ისევ სანდო კაცი გავხდი...

ღუმლი ჩამოვარდა.

სერგეი—ამხანაგო ლევან, კაცს დამწვარ ხელზე წყალი რომ დაასხა, უფრო დაეწვება, ამიტომ მეც არაფერს გეტყვი... ცოტახანს კიდევ გაუძელ, მალე შენს ტანჯვასაც ბოლო მოეღება.

გარედან ჩქამი მოისმა, ლევანი უმაღვე სამხრეთან გაჩნდა.

ლევანი—(შეშფოთებული) ამხანაგო სერგეი, ჩქარა... თივაში! იმ ბიქს გერმანელი მოსდევს, ვაი თუ აქ შემოვიდეს... (სერგეიმ რევოლვერი ამოიღო) არა, არავითარ შემთხვევაში! სადგური აქვეა, ზმას ფაიგებენ...

შუაღმრთულში შეკეთებულ კეტს ხელი დაავლო, შემოსასვლელისაკენ გაემართა. პელოკა გამოქვაბულში შემოვარდა, მას არც კი შეუნიშნავს ლევანი, რომელიც იქვე აედღთან იტუხა გერმანელმა ჯიბის სანათური შემოაჩინა და ფროხილად შემოვიდა. ლევანმა უმაღვე კეტი დაქრა თავში. ლეიტენანტი უზმოდ ჩაიკცა.

სერგეი—ეყოფა?

ლევანი—მეტი აღარაფერი უნდა!

პავლიკა—(გაოცებული მისჩერებია სერგეის) სერგეი პეტროვიჩ!

სერგეი—(მასთან მივიდა) აქ რამ მოგიყვანა, ბიჭიკო?

პავლიკა—ხუთი დღეა კვალდაკვალ დამდექს. სოფელში შეველ,—სოფელში შემომყვა, ნახირში წაველ,—ნახირში დამხვდა, ტყეში გამოვიჭეცი,—აქაც არ დამეხსნა... ვიფიქრე გამოქვაბულში დავიმალეები-მეთქი...

ლევანი მხოლოდ ახლა დაინახა, შერათა, სერგეის მიკრა.

სერგეი—(მხარზე ხელი მოხვია) შენ ეს მითხარი, ის ზონარი ვინ მოგცა, იმ დღეს რომ გიპოვეს?

პავლიკა—(ჯერ სერგეის შეხედა, მერე ლევანს, შეყოყმანდა) ის არავის მოუცია, გზაზე ვიპოვნე!



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

სერგეი—მე ხომ მიცნობ—ვინცა ვარ?

პავლიკა—რატომაც არ გიცნობ?

სერგეი—ჰო-და,—მითხარი ვინ მოგცა?

პავლიკა—(ლევანს ცერად გახედა) არავინ... გზაზე ვიპოვე...

სერგეი—(ქოჩორზე ხელი გადაუსვა) ძალიან შეუპოვარი ბიჭი ყოფილხარ (ლევანი განზე გაიყვანა).. მაშ, შენი გადაწყვეტილება უცვლელია, ამხანაგო ლევან?

ლევან—უნდა დავრჩე... იქ უჩემობა არაფერში დაგეტყობათ, აქ კი— უჩემობა არ იქნება... აქამდის მე თვითონ არ ვიცოდი, რა მექნა, ვისთვის მიმენდო თქვენი თავი!.. ამ ახალმა შემთხვევამ შესანიშნავი მეგზურიც გვაშოვნინა, ამ ბიჭს სხვა ვერავინ აჯობებდა...

სერგეი—მხოლოდ ერთი პირობით, ლევან!.. იმ ოცი კაცის სიკვდილი უნდა გადაადებინო ხვალამდე... ამიტომ მანამდე შენ კიდევ უნდა ატარო შენი მძიმე უღელი...

ლევან—რაც მევალება, ყველაფერს გადავკეთებ! ახლა კი წავალ, ტანსაცმელს მოგიტანთ, იქნებ ცხენიც ვიშოვნო, თორემ ეს ფეხი შორს ვერ წაგიყვანთ... (ბიჭს) შენ, პატარა ვაჟკაცი, გამოქვაბულიდან ფეხი არ გამოსდგა, გესმის?

წავიდა.

სერგეი—(უკან მიიხიბა) ამხანაგო ლევან, გახსოვდეს,—ხვალამდე!

პავლიკა—სერგეი პეტროვიჩი! ეგ ძალიან ცუდი კაცია, წავიდეთ აქედან!

სერგეი—(გაღიმა) შენ რა იცი, რომ ცუდი კაცია?

პავლიკა—(აჩქარებს) ვიცი, ნამდვილად ვიცი. წავიდეთ...

სერგეი—მოიცა! შენ ჯერ ეს მითხარი, ის ზონარი ვინ მოგცა, გერმანელებმა რომ გიპოვეს?

პავლიკა—(აქეთ-იქით მიიხედა) ცუზმიჩმა, ასე მითხრა, არავისთან წამოგცდეს, არც მტერთან არც მოკეთესთან,—ეს ლალატი იქნებაო!..

სერგეი—მაშ, თვითონ კუზმიჩს მიუცია!

პავლიკა—დიახ... იმასთან... საღგურის უფროსთან არ მინდოდა მეთქვა... წავიდეთ ძალიან ცუდი კაცია, ჩემი თუ არ გჯერათ, ხალხსა ჰკითხეთ... ვისაც გინდა ჰკითხეთ!..

სერგეი—კუზმიჩმა?.. (თავისთვის) ტყუილად როდი მითხრეს, გულჩქარი კაციაო! (პავლიკას დააკერდა) ბიჭიკო, შენ მამა გყავს?

პავლიკა—არა, არა მყავს...

სერგეი—(ხელი მოხვია) მეც აღარა მყავს შვილი... მოდი ჩემთან!

ლოდზე ჩამოსდნენ, საუბარი განაგრძეს.

## მეორე სურათი



ქართული  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა

ლევანი წელი ნაბიჯით მიდის ტყეზე გამოქვაბულის მახლობლად.  
ტყის ხმა—იიუუდააა...

მოისმა გამბით, თითქოს თვითონ ტყე იძახდა.

ლევანი—(ერთბაშად შესდგა, სმენად იქცა, თავისთვის ჩაილაპარაკა) გესმის?... შენ გეძახიან, ლევან!

ტყის ხმა—იუდაა...

ლევანი—(ადგილი გადაინაცვლა, ხან ერთ ხეს მიაჩერდა, ხან მეორეს... ისე, როგორც დაკოდილი ფოცხვერი ნახტომისათვის მოემზადება) კაცი არა ხარ?... უპასუხე, ლევან!

სმენად იქცა.

ტყის ხმა—(პაუზის შემდეგ) იიუუდაა...

ლევანი—(ირგვლივ შემოტრიალდა, კვლავ ვერაფერს დაინახა, ამოიგმინა, გადაჭრილ ხეზე შეხტა და რაც კი ხმა ჰქონდა, ტყეს გასძახა) ლეთის რისხვას!..

ტყის ხმა—ღიახ! ღვთის რისხვას!.. (თოფმომარჯვებული კუზმიჩი თავს წამოადგა) ხელეზი მალდა!..

ლევანი—(თითქოს დამშვიდდა, ხელიც არ შეურხებია) კუზმიჩ, შენა? ჩემი ხელეზი შენ რას გიშლის? ნუ გეშინია, იარაღი არა მაქვს...

კუზმიჩი—სამი დღეა და სამი დამე ჩემმა თვალმა ძილი არ იცის, ჩემმა მუხლმა მოსვენება... როგორც მონადირე ნადირის ნაკვლევს დაეძებს, მეც ისე დავეძებ შენს კვალს... და აი, ძლივს მოვხელე, რომ ხალხის განაჩენი სისრულეში მოვიყვანო!.. (ლევანი უძრავად დგას თვალს არ აშორებს) არ გესმის? შებრუნდი-მეთქი!

ლევანი—რატომ უნდა შევბრუნდე, კუზმიჩ?

კუზმიჩი—მაგ თვალეზში ბევრჯერ მიოცნია და ახლა არ მინდა ეცქირო... შებრუნდი და მოისმინე ხალხის განაჩენი!..

ლევანი—მაშ, ჯერ მე მომისმინე!

კუზმიჩი—შენს მაგიერ პატიოსანი კაცი აღარაფერს იტყოდა, მაგრამ თუ კიდევ გეტქმის რამე, მაგის დროც გექნება... შებრუნდი-მეთქი!

ლევანი—(წარბშეუხრებლად მისჩერებია) მაგას ვერ ვიზამ, კუზმიჩ! არც მტერთან, არც მოკეთესთან ზურგშექცეულს არასოდეს მილაპარაკნია... და რაც შენთვის ჯერ კიდევ უთქმელი დამრჩა, მინდა სახეში გიცირო და ისე გითხრა...

კუზმიჩი—შენთვის უარესო... მაშინ ჩემი სიტყვა ძალიან მოკლე იქნება...

ლევანი—მეც ეს მირჩევნია...

კუზმიჩი—გირჩევნია და გიცხადებ... შენ უნდა მოკვდე! ჩემმა სინიღისმა და ჩემმა კეთილმა გულმა ეს კანონი დაგიწერა... სიკვდილი დაგიწერა, რადგან ჩემი შვილის სული არ მასვენებს... დღისით გზაში მხედება, ღამით არ მაძინებს... ცას შევხედავ—ციდან მუუბნება, წყალს და-

ვეწაფები—წყლიდან იხედება... თუმცა ჩემი შვილი შენ რაღა გენაღვ-  
ლება, როდესაც საკუთარი შვილიც არ დაინდე... საწყალი შიშლი შენს  
ბატონებს მიუვდე სათრეველად, რომ ეგ შერცხვენილენ უცხოცხლი  
მტრის მონურ სამსახურში დალიო... დამწეულმა ტუჩამაც წაქეცი, —  
თავის ლეკვებს თითონვე დასჭამს ხოლმე.

ლევანი—(გულზე მოეცია) ჩემს შვილს დაეხსენი, კუზმიჩ!

კუზმიჩი—შენს შვილს მამა რომ ჰყოლოდა, მე კაცისმკვლელი არ ვაგებდ-  
ბოდი! ქვეყანაზე კიანჭველას საცხოვრებლად რაც ეყოფა—იმას ვიმ-  
ყოფინებდი, ოღონდ ამ ქვეყნიდან უსისხლოდ წავსულიყავი!.. ახლა კი  
მე თვითონ მეჩქარება,—მეშინია—სხვამ არ დამასწროს... მეჩქარება  
იმიტომ, რომ კაცი მეგონე და არაკაცი ყოფილხარ! თუ ადამიანის ნა-  
შობი არ იყავ, ჩემს ოჯახში რა გინდოდა?.. შენს სუფრაზე ლეკმა რად  
გამატებინე? (ოფლი შეიწმინდა) ეს მიწა განა თავიდანვე მიწა იყო?  
ჩემი მამა-პაპის ძვლებმა აქციეს იგი მიწად... შენ კი ეს მიწა გამიყიდე,  
რომ საფლავიც ვეღარ ვიშოვნო!.. ეს ტყე განა თავიდანვე ტყე იყო?  
აი ეს ტე (ხეზე აჩვენა) შვილივით გამიზრდია, შენ კი ცივი ხელით  
მოსკერ, რომ მტრის ბუნხარში ცეცხლი არ გაანელო... მე არაკაცი!..  
შვილი მყავდა — და შვილი მომიკალი... შვილი ჭყავდა და შვილი  
გასწირე... ახლა ამ უენო ტყისა და მიწის სახელით, იმ ოცი მიველის  
სახელით, რომლებიც დღეს სახრჩობელაზე უნდა აიყვანონ, ჩემი და-  
დუბული შვილისა და შენი შვილის სახელითაც, — გიცხადებ ამ განა-  
ჩენს... შენ უნდა მოკვდე!

ლევანი—მომიკალი, კუზმიჩ!.. მაგრამ სერგეი პეტროვიჩს ჩემს მაგიერ შენ  
უპატრონე...

კუზმიჩი—რაო?!

ლევანი—რამდენადაც შენ შემიძულე, იმდენად მე შემოიყვარდი, კუზმიჩ!..  
ვხედავდი, ფაქლდი, მაგრამ მტრისადმი მხოლოდ სიძულელი როდი  
კმარა!.. ვიდრე მართალმა შურისძიებამ თოფი არ აფაღებინა, მანამდე  
არ შემეძლო ეს საიდუმლო შენთვის შეთქვა. — სერგეი პეტროვიჩი  
აქ არის!..

კუზმიჩი—რა საცოდავი ხარ!.. შენმა ახალმა ბატონებმა ესეც გასწავლეს?!  
ამ სიცრუით გინდა ლაფდასხმული სიცოცხლე გაიგრძელო?.. საზიზ-  
ღარო!.. (უკან დაიხია, ჩახმახი შეაყენა) სოჭვი შენი უკანასკნელი  
სიტყვა!

ხმა ტყიდან—უკანასკნელი სიტყვა—ჩემია!

სერგეი პეტროვიჩი თავს წაადგათ, კუზმიჩი გაშტერდა. პველიცა შორიახლოს ხეს-  
თან აიტუზა.

სერგეი—კუზმიჩ, ვერ მიცან?

კუზმიჩი—(გაოგნებული) სერგეი პეტროვიჩი! (ჯერ სერგეის შეხედა, მე-  
რე ლევანს დააკერდა, ყველაფერს მიხვდა, თითქოს სიზმარში იყო  
და გილოვია, თოფი განზე გადაავლო, ლევანისაკენ გაქანდა) მაპატიე...  
მეგობარო ლევანი!

გადაეხვია.

## ამჟამად მართხი

პირველი სურათი


 ქართველთა  
 მწიგნობართა

მოედანი შუა სტანიცაში. სიგრძეზე ჩამწკრივებული თეთრად-შეღესილი ქოზები. სიღრმეში შავი ჩრდილის მსგავსად ამართული საბრძოლელი. წინ, შუა მოედანზე. შერბობა, რომელსაც კიდევ შერჩენია წარწერა „ქოზ-სამკითხველო“. ყველა შენობის და-რაბა მიკეტილია, თითქოს მთელი სტანიცა აყრილიყოს. ფარდის აბდისას უკაცურ მოედანს ფანდურის ხმა და მეფანდურის ნაცნობი სიმღერა უახლოვდება. ღიზას კალთაზე ხელწავლებული მეფანდურე უკაცურ ჭრჩხვე მოჰყავს.

მეფანდურე

ბრმა ვარ და უსინათლო  
 შვის ნაცვლად ბნელეთს ვხედავ...  
 სად ხარ, გამოჩნდი ცაზე,  
 მზეო, სინათლის დედავ!

პელაგია—(ფანჯრის დარაბა გააღო, მოხუცს გასძახა) ხმამალა, ბაბუა პანტელეი! ხმამალა, რომ ხალხს გულზე ჰკვლივით მოეკიდოს!..

დარაბა მიხურა.

მეფანდურე—(ხმა აიმაღლა):

ყრუ ვარ და გოდება მესმის,  
 ხალხი რად ოხრავს ნეტავ.  
 ხალხი დაიხსენ, ხალხი,  
 მზეო, სინათლის დედავ!

ღიზამ მოხუცი ლოდზე ჩამოსვა და მოკურცხლა.

ცაში ღამეა შავი,  
 გზებზეც ყორნები სხედან...  
 მალე დაბრუნდი ცაზე,  
 მზეო, სინათლის დედავ!..

სცენაზე მარტო მეფანდურე დარჩა, მეორე ჭრჩხვე მისკენ მიმავალი ლევანი გამოჩნდა. იგი მოხუცს მიუახლოვდა.

ლევანი—ბაბუა პანტელეის გამარჯვება!..

მეფანდურე—კაცს როდესაც წინ მიცვალეული უსვენია, გამარჯვებას ეტყვიან?! სტანიცაში ერთი მამაკაცი აღარ დადის... ყველანი და-პატიმრეს... შენ თუ პატიოსანი კაცი ხარ,—რატომ იმათთან ერთად არა ზიხარ?

ლევანი—ბაბუა, ნუ ჯავრობ, მე აჭაური არა ვარ... იმ ხალხის გადარჩენა თუ გინდა, რასაც ახლა გეტყვი, სოფელს ჩააგონე... უთხარი, როგორმე დააჯერე,—ხვალამდე კიდევ ითხოვონ გადადება... მარტო ხვალამდე, ბაბუა პანტელეი,—მეტი არ არის საჭირო!

მეფანდურე—(დაეჭვებული) ხვალამდე?.. მერე ხვალ საიდან-ღა გავაჩენთ იმ კაცს? კიდევ რომ იცოდეს ვინმემ—რომელი გივი იტყვის?..



ლევანი—ბაბუა პანტელეი, ხვალამდე ითხოვეთ გადადებ... დამოჯერე, —  
ის ოცი კაციც გადარჩება, სტანიცაც გადარჩება, ხალხს ვშველებ...  
მეფანდურე—(შეოცებულ) შენ რა მისანივით ლაპარაკობს? მითხარ—  
ვინა ხარ? საიდან მოსულხარ?

ლევანი—(დაბეჯითებით) მოკეთე ვარ, თქვენი მოკეთე... გახსოვს იმ დღეს,  
უცნობმა მგზავრმა შინამდე რომ მივაცილა! ხვალამდე ითხოვეთ გა-  
დადება! დღეს რომ ამდენს მოსთქვამ, ხვალიდან შენს ფანდურს სატი-  
რალი აღარაფერი ექნება!.. (მოედნის თავში პელაგია და რამდენიმე  
ქალი გამოჩნდნენ ლევანმა თვალი შეასწრო) ხვალამდე, ბაბუა პანტე-  
ლეი... ყაზბეგი ვარ!..

უმაღლე მიეფარა ჭიხას.

მეფანდურე—(ხელებ-გაწვდილი ირგვლივ ტრიალებს, უცნობს დაეძებს  
რაო?.. მითხარი კიდევ... სადა ხარ? ვინა ხარ? ხმა ამოიღე!.. რა იქნენ?  
(ხელებგაწვდილი დარჩა), ღმერთო მალალო, შენი გამოგზავნილი თუ  
იყო, შაპატიე!..

ჩამოჯდა, ხანჯაძლივი პაუზა, ფანდურს თითები შეეხო.

ყრუ ვარ და,—ზეცის ხმა მესმის,  
ბრმა ვარ და,—ნათელსა ვხედავ...  
ხალხი დაიხსენ, ხალხი,  
მზეო, სინათლის დედავ!..

პელაგია—(ქალების თანხლებით მოხუცს მიუახლოვდა) რა ნათელსა  
ხედავ, პანტელეი?.. დღესა და,—ასეთი სიმღერა?!

მეფანდურე—(გახარებული) პელაგია, ნათელი გამოჩნდა, ნათელი! ხვა-  
ლიდან ჩემს ფანდურს სატირალი აღარაფერი ექნება!..

პელაგია—კარგი სიზმარი გინახავს... კეთილად ავიცხადდეს!..

მეფანდურე—მართლა სიზმარსა ჰგავდა... ღვთისკაცი გამომეცხადა!..  
აი ახლა; სულ ორიოდე ნაბიჯზე იქნებოდით... მოვიდა, მითხრა და  
უცებ გაქრა... ნამდვილად ღვთისკაცი იყო!..

პელაგია—ამ ჯოჯოხეთში ღვთისკაცს რა უნდოდა?

მეფანდურე—ხვალამდე გადაადებინეთო... შენ რომ ამდენს მოსთქვამ,  
ხვალიდან შენს ფანდურს სატირალი აღარაფერი ექნებაო... პელაგია,  
დღეს სტანიცაში კაციც შენა ხარ, დედაკაციც შენა ხარ! ღმერთი ყოვე-  
ლისშემძლეა, მის მოციქულს დავუჯეროთ!..

პელაგია—(უნდობლად) ღმერთს თუ ხალხთან ლაპარაკი უნდოდა, რალა  
ბრმა და ყრუ აარჩია?! მოხუცო, იცოდე,—შენ უჩემოდ კრინტი არ  
დასძრა!..

მოედანზე შემოვიდნენ მაიორი, ლევანი და ჯარისკაცები, ჯარისკაცების მეორე ჯგუფი  
სტანიცაში დარჩენილ ხალხს საჭინელივით მოერეცება. პელაგია წელში გას-  
წორდა, ხალხს თვალი გადაავლო.

მაიორი—(ლევანს) მეხუთე დღეა ლეიტენანტი კრანცი არსად სჩანს.

ლევანი—თქვენ ისეთი დავალება მიწეცით, შეიძლება კიდევ დიდხანს არ  
გამოცხადდეს... ისიც შესაძლებელია,—რაიმე კვალს მიაგნო და მოუ-  
ლოდნელად უნდა თქვენი გახარება!

მაიორი—(კირვეულად) სისულელეა! ყოველმა გერმანელმა ვერსიკაცმა, მით უმეტეს—ოფიცერმა, მხოლოდ ერთი წესი იცის: შეასრულებს თუ ვერ შეასრულებს, დანიშნულ ვადაზე აცნობოს უფროსს... (პაუზა) ლეიტენანტ კრანცს კული რაღაც შეემთხვა... ახლავს... რომელმაც ეს არე-მარე თავის ზელის-გულივით იცის...

ლევანი—ახლა საცაა დაღამდება... ნება მომეციო ზვალისათვის მოვნახო, ბატონო მაიორო!

მაიორი—კეთილი, ზვალისათვის იყოს... (მაჯის საათს დახედა) ხუთი სრულდება, შევედგეთ, არა?

ლევანი—ბატონო მაიორო, დილასაც მოვახსენეთ, წედანაც... რუს კაცთან ჩხუბს,—ტკბილად ლაპარაკი სჯობია... ზვალამდე დავიცადოთ, იქნებ ასე უფრო გამოვტყუოთ რაზე, თორემ ზალბი რომ გამწარდება,— აღარაფერს იტყვის...

მაიორი—სულ ზვალე და ზვალე!.. არავითარი ზვალე!.. მორგენ, მორგენ ნურ ნიბტ პოიტე, ზაგენ ალლე ფაულე ლოიტე! (ისევ საათს დახედა, ზალბს თვალი გადაავლო. ლევანი მეფანდურეს მიუახლოვდა, რაღაც წასჩურჩულა) ჩემმა საათმა თავისი მოვალეობა შეასრულა,—სწორეთ ხუთია! ახლა სახრიბებელა შეასრულებს თავის მოვალეობას... (ზალბმა პელაგიას გადახედა. პელაგია სდუმს, ზალბიც არ იღებს ხმას) კიდევ არ იტყვიო?

ლევანი—(წინ წამოდგა) ბატონო მაიორო, ზალბი პირობას იძლევა,—თუ ზვალამდე დააციდით, თავისი ხელით ჩავაბარებენ!

პელაგია—(მხრები არწივივით აზიდა, ლევანს პრისხანე თვალეზი შეანათა) ცრუობს!.. შავას ზალბის სახელით ლაპარაკის უფლება ვინ მისცა? (მაიორს) ჩვენ არ ვიცით, სად არის რაიკომის მდივანი და კიდევ რომ ვიცოდეთ, შვილი რომელ დედას გაუცია...

მაიორი—(ნაძალადევი სიმშვიდით) მაშ ასე?! (ეფრეიტორს) კუნც, ახლავე... ყველა ოცი მძევალი სახრიბებელაზე!..

კუნცი—ცხრამეტია, ბატონო მაიორო!

მაიორი—შეოცე?

კუნცი—წუხელ დაკითხვის დროს შემოაკვდათ!

მაიორი—(პელაგიას გადახედა) მაშინ შეოცე ეს დედაბერი იქნება!

ლევანი—ბატონო მაიორო, ეს დედაბერი ჩვენი წამალია... (ნახევრად ჩურჩულით) რაც პირზე მოადგება, ყველაფერს როშავს... უმაგისოდ ზალბისას ველარაფერს გავიგებთ!

მაიორი—ჰკვიანი კაცი ხარ... მაშინ... (დაფიქრდა) ერთი თოკი რომ უსაქმოდ არ დაგერჩეს,—გერმანელებს ზუსტი ანგარიში გვიყვარს... შეოცე შენი ქალიშვილი იქნება!.. (ლევანს გადახედა) შენ ავი გუშინ მითხარ,— ასეთი შვილის მამობა ძნელიაო!..

ლევანი—(შეკრთა, შუბლზე ხელი გადაისვა, თითქოს არ სჯერა, მაიორს დააქებრდა) ბატონო მაიორო!

მაიორი—(გააწყვეტინა) ამის შემდეგ ჩვენი მეგობრობა კიდევ უფრო საიმედო გახდება...

ლევანი—(მღელვარება ერევა, მაიორს ეედრებით შესცქერის) ბატონო მაიორო...

- მაიორი—(ვითომც არც კი გაუგონია) ეფრეიტორ კუნც, შეუღლებით!..  
 კუნც—მესმის ბატონო მაიორო!  
 გატრილდა.
- ახმახი გერმანელი—(მაიორს წარუდგა) ბატონო ვეიტენანტი კრანცი მოუკლავთ!
- მაიორი—მოუკლავთ?! ვის მოუკლავს? სად მოუკლავთ?
- ახმახი გერმანელი—აქვე—სადგურთან, გამოქვაბულში... თავი გაუჩენიათ!..
- მაიორი—დააბრუნეთ ეფრეიტორი? (ერთ-ერთი ჯარისკაცი გაეკიდა, მეორე ჯარისკაცს ხალხზე მიუთითა) თუ ფეხი მოიცვალა ვინმემ—მაშინვე ტყვია!.. (ჯარისკაცები ხალხს ირგვლივ შემოერტყნენ. მაიორმა ქალებს სათითაოდ ჩამოუარა, პელაგიასთან შესდგა, თვლებში ჩააცქერდა) სტანიცაში თქვენს მეტი არაფერ არის... უცხო კაცს აქ ფეხი არ დაუდგამს... ლეიტენანტი კრანცი ვინ მოკვლა? (პელაგია სდუმს, ხალხიც არ იღებს ხმას.. ცეცხლმოკრებულმა მაიორმა პელაგიას თავსახვევი მოჰგლიჯა) ან ახლავე მეტყვი, ან ახლავე... (ბრაზისაგან ენა დაუდგა) ვინ მოკვლა-მეთქი?
- პელაგია—(წარბშეუხრებლად) თუ ჩვენი ამოწყვეტა გინდათ, ამ ცოდვას რაღაზე გვაბრალებთ? ღმერთმა ისიც დასწყევლა, იმისი კვალის მძებნელიც.
- მაიორი—(მოთმინებადაკარგული) ეფრეიტორ კუნც, დღეიდან სოფელი არლოვკა აღარ არსებობს. ცეცხლი წაუქიდეთ, სწრაფად!..
- ლევანი—(წინ წამოდგა) მოიცადეთ! ხალხი არაფერ უნაშაია... (მაიორამისკენ შეტრიალდა) ლეიტენანტი კრანცი მე მოვკალი!  
 ხალხი შეიშა, პელაგია გაოცებული მისჩერებია.
- მაიორი—(ლევანს დააცქერდა, ტუჩებმა ბოროტად დაუწყეს თრთოლვა, მას არ უნდა დაიჯეროს, რომ ასე მოტყუვდა, მაგრამ ლევანი პირდაპირ, მოურიდებლად, როგორც დამარცხებულს—გამარჯვებული მისჩერებია) შენ დღეს შეშლილსა ჰგეხარ!..
- ლევანი—(დამშვიდებული) ნუ ცხარობ, მაიორო! შენ ჯილდოს ელოდი და წარჩინების მაგიერ, მაგ ჯვარ-მედალსაც აგყრიან, რადგან შენმა ნაქებმა გერმანულმა ანგარიშმა ასე სულელურად მოგატყუა!..
- მაიორი—(სახე ბრაზისაგან დაეღრიჯა, ლევანს მივარდა) სერუობ... მიქაჩაავს!..
- ლევანი—არა გჯერა? იქ, სადაც თქვენი კრანცი გდია, თივამი რაიკომის მდივნის ტანსაცმელია დამალული, ჯერჯერობით ეს გვეყოფათ საბუთად!..
- მაიორი—(სულსწრაფად) თვითონ სადღა არის?
- ლევანი—(უფრო მშვიდად) იქ არის, სადაც უნდა იყოს!
- მაიორი—სად არის-მეთქი?
- ლევანი—(დამცინავათ) თქვენ ძალიან ჩქარობთ... მეტი ხეწენა დაგჭირდებათ!
- მაიორი—იტყვი, არამზადავ!
- რედოლფერი მკერდზე დააბჯინა.

- ლევან — ფრთხილად, ბატონო მაიორო, არ გაგივარდეს, თორემ ჩემს მეტ-მა მისი ადგილსამყოფელი არავინ იცის!
- მაიორი — ეფრეიტორ კუნცი წელანდელ ბრძანებას ვაუქმებ, წამოვიყვანეთ! — მაგის ენის გასაღებს იქ ვიშოვნით!.. (ხალხს) დავიწყებოთ, წავიდა, ჯარისკაცებით გარშემორტყმული ლევანი მიყვავთ, გაოგნებული ხალხი მის გზას მისტირებია.
- მეფანდურე — ღვთისკაცი იყო მეთქი, ხომ გითხარ პელაგია (სიმებს ხელი შეახო).
- პელაგია — (მწუხარედ) რატომ მაშინვე ხელები არ შემახმა, როდესაც ქვა გესროლე...  
შეწუხებული ლოდზე დაეშვა.

## ფარდა.

## მეორე სურათი

სადღურის მძაღლფანჯრებიანი ოთახი. ერთ მხარეს — კუთხეში: სელექტორი, საკვერთხე აპარატი, ტელეგრაფი, მეორე მხარეს — დიდი საათი, საგზაო გამაფრთხილებელი ფერადი ნიშნები და სასირუ ვასალებების თარო. მის წინ სამუშაო მაგიდა. გვერდით რბილი ტახტი. ტახტის თავზე რადიო-მიმღები. შემოსასვლელში ავტომატიანი ჯარისკაცი მანქანით დგას.

- მაიორი — (მაგიდას უზის, წინ ეფრეიტორი კუნცი დგას) მერე?
- კუნცი — ქალი დიდხანს ტირიდა... მაშავ, მაპატიეო, — ეხვეოდა. ჰკოცნიდა... ასე ჩურჩულებდნენ დიდხანს... მერე ის კაცი შევგზავნე თუ არა, ორივენი თითქოს დამუნჯდნენ, ხმა აღარ ამოუღიათ...
- მაიორი — ხედავ? — როგორი ქვემძრომი ყოფილა! თქვენ კი არა, თავის ქალიშვილსაც დაუშალა... (წამოდგა) წადი, ფხიზლად! ხომ ხედავ, რა ქვეყანაში მოვხვდით? გუშაგები მალ-მალ შეამოწმე!..
- კუნცი — მესმის, — ფხიზლად, ბატონო მაიორო!..
- გავიდა. მაიორი აჩქარებულ ბოლთას სცემს, პაპიორსს მალიმალ აბოლებს. მეორე ოთახიდან საკინძვანისილი, მკლავებ-დაკაპიწებული ახმახი გერმანელი შემოვიდა.
- მაიორი — კიდევ არაფერი?
- ახმახი გერმანი. — ხელები მეტყინა, ბატონო მაიორო, პირველი, მეორე, მესამე ნომრები ზედიზედ გავუკეთე და, — მაინც არაფერს ამბობს!
- მაიორი — არ შემოგაკვდეს.
- ახმახი გერმანი. — მაშინ, შევასვენოთ, ბატონო მაიორო!
- მაიორი — საცაა გათენდება, შესვენების დრო არა გვაქვს!
- ახმახი გერმანი. — თუ ასეა, ნება მომეცით — პირდაპირ მეექვსე ნომერზე გადავიდე!
- მაიორი — გონება არეული მაქვს... მეექვსე რომელია?
- ახმახი გერმანი. — მკერდზე ვარსკვლავის ამოწვა!..
- მაიორი — რომ ვერ გადაიტანოს? (დაფიქრდა) მოიცა... არაყი მიეცით გასამაგრებლად!

- ახმახი გერმან.—ცადეთ, არ გაიკარა წავაქციეთ, პირში ჩავსხით, მაინც ვადმოღვარა.. ბატონო მაიორო, მოდი ქალიშვილზე ვცადოთ, ან ისე ვერ გაუძლებს, ან მამა ვერ აიტანს შვილის წყვეტას.
- მაიორი—არა.. ქალიშვილს რომ რამე სცოდნოდა, მამა შეიძლება გგონებოდა... (ბოლოთა განაგრძო, ისევ შესდგა) შემომიყვანე ქალი! (გერმანელმა მარინე შემოიყვანა, მაიორმა ნაძალადევი თავაზიანობით სკამი შეაგება) დაჯექი, ქალო, იმ დღეს გაწყენინე, მაგრამ... შენი ბრალია,—მამას შეურაცხყოფა მიაყენე!.. დაჯექი (მარინეს თითქოს არ ესმის) შენ ეს მითხარი,—სიცოცხლე გინდა! თავისუფლება გინდა?
- მარინე მაიორს პირდაპირ მისტრუბია, მაგრამ ისე, თითქოს არც ზედაც, არც არაფერი ესმის.
- მაიორი—შენ ჰქვიანი ქალი სჩანხარ... აი ახლა მამაშენთან დაჯტოვებ, თუ შენი სიცოცხლე უნდა, სთქვას, სადა ჰყავს ის კაცი დამალული...
- მარინე—მამაჩემს ჩემი სიცოცხლე რომ უნდა,—სწორედ ამიტომ არ იტყვის მკვას!
- მაიორი—(ენატკბილად) ნუ ფიცხობ, ქალო! შენ ჯერ სრულიად ახალგაზრდა ხარ, მომავალი წინა გაქვს... ვინ იცის, რამდენი ბედნიერება და სიხარული გელის!..
- მარინე—მეტი ბედნიერება და სიხარული მე აღარ მინდა,—გუშინ მეგონა, მამა არა მყავდა, დღეს კი ჩემზე ბედნიერი შვილი ამ ცის-ქვეშ არავინ დადის.
- მაიორი—(ბრაზისაგან სახე დაემანჭა, მარინეს მაჯაში ჩაავლო ხელი) გველის მოდგმისავე! (ახმახ გერმანელს) მეექვსე წომერი... ჩქარა! (გერმანელი გავიდა, მაიორმა მარინე ახლომელ ფანჯარასთან მიათრია) მამ, უცქირე შენს ბედნიერებას (ფანჯარას ცეცხლის სინათლე მოადგა; მარინემ თვალებზე ხელები აიფარა, მაიორმა ხელები შეუბოჭა და პირით ფანჯრისკენ შეაბრუნა) აჰა, დასტკბი, თუ მეტი ბედნიერება არ გინდა!
- მარინე—(ცდილობს ფანჯარას თვალი მოარიდოს, მაგრამ ვერ ახერხებს, თითქოს მწარე ტკივილისაგან წელში მოიგრისა, მერე ერთბაშად გასწორდა, ანთებული თვალები ამაყად გაუსწორა ფანჯარას) გამავრდი, მამაე... ცოტაც და,—ჩვენი ტანჯვა გათავდება... (მაგრამ სახე უცებ აერია, აუტანელ სანახაობას ველარ გაუძლო) ვაიმე, მამაე... შექოვლა და იქვე სკამზე ჩაიკეცა.
- მაიორი—(ფანჯრიდან) არ შემოგაკვდეს-მეთქი!.. გამოათრიეთ აქეზი!
- გონივრული ლეენი ორმა გერმანელმა შემოიტანა და ტახტზე დაავდო. მაიორმა მათიშანი მისცა და მათთან ერთად მერე ოთახში გავიდა.
- მარინე—(ხანგრძლივი პაუზა, მარინემ თვალები მოისრისა, თითქოს ვაეღვიძა, ძლივს წამოდგა, ტახტზე მამას შეასწრო თვალი და მისკენ გაქანდა) მამილო... მამაე!.. (ყართან ატუხული გერმანელი თვალს არ აშორებს. მარინემ იქვე სათლიდან პეშვით წყალი ასხურა მამას) მამილო, მე ვარ... მარინე...
- ლეენი—(შეირხა, წამოიწია. მარინემ ხელი შეაშველა) შვილო... მარინე... მალე გათენდება?
- მარინე—... საცაა ინათებს, მამაე!

ლევან — (ტახტზე წამოჯდება). წელან არ დაგვაცალეს, შეილა... ~~შენ რომ~~  
 მიახმე, ის კაცი ჯამბუშია... სელიმოვი კი არა, შურაევი ~~დავარდა...~~

ტლევონის ვაბზული ხარი, მაიორი შემოვიდა, ყურმილი აიღო.

მაიორი — მაიორი ტრაუბე გისმენთ!.. დიახ... დიახ... (შეშფოფობს) ~~დღეობა~~  
 დიახ... არის ბატონო პოლკოვნიკო!.. (ყურმილი ჭირვეულად დააგდო)  
 ეფრეიტორ კენცი! (გერმანელი შემოვიდა) მოდი აქ!.. (განზე გაიყვანა)  
 ჯარისკაცებმა არაფერი შეიტყონ... რუსებმა შემოტევა დაიწყეს, დი-  
 ლისათვის სადგურის შენობა და ხიდი უნდა აფეთქდეს... ტრანსპორტი  
 გამზადებული გყავდეს!

კენცი — არის, გამზადებული მყავდეს, ბატონო მაიორო!

მაიორი — (ლევანსა და მარინეს მიუახლოვდა, მარინე კედელს აყუდა,  
 ლევანი ძლივს წამოდგა და სკამს ხელით დაეყრდნო) ყველაფერი გა-  
 თავდა... იტყვი თუ არა? (ლევანი სდუმს) არა? მაშ, მე ახლა საინტე-  
 რესო წარმოდგენას გაჩვენებ... ეფრეიტორ მაკურეკ! (ახმაზი გერმანე-  
 ლი შემოვიდა) კიდევ მოვასწრებთ... ახლავე გუშაგებს გარდა ყველა  
 ჯარისკაცი აქ ჩაამწყრივეთ... იარაღი არ არის საჭირო!

ეფრეიტორი — მესმის, ბატონო მაიორო.

გაფიდა.

მაიორი — (ლევანს) ოო, როგორ საინტერესო წარმოდგენას გაჩვენებ, ნამ-  
 დვილი გერმანული პანტომიმა იქნება! (ჯარისკაცები ზეღიზიანებულად შემო-  
 ბიან და კედლის გასწვრივ მწყრივად დგებიან. მაიორმა თითოეული დი-  
 მილით აათვალიერა) ვნახოთ, რომელია თქვენში ყველაზე იბლიანი...  
 ახლა გერმანული ფანტი გავითამაშოთ... (ეფრეიტორს მუხარადი მო-  
 ხადა) ყველამ თითო ტყვია ჩააგდე! (მწყრივს გაწვდილი მუხარადით  
 ჩაუარა. ჯარისკაცები მუხარადში თითო ტყვიას ავდებენ. მაიორმა  
 ტყვიები შეაჩხრა და ეფრეიტორს გაუწოდა) ერთი ტყვია ამოიღე...  
 ასე... ახლა ეგ ტყვია დამინიშნე. (ეფრეიტორმა დანა ამოიღო და უფ-  
 როსის ბრძანება შეასრულა. მაიორმა მუხარადი ლევანს გაუწოდა) გა-  
 მომართვი!.. (ლევანი უძრავად დგას, მაიორმა მუხარადი ხელში მია-  
 ჩეჩა) გამომართვი-შეთქი! (ლევანმა ჩამოართვა, მაიორმა ჯარისკაცებზე  
 მიუთითა) ვისაც დანიშნული ტყვია შეხვდება, შენი ქალიშვილი მისი  
 იქნება!

ლევანს თვალები გაუფართოვდა, ხელი შეუტოვდა. მაიორს ზიზღით გადახედა, მარინე  
 შეშინებული მისტერბია მამს.

მაიორი — (ჯარისკაცებს) რაღას უდგებართ? დაიწყეთ!

ლევანი უძრავად დგას... მას სულელური დიმილით მიუახლოვდა პირველი ჯარისკაცი  
 და ის იყო ხელი მუხარადისაკენ წაიღო, რომ ლევანმა მუხარადი ერთბაშად მძლავრად  
 შემართა და ჯარისკაცს თავში დაჰკრა, გარეთ ზეღიზიანებულად გაეფარდა.

მაიორი — (შეკრთა) ეს რუსული თოფია!..

ლევან — დიახ! რუსულია, ბატონო მაიორო... აჰა, თვითონ მოვიდა, ვისაც  
 თქვენ ეძებდით!..

ჯარისკაცი — (დაფეთქებული შემოვარდა) ბატონო მაიორო... მტერმა  
 ჯავშნოსანი ხელში ჩაიგდო. ხიდზე გუშაგები დახოცეს... სადგური  
 ვარშემორტყმულია!

- მ ა ი ო რ ი — (თავგზააბნეული) ეფრეიტორ! (რევოლვერი იძრავს) მოძვედით!  
 გაეარდა, ჯარისკაცები ვაჟუნენ. ტყვიამტრქვევის გაბმული კაკანი გვისმა. მარინემ  
 ფანჯარა გააღო, ლევანი გაბრწყინებული სახით კედელს მიეჭრებოდა. თოფ-  
 მომარჯვებელი შურაევი შემოიჭრა.
- შ უ რ ა ე ვ ი — ბატონო მაიორო, ბატონო მაიორო... თავს უშველეთ! (ლევანს  
 მხოლოდ ახლა შეასწრო თვალი) ოპო, შენ ისევე ცოცხალი ხარ?
- კ უ ზ მ ი ნ ი — (იჭიდანვე შემოვარდა, შურაევს უმაღვე თოფი დაუმინა).  
 ტყიდან გამომასწარ... ახლა სადღა წამიხვალ? (და ვიდრე შურაევის თო-  
 ფი გაეარდებოდა, კუზმიჩმა ესროლა. იგი მოცელილივით დაეცა).
- ს ე რ გ ე ი — (შემოუძღვა პარტიზანებს. მათთან არიან შკურატი, პელიკა, არ-  
 ჩილი, არსენა, მეფანდურე, პელაგია, მაქსიმე და სხვანი) ამხანაგო ლე-  
 ვან, შენ უსახელო სიკვდილისა გეშინოდა, სახელოვანი სიცოცხლე  
 ამიტომ მოიბოვე!
- გადაეხვია. ღია ფანჯრებში წითელი დროშების ტყე გამოჩნდა. ისმის მომავალი  
 საბჭოთა არმიის გამარჯვების სიმღერა.

ფ ა რ დ ა

დასასრული

## აპრილის საიღუმლო



ქალაქის ბაღის განაპირა ხეივანში მერხზე მარტო ჩამომჯდარი ესტატე დავინახე. მეც იქვე ჩამოვჯექი, რადგან სხვა უფრო განმარტოებული და მოხერხებული ადგილი ვერსად ვიპოვე.

მუდამ მშვიდი და ზედმეტად მორიდებული ესტატე სიტყვა ძვირიც იყო და ამიტომ იმედი მქონდა, რომ აპრილის ამ მომხიბლავ კვირა დღეს არ ჩამიშხამებდა უთავბოლო ლაპარაკით.

მაგრამ ეს კაცი ახლა სხვანაირი შეჩვენა. გაოგნებულს გავდა. პირველ წუთში ვერც შემნიშნა, თუმც პირდაპირ მიყურებდა. სადღაც სხვა სამყაროში ნავარდობდა მისი ფიქრი და თვალი. ბოლოს დამინახა, მიცნო, მომესალმა და სრულიად მოულოდნელად აღგზნებულად შემომძახა:

— რა დღეა, ბატონო, სიმონ, რა დღეა! ვენაცვალე სიცოცხლეს.

მეუცხოვა, ასეთ ალტაცებულს რომ ვხედავდი. უნებურად გამეღიმა და დავუმიწმე:

— მართლაც კარგი გაზაფხულია!

— აჰ, არა, არა! თქვენ არ მომიკვდით, წარმოდგენილიც არ გაქვთ, რა დღეა!—სიტყვა მომიჭრა, ალბათ, ჩემი თავდაპირვლი დასტურით უკმაყოფილომ.—აი შე კი ნამდვილად განვიცადე გაზაფხულის ძალა, აგერ ჩემ თვალწინ გადაიშალა აპრილის მთელი საიდუმლო...

ადგილი ინაცვლა და უფრო ახლო დამიჯდა. შევტყუე, ლაპარაკი უნდოდა.

— ეს საკვირველი ამბავი მოხდა ამ ნახევარი საათის წინ. თითქმის ისეთივე ლაუჯერებელი შემთხვევაა, როგორც ბიბლიურ მოსეს კვერთხის აყვავილება ანდა ისუ ნავინის მიერ მზის შეჩერება. არც მეტი, არც ნაკლები. არ გეგონათ, რაიმეს ვაზვიადებდე.

წუთით შეჩერდა. დაწყება უჭირდა.

— ნეტავი არსებობდეს ისეთი ერთი სიტყვა, ერთბაშად ყველაფრისმოქმედი, რომ უცბადვე გითხრათ და გაგაგებინოთ! სხვა გზა არაა, დაწვრილებით უნდა გაამბოთ... ამ დილით ცოტა გვიან გამეღვიძა. თბილისის ჩვეულებრივი დილა იყო, ნისლიანი და ნაღვლიანი. შუადღისას ნისლი გაითფანტა და მზემ გამოიხედა. გასუფთავდა ცა, გამზიარულდა გარემო. მზემ და სითბომ გარეთ გამიტყუა. ყოველ მხრივ ბედნიერად ვიგრძენი თავი. ამასთანავე მომენატრა მარტოდ ყოფნა, მარტოდ ზეცხალი. იმიტომ კი არა, რომ ხალხსა და ცხოვრებას გავქცეოდი, როგორც ეს სევდით შებოჭვილს, ან ვინმე მიზანტროპს ჩვევია, არამედ სწორედ ბედნიერების განცდის სიჭარბისგან. ალბათ ერთი იყო საჭირო მისი შევსება. ჯერ მტკვრის ნაპირს გავყევი, მერე ნარიყალაზე ავედი, კომკავშირელთა ხეივანს მივეხალისე და, ბოლოს, დასას-



ვენებლად ამ ბაღში შემოვედი. აქაც ყველაგან სიცოცხლის განახლებას ვგრძნობდი. გაზონების გაშემო ახლად-ამოსულმა ბალახმა, გაზაფხულის პირველმა სიმწვანემ, ამ შეუღარებელმა ფერმა, თვალი და გული მოიტაცა. გამთბარ მიწაზე ყველა და ყველაფერი სიცოცხლის ხალისს განიცდიდა. ქიანჭველები დაფუსფუსებდნენ. ეს საქმიანი არსებანი აქედანვე შესდგომოდნენ მომავალი ზამთრისთვის უზრუნველი ცხოვრების საშაღისს. დავყურებდი მათ და მინდოდა მეთქვა:—რა გეჩქარებათ, ჩემო კარგებო, მხოლოდ ახლა დაიწყო სიცოცხლე და პირველი დღეები მაინც ვაატარეთ უსაქმო ნეტარებაში. ჯერჯერობით ყველაფერი ყვავილობს, ხრწნა და სიკვდილი არ მიკარება ია მიწას და თქვენც საწუწქარს ვერ იპოვით. წინ კიდევ მრავალი დღე გაქვთ. ქვეყანა კეთილის მყოფელი მეგობარია და ყველაფრით უხვად დაგაჯილდოვებთ...

გოროხიდან გამოძვრა შავი, სასაცილო შესახედაობის ქიანჭუნდურა. პირველი დღე იყო მისი გაჩენისა, თუ მზეს ახლად გაელვობება ხანგრძლივი ძილისგან, სიარული უჭირდა. მიბაჯბაჯებდა, თითქოს მთვრალი, თითქოს გაჯავრებული. ხანდახან გამოედებოდა ბალახს, დაყირავებოდა, ოთხივე ფეხს ერთბაშად აასაესავეებდა და როგორც კი მოახერხებდა გადატრიალებას, ისევ ბაჯბაჯით თავის გზას გაუდგებოდა. სად, ვისთან, რა საქმეზე?

უზარმაზარი ხეები და პატარა მცენარენი საკუთარი ფერებით ამკლავებდნენ სიცოცხლის ნიჭსა და ხალისს. რამდენიმე ბუჩქი წითლად ღუოდა, აკაცია თეთრად გაშლილიყო, ალვისხე და ქაღარი მწვანედ ხარობდა.

ყველაფერი ეს კეთილი მზის მადლია!—ვეუბნებოდი ჩემს თავს.—ყველა და ყველაფერი დავალებული ვარ ამ მისგან!

და განა მარტო ამ ბაღში მთელი გარემო, შორი სივრცე თორიანეთის ქედებიდან დაწყებული თეთრადამართულ კავკასიონამდე, რასაც ამჟამად უწოდებოდა, სიცოცხლის განახლებას ხალისობდა. ქალაქის გარშემო გორაკებზე ალუბალი და ატამი ყვავოდა. მწვანეში გახვეულს ვხედავდი თითონ თბილისს, მის ქუჩებსა და ეზოებს. შეგინიშნავთ, ალბათ, რა მრავალნაირი ფერებით ღელავს და ბიბინებს ეს მარადი ქალაქი! გორგასალის მიერ ერთხელ აფრენილმა ზოხობმა თითქოს სამუდამოდ დაუტოვა თავისი ფრთების ელვარება ამ ცას, ამ მიწას, მთელ გარემოს. მახარებდა თბილისის მარადი ახალგაზრდობა, ყოველი მისი ახალი ხე, სახლი, ქუჩა. აქაც მოფუსფუსე ხალხი. ყოველ ქერქვეშ ათასნაირი ვენება, შრომა, ზრუნვა, სიხარული—და ყველაფერი ეს სიცოცხლისათვის, ამ იშვიათი და ბედნიერი ნიჭისათვის! შეუძლებელია დღეს, აპრილის ამ მადლიან მზის ქვეშ, მთელ ქალაქში მოიძებნოს ვინმე ბოროტი და სიცოცხლის მძრახველი! დღეს ყველა კეთილია, დღეს ყველა ამადლებულია!

ჩემი მარტობა და ოცნება დაარღვია ბავშვმა, რომელმაც სიცოლით ჩამირბინა. პატარა გოგონას მამაკაცი მოსდევდა. მძიმე, ზორზოხი კაცი იყო და ჩქარა სიარული უჭირდა. ქმინავდა, უჯავრდებოდა ბავშვს და აშინებდა, რომ დაიკარგება და ვინმე გაიტაცებს. ვიცანი მხოლოდ მაშინ, როცა მომიახლოვდა. ჩემი დიდიხნის, ოდესღაც ახლო ნაცნობი აფაკო ინწყირველი იყო.

ვიცანი და სწორედ მაშინ მოხდა ის, რის გამო აქამდე ბურანში ვარ.

აფაკომ, გამისწორდა თუ არა, სრულიად მოულოდნელად პირველმა მომცა სალამი, გულლიად გამიღომა და ბაგეთაგან რაღაც ხმაც გამოსცა, რაც, ალბათ, სიამოვნებას გამოხატავდა. ბავშვისკენ იცქირებოდა, შიშობდა არ

დაეკარგა მხედველობიდან, ჩქარობდა, მაგრამ მაინც იხელთა წუთი და ხელი გამომიწოდა.

— ხომ კარგად, ხომ მშვიდობით? სად ხარ, კაცო, ველარ გზედავი ასე უნდა მეგობრის დაეიწყება! — ამის თქმა მოასწორო და ბავშვს გახდია.

ისევ მარტო დავრჩი. მაგრამ ამ წუთიდან ჩემს თავს აღარ ვეკუთვნოდი. ამფორიაქა, ნამდვილი მღელვარება განმაცდევინა ამ მოულოდნელობამ. როგორ?! პირველი მომესალმა თვითონ ის, თვითონ აფაქო ინწყირველი! ჩემი ნახვა ისურვა, მეგობარიც მიწოდა! დაუჯერებელი იყო, სიზმარს გავდა. ღმერთო დიდებულო, ეს რა სასწაული მოხდა!

მხოლოდ იმის შემდეგ, როცა პირველი წუთების მღელვარება რამდენიმედ დაცხრა, ჩაეწვდი აფაქოს ამ უცეარ ყურადღებისა და ალერსის მიზეზს...

— რა თქმა უნდა, — ვიფიქრე მე, — ეს მიეწერება აპრილის მადლიან დილას. ასეთი დღე ყველას გულს უღბობს და აკეთილშობილებს!

მართლაც და რა ძალა უნდა ჰქონდეს ბუნებას, რომ აფაქო ინწყირველიც ასე გარდაქმნას და უკანვე დაუბრუნოს დაკარგული საუნჯენი!

— რა მოხდა ასეთი? — იკითხავთ თქვენ.

გაგებული უნდა გქონდეთ მისი ავკარგი, რომ სავსებით გაიზიაროთ ჩემი გაკვირება.

აფაქოს დიდიხანია ვიცნობდი. ჯერ კიდევ შარშან ის იყო ჩვეულებრივი ადამიანი, — მიწილდელი უბრალოებით სავსე, გულითადი, მეგობრების მოყვარული, ხითხითა, ენამახვილი. ერთი სიტყვით, ჩვეულებრივად ჩვეულებრივი, როგორც მრავალი ათასი.

სიმართლე უნდა ითქვას, უნიჭო კაცი არაა. არც უჭკუო. ამისა და სხვა კარგ თვისებათა წყალობით ის დანიშნეს ერთ არც თუ ისე მაღალ და საბა-

სუხისმგებლო თანამდებობაზე და აი ამ დღიდან იწყება საოცარი მეტამორფოზა. არ ვიცი, როგორ ექნა ეს თავი მასზე მაღლა მდგომარეობის მაგრამ მე და თქვენსათვის ჩვეულებრივ მოქალაქესთან ის სრულიად გამოიცვალა. უცბადვე დაეტყო დიდკაცობა. ძნელად თუ ვინმეს იკარებდა იმათგან, ვისთანაც წინათ აღამებდა და ათენებდა. აი ხედავთ თითქოს ჩვეულებრივი აფაქოა შენს წინაშე, მაგრამ ბოლოს რწმუნდება, რომ თვალმა მოგატყუა. თურმე თქვენს შორის უხილავი და-ხელშეუხებელი კედელი ამართულა. პირდაპირ ფანტასტიკაა რაღაც! ფიზიკურად ვერ ხედავ ამ კედელს, თითქოს არც არსებობს ის. აჰა, მიხვედი კიდევ იმ ადამიანთან, გგონია მიწვდი, მაგრამ უეცრად გრძნობ, რომ დაეჯახე რაღაც ზღუდეს. თურმე იქით აკრძალული ზონა შემოუფარგლავს. ციცი, მეტი აღარ შეიძლება!

ერთხელ მისი ნახვა დამკვირდა. მიმილო. შემხვდა გულცივად, თითქოს არც მიცნობდა. არა მიცნო, მაგრამ უცბადვე მაგრძნობინა, რომ ჩვენს შორის განსხვავებაა. ღვთის წინაშე, გამიღიმა. მაგრამ, ვაი ასეთ დიმილს! ჩვეულებრივი დიმილი სითბოს გვრის, მისი გაღიმება კი ყინულზე უფრო ცივი იყო. ამისთვისაც თავს ძალა დაატანა, თითქო დიდი წყალობა გაიმეტა.

მე ახლა ვხედავდი ოდესღაც კარგად ნაცნობ აფაქო ინწყირველს კი არა, არამედ ვინმე ოლიმპიელს, რომელსაც აწუხებდა ის გარემოება, რომ მომაკვდავთა შორის გარეუღიყო და მათთან ერთი ჰაერით სუნთქავდა. რა პატარაა, რა საცოდავ არსებად შეჩვენა ჩემი თავი!

ამის მეტად არ ვყოფილვარ აფაქოსთან, აღარც მინახავს. მხოლოდ მესმოდა, რომ სხვების წინაშეც ოლიმპიელად ეჭირა თავი.

და აი დღეს, ამ ნახევარი საათის წინ,

ამ დიდებულმა პიროვნებამ ალერსი მიძღვნა და მეგობარიც მიწოდა!

ესტატე წუთით გაჩუმდა, გარემოს თვალი მოავლო და გულწრფელი მღელვარებით მომმართა:

— მერწმუნეთ, ყველაფერი ეს გაზაფხულის მადლს მიეწერება! ცხადია, შეუძლებელი იყო აფაქოც არ დამორჩილებოდა ამ დღის სიდიადეს. ბოლოს-დაბოლოს ისიც ადამიანია... მე უკვე ვაბატიე მას ქედმაღლობა და ამპარტავნობა, მთელი მისი შეცოდებანი. შემეცოდა კიდეც, რომ ამ დღემდე სხვანაირი იყო. მინდოდა დაეწყოდი, მოვხვეოდი და მეთქვა, რომ ჩვენ ძმები ვართ და უნდა გვიყვარდეს, პატივს უნდა ვცემდეთ ერთმანეთს. რა თქმა უნდა, მომეხვეოდა ისიც და ძმობას შეტყოდა... აი რა ქნა აპრილის ამ დღემ, აი სად გამომქლადუნდა მისი ძალა და მადლი! თუ არა ეს საიდუმლო ბუნებისა, მაშ სხვა რა მიზეზი უნდა იყოს, რომ ამრიგად შეიცვალა აფაქო? სხვათაშორის, უნდა გითხრათ, რომ ხვალვე მივალ მასთან დაწესებულებაში. დიდიხანია ერთი საქმე მქონდა, მაგრამ მისვლას ვერ ვებედავდი. ხვალვე ვინახულე!

ისევ ხალისიანად გახედა ესტატემ მწვანეში გახვეულ ბუჩქებს, მზით გაბრწყინებულ სივრცეს და სიამოვნებით გაშალა ხელები.

— ვენაცვალე სიცოცხლეს!— გადასძახა თითქოს მთელ ქვეყანას და თანაც გაიცინა. კეთილად, გულლიად გაიცინა.— დიდია ცხოვრება, საბოლოოდ ყველა კეთილი გზით მიჰყავს!

ერთხანს კიდეც ვისხედით ხეივანში და მღუმარენი ლაქვარდს გავყურებდით. ჩვენს ქვევით, გრანიტში, ჩასმული მტკვარი მიღვევდა და მისი გახვეულს ვებედავდით თიანეთის ქედს, ზედაზენის სიმაღლეს, თეთრ კავკასიონს. დროგამოშვებით ქალაქის შუაგულიდან ხმაური აღწევდა. ეს მისი ცოცხალი გულის ფეთქვა სიზარტულით გვაესებდა. ორივეს მადლობით გვიცემდა გული მზისადმი, ქვეყნისადმი. უსიტყვოდ ვლოცავდით სიცოცხლის ყოველ წუთს, მისი სიბრძნითა და სიდიადით გავკირვებულნი.

მეორე საღამოს, როცა სამუშაოდან შინ ვბრუნდებოდი, ისევ შევხვდი ესტატეს.

— რა ქენი, იყავი დღეს აფაქოსთან?— ვკითხე წინასწარ დარწმუნებულმა, რომ ინახულა და კმაყოფილი წამოვიდა მისგან.

— ვიყავი, მაგრამ...

შეჩერდა. ზანგრძლივად შეჩერდა. შევატყვე, რომ მეტის თქმა აღარ უნდოდა, არ სიამოვნებდა.

— რა მაგრამ?

— რაო, მაგრამ?

— ერთი კვირაა თურმე, რაც მოხსნილი ყოფილა. საღღაც დაბალ სამუშაოზე გადაუყვანიათ... ესეც ჩემი აპრილის საიდუმლო... თურმე რა გულუბრყვილო ვიყავი გუშინ! — ჩაიქნია ხელი ესტატემ, ჩაიხიბხითა და წავიდა.

პლაქიმერ სულაბერიძე

## მთხი ლექსი

★

### სანზარო

პატარა ბარით გავკერი,  
 პატარა სიგრძე-განი აქვს,  
 შავი ზღვის გალავანია,  
 ყირიმის გალავანია.

ხან ქარი ღრუბლებს მომაშლის,  
 ხან ციდან თოვლი დამათოვს...  
 წუხელ რარიგად ჰყინავდა,  
 ამ თხრილმა როგორ გამათბო.

ის მიჯობს, სამარედ მექნეს,  
 მტერმა ვით გადამითელოს.

აქედან უკან წასულსა  
 ამხემ დილა არ გამითენოს.

პატარა ბარით გავკერი,  
 პატარა სიგრძე-განი აქვს;  
 აულებელი რამ არი,  
 ურყევი გალავანია.

იგი მე მიცავს, მე-იმას,  
 ის ჩემი სახლის კარია...  
 მამულის ფარად მე ვდგავარ,  
 მამული ჩემი ფარია.

★

### გულჩათხრობილი ხომალდი

გემი როს შემოაბლავლებს  
 ზღვისპირს მზის ამოხდომამდი, —  
 რად შეტოკდება ნაპირთან  
 ერთი ბებერი ხომალდი?..

გემი როს შემოაბლავლებს,  
 რად არის გულჩათხრობილი?..  
 ძახილი ხომ არ მოესმის  
 მაშინ იმ ძველი ქობილის?..

რად შეტოკდება, ნეტავი  
 რომელს ისურვებს სურვილსა?..  
 წადილი ხომ არ დაუვლის  
 კვლავ ძველებურად ცურვისა?..

გადაუქროლებს თოლია,  
 სივრცეში გაშლის მბრწყინავ ფრთებს  
 ნეტა ის ერთი ხომალდიც  
 გაფრენას ხომ არ ინატრებს?..

ნაბრძოლი, ნაოპარია,  
 მკერდი აქვს ნაყუმბარევი.  
 ჩადგა იმ შავი ზღვის ღელვა,  
 ჩადგა ის შავი ქარები.

და გემი როს მოაბლავლებს  
 ზღვისპირს მზის ამოხდომამდი,  
 ფოთის ბოლანთან შეკრთება  
 ერთი დაქრილი ხომალდი.



## წვიმაში სამგორთან



მე შენთან წვიმამ მომისწრო წელან,  
სამგორის გორო, როგორ ვსველდებით,  
ზეცამ ალევები გადამატეხა  
და ავახლიჩა მკერდზე ბელტები.

საღღაც ბალახის ფესვებს ეძინათ,  
გაელვიძათ და შესვეს წვეთები.  
სამგორის გორთან მომისწრო წვიმამ,  
სამგორის გორო, სულმთლად ვსველდებით.

იწვიმოს... წვიმაც ჩამოგწედეს გულთან,  
გამშრალო მიწავ, გამხმარო მიწავ,  
დაიცა, მალე გაემართავ გუთანს,  
აქაც ავიქნევ ცელსა და ფიწალს.

რომ დაედგა ძნები ამ გორის ხელა,  
წალმა მბრუნაეი ვავშლო კალო.  
თავთუხის პური ეყაროს ველად,  
ჩაბაზებული სიმინდის ტარო,  
რომ წვიმის შემდეგ აქ ცისარტყელა,  
ახალ არხებზე გადაიზაროს.  
წისქვილსაც დაედგამ ალბათ გაისად,—  
ბორბალზე ივრის ტალღა დაიმსხვრას.

დაიცა ცოტაც, დაგაყრი ვარდებს,  
უბალახოვ და მარად უდაფნოვ.  
საქართველოში რად უნდა ჰგავდე,  
სამგორო, მზეში დამწვარ უდაბნოს.

ჩვენ ახლა წვიმა გვასველებს გრილი  
და იგი ალბათ გადილებს მალე,  
გაბრუებული ამდენნის ძილით  
აქ სადმე იაც გაახელს თვალებს.

ჩვენ ერთად ვდგავართ, სამგორის გორო,  
და გაზაფხულის წვიმით ვსველდებით.  
მე ველი მარგვლას, მე ველი მოროდს,  
მარცხლებს ელიან შენი ბელტები.



ელვა ქციის ხეობაში.



ელვა ელვას გაეკიდა. ცას შეატყდა მეზიანს,  
 თითქოს გაშლილ ცის ბადეში კალმახი გაეხვია.  
 კავკასიონს ფრთები გაჰკრა, იქ თრიალეთს მოედო,  
 წააფრინდა შუალამეს, შავ ფაფარზე მოენთო.  
 შორს არჩეები დაუფეთა მონადირე ხევსურთა,  
 მერე ისევ ღრუბლის ტბაში კალმახივით შეცურდა.  
 როგორც ახლა ქციის ხევიში ცამ ზარები დარეკა.  
 ნეტამც ასე გაეზმურდნე ჯაფახეთს თუ გარეკახს.  
 როგორც ელვა ელვას გაჰყვა, ეხვევიან ველებს, მთებს—  
 ჰოი, ცაო, ერთი წამით ნეტამც გავიღვებდე!  
 მე და ელვა, მე და ქციის ნაპერწკალი ცქრილა  
 ერთ შუშაში მოგვაქცია, ერთად აგვაბრიალა,  
 რომ ნათელი სიკაბუკე მახლდეს მარად მეგობრად,  
 ერთი წამის გაელვება მთელ სიცოცხლედ მეყოფა.

## მენჯი-როგუ\*



ნექტარინას აღლევება დაეტყო.

— რა უნდა ახლა, ამ სააღდგომოდ რომ მოეთრია, და მისი ნაბუშარიც თან მოჰყავს?.. ძილხან ძილხანი—შესძახა შიგნით დარბაზში, თან უკმაყოფილოდ გაიქნია თავი.

ძილხანიც მალე გაჩნდა.

— ძილხანი ეგერ კესარია მობრძანდება ჩვენი ოჯახის მასახელებელი და შენ იცი ახლა... კუდი-კუდში მიჰყევი, არ მოშორდე, ხომ იცი ცოტა ხელმწიდე და არაფერი გააყოლოს ხელს... ღამითაც შენს ოთახში დაიწვი-ნე, სხვაგან არსად, გესმის?..

თედორეს არ გაკვირვებია, რომ ნექტარინა ასე ცუდის გუნებით შეხვდა თავის მულის მოსვლას. ისიც კარგად მიხვდა თუ ძილხანთან თქმული კნეინას სიტყვები: „მობრძანდა“ და „ჩვენი ოჯახის მასახელებელი“ როგორის შინაგანის ზიზღით იყო თქმული. ყველაფერი ეს არ გაკვირვებია თედორეს, რადგან ამ რძალ-მულის დამოკიდებულება დიდი ხანია ყველამ იცოდა ამ არე-მარეზე: ბოლოხანებში, თორემ წინეთ კნეინა ნექტარინა თავის სახლში არც კი იკარებდა თავის შერცხვენილს და „გაბახებულს“ მულს კესარიას.

„გაბახებული“ მიტომ იყო კესარია, რომ ახალგაზრდობისას შეუყვარდა ბერთემში სტუმრად ჩამოსული, ერთი ახალგაზრდა გლეხი და, ჯვარდაუწერელს, მის ხელში შვილიც ეყოლა.

თედორემ კარგად იცის, რომ ასეთი ორგვარი თავლაფდასხმა გვირგვილიანებისათვის რა ძნელი მოსათმენიც იყო. თავის დროზე ბეგომ სასიკვდილოდ მიიწია კესარიაზე, მაგრამ უფროსმა ძმამ, ბარამმა ლობიერება გამოიჩინა და კესარია გადარჩა. ორგვარი თავლაფდასხმა ის იყო, რომ ერთი, კესარიამ გლეხის შვილი შეიყვარა და მეორე ის, რომ ჯვარდაუწერლად შვილიც გაიჩინა.

თედორეს ისიც ახსოვს,—კესარიას საყვარელი გლეხი ამ ამბის შემდეგ აქაურობას რომ არ გაკარებია. კესარია გაგდებულ იქნა გვირგვილიანების ოჯახიდან და სადღაც შორეულ სოფელში, ერთ მოკეთის ოჯახში, მოილოცინა. თავის საყვარელსაც ბევრი წერა წერილები, მოახერხა და კაცებიც მიუგზავნა, მაგრამ საყვარელი უგულო ადამიანი გამოდგა და თავის სატრფოს, როგორც მეგრელები იტყვიან „განაჩენიც არ მისცა“. ასე, რომ სრულიად განმარტოებული დარჩა კესარია. შინ ძმები აღარ იღებდნენ, განსაკუთრებით ნექტარინას მისი სახელის გაგონებაც არ უნდოდა, მეორე მხრით თავის რჩეულსაც ზურგი შეაქცია და დიდხანს გამოუვალ მდგომარეობაში იყო, მაგრამ შემდეგ კვლავ მის მოკეთე მასპინძლის რჩევით და დახმარებით ქუთაისს წავიდა და ბერთემიდან წამოსულ და ქუთაისში დასახლებულ ერთ მეეტლეს ოჯახს შეეკედლა.

\* გაგრძელება. „მნათობი“ № 3.

ამბობდნენ, პირველ ხანებში კესარიას უნდოდა ბავშვი ქუთაისში ამ კეთილ ოჯახისათვის დაეტოვებინა აღსაზრდელად და თვითონ მონასტერში წასულიყო, მაგრამ ესეც ვერ მოუხერხდა, რადგან ახალგაზრდობამ და მისმა სხეულის სილამაზემ თავისი გაიტანეს და ცხოვრების სიტკბობებს ვეღარ შეეღია.

ამასობაში გავიდა წლები. საზოგადოებრივ აზროვნებაში ბევრი ცვლილება შეიპარა. თავადებსა და გლეხებს შორის ერთი მეორეში ქალების მითხოვება გახშირდა, ძველებურად საჩოთირო აღარ შეიქნა. შემდეგ ვამეზიცი დაბრუნდა კატორიდან და კესარიას „დიდი შეცოდება“ მის ძმებისა და ნექტარინას თვალში მოსატყვევებლად გაჰხადა და „ერთ მშვენიერ დღეს“ ქუთაისიდან დაიბარა კესარია და თავისიანებს აწვია.

ნექტარინამ მაინც დიდის ამრეზით მიიღო „შემოცდ“ მული, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ კესარია უკვე მიღებული იქნა გვირგვინიანებში და, მართალია, დიდხანს არ დარჩენილა მათთან, ნუგეშეული მაინც იმით იყო, რომ ამერიოდან, დროგამოშვებით მაინც, მიესვლებოდა თავის „დედულეთში“ და ესეც მისთვის დიდად გასახარელი იყო.

აი ახლაც ეს შესამეჯერ არის, რომ მოდის თავისიანებთან და თან უკვე თავისი მოჩიტული ვაეიც მოჰყავს.

ნექტარინამ კი ძილხანი კარგად დაარიგა, გაისტუმრა და შემდეგ ისევ თედორეს მოუბრუნდა.

— მაშ ასე, როგორც ვითხარი, მამაო! ხელიდან შეუდგები ჩვენს საზიარებლად შემზადებას და იცოდე; დაუჯდომელიც უნდა გვალოცო... შენებურად არ წაუსიო და არ შეგვიკმეცო... წირვაზე რომ იცი ხანდახან, უცებ რომ მიადიშთიშებ! ჰა, ჰა! სულწასული ხარ, ხუცესო, სულწასული!... და

თავი მისკენ მიიბრუნა და მიხრდაპირ თვალბში ჩახედა.

ჩახედა და თითქოს, მკრთოლდნაგლობისაგან შეკრთაო, ჯუღღკოცოცხუვა: თედორეს თვალთა გამომეტყველებას არაფერი სასულიერო და სადიდმარხვო არ ახლდა. ნექტარინას მაშინვე თავში გაუელვა:

— რას შემომღნავის ეს ანაფორიანი?!...—და თავი საჩქაროდ განზე მიიბრუნა, თითქოს რაც იგრძნო, ამას არ უნდა ჩაუღრმავდესო, მხოლოდ გულში მაინც გაივლო:—მაშ ჯერ კიდევ... ჯერ კიდევ ჩემი ეშხი მოქმედებს... ჰჰჰ!—აქ ერთი ამრეზით აათვლიერ-ჩამოათვალიერა თედორე სისორდია. გაიფიქრა:— მერე ვისთვის? ამისთვის!—და გულით ამოოხვრას ხმამალა ამოაყოლა:—ვაი ჩემი ცოდვა.— შემდეგ სრულიად უხუმარი საზე მიიღო და ისე შეეკითხა:

— მართალია, რომ ვნებათ კვირეში მიცველებული ნამდვილად ცხონდებო?

თედორე თავბრუდახვეული თუ იყო, ლულულდით შეეპასუხა:

— რა მიბრძანეთ?

— რომ ამბობენ, ამ კვირეში ვინც მოკვდება, მისთვის სამოთხის კარი გადებულიაო, მართალია?

— ასე მოგახსენებენ.

— ბედნიერი ყოფილა საცოდავი იოსე...

ამასობაში ეზოში, როგორც იყო, ცხენებზე შესვეს სტუმრები. მასპინძლები ძალიან ფათურობდნენ და განსაკუთრებით უცხოელებს დასტრიალებდნენ თავსა, მათ ცხენებს უნაფირსა და მოსართავეებს უსინჯავდნენ, თუ სადმე არ მოეწონებოდათ, ხელახლა ზდიდენ ცხენებს უნაგრებს ჯა ზელახლა ჰკაზმავდნენ. ამასობაში დრო გადიოდა. უცხოელები კი ნერვიულობდნენ, მხოლოდ ვოლკოვი იყო მარჯვედ. ის ზველაზე წინ სხვების დაუხმარებლად მოახტა ცხენს და ახ-



ლა გამარჯვებულევით გამოიყურებოდა თავის სიმაღლიდან, თან ჟხაროდა, რომ ფიცხი ცხენი შეხვდა, მოუსვენარი, მტოკავი, თითქოს ცეკვავსო. თვითონ კი მაგრად აკავებდა ცხენს და მხედრულის სიამაყით იმსჯელებოდა, რომ თავის მერანს ყელს მშვილდურად აღუნევენბდა. გაიქცირებოდა აივნისაკენ—ეგებ ქალებმა დამინახონო, მაგრამ იქ ამჟამად ნექტარინასა და თედორე მღვდელის მეტი არავინ არ იყო.

გუტატი კი მიუხედავად გუჯა ფალავას წინააღმდეგობისა, ლევარსის მაინც ასე ათათბირებდა.

— როგორც დათქმულია, თუ ამ სამოთხ დღეში ვერა, სააღდგომოდ მაინც ისევ აქ უნდა დააბრუნო სტუმრები. ხომ იცი ჯერ მენჯი-რობუ ზეირიანად არც კი დაუთვალეირებიათ. არა, ბატონო, გუჯა, არა, ნუ მეწინააღმდეგებით! თქვენი, ფალავების პურმარლის ამბავი როგორ არ ვიცი, მაგრამ გეფიცები, კნიაზო, რომ მქვენიერობას ყველა ამით გაახლებთ ბანძას და მეც გაახლებით...

— ჰო, ჰო, შენი იმედი მაქვს შენი, გუტატი! ძალიან მარიფათიანი ყახაზი ხარ...—წარმოსთქვა გუჯამ და შემდეგ ხუმრობით ბარამსა და ბეგის მიუბრუნდა, თან თავი გუტატისკენ გადაიქნია:

— რაში ჩამოგივარდებათ, თუ გიყვარდე, ეს ძალისმეილი, ესა?—აქ ფალავამ თავის ხმას მგობრული კილო მისცა და შემდეგ განაგრძო:

— ნამდვილი გვირგვინიანი არ არის?

ბარამი მიუხედა გუჯას ჩამოკრულს, მაგრამ ვითომ ვერ გაიგოვო, გულუბრყვილოდ უპასუხა:

— აჰი, ჩვენც ძმად მიგეაჩნია! ლევარსიმ გუტატის გადაუჩურჩულა:

— აბა, გუტატი, შენი იმედით ვარ... რომ დაებრუნდები, კარგი ამბით დამხედი...

გუტატიმ თავი დაუქნია მხედის ნიშნად.

ამ დროს იყო, რომ მათ კესარიამ შემოუერთდა, მაგრამ მხედრული მისი დანახვით არავის არ გამოუთქვამს. არც სტუმრებისათვის გაუცენიათ. გულგრილობა ეტყობოდა მათ შეხვედრას, მხოლოდ ვოლკოვს კესარიას დანახვაზე მისთვის თვალი არ მოუშორებია. კესარიამ შეამჩნია მასზე მიშტერებული ვოლკოვი და შეიძლება ამიტომაც სტუმრებს მანამ არ მოშორდა, სანამ უცხოელები ცხენებზე არ შესვეს. აქ კი კესარიამ გულიანად გაიციანა.

— შეხედეთ, შეხედეთ აღვირი როგორ უჭირავთ?

უცხოელებს აღვირი ცალცალკე ხელში ეჭირათ, თითო ღვედი თითო ხელში. ამას სამეგრელოში მიჩვეულნი არ იყვნენ, აქ მიღებული იყო, რომ ორივე ღვედი აღვირისა ცალ-ხელში, მარცხენაში დაჭირათ და მარჯვენაში კიღევ მათრახი. ამიტომაც უცხოელების ასეთი ჩვეულება მარტო კესარიას არ გააკვირვებია, მხოლოდ ბარამმა შენიშნა, რომ აღვირის ასეთი დაჭერაც მიღებულია სხვაგან ხშირად ჯარში, კავალერისტებიც ასე იქცევიანო და იქ მყოფთა ვაკვირვება ამითი თითქოს შენეღდა.

სტუმრები უკვე გალაგდნენ ნექტარინას ეზოს ჭიშკარში.

კესარიამ კი აივანს მიაშურა თავის ბავშვით.

სრულიად შავებში იყო მოსილი მონაზონივით და ეს შავი ფერი მის სახის სითეთრეს კიღევ უფრო ამკლავებდა. სახეს კი შესდგამდა სურათა, მომცრო ცხვირი, პაწია ბაგე-პირი, მშვილდურად მოზრილი შავი წარბები. თვალები კი თითქოს რუხი წყლისფერი ეგრევე ცვალებადი, როგორც წყლის ჭავლი, გრძელ წამწამიანი, ყუყუნა და ეშხით საესე. მაგრამ ყოველივე ეს მიჩრდილული იყო თითქოს კლდემამოსილების

იერთ, რაც უახლოვდებოდა ერთგვარ თავის მოსაწყლებას.

და მართლაც, ნექტარინასთან მისალმებისას სრულიად საცოდავად გამოიჩინა თავი. ჯერ შორიდან დაბლა თავი დაუქრა, მერე მიუახლოვდა, მკერდს ეამბორა და ხელზე აკოცა. ნექტარინა კი ადგილიდანაც არ დაძრულა, ისე მიიღო კესარიასაგან თავმდაბლური შეგებება, მხოლოდ ეს უთხრა ცივის კილოთი, გულის გარეთ:

— რას შვრები, კესარია, როგორა ხარ?

— რას ვიხამ მე უბედური დღის გაჩენილი? ვსუნთქავ!.. ეს რომ არ მყავდეს, ან კი რაღა სასიცოცხლო პირი მაქვს ქვეყანაზე!—და თავის ბავშვისაყენ მიიხედა.

თედორემ და ნექტარინამაც ბავშვს გადახედეს. კარგა ჩამკვრივებული ბავშვი იყო, ეტყობოდა, რომ თავის ხანზე უფრო დიდად გამოიყურებოდა. თავჩაღუნული ჯიუტად იდგა, პირდაპირ არ იცქირებოდა, წარბებქვეშ ველურად თვალებს აელევებდა.

ნექტარინამ დაუზოგავად წარმოსთქვა:

— ეგ რა არის? კუზინია?

ამის თქმაზე კესარია ისე ვადაფითრდა, აღამიანს ეგონებოდა გული შეუღონდაო, თუმცა მისი თვალები ისეთი ვედრებით შესცქეროდნენ ნექტარინას—ნუ იტყვი მაგას, ბავშვს ნუ გააგონებო,—რომ მართლა საცოდავი ვახდა, თან ხელებიც გაასავსავა, თითქოს უშლის ნექტარინას—ნუ ხარ ასე სასტიკიო, მაგრამ ნექტარინას ამისათვის ყურადღება არ მიუქცევია, მაინც წარმოსთქვა:

— მაზინჯი შვილი გაიჩინე, შე უბედური?

კესარია სულ ჩაკვდა. ბავშვმა კი ერთი ისეთის ზიზღით და გესლით სავსე თვალებით ამოხედა ნექტარინას, რომ ამის დამნაშავე თედორეს კინალამ ფერბ ეცვალა. ნექტარინას არ დაუნა-

ხავს, ისე კი თითქოს იგრძნო თავის სისასტიკე კესარიასადმი და შერს გამოსაკეთებლად ასე ანუგეშა:

— თვალების მუცხვანობა კი გვირგვილიანებისა აქვს...

— არა!—ხამამალა წამოიძახა ბავშვმა და ნექტარინას ზურგზე შეაქცია.

— როგორ? არ გინდა რომ გვირგვილიანი იყო?—ახლა ცოტა უფრო ღმობიერად შეეკითხა ნექტარინა.

ბავშვი არ მობრუნებულა ისე, თითქოს თავისთვის, უკმეხად წამოიძახა:

— მე ჭა ვარ!

თედორეს ახლა გაახსენდა, რომ კესარიას „მაცდუნებელის“ გვარი მართლა ჭა იყო, მაგრამ საიდან იცოდა ეს ამბავი ბავშვმა, ამას კი ვერ მიმხვდარიყო: ნუ თუ დედამ უთხრა? ნუ თუ იცის, რომ ბუშია?

აივანზე ბარონესა გამოვიდა და იქაურობა რომ დაინახა, იგრძნო, რომ იქ მყოფი ყველა რაღაც უხერხულ მდგომარეობაში იყო. ნექტარინას შეხედა და თვალებით შეეკითხა—რა ამბავიო.

ამის სამაგიეროდ ნექტარინამ გააცინა:

— კესარია, ბარამისა და ბეგის და... ჩემი მული.

ბარონესა წამოვიდა და დიდის თავაზიანობით კესარიას ხელი ჩამოართვა, თან შეეკითხა:

— ეს თქვენი შვილია?

— დიალ, ჩემო ბატონო.

— გამარჯობა შენი, ბიჭუნა!

„ბიჭუნა“ მობრუნების მაგივრად კიდევ უფრო განზე გაიწია.

— რა მიუკარებელი ყოფილხარ?—სათნოდ წარმოსთქვა ბარონესამ.

ბავშვი მიხედა, რომ ეს სიტყვები მას ეკუთვნოდა და კვლავ ზურგშემობრუნებულად წამოიძახა:

— ასეთი ვარ.

— ოჰო!—სიცილდაყოლებით შეიკვირა ბარონესამ. კესარიამ კი დატუქსვით მიმართა თავის ვაჟს:

— რა დაგეშართა, იეროთოს?

— როგორ, როგორ?— ისევ ბარონესამ შეიკვირვა,— უცნაური სახელია.

— რა ვიცი, შენი ჰირომე! ნათლობის დროს მღვდელმა, ჟამში ეს ამოუვიდაო, და ასე დაარქვა: იეროთოს! ყველას უჭირს თქმა, მეც მიჭირდა, ახლა შევეჩვიე...— შემდეგ შეცვალა საუბარი მოსაბოდიშებლად.— ხანდახან იცის ასე ჯიუტობა, თორემ ისე კეთილი გულისაა და ძალიან ნიჭიერი...

— დედა!— უკმაყოფილოდ შეუძახა კესარიას იეროთოსმა.

მაგრამ ამისათვის დიდი ყურადღება არავის მიუქცევია. კესარიამ კი ჯიბიდან ამოიღო ჩალათიანი ბარათი და გადასცა ნექტარინას.

თედორე მღვდელმა დრო იხელთა და იჭაურებს თავის დაკვრით გამოეტოვება.

— ეს ქუთაისიდან კანდიტერ სანიკიას მეუღლემ მოგართვათ.

— ოო, ჩემი სალომე, ჩემი... ტაია რატომ არ გამოუშვა, ნეტავი, ამ სააღდგომოდ?

— რა მოგახსენო, გენაცვალოს ჩემი თავი, მანდ წერილში ეწერება.

აივანზე ძილხან გამოვარდა.

— ქალბატონო, ქალბატონო! ბენოია—ურია მოვიდა.

— კარგი და იქ ამოიყვანე, უკანა აივანზე. მეც ახლავე მოვალ.

— ოო, ბენოია—ურია!—თითქოს დიდის სიხარულით წარმოსთქვა ბარონესამ,— ეს მშვენიერებაა? ახლა კი მოვრთავ შენ დარბაზს ჩემს გემოზე—ლიბოლით გადაულაპარაკა ნექტარინას და საჩქაროდ შინა ოთახებში მიიძალა.

კესარიამაც ამის შემდეგ მიმართა ნექტარინას:

— ნებას მომცემ მეც გავიდე უკანა აივანზე?

ნექტარინა ჩალათას ნაწიბურს ხევადა, მაგრამ უეცრად თავი აიღო და ძილხანს თვალები შეანათა:

— ძილხან!— თითქოს ვისსოვდეს, რაც წელან გითხარო, და შემდეგ მიაცილა.— გააცილე! ეჩქინეული

— ზღუდე ჩიქოთიქა

ბენოია პირდაპირ ნექტარინასთან ამოსულა.

ბერთეშში რომ ჩამოვიდა, პირველად უთუთიას ქვრივ-ობოლს ეწვია.

საოცარი კაცი იყო ბენოია. სრულიად არ ჰგავდა მეწვრილმანეს. ჯერ ერთი მოყვანილობითაც ახოვანი და კარგი შესახედი იყო და თითქოს სულ არ უხდებოდა კურტინიანი ცხენით სიარული და ფართლით და გუნდა-ლახუსტაკით ვაჭრობა. ამას ზმირად პირშიაც ეუბნებოდნენ და ისიც გულიანად ხარხარებდა.

„ქნიაზობა უფრო შემეფერება, ჩემი რჯულისამაღლმა, მაგრამ ისრაველი ვარ და არ გამოდისო“,—აპყებოდა ისიც შეხუმრებულებს, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ თითქოს ნაკლებად ახლდა ჩარჩი ვაჭრის წუწურაქობა. ის გულღია იყო და ფართო გაქანების აღამიანი. სოფელში რომ შემოდიოდა, სხეუბივით არ გაპყვიროდა „საწვრიმალო, საწვრიმალო“, ან „ფართალი, ფართალი“. ის მხიარული სახით, სიცილით და ხუმრობით ეგებებოდა შეხვედრილებს და ეს შეხვედრილები უკვე მთელს სოფელს მოსდებდნენ ბენოიას მოსელის ამბავს.

მას თითქოს სწამდა, რომ ყოველ სოფელში შეჰქონდა სიხალისე და კმაყოფილების გრძნობა, რომ ყოველ არშინ ფართალში მყიდველისათვის მას ბედნიერება მოჰქონდა. ამიტომ იყო ოვითონ მხიარული, მოცინარი და ცოტა როხროხა მოლაპარაკე.

სოფლებშიაც უყვარდათ ბენოია, რადგან ჯერ ერთი მეძვირე არ იყო და არც ჰინწყული ვაჭარი. ნისიაც უხვად იცოდა, მართალია, შემდეგში თუ ფულად არა, სიმინდით მაინც ახდევინებდა მოვალეებს გახესხებულს, მაგრამ თუ უჭირდა ვისმეს გადახდა, კი-

დეე ადროვებდა და შეწუხებით არასოდეს არ შეაწუხებდა.

ხალხი ამბობდა კიდევ: ეს „ურია“ კი არა ვილაც ღვთისნიერი აღამიანია, „ღმერთმა ააშენოსო“.

ბარამი ზომ „ზეთერ ყორანს“ ეძახდა:—როგორც თეთრი ყორანი არავის უნახავს, ისე ბენოიასთანა ურიაც ჯერ არავის გაუგონიაო,—მაგრამ თითონაც გრძნობდა, რომ ბენოია როგორღაც სულ სხვანაირი ნაჭედი აღამიანი იყო. ძალიანაც უყვარდა მასთან საუბარი, რადგანაც ბენოიამ მუდამ „ცა და ქვეყნის ამბავი“ იცოდა და მუდამ ახალ ცხელ-ცხელი ამბების მომტანი იყო. ასე, რომ ბარამის გარდა სოფლელები ამისათვისაც ეტანებოდნენ ბენოიას.

თავის ფუთებს რომ გაშლიდა ბენოია და ნაირ-ნაირ ჭრელ-ჭრულა ჩითებს რომ გადმოალაგებდა ან საწვრილ-მანო ხის ყუთს რომ გახსნიდა და სავარცხლებს, ლეკვერთხებს, „შპელ-კებს“ და სხვა ამისთანებს რომ წარუდგენდა სოფლის ქალების გაცეცხებულ თვლებს, შიგადაშიგ ჩააყოლებდა.

— ჩემი რჯულის მადმა, კორმის ქალი გათხოვილა უშაფათში.

ანდა:

— საწყალი ლევარსი, — ამასწინათ ნოქალაქევეში რომ დაიჭირეს, ზომ გაუციმბირებიათ!..

ამას კი მოჰყვებოდა ქალების შეცხადება და ერთი ვაი-უშველებელი. აქედან წასული კი სხვა სოფლებში ბერთემის ახალ ამბებს გადასცემდა და ასე, მაგრამ ბენოიას თავის წმინდა მოვალეობად მიიჩნდა ქვრივ-ობლების ოჯახებში მისვლა და იი ახლაც, ბერთემში შემოსვლისას, პირველად უთუთიას ოჯახს მიადგა. კარგად იცოდა უთუთიას ქვრივ-ობლის გაჭირვებული მდგომარეობა, მაინც უნდოდა, რამდენადაც შეიძლებოდა, სააღდგომოდ ესენიც გაეხარებინა.

უთუთიას ეზოს, რომ მიადგა, ქოხის

„აბარწაზე“ ერთი ფეხშიშველი, შავ-ტრუხა გოგო იქაურობას „ფენჯვირეს“ ცოცხით ჰგვიდა.

— ჩელა, ჩელა! — ეტყობოდა მესძახა ბენოიამ, — დედა შენი სად არის? არ არის სახლში?

— სახლშია, მაგრამ ეწყობა, სატირალში მიდის.

— სად სატირალში? ვინ მოკვდა? — თან შემოალო ჭიშკარი და ცხენის ჩიჭიჩით აბარწის წინ გაჩნდა.

— ვინ მოკვდა, ბოშო? ვინ? — ახლა უფრო ახლოს გაიმეორა.

— ვინ და იოსე ხუბუნაია...

— იოსე? უი საწყალი! ჩემი იოსე, ჩემი! როდის?

— გუშინ.

— ოჰო, ზომ არ დამასწრო იმ წყეულმა... ელოია ზომ არ ყოფილა სოფელში?

ჩელამ გაიღიმა და ჩარახმული, ბროლივით კბილები გამოაჩინა:

— არა, არ ყოფილა... მაგრამ—აქ ცოტა შეყოყმანდა ჩელა, მაინც თქვა:— ელოიას შენ გვიჩვენებხარ...

— უი, შეხედე ამ მატრაკვეცას!.. როგორ გაზრდილხარ, გოგო! ვაი, რა უთხრა ამ რჯულის საქმეს, თორემ, ღმერთის მადმა, ისეთი ვაჟი მყავს, ჩემ რძლად წაგიყვანდი...

— დედაი! რას ლაპარაკობ!

— რა იყო, რა ამბავია, ვის ელაპარაკები, გოგო? — მოისმა შიგნიდან ხმა და ყვითელ ხამებში გამოწყობილი ჩელას ღედაც გამოვიდა აბარწაზე.

ყვითელი ხამი ეს უდიდესი, ღრმა მგლოვიარობის ნიშანი იყო და ახლო ჭირისუფალი მიცვალებულის ორმოცამდე უთუოდ ასეთ უხეშს და „გამოკენებულ“ ფერის ტანისამოსს ატარებდა. მხოლოდ ორმოცის შემდეგ შეექლო მძიმე შავების ჩაცმა.

ეს შენიშნა კიდევ ბენოიამ:

\* „აბარწა“ — ქოხის წინ აივნის თუ გრდოს მაგვარი ადგილი.

— რა არის, ქალო, კიდევ ხამები გაცვია?.. უკვე რამდენი თვეა ახლა, რაც უთუთია გარდაიცვალა? ოთხი, ხუთი თვე ხომ იქნება? ჰო და თქვენი წესითაც ამდენხანს ხამის ტარება არ შეიძლება.

— უი, დალოცვილო, ბენოია, ეგ დიდკაცების საქმეა. ჩვენ გაჭირვებულებს ვინ მოგვცა იმდენი ალლაკი, რომ ხამი ერთი წლის განმავლობაში არ ვატაროთ?

— ოჰ, რას ამბობ ერთი შენც... აგერ მაქვს, ქალო, იმისთანა შავი საქონელი რომ... აიღე!

— რას ამბობ, ბენოია, ავიღო რითი? სად რა გამაჩნია მე უბედურს?

— არაფერია, არაფერი! მე დაგიტოვებ და „ღმერთი დიდია, ღარიბო, გული ნუ შეგიშინდება“. ეს ჩემმა ბიჭმა მასწავლა, სადღაც წიგნში ამოუკითხავს.—თან კურტიდან გარდიგარდმო გადადებული ორი ფუთა ჩამოიღო და ხელში დაჭერილი ხის ყუთიც იქვე აბარწის ღირეზე ჩამოდგა.

— რას შვრები, რას ბენოია? ტყუილა არ გახსნა... ღმერთს გეფიცები, არაფერი მიბადია...

მაგრამ ბენოია არ უჯეროდა და ერთი ფუთა მაინც გახსნა.

— შენ კარგად ვეყვირე ქალო, წრეულს სიმინდი ხომ მჭვრავს იმეში გამოვიბრეო...

ქალიც თითქოს „ბედს შეურიგდო“ და მორიდებით, მაგრამ მაინც დაკვირვებით შეუდგა ფართლელის სინჯვას. ჩელას კი თითქოს თვალები გაუფართოვდა და შეფრთხივით დააქკერდა ნაირ-ნაირ ქსოვილს.

ბენოიამ გადმოალაგა და ერთი შავი ქსოვილი განზე გადადგა. თან ხელში რკინის არშინი აიღო.

— რამდენი მოგინდება?—და დაუწყო ზომვა.—ეს განიერი საქონელია... ოთხი გეყოფა?

ქალი ერთხელ კიდევ უარზე დადგა, მაგრამ ბოლოს შეთანხმდნენ და ოთხი არშინი გადაუჭრა ბენოიამ.

— შენ კი ძღაბი!.. აგერ დახედე!..—და ხის ყუთი გააღო, თან ერთი მოყვითალო, შუშის ბურთულებიანი მძივი ამოიღო...—აბა შეიბი ყელზე...

ჩელამ არ გამოართვა, დედას შეხედა. დედამაც ვერ მისცა ნება, ყოყმანობდა.

(გაგრძელება იქნება)

## ლექსები



### 1. ორი ობელისკი

კიდევე შევხვდით... რა სჯობს სიყრმის გახსენებას,  
მაგრამ ფიქრი, ძმაზე ფიქრი, არ მამშვიდებს.  
მე დავბრუნდი, დიდპატარა თავს მეველება,  
ის კი, ძმებო, უცხო ჭვეყნის საფლავში წევს...  
მახსოვს, როცა სამშობლოში ვბრუნდებოდი,  
გზად შეეჩერდი... აღარ ეცხოთ ლოდებს სისხლი...  
ბუღაპეშტში მშობლიური მზრუნველობით  
აღეშართათ შარმარილოს ობელისკი...  
ზედ ეწერა ოქროსფერი ასოებით:  
„აქ უმუხთლა ბედმა მშვერავ ჯარისკაცებს“...  
სადარაჯოდ შემორტყმოდნენ, გარს ლომები, —  
და ზეივნებს გაჰყურებდნენ ჯანლით სავსეს.  
სახელგანთქმულ ციმბირელთა გვარებს შორის  
საქართველოს შვილის გვარიც ანათებდა,  
ძმა ვიპოვნე ვალმოხდილთა სამეფოში,  
თვით სიკვდილშიც მამაცობდა მამაცებთან...

ახლა აქ ვარ... უნდა უძმოდ ვადავტეხო  
თეთრი შოთი დედის ხელით გამომცხვარი,  
უნდა უძმოდ ვთქვა სიმღერა საკახეთო,  
ვადღეგრძელო ცივგომბორი საოცარი...  
ნათქვამია, კარგი მოყმე ლაშქარს კვდება, —  
და ისიც ზომ ლაშქრობაში დაიღუპა,  
სადღეგრძელო გამაგონეთ ვაეკაცებმა, —  
ერუანტელმა დაგვიაროს რაინდულმა!..  
ხედავთ ჭადარს—მარტოხელას, მოშრიალეს,  
გზისპირას რომ შადრევნულად ატყორცნილა,  
ფოთლებიდან ისე ასდის ოზშივარი,  
თითქოს ყრმობა გაიხსენა დალოცვილმა...  
როცა ჯარში, წითელ ჯარში, გაგვისტუმრეს,  
რა პატარა, რა ფერმკრთალი იყო მაშინ...  
... ძმამ სახელი ამოჰკვეთა დანით გულზე.



თუ მოგვედო, მომიგონოს დიდობაშიც...  
 ახლა აქ ვარ... ვხედავ ჭადარს—ძმის სახელი  
 სიყვარულით ცამდე აუმაღლებია.  
 მზეში დგანან ჭერმაღალი ჭვის სახლები  
 და მწვანე ზღვა წამოსულა ბალებიდან...  
 დაილოცოს საქარველოს ცა და მიწა,  
 მისი მტერი, სადაც იყოს, თრთოდეს რისხვით...  
 თუ ძმას ბედმა აქ დამარხვა არ აღირსა,  
 ეს ჭადარი იყოს მისი ობელისკი!..



## 2. თონესთან

თონემ ფიჩხი, ხმელი ფიჩხი არ იყარა,  
 წალმის კონებს უმარჯვებენ გოგონები,  
 მეზობლები აპირებენ არიფანას,  
 მეც მათთან ვარ... ვტკბები სიყრმის მოგონებით...  
 ვლავს თონე, ნაპერწკლები ნაპერწკლებზე  
 ზეცისაკენ იჩქარიან დაფეთებით,  
 ლურჯი ჩოხა წამოუსხამს კახეთს მხრებზე,  
 იღვეიან შავი ღრუბლის ნაფლეთები...  
 აი უკვე აჭრიალდა მარნის კარიც...  
 მოაქვთ ვარცლი, ვარცლთან ერთად საფანელი,  
 რომ შოთები, მაღლიანზე მაღლიანი,  
 დაცხვენს... ორთქლი დატრიალდეს თაფლნარევი...  
 ეზოში ვარ, ვტკბები სიყრმის მოგონებით,  
 ზოგჯერ ფრთხილად ხის კენწეროს გაჰკრავს სიო,  
 თამაღურად გაუშლია გომბორს მხრები,—  
 და ალავერდს ეუბნება კაცკასიონს!..  
 სიამაყით ლამის გულმა გულის ბაღე  
 მთლად დაგლიჯოს, ამოვარდეს კალმახურად.  
 პოი, მთებო, თქვენს მიწაზე დავიბადე,  
 მუზარადად თქვენი ლურჯი ცა მახურავს...  
 თქვენ მარადეამს ზვიადობა თანა გდევდათ,  
 დღეს ნება გაქვთ—იყოთ უფრო ზვიადები,  
 რადგან დღეშმანს ვაწყვევლინეთ დაბადება,  
 არ დაუთმეთ კაცკასიის სიმაგრენი!..



3. თალარი



ისევ ისე თავმომწონედ დგას თალარი,  
 მტევნებს ნაში, დილის ნაში დასდებია.  
 ჩემი ფიქრი მასთან იყო, მასთან არი,  
 ბრძოლის დროსაც, თი, სად არ მზმანებია...  
 აქა მდგარა ჩემი ტკბილი აკვანი და  
 აქ მიხილავს მზის და მთვარის დაბადება,  
 ცეროდენას თურმე ფეხიც აქ ამიდგამს,  
 ეს თალარი ჩრდილს მაფენდა დალაღებად...  
 ამ თალარ ქვეშ უთქვამთ ჩემთვის იაენანა  
 და თვით ენაც ამ თალარქვეშ ამომიდგამს,  
 ფეხთ მიწლიდნენ ვაზის ფოთლებს ფიანდაზად  
 ჩხებს შევტრფოდი, რქაწითლისას, ბალღობიდას  
 ისევ ისე საფერაობს საფერავეი,  
 რქაწითელიც ისევ ისე რქაწითელობს,  
 ბუდეშურიც მხვდება ღამე ნათევარი:  
 — უშენობით ღამის ცრემლი დამცვივდესო...  
 ბალახები, ცვარდაყრილი ბალახები  
 ომგადახდილს მიკოცნიან ჩექმის ყელებს,  
 ძველებურად მიხმაურობს დაბლა ხევი,  
 და ატმისხეც ძველებურად ყელს იღერებს...  
 მოგონებამ ძველი ცეცხლი შემომინთო,  
 სიმხურვალემ შუბლზე ოფლი დამაყარა,  
 — მოდი, ჩვენ ხომ უკვდავებას ვჩემობდითო,  
 მუხამ სიტყვა დამახალა ჯანმავარმა...  
 და ფარაჯა ტყვიისაგან დაცხრილული  
 მე თალარის ხარისხზე გადავიდე,  
 ოცნებაში გაჰქრა ნისლის ნაწიბურიც,—  
 სიჭაბუკის მზემ დაჰხედა ხალათს კიდეც...  
 ჰე, ვაზებო, ჩემო სიყრმის კელუბტრებო,  
 თუ ჩემს გულში კიდეც სუნთქავს თქვენი მადლი,  
 თუ მე თქვენგან ამღერება ბედად მერგო,  
 ნუ გეჭნებათ ნურასოდეს ჩემი დარდი...  
 მართალია, ომმა ომის ხმა მარგუნა,  
 მაგრამ ხმაში თქვენი სიტკბოც არ გამჰრალა,  
 — ომზე მღერას თვით ბადაგის ძალაც უნდა,  
 ზორემ ეანგი შენს სიტყვასო მთლად დამფარავს,—  
 ამას ვგრძნობდი, როცა სანგრებს სეტყვასავით  
 ბნელ ღამეში დაჰხვივოდნენ ყუმბარები,  
 ამას ვგრძნობდი, როცა მხედარს მერტყა ხმალი,  
 როცა სივრცეს ეღერა ჰვეთდა უზანგების...  
 განა გავძლებ, არ დავემხო თქვენს მუხლებთან,  
 არ დაელოცო ძალა თქვენი ფესვებისა?!



განა გავძლებ, ვიდგე ასე ხელუხლებლად  
 როცა ქვეყნად გადარჩენა მეც შედირსა?!  
 განა გავძლებ, მაგ ფოთლების არალულში  
 არ გავხედო კავკასიის მაღალ ბურჯებს,  
 ან ამ გომბორს, ნიავე რომ ფაფარს უშლის,  
 არ ვემთხვიო ერთხელ მაინც ამაყ გულზე?!  
 მაღლი მაღლობს, ვაზზე ტევა აღარ არი,  
 ეხედავ მერქნებს უძნელდებათ ფეხზე დგომა,  
 დღეს ჩემს სულშიც დგას თალარი ვაზმრავალი,  
 მგეგობარო, დროა ერთად შევხვდეთ რთვლობას!..



## ალანის-პირას

★

თელავის ბურჯის ვიწრო სარკმელთან მდგომმა ცისკო დიდოძემ ზარნიშაინი ფარი მოიხსნა. თვალი მოსწყვიტა ქალაქში შემომავალ გზას, რომელსაც გარიყრაყიდან უმზერდა.

— იგვიანებენ... — სთქვა და მზერისაგან დადლილი თვალები შეასვენა. თავდახრილმა ხმლის ვადაზე ამოჭრილ პირდაღებულ ლომს ხელი გადაუსვა. ხმაღმა ასპინძის ომი მოაგონა. თვალწინ გამარჯვებულ მეთე ერეკლე წარმოუდგა.

— დიდოძე, ამ ბრძოლაში ფშირობისა და თავდადებისათვის ჯილდოდ ეს ხმალი მიბოძებია! — უბრძანა მაშინ მეთემ. ცისკოს სიხარულმა სახე აუწვა, მუხლმოყრილმა მეთეს ხმალი ჩამოართვა.

ეს ის ხმალია.

მოგონებამ თვალის უბეები დაუნამა ქაბუკს. ხელის გული მაგრად შემოაჭოდო ძვირფასი იარაღის ვადას და ისევ თელავის გზას გახედა.

თენდებოდა. ისრებივით წამოსულმა მზის სხივმა ცივ ვომბორის მთაზე ნისლი აკრიფეს. ცისკომ თვალი აადევნა ნისლების სრბოლას.

მაგრამ მცირე ხანში იმისი უძრავი ტანი სიხარულმა შეატოტმანა.

— მოდიან! — შესძახა ბურჯის კედლებს. ხელით მზე დაიჩრდილა. კარგად არჩევდა ძველ გალავანთან მწყობრად

მომავალ ცხენოსანთა ჯგუფს, რომელთაც გარშემო მხრებზე ფარებდაწყობილი მთიულეები შემოხვეოდნენ.

— მოდიან! — გაიმეორა ცისკომ. ბურჯის ხვეულ კიბეზე ხელეზგაშლილი ჩამოეშვა და უმაღვე სასახლის ასპარეზზე მყოფთ დამბაჩის სროლით ლევან ბატონიშვილის მოსვლა აუწყა.

გალავნის კარები ფართოდ გაიღო. მოახლოებული ბატონიშვილის შინდისფერმა ყარაბაღულმა იფრინდამ დაიფშვინა და რამდენიმე ნახტომის შემდეგ ქაბუკი მხედარი გალავნის შიგნით შეიტაცა.

— დღეგრძელი იყოს ბატონიშვილი ლევანი — გაისმა ხმები ფშავ-ხევსურებისა, რომელთაც შემართულ ხელეზში შიშველი ხმლები უელაედათ.

— დღეგრძელი იყოს თქვენი მარჯვენა! — უპასუხა ბატონიშვილმა. ღონიერი მკლავებით მოზიდული ლაგამით აქაფებული ბედაური ლაშქრის წინ უქანა ფეხებზე შეაყენა, ოჭროს ბალთებიანი ავშარები მუწუხანგეებისაყენ გადაისროლა და ცხენიდან გადმოიჭრა.

წინ წარუდგა დამხდური კახეთის სარდლობა. მაგრამ ბატონიშვილის ყურადღება ცაცხეებისა და ქადრებისგან დაჩრდილოულ ასპარეზზე იყო მიმართული. იქ, მაღალ გალავანთან ჩარიგებულ მორიგე ლაშქარს მოეტაცნა ქაბუკი სარდლის ყურადღება.

ამალიდან დემეტრე ორბელიანი და სოლომონ ლეონიძე გამოიძახა და იმათი თანხლებით ლაშქრისკენ გაემართა.

მიმავალმა განაპირებული დიდოიძე შენიშნა, იცნო ასპინძის გმირი, შედგა, თუშეთის ამბავი ჰკითხა. თუშეთის ხსენებაზე ცისკომ თავი მალლა შემართა. ჯერ ლევანის მხარზე გადაჭიმულ ორდენის ლენტს დაამტერა ლურჯი თვალები, მერე თვალი გაუსწორა მეფისწულს.

— თქვენ შესახვედრად მცირე რაზმით ვარ წამოსული, ბატონიშვილო.

— სალაშქროდ თუ ემზადებიან დანარჩენნი?...

— ჩვენ ნიადაგ სალაშქროდ ვართ მომზადებული, ბატონიშვილო.

ცისკოს სიტყვა დაუმძიმდა. ძლივს გასაგონად, ყრუ ხმით მოახსენა:

— ბატონიშვილო, ლეკები ხარკსა გვთხოვენ.

— მერე? — ლევანს წარბების შუა ნაოჭები გადაეკიმა.

— ჩვენს პასუხს უცდიან, ბატონიშვილო!

— მეც სწორედ მაგ პასუხისთვის ვარ აქ მოსული, დიდოიძე. თქვენ რას აპირებთ?

ბატონიშვილმა თვალი თვალში გაუყარა ცისკოს. შენიშნა, რომ მისმა სიტყვებმა თუშს ტანი შეუქანა.

— თუშები უნჯ ყმებად გვიგულე, ბატონიშვილო! — შესძახა დიდოიძემ და პრელწინდებიანი ფეხები მიწას ლონიერად დააბჯინა. გრძელი მარჯვენა ისე ფართოდ გაშალა, თითქოს ლევანის გულში ჩაკერა სწადილი.

— ჩვენი პასუხი ომი იქნება! — ხმაძალა ბრძანა ლევანმა და მორიგე ლაშქრისკენ გაემართა, რაზმს ჩაუარა.

ზოგის ტანზე ოქროთი და ვერცხლით ნაჭედი იარაღი. ელვარებდა. ზოგს მხრებზე შემოლილი კონდახიანი თოფები გაედგა. ბევრნი უიარალოდაც იდგნენ გრძელ სატყვერებზე ხელ-წაველებულნი.

არ მოეწონა ბატონიშვილს უნებურად შეადარა პეტრე ბუროს ნახული ერთფერებში გამოწყობილ რუსის ჯარს. მზისაგან გაშენსკლანსხე სინანულმა დაუჩრდრდა.

— ბატონიშვილო, მეფემ გაკირვების ეკამს ასეთი ლაშქარი ყველაზე უმჯობესად გამოარჩია. — ლევანმა ხმისკენ მოიხვდა: სოლომონ ლეონიძე ედგა ახლოს.

— ბატონიშვილო, თქვენ უკვე უწყით, რომ დარბაზმა ამ ჯარების მთავარსარდლობა თქვენ ჩაგაბარათ.

ლევანმა დინჯად შეანათა ლეონიძეს დიდრონი წყლიანი თვლები.

— ამით, ბატონიშვილო, — განაგრძო ისევ სოლომონ ლეონიძემ, — ლეკ-ოსმალებისაგან აწიოკებული ქართლ-კახეთის ბედი თქვენ და ამ ლაშქარს მიანდო ჩვენმა დიდმა მეფემ.

— ჰმ... მე და ამ ლაშქარს, — გაიმეორა თავისთვის ლევანმა და უიარაღების წინ შესდგა. მერე სახე რალაც აზრმა ისევ გაუშუქა, სწრაფად შეტრიალდა, მოლარეთუხუცესი იხმო და უიარაღობზე ხელით ანიშნა.

— აი, ამათ ფიცის ქვეშ სამეფო სალაროდან იარაღი მიეცით.

მოსულთა შორის ლევანმა ასპარეზზე სვიმონ მაყაშვილი შენიშნა. შესახვედრად მისკენ გაიწია.

— უფლისწულო, — შუბლსა და გულზე ეამბორა მაყაშვილი, — შენ სანახავად თბილისს სიბერის გამო ვერ გეახელი, — მოიბოდიშა და ბრვე ტანზე ოქროსედიანი ხმალი შეისწორა, — აქ უნდა გვაუწყო, რუსთ ხელმწიფისაგან რა ამბავი ჩამოგვიტანე, შენმა ღესპანობამ როგორ გასჭრა, ბატონიშვილო?

„რუსთ ხელმწიფისაგან რა ამბავი ჩამოგვიტანე“, — ელვის სისწრაფით მოედვა ასპარეზს ეს სიტყვები.

გავანიერებული თვლებით შესცქეროდნენ იქმყოფნი ბატონიშვილს, აბა რას იტყვისო.

მხრებგამართული იდგა ლევანი. გამ-  
ლილი შუბლი ნაოქებად ემეცებოდა:  
მკერდზე მოელვარე ანდრია პირველ-  
წოდებულის ორდენს შეაელო თვალი,  
თითქოს ამით ეწადა ეთქვა:

— ჯერხანობით რუსთ ხელმწიფისა-  
გან ამის მეტი ვერაფერი მოგიტანე-  
თო.

მაგრამ გაყუნდა. ბატონიშვილის პა-  
სუხის ნაცვლად ქადრის ფოთლები  
შრიალეზდნენ.

ლევანმა ხალხში თვალი შეასწრო  
თაეის მეგობარს, თელაველ მწიგნო-  
ბარს და ფილოსოფოსს ფილიპე ყაით-  
მაზაშვილს. ისიც ლევანის პასუხს  
ელოდებოდა. თავაზიანად მოიკითხა  
იგი ბატონიშვილმა:

— გახარებ, ყაითმაზაშვილო: კათა-  
ლიკოსმა რუსეთში დასტამბული მრავალი წიგნი ჩამოიტანა!

მერე ისევე მაყაშვილს, მიუბრუნდა,  
მხარზე ხელი გადახვია:

— დარბაზობის. ემას მოგახსენებ  
ყოველივეს, ჩემო ლალა.

II

სასახლის შემოსასვლელთან ბედა-  
ურთა ფეხის ხმა არა წყდებოდა. ბატო-  
ნიშვილის მოსვლა ელვის სისწრაფით  
მოსდებოდა კახეთს. აქა-იქ ცრუ ხმა  
დაერხიათ:

— თავდაზნაურობას „რეგულიდან“  
გათავისუფლების დასტური ჩამოუტა-  
ნია და დარბაზზე უნდა განაცხადოსო.  
ამ ხმას დაეძრა გომბორისა და ვარე-  
კახეთის მფლობელი კაკო ჩოლოყა-  
შვილი. მან არაბული ბედაური ასპარე-  
ზზე შემოაჯირითა. მდივანბეგ ქობუ-  
ლაშვილს ცხენდაცხენ მიეჭრა.

— ვაჟო, თქვენ თუ ვსმენიათ, რომ  
მეფეს ჩვენი ლაშქრიდან გათავისუფ-  
ლება უნებებია.

— საჩქმუნოდ ლაპარაკობენ, თავა-  
დო! — უპასუხა ქობულაშვილმა და  
ცხენიდან გადმოსვლა უშველა.

— დმერთს გეფიცებით, წარებულო,  
თუ მეფემ ჰემპარიტად ასე ინება. ხი-  
ხი-ხი! — ჩაიხითხითა ექვეყნაშვილმა  
და მომცინარე სახე წყველით დასრუ-  
ლებით შეიმშრალა.

— თუ ჩემს ფეხშიშველა ყმას გვერ-  
დით არ მოვუდექი, ისე ხმლის მოქნე-  
ვა დამეიწყებია! ყმას გვერდით ედგე,  
ეგ კიდევ, ვთქვით არა უშავს რა, ყმაწ-  
ვილო, მაგრამ იმათ საყლაპავ ულუ-  
ფას ჩემი ბელღები რომ უნდა იზდი-  
დნენ, ეს კი საკვირველია! უნდა მოგახ-  
სენოთ, რომ საქრისტიანო ჯერ ასრეთ  
კანონს არ მოსწრებია!..

კიბეებს აპყვენენ, დიდი დარბაზის  
შესავალ კარებზე კახეთის ბაგრატიო-  
ნების ღერბი მოსჩანდა. ლურჯ და ოქ-  
როსფერ საღებავებს ფერი წასვლო-  
დათ. მის გვერდით კედელზე გარკვე-  
ვით სჩნდა ფერადებით ნახატი მწყაზა-  
რი სახე შირაზში წამებული ქეთევან  
დელოფალისა. მარჯვნივ კახეთისათვის  
არანაკლებ ნაწამები შვილი თეიმურაზი  
ამოსდგომოდა. ცოტა მოშორებით არ-  
ხილ მეფის კავშირიანი სახე მოსჩანდა.

კარების წინ აწ გაუქმებული სასახ-  
ლის სახლთუხუცესი იდგა. სტუმრებს  
იღებდა. ისიც ბედს უკულმართობას  
უჩიოდა.

— რაც ერეკლე მეფემ ტახტი  
თბილისს დაიმკვიდრა, — წუწუნებდა  
სახლთუხუცესი, — ამ სასახლემაც მიი-  
ძინა. ჯერ ამ კიბეზე რამდენი უცხოე-  
ლი დესპანი ვიღოდა, — რუსული ქურ-  
ჩით, სპარსული ჩალმით, ვენეციურ წა-  
მოსასხამებსაც კი მოესწრებოდა.

თან ფარეშებს და შინაყმებს განკარ-  
გულებებს აძლევდა. ისინიც შეშინებუ-  
ლი ირეოდნენ, დარბაზში შენახული  
ვერცხლი, ზალი და სპილენძი მიჰქონდ-  
მოჰქონდათ.

სახლთუხუცესმა სტუმრები ზემო-სარ-  
თულში დაკიდებულ აივანზე აიყვანა.  
ჩოლოყაშვილის დანახვაზე, დაბალ  
ტახტზე დალაგებულ მუთაქა-ბალი-

შეხსნის მიყრდნობილი ხანდაზმული დარბაისლები ფეხზე წამოდგნენ, ჩოლოყაშვილმა მძიმე სალამით ჩაუარა მათ.

სალამო იყო. ჩამავალი მზე კავკასიონის ბებერ თავებს ძლივს დასწვდებოდა. სხივები მწვანედ უშუქებდა კალთებს. მთების ფერხთა წინ ხავერდად გაშლილ ველს ალაზნის ვერცხლის არშია მიჰყვებოდა.

— ეგებ პატარა კახი მართალი იყოს ამ „რეგულის“ შემოღებისთვის! — წაიბუტბუტა რიკულებთან მისულმა ჩოლოყაშვილმა. — ეს ედემის დარი ადგილები ლეკ-ოსმალებმა გააბილიკეს.

— დიდებულა, დიდებული ჩვენი კახეთი! — შეეხმინან აქეთ-იქიდან.

რიკულებზე-დაყრდნობილებმა ნაქალაქევ და ნასოფლარ ადგილებს ნაღვლიანად მზერა დაუწყეს. სიჩუმე იყო. მარტო სასახლის ბალიდან ფრინველთა ყრიამული-ლა მოისმოდა.

დუმბილი მალე კარების კრიალმა დაარღვია. აივანზე ფრთხილი ნაბიჯით შემოდიოდა ბეჟან ერისთავი. არაგვის ერისთავისთვის ქისტაურში გადმოსახლება არ ეკმარებინათ. თეიმურაზსა და ერეკლე მეფეს სასჯელად ნიადაგ საკინძის მარცხნივ შებნევა და ხმლის მარცხნივ ამოღება ებრძანებინათ მისთვის.

შემოსულს მრავალი თვალი მიაშტერდა, მუდამეამს შეამბოხე ერისთავების შთამომავალმა ახლა ეს მზერა, საკინძზე და ხმალზე მიმართული, უხმოდ და მორჩილად აიტანა.

მას უპირველესად ჭიზიყის მოურავი რევაზ ანდრონიკაშვილი შეეგება. გვერდში ამოუდგა უხმოდ, მერე ერისთავს ხეაშიადის გასამელავენებლად მიმართა.

— ძვირი დღეები დაადგა თქვენს ანანურის სასახლეს, უპირველესო თავადთაგანო! ამბობენ, ვით უბრალო ყმის კარ-მიდამო, ლევან ბაგრატიონისთვის უბოძებიათ! — დაასრულა ან-

დრონიკაშვილმა.

შუბლს-ქვეშ ცერად შეხედა / ერისთავმა, გამწყრალმა ქვეფეხებზე მოიკვინტა.

ნიკოლოზიძე

— არა უშავს-რა, მოურავო, წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარიჩხიანო.

აქეთ-იქით მიმოიხედა, ფრთხილად გაერიდა მოურავს. აღანძული სახით უმზერდა ერისთავი სპარსული სუფრის ფოჩებს; მერე სუფრაზე ჩარიგებული ვერცხლის ირმებიან აზარფეშებზე შემოატარა მზერა და ასე თანდათან მოწოლილი დარდი პატარა საგნებით გაიწვია.

მოდარბაზენი კარებში შემოსული ლევანის დანახვაზე წამოიშალნენ. ბეჟან ერისთავმაც შესაგებებლად მისკენ ნაბიჯი გადადგა.

მოლხენილი იერიტ მოდიოდა ლევანი. ახალუხის საკინძზე ჩაყოლებული ვერცხლით ნაქსოვი ქართული არშია ჩქარ ვულისცემას ვერ უმაღავდა. გვერდით დოსითეოზ ჩერკეზიშვილი მოჰყვებოდა. ნეკრესის მღვდელმთავარს, თუმც კოჭლი ფეხი მინანქრის ტანიან ყავარჯენისათვის დაეხეინა, მაგრამ ლევანის გვერდით მაინც სწრაფად მოაბიჯებდა. კაკლის-ხის მრგვალი მაგიდა ფარეშებმა ვერცხლის კოკებით ააჭრიალეს. დაგრეხილ-ყელიანი სურა და ყანწი უხმოდ მოჰქონდათ. პურობის მისაღებად ლევანს ერეკლე მეფის სკამი შესთავაზეს, მარჯვენა ადგილი სვიმონ მაყაშვილს მიუჩინეს, მარცხნივ სავარძელში დოსითეოზ ნეკრესელი ჩაესვენა. დანარჩენნი უფროს-უმცროსობით დასხდნენ. მაგრამ, სჩანდა, გვირაბში ჩაციებული კახური ღვინო არავის არ იტაცებდა. უხალი-სოდ ისმებოდა მეფე-დედოფლის სადღეგრძელოები. დარბაისელნი უფრო ლევანის სახის მოძრაობას ადევნებდნენ თვალს, რათა წინდამწინ გაე-

გოთ, რას იტყოდა რუსეთიდან დაბრუნებული ბატონიშვილი.

სვიმონ მაყაშვილი ფეხზე წამოდგა. თეთრი უღვასის ბოლო დაიგრია და შავ მუღის კაბაში მთელი სიმაღლით გაიპარათა.

— ბატონიშვილო, ასტრახანზე გაივლიდით... — ნელი ნაღვლიანი ხმით პკითხა. ყველა მიხვდა, რომ თავის დიდ მეგობარს თეიმურაზ მეფეს ახსენებდა. ლევანის პასუხის მოლოდინში სიჩუმე ჩამოვარდა. მარტო ყურთმაჯუების სარჩულის ფარჩა შრიალებდა აქა-იქ. ფეხზე წამოდგა ბატონიშვილიც.

— ჩემო გამზრდელო, ასტრახანში ორივე მეფის, პაპაჩემის თეიმურაზისა და მეფის ვახტანგ სჯულმდებლის საფლავები მრავალგზის ვინახულეთ.

მოდარბაზეების ხელში სიძე-სიძამარის შესანდობარის დასაღვევად ჩამოსხმულ ღვინოში შესველებულმა პურმა ჟონვა დაიწყო. აღარ დამსხდარან. დაგუბებულმა ვარაშმა სიღარბაისლევ დაავიწყათ, ყველა ერთად გკითხებოდა ბატონიშვილს:

— ბატონიშვილო, რა შეიტყვეთ რუსეთში? ტოტლებენმა აწყურთან რად გვიღალატა? ან იმპერატრიცამ ჩვენს საშველად გამოგზავნილი რუსის ჯარი უკან რაღად გაიწვია?

ლევანმა მძიმედ შემოატარა მზერა მოდარბაზეებზე:

— როდესაც რუსეთის იმპერატრიცამ ბრწყინვალე პორტაზე გალაშქრება გადასწყვიტა, ჩვენც ვითარცა საქრისტიანო ქვეყანა, მაშინ მოგვძებნა რუქაზე და ურწმუნოთა წინააღმდეგ ჯეაროსნული ლაშქრობა შემოგვთავაზა. მოგეხსენებათ, ჩვენთვის სულერთი იყო: ჩვენ ძველს მიწას, ჩვენს სამცხეს და ტაო-კლარჯეთს ჯვარი იხსნიდა თუ ხმალი, ამ ომს სიხარულით შევეგებენით. მაგრამ ტოტლებენი ჩვენ სამასწლიან ოცნებას ადრევე

მიხვდა. არ მოგვიწონა საბოლოო ზრახვები. რუსეთში ტანტთან დაგვასმინა და იმპერატრიცა ეგვიპტეში წაგვადგინა. — ლევანმა სახეზე ანფერული ყინულარების დასამალავად თასი ასწია.

დოსითეოზ ნეკრესელმა რისხვით შეარჩია ყვარჯენი და წარმოსთქვა:

— წყეულ არს! იგი რომ არ ყოფილიყო, შესაძლებელ არს ერეკლე მეფის ხმლითა და მამაცი რუსის ჯარით შუა ანატოლიამდე ჩავსულიყავით.

ლევანის დიდ თვლებში ცეცხლმა იელვა და სახეზე აღმურივით გადაურბინა.

— თქვენ იმას ბრძანებთ, მღვდელმთავარო, არა თუ სამცხეს, მაშინ თურქებისაგან ყველა წართმეულ ადგილს დავიბრუნებდით.

— უქველია, ბატონიშვილო! დავიბრუნებდით — ალტაცებით დაიგუგუნა დარბაზმა.

როცა დარბაზი ისევ დაწყნარდა, ბატონიშვილმა განავრძო.

— ქუჩუკ-კაინარჯის ზაეის დაღების ღლესასწაულს დავესწარი. გენერალმა რუმიანცევმა პირველმა შემოაჯირითა. თეთრი ბედაური დაფნის თალებში.

ისევ გაჩუმდა, აივანზე მოფარდატე გრილ სიოს შუბლი მიაპყრო გასაგრილებლად, მერე მოაგონდა პეტერბურგს ყოფნის დროს მიღებული შთაბეჭდილებანი.

— გრაფი პანინი სიმღერის კილოთი ოსმალეთთან დადებული ზაეის პირობებს გეკითხავდა. მან ახსენა იმერეთი, სოლოზონ მეფე, ერეკლე მეფის ხსენების მოლოდინში მე და კათალიკოსი გრაფს სუნთქვა-შეკრულნი მივსჩერებოდით, მაგრამ მას ქართლ-კახეთზე არცერთი სიტყვა არ დაუძრავს. მაშინ კათალიკოსმა ყურს ჩამჩურჩულა:

ამა არს სიკეთისათვის, ჩვენი ლოდინი ბატონიშვილო.

სთქვა თუ არა ეს ბატონიშვილმა უსიამოვნო მოგონებების მოსაშორებლად ხუჭუჭთმიანი თავი შეარხია და სულ სხვა ხმით განაგრძო:

— დარბაისელნო, ქართული იარაღის და მარჯვენის ქება ამ ომის დროს კიდითკიდემდე გაისმოდა, მაგრამ როგორც ხედავთ, ოსმალეთის ოინების წყალობით, ჩვენთვის სიკეთე დაითრგუნა და ომმა არავითარი შეება არ გვაგრძნობინა... ჩემო ლალა! — მიუბრუნდა მაცაშვილს, — იმპერატრიცამ ჩვენი ორი წლის ლოდინი ორი სიტყვით გადაგვიწყვიტა: თქვენთან ურთიერთობით ახლადდაზავებულ ოსმალეთს ვერ ვაწყენინებო!.. ჩვენი დესპანობაც ჯერხანობით ამით დამთავრდა.

— არა უშავს-რა, ბატონიშვილო. — შეაწყვეტიან მაცაშვილმა და ისეთი რისხვით აიწია, რომ იმის უზარმაზარ ტანზე ხმლისა და სატყერის ძეწკვებმა ეღრიალი იწყეს.

— თეიმურაზ მეფე ხშირად იტყოდა: „აბა, ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასე“! ჩვენც მტრებთან ზოგთან ხმლით, ზოგთან მუქარით ან ტკბილი სიტყვით როგორმე ლელო გავიტანოთ, სამშობლო გადავარჩინოთ!

ყველანი ფეხზე წამოიშალნენ, მაგრამ დარდი და შფოთი მაინც თან აჰყვათ.

— რით უნდა დავაცხროთ უზარმაზარი ოსმალეთი და აღვირახსნილი ლეკები?... — ნაშფოთ-ნაომარ გულებიდან ცხელ ტყიასავით ზუზუნით მოდიოდა შეკითხვები.

— უნდა დავაცხროთ! — გაისმა ლევანის ხმა. ყველამ შეხედა, სიფიცხეს სახე აელანძა კაბუჯისათვის.

— უნდა დავაცხროთ! — გაიმეორა

კიდევ ლევანმა, — ჩვენი ახალი ლაშქრით, ჩვენი რეგულით!

სამარისებური სიტყმეფეფეფე იგი დაარღვია მოურავმა [ჩვენმა] სამხრინიკაშვილმა, რომელმაც ჯერ დაახველა და შემდეგ წარმოსთქვა:

— ეგ არ ეგების, ბატონიშვილო! არ მოხერხდება!

მოურავს რეგულის შემოღება ისე არ აშფოთებდა, როგორც კაბუჯი ბატონიშვილის მთავარსარდლობა.

გამომწვევი ღიმილით გადახედა ანდრონიკაშვილმა იქმყოფთ, გაუკვირდა, რომ უმეტესობა ბატონიშვილისადმი მორჩილებას ამჟღავნებდა. თვალი დააშტერა ბეჯან ერისთავს, იმ ერისთავების შთამომავალს, რომელთათვისაც ეკლესიაც კი ლაღადებდა: — „ერისთავთა დაწყნარებისათვის ღმერთისა მიმართ ვილოცოთო!“ — ერისთავი ახლა მღუშარებდა.

„ამ თავადშიც შიშს სიყვარული შეუქმნიაო“, დამცინავი ღიმილით გაიფიქრა მოურავმა, და მისი აზრების მოზიარე შერამაზან აფხაზს გვერდით ამოუღვა.

— ბატონიშვილო! მაშინ უნდა დასწვთ ჩვენი სიგელგუჯრები, ჩამოგვართვათ ყმა და მამული! — გაისმა შერამაზანის ხმა.

მოურავს მომსხო ბაგეზე ბოროტი ღიმილი გადაეჭიმა, წინ წამოვიდა.

— ამდენ ომ-გადახდილებს, ბატონიშვილო, რეგულის განჩინება ბოგანო გლეხებთან გვათანასწორებს! თქვენ უწყით, რომ ბრძოლებისგან თვალეზზე რული არ გვეკარება და, აი ამის სამაგიეროდ მეფე ბეგარას გვახდევინებს! — კადნიერებით განაგრძობდა მოურავი. მაგრამ ლევანმა სწრაფი ხელის დაქნევით გააჩრა.

— სწორედ იმიტომ, მოურავო, რომ თვალეზზე მშვიდი რული მოგეპაროთ, მორიგე ლაშქარი საზღვრებზე უნდა

იმყოფებოდეს!—დამცინავი ღიმილით-ვე შეხედა ბატონიშვილმა. ავი თვალები შეაგება ანდრონიკაშვილმა. ლევანმა კი თვალი აარიდა მას და მრისხანე მზერა ყველაზე სათითაოდ შემოატარა.

— იმიტომ, რომ არ ძალგვიძს საზღვარზე ციხე-ბურჯების აშენება, რათა შიგ მცეცხოვნენი ჩაეაყენოთ! — ამბობდა ბატონიშვილი ნაწყვეტ-ნაწყვეტ. — იმიტომ დარბაზმა ყველას გვიბრძანა, რათა მეფემ, ბატონიშვილებმა, თავადებმა, გლეხებმა, უსახლკარო ბოგანოებმა, ყველამ საკუთარი მკერდით გაეამაგროთ სამეფოს საზღვრები.

— მართალი ბრძანებაა, ბატონიშვილო! — დაიქუხა ნერესელმა.

— თავადები ჩვენს მეფეს ხმლის მოქნევის აყვედრიან! იმ მეფეს, რომელსაც თექვსმეტი წლის ასაკიდან ხელთ ხმალი უპყრია, ყველამ უნდა უწყოდეს რომ თვითონ მეფე რეგულში არის ჩაწერილი! მეც, ღვთის მონა-მსახური, რეგულში ვრაცხ თავს! ვინ იქნება, თავადებო, ამის გვერდით გუშაგობაზე უარი თქვას! — და ამ სიტყვებით მღვდელმთავარმა ჯვარი ზევით ასწია!

ნერესელს ყველამ თავი დაუხარა, თავ-დახრილი იდგა მოურავიც, ფერადი ქვების იატაკს დასჩერებოდა.

...თენდებოდა. რიერაქს ცა მტრედისტრად შეეფერა, ნიავე სასახლის ბაღიდან ვარდ-ზამბახის სურნელებას ეზიდებოდა, აშლილ ფრინველთა ფრთების ტლაშა-ტლუში შორს გაისმოდა. მაგრამ მალე განთიადის აღმადრენა ბურჯიდაა წამოსული სალაშქრო ბუკის ხმით დაიფარა.

III



ბუკის ხმამ თელავს, კლავს, თან საომრად მზადყოფნა უწყვეტად სასახლის ასპარეზმა უმაღლე სალაშქრო ბორგვა დაიწყო. ყველგან აბჯარ-საჭურველის ელრიალი ისმოდა.

თავაწეული ბედაურები ტორებით მიწას სთხრიდნენ, უძრავად მდგომ მორიგე ლაშქარს შესვლიხეზებდნენ. ფშავ-ხევსურეთის რაზმი, თუმც პანკისთან უნდა შეხვედროდა ლევანის ლაშქარს, მაგრამ ისიც აქ მოსულიყო. რაზმის წინ მდგარმა დეკანოზმა თვალი მოჰკრა, რომ სასახლის კიბეზე ხევსურს საბრძოლო დროშა ჩამოჰქონდა. ეინგლილებიანი ალაში ძირს დაეხარა. დეკანოზმა თავის რაზმი ჩქარი ნაბიჯით წაიყვანა და დროშას ირგვლივ შემოახვია.

მორიგე ჯარში დრტყინვა გაისმა.

— ვაი დედასა, ჩვენ ჯარის ხალხს გვეძახიან! სახლ-კარს მოშორებულნი ტყე-ღრეებში მტერსა ვდარაჯობთ და განა ომის დროს დროშას ველარ ვუპატრონებთ.

წინ წამოვიდნენ ქიზიყელები, მუქარითა და რისხვით ხუჭუქქოჩრიან თავებს აქნევდნენ.

— ეუპატრონებთ, ეუპატრონებთ! დროშა ჩვენია, ლაშქრისაა! — დაიგუგუნა მორიგე ჯარმა. მაგრამ ლაშქარის მოგუგუნე ხმა დეკანოზის ცივად აკანკალებული სიტყვებით დაიფარა.

— დროშა ჩვენია. ლაშქარის ჯვარსა ვფიცავთ, ნებით არც არავის დავუთმობთ!

თან ძარღვიან ხელებს ტარსა სჭიდებდა. ჩაჩქანში ჩამოშლილ თერთ თმებს ქარი უჩეჩავდა. ქიზიყელებიც დროშას გვერდით აეტუხნენ. ფშავ-ხევსურებმა სატყერებზე ხელი შეივლეს, მაგრამ იმათ შუა თვალანთებული, მხრებ-გამწილი დიდოიძე ჩადგა.



— რას ურჩობთ, კახნო! პქონდეთ ხევსურთ ეს დროშა, ასპინძაში რამდენი ხევსური ზედიზედ დაწვა მაგ დროშისთვის!

სახელოვანი თუშის ხმამ ქიზიყელეები შეაჩერა, მაგრამ თვალებს მაინც არ აცილებდნენ დროშას. დათმობაზე არ აპირებდნენ წასვლას, რომ კარებში შემოსულ ამქრების დასტას არ მიეპყრო იმათი ყურადღება. დოლის ხმაზე წინ უსტაბაში მოაბიჯებდა, იგი ისეთი ღირსებით აღგამდა ფეხებს, რომ ვანიერი შარვლის ტოტები ქართულ კაბაში მარაოსავით ეკეცებოდნენ. წელზე ვერცხლის ქამარი უელვარებდა. მოდიოდა და მოსდევდნენ ამქრები: მეწუღეები, ნალბანდები, მეჭუღეები, ოქრომჭედლები. მოდიოდნენ მხრებზე წამოკიდებული საგზლით, სალაშქროდ გამზადებულები, უკან ვინმე ჩია თერძი ჩამორჩენოდათ მხრებზე მოკიდებულ საგზალს ძლივს მოათრევდა.

ქიზიყელებს დაავიწყდათ შფოთი და დავა, ჩამორჩენილი თერძი იცნეს, წინ გადაუდგნენ, შეეხმინენ:

— გიო, შენ საღდა მიეშურები?

— როგორ თუ საღ? საბრძოლველად დაგვიბარეს ჩვენც! — კისერ-მოლერებით უპასუხა გამწყარალმა თერძმა.

— დაგიბარეს! შენც ნაზირ-ვეზირები გამოგვგზავნეს, მოდი ლეკების ბელადს შეერკინეო? — თავშეუკავებელმა სიცილმა აახმაურა ლაშქარი.

— წადი, წადი, შვილოსა! — ქუდები ჰკერე. ლეკებს ჩვენც მოვუვლით? — მიამახეს აქეთ-იქიდან.

უსტაბაში თამაზ ჯორჯაძეს მიუახლოვდა და თავის დაკვრით მოახსენა.

— თუმც მეფეს ლაშქრიდან ჩენი გათავისუფლება უნებებია, მაგრამ, თავადო, როგორცა ხედავთ, ბუკის ხმაზე ყველანი უკლებლივ გაახელთ!

— მეფე თქვენი ერთგულებით ისედაც კმაყოფილია, უსტაბაშო! ამ ბრძო-

ლაში კი გათავისუფლებთ, ლეკებს, აი, ეს ყარაბაგებიც, ეყოფათ. — და ჯორჯაძემ მთასავით მდგარი მხრეებზე ხელით ანიშნა.

გაკვირვებულმა უსტაბაშმა წამწყალები აახმახმა, წასვლაზე უარი სთქვა.

— მაშინ ყველა უსტაბაშის ძვლები საფლავეში უნდა გადაბრუნდეს, რომ ბრძოლის ხმაზე დიაცებივით ხელში ნემსი და სადგისი გვეკიროს! — წაიბუტბუტა გამწყარალმა და თავის დასტას წინ აეყუდა.

— ლევან ბატონიშვილის მობრძანებამდე ფეხს არ მოვიცვლით!



წასვლის ეამი იწურებოდა, კამყაშა მზე მწუხრის ფერებს დაეჩრდილა, ნაწვიმარ ბინდს ნესტი ელენთავდა. გალავანთან ხევსურმა ივანაურმა ჩაიკეცა, თოფი ნაბადში შეახვია, გაპოხილ ტყავიდან ფანდური ფრთხილად გამოიღო.

«ლოხაურის შვილ სემბათა  
ხმლიან კაცთ წინ უძღვებია,  
ჯამათა ივანაურსა  
მამველი მუნდებისა...»

ასპინძის ომში დაღუპულ თავის ძმისა და ექვსი ხევსურის ბედს მოსთქვამდა მეფანდურე.

ღამის წყველიაღში სიმების ხმები შორს გაისმოდა. მოლაშქრეებმა სუნთქვა შეიკრეს, ფრთხილი ნაბიჯით გაიწიეს წინ.

«ჯამშარაიძევე, რად კვდები,  
ერთი ხარ, არ ვიხდები!».

თავი ასწია ივანაურმა. გაუკვირდა, მოლაშქრეები ცეცხლის პირას მოსულიყვნენ უხმაუროდ და ზღაპრულ დევებივით გარს შემოხვეოდნენ. გაიღიმა

ხევსურმა. მაგრამ ისინი უხმოდ იდგნენ სატყვერებზე ხელშეგლებულნი, ფიქრებისგან დასერილ შუბლსა და შავს წვერულვაშებზე ცეცხლის ენები უბჭყვრილალებდათ. უმზერდა ხევსური დიდხანს და თავისთვის ჩუმად ბუტბუტებდა:

— იქნებ, გაუწყრათ ლაშარის ჯვარი და ტყვიის ზუსუნის მოლოდინი ამწუხრებთო. — მაგრამ მოლაშქრეებმა თავი ასწიეს, თითქოს ფიქრების მოსაშორებლად მხრები ღონივრად შეაჩხიეს და გრძელი მარჯვენა ღაზლის პერანგზე გამოხილ ტყავზე, ლეგა ჩოხაზე გადაჭიმეს...

„ომში წასვლა მას უხარის, ვისაც კარგი ცხენი ჰყავსო“.

ყველამ ერთად დააგუგუნა. ივანაურს თვალები გაუნათლდა, წვერ-ულვაშში ჩაფლულ სახეზე სიამის შექმა გადაურბინა.

— გვიან მივხვდი, — ამბობდა გულში — უნჯი ყმები არიან!

და ხევსურმა სწრაფად გადახვია ხელი მეომრებს, შუაში ჩაუღდა და ისევ სიმღერა წამოიწყო. ბანი უთხრეს. დავიწყებოდათ მფოთი და დავა.

მარტო ცისკო დიღოძე იდგა განზე, შოუსვენრად ბორგავდა თუში.

— უძღებო გული აქვს ადამიანს, აქამდე მარტო თუშეთის ბედი მაწუნებდა, აჲ, კი, როცა წადილი ამისრულდა, ანდარეზ საგინაშვილის ბედი არ მასვენებს.

და აკალთაეებულ ჩოხაში ტანის ნელი შერხევით მოლაშქრეებს ჩაუარა.

— ჰაუ, ვაჟაკნო! — შეეხმიაან.

— ჰაუ, ცისკოუ! — მისცეს ხმა მთიულეებმა.

— სალაშქროდ წასვლის ყამი დარეკილია, ვეფხვი კი აქა გვრჩების!

— ვიზე უბნობ, ცისკო? — შეეკითხნენ აქეთ-იქიდან.

— ქისტაურელ აზნაურ საგინაშვილზე.

ძალიცა ხიმიკაურმა უკან დაიწყო. — იუჩი: ცისკო! ვეფხვი გულისთვის ზის აზნაური, მეფის ბრძანებაა.

— მერე მზესავით ქალის გატაცება ჩვენში აუგი როდია! — უკასუხა დიღოძემ და ისევ განაგრძო.

— ღიაციხის დასტურიც ჰქონებია საგინაშვილს, და იმისათვის გაუტაცნია! მაგრამ ქალს მამის რისხვისა შეშინებია მიჯნურზე უარი უთქვამს, ძალით გამიტაცაო, მოუჩმახნია. და შესარკინებლად მისულ მამისა და საგინაშვილის შუა მანდილი გაუშლია.

— ჰაი, ჰაი, რომ მაგ მანდილს მიუჯატენია ჩვენი ლომგული, თორემ საგინაშვილს გულის სატრფოს ვინ წაართმევდა, — ჩაერია ლაპარაკში ბერო პავლიაშვილი.

დიღოძემ კიდევ შეავლო ყველას თვალი.

— ვაჟაკნო! კარგად უწყით, ანდარეზს შტერთან შებმა მთად და ბარად ღირს, ვთხოვოთ ბატონიშვილს! იქნებ შეუნდოს დანაშაული!

— ვთხოვოთ! ვთხოვოთ! — ამხაურდა ერთად ლაშქარი. — ხმა ღვთისა და ხმა ერისაო!

უმაღლე გამოარჩიეს, ომებში დამსახურებულნი ვისაც ყველაზე მეტი ჭრილობა ჰქონდა, და ხიმიკაურის მეთაურობით ლევანთან გაისტუმრეს.

კედელზე მიმაგრებული ქონის სანთლები გრძელ დერეფნებს მკრთალად ანათებდა, ირგვლივ სიცხის ოზშივარი ტრიალებდა. დიდ დარბაზთან ჯიქურად იდგნენ მომჩრეარნი, გაყვითლებული არხები ეჭირათ ხელში და ბატონიშვილთან შესვლას ლამობდნენ. მანდატურმა მათ შესამედ ჩაუარა ყვირილით:

— ხალხო-ო-ო! მეფე ხომ არ მობრ-

ძანებულა, რომ საჩივრებით დაძრულხართ? ბატონიშვილი ვერ ვაარჩევს, ვერა-ა-ა-ა! იმას სალაშქროდ მიეჩქარება. მსაჯული ლეონიძე დაშთება აქ საჩივრების მოსასმენად.

მაგრამ მომჩივარნი უძრავად იდგნენ. ზოგი ფიქრობდა: სადაც წლობით უცადა ამ არზებმა მეფეს, იქ მცირე უამსაც მოიციდისო. ზოგი კი ლეონიძეზე ამყარებდა იმედს: ეგებ, ჩვენებურმა გლეხისშვილმა უფრო მეტად შეგვიწყნაროსო, აიშედეგდნენ ერთმანეთს.

გვერდით, მცირე დარბაზიდან, ლევანმა ის-იყო უხმო დასტურით გაისტუმრა საგინაშვილის შეწყნარების სათხოვნელად მოსული მოციქულები. წასასვლელად გამზადებულმა სწრაფად შეიხსნა მკერდზე შეკრული საწვიმარი ნაბდის სირმები. ნაბაღი გვერდზე მოიგდო და დარბაზის ღია სარკმელიდან ასპარეზზე გადაიხედა. საგინაშვილი გაიხსენა.

— აი ამ ასპარეზზე, — ფიქრობდა ლევანი, — მე და საგინაშვილს ბევრჯერ ერთად გვიბურთავნია, ფარიკაობაში და ნიშანში ჩემს შემეტედ ითვლებოდ! ახლა კი, ეტყობა, ბედს უშუბთლია.

წელში-გამართულმა მანდატურს უბრძანა: პატიმარ საგინაშვილს უხმო.

მოლოდინს ვერ უძლებდა ლევანი. დარბაზში აქეთ-იქით მიმოდიოდა, კაბის საფეხურებზე გაუბედავ ნაბიჯებს უგდებდა ყურს.

მალე მძიმე თაღებში კარებმა ნელა გაიწია და დარბაზში ლევანის შორი-ახლოს გაჩერებულმა ანდარეზ საგინაშვილმა განიერ მხრებზე ჩამოჰკიდა ფერმკრთალი თავი.

ლევანმა ირიბი მზერით შეხედა, გული ეტკინა. დარდს თვალის ძირები დაელარა საგინაშვილისათვის, ჩერქეზული თოფის ჰაერში ტრიალს დაჩვეული

გრძელი მარჯვენაქ მოღუნებული ძირს ჩამოეშვა.

ლევანმა უხმოდ ჩამოხრჩვეტილიდან სახლთუხუცესის მკერდს ჩამოხრჩვეული ხმალი საგინაშვილისა.

შეეტყო საგინაშვილს, რომ ხმლის ძეწკეების ეღრილმა ტანში ტკბილ ჟრუნტელად დაუარა, მიბნედილ თვალებს ცეცხლი მოედო, აქამდე გაქვავებული უძრავი ტანი ლევანისკენ შეატორტმანა, მაგრამ მალე თავს დაეუფლა.

— ანდარეზ! — გაისმა ლევანის ხმა. — შენი ეაქაცობა დღეს მამულს სკირდება...

ანდარეზმა ხუტუტკოჩრიანი თავი ნაღვლიანად შეარხია. ლევანმა კი ისევ გააფარძო.

— დანაშაული შეიძლება შეწყნარებულ იქნეს, საგინაშვილო!

— საგინაშვილს დანაშაული არ ჩაუდენია, ბატონიშვილო! — ახლა კი თავი შემართა ანდარეზმა. — მაგ ხმლისთვის ანდარეზს არაოდეს უღალატნია, ბატონიშვილო!

— ბედს ნუ დაემდურები! ჰა ჩამომართვი! — შეუძახა ლევანმა და გადაწვდილი ხმალი ანდარეზის გამართულმა ხელმა მარჯვედ შეატრიალა.

ანდარეზს პრიალა ხმლის ედაზე მიჯნურის სახე აებლანდა. თითქოს ნათელი სახით უმზერდა მას ქალი, მაგრამ მოჩვენებას თანდათან ნისლის ზვივნები ჩამოეფარნენ, ცეცხლის თვალეზიანმა გველესაბეებმა კროლვა დაიწყეს. პატიმარს ამდენი ხნის ნაშფოთი გული მიელია. დიდმა ტანმა ლევანის წინ უწესრიგოდ რხევა დაიწყო. ბატონიშვილმა მისკენ ნაბიჯი გადადგა:

— ანდარეზ, — შესძახა სიყრმის მეგობარს და ისე, როგორც ათი წლის წინ ამ ვალაევანში, ხელი მოსკიდა.

მადლიერი მზერით შეხედა ანდარეზმა. დიდხანს იდგნენ უხმოდ, თვალებით

ისე იმზირებოდნენ ერთმანეთის გულში, როგორც სარკვეში.

ბურჯიდან სალაშქრო ბუჯის ხმა მესამედ აცახცახდა. ლევანმა საგინაშვილს წასვლის დასტური მისცა, მიმავალს მხერა აადევნა. სარკმელიდან ესმოდა, როგორი სიხარულის ყივიანით ეგებებოდა ლაშქარი.

«გაეცაცობასთან ერთად, მიჯნურობაც კარგი სცოდნია ჩემს საგინაშვილს» — გაიფიქრა ლევანმა.

ლევანსაც ჰყავდა მიჯნური. მაგრამ ერთი კი არა. ბატონიშვილს ანუკა აფხაზი უყვარდა, რუსეთიდან დაბრუნებულმა შეიტყო, ანუკა ასათ ვაჩნაძეზე გაეთხოვებინათ. არ უღარდნია, რადგანაც აფხაზის ქალი მალე ელენე ანდრონიკაშვილის მშვენიერებამ დააფიქცა.

იფრინდამ აღარ დააცალა ფიქრი ლევანს, დაიკიზინა, თითქოს დაგვიანება უსაყვედურა პატრონსო. ასპარეზზე მემამულეები ანთებულ მამხალებს ზევითა სწევდნენ. ლევანმა კიბე სირბილით ჩაიარა, და სულ მცირე ხანში თუშეთისაკენ დასძრა ლაშქარი.

IV

ლევანის ლაშქარი გირევის ქალაში გაიშალა. ალავერდელის სასპასპეტრო სადროშო თუშების რაზმები იქ დაუხვდა.

თენდებოდა. თუშეთის მთები დილის რიერაქმა შეაწითლა. ლევანმა ალაზნის ნაპირას ლარივით გაჭიმულ ლაშქარს ჩაუქროლა.

— მგლის ნაჯიშრები ჩვენთან პირისპირ შეგმას ერიდებიან!.. ამით უნდა ვისარგებლოთ და ხმალ-და-ხმალ ეკაფოთ! — ეუბნებოდა იგი ლაშქარს, მაგრამ სარდლის სიტყვები ახმაურებულ ჯარში აღარ ისმოდა. ყველა ალაზნის ნაპირს აწყდებოდა.

ალაზნის მეორე მხარეს თეთრნაბდი-

ანმა მხედარმა ჩიქროლა წითელი ბედაურით. შუბ-შემართული რალაცას იძახდა, მაგრამ ვაცოფებულნი ალაზანი იტაცებდა იმის სიტყვებს: *ქვეყნისა*

— მტრის ბელადი სჩანს! მემეტესა გეთხოვს! ხმალში გვიწვევს! — ისე ახმაურდა ლაშქარი, რომ ალაზნის ღრიალი დაიფარა.

— თუში წავა სამაგიეროს მისაზღავად! — დაიძახა დიდოიძემ და რკინის ჩაჩქანი ჩამოიფხატა. მაგრამ ლევანის შიშველმა ხმალმა რკალი მოხაზა ჰაერში და ახმაურებული ლაშქარი უხმოდ ერთ ადგილს მილურსმა.

— ჰაი, დედასა, რა სწორე ნათქვამია, კეიცი გვარზე ხტისო! — გაისმა ხმები; ლაშქარი ბატონიშვილის განზრახვას მიხვდა.

ლევანმა დასძრა თავისი იფრინდა. მაგრამ საიდანაც ანდარეზმა ცხენი გამოაქროლა. ბატონიშვილთან მიაგდო.

— უ-უ-უ! — რისხვით დაუგმინა ლაშქარმა გაკადნიერებულ საგინაშვილს.

მაგრამ ანდარეზს არაფერი ეცურებოდა, უხანგებში ფეხგამართული ლევანის წინ მძიმედ ქმინავდა.

— ამ ხმალმა უნდა წარგზავნოს ლეკის სული საიქიოს, ბატონიშვილო.

მთაზე გადმოქანებულმა მშემ ანდარეზის შიშველი მახვილი ელვასავით ააპრიალა.

ლევანმა თავისი ხმალი ქარქაშში უხმოდ ჩაავო. ანდარეზს კი ხელის დაქნევით დასტური მისცა წასულიყო. მაგრამ საგინაშვილი წასვლის მაგიერ ცხენიდან სწრაფად გადმოიქრა. ცხენს ტყავის თასმის განსაკრავები შემოაცალა, გადაყარა და უნავიერი აბრეშუმის ზონრებით მაგრად შემოსალტა. ვაკვირებული უმზერდა ყველა. ანდარეზმა თავი ასწია, და ლევანს შეხვდა.

— ბატონიშვილო! ამ წყალში მწადიან ლეკს შევებრძოლო!

თვალი გააყოლა ლევანმა ალაზნის სივრცეს. ალაზანი მუქართა და ზათქით მიაგორებდა ზვირთებს დიდ ლოდებზე.

— ღმერთი ჰფარავდეს შენს უტეხ მარჯვენას. საგინაშვილო! — ჩაილაპარაკა ლევანმა.

ანდარეზი კი მოსწყდა ადგილს.

— ღმერთი გფარავდეს. ანდარეზ, ღმერთი! — აცილებდა ლაშქარი ლოცვით.

ანდარეზის გამოცდილმა თვალმა ფონი მოქებნა ალაზანში, პირი უსწორა ლეკს და გასძახა:

— ნუ აყოვნებ, მოდი, ლეკო, ჩვენს შორის დამარცხებული წყალმა წაიღოს.

— ალაპ!.. — ჩასძახა ლეკმა ალაზნის მეორე მხარეს ტალღებს და შივ ცხენი ჩამოადგაფუნა.

წყლის კალაპოტში შესულმა ბედაურებმა კისრები გადაარაზეს, მაგრამ მეომრების შუბებმა უკუ აქციეს. ფარ-ხმალის ხმა, წყლის ღრიალი, ლაშქრის გმინვა დიდხანს ისმოდა. დიდხანს ებრძოდა ალაზანიც ურჩ მეომრებს.

საგინაშვილის მარჯვეთ მოქნეულმა ხმაღამა ლეკი ცხენზე შეაბარბაცა.

— კიდევ ერთხელ, საგინაშვილო! — გაისმა ჯარში.

კიდევ ერთხელ... და გაგიყებულმა ალაზნის ტალღამ მტრის უმხედრო ცხენს შიშველ ზურგზე გადაურბინა.

თუშეთის მთებზე აწეულმა მზემ საგინაშვილის სველი ხმალი ააბრიალა.

გზააბნეულ ლეკებს კი ხმაღ-და-ხმაღ ეკვეთნენ ალაზნის მეორე მხარეს გადასული ქართველები.

## V

მალაროს საზაფხულო სასახლეზე გრილი ნიავე გიორგი ბატონიშვილის ყვითელ ატლასის საუფლისწულო დროშას აშრიალებდა.

— მამამისის ომებისაგან თავმო-ბეზრებული მალაროში გემოიღე სადილ-ვახშმებით და ბოღბუნის ლოცვა-კურთხევით ჯავყს-შეკრეფის! — ამბობდნენ გიორგი ბატონიშვილზე.

გრძელ დარბაზში წითელ ხავერდ-მოფარდაგულ კედლებთან სტუმრები იდგნენ. ვერცხლის დიდ ლანგრებზე გადაფარებული თხელი ლავაშები ყაურმისა და ბოზბაშის ობშივარით ივლინებოდნენ. მალე კარები ფართოდ გაიღო. დარბაზში ქეთევანიშემობრძანდა, ქალთა მარაქას მოუძღოდა, ხალიჩებით მოფენილ იატაკზე სპარსულ ქოშებს ჩქარჩქარა ადგამდა, და მარჯნის ფოჩებიანი ლურჯი სარტყელი ტანზე გამო-ნაკეთული უშრიალებდა. თვედახრით გაიარა სტუმართა მწკრივი, გიორგის გვერდით ამოუდგა.

— მღვდელთათვის! — გაისმა გიორგის ხმა და ცარიელი სავარძელი ბოდბის ეპისკოპოსს შესთავაზა.

— სტუმართათვის! — წარმოსთქვა შემდეგ ბატონიშვილმა და იქ მყოფთ, მაგიდის ირგვლივ ცარიელ სკამებზე ხელით ანიშნა. უხმოდ დასხდნენ სტუმრები. დარბაზი ოქროს სასანთლებით გააჩირაღდნენ. იოანე აბაშიძეს სასანთლის ნაკეთობამ თვალი მოსტაცა და ოდნავ-გადაზრიალმა ზედ წარწერილი ამოკითხა. — „ეს სასანთლე შენ შემოგწირე, ძელო ჭეშმარიტო! ხოლო ეს ძელი ჭეშმარიტი გივმან ამილახვარმან მიართვა დედოფალ თამარს“.

აბაშიძემ წაკითხვა ძლივს დაამთავრა, რომ გიორგიმ ღვინით საცხე თავისი ოქროს აზარფეშა გადმოაწოდა.

— ბიძაჩემო! იმერეთში ენამზიანობა კარგი იცით, მაგრამ ასეთი ღვინის დაყენება კი არ ძალგიძთ! ინებეთ, აბერჩხარის ვენახისაა.

„სხვა რამე სთქვი, თორემ ენამზიანობაზე არც შენა ბრძანდები მწყრა-

ლად, — გაიფიქრა აბაშიძემ და ჩამორთმეული აზარფეშა გამოსცალა. მაგრამ გიორგი მაინც არ ეშვებოდა.

— რაზე მოგახსენებ ენამზიანობას, არ იციხაზე? თურმე იმერეთის შეფე ალექსანდრე სამეფოდ ფეხს ვერ იკიდებდა, ყველა მსურველი ტახტის წართმევას ემუქრებოდა. ამ დროს ის ასეთ უსტარსა სწერდა რუსეთის ხელმწიფეს, რომ გასტეხდა ქვასაცა მაგარსა: „ჩვენ უნდა შეგვირდომოს მესამე რომმა, დიდი ჩრდილოეთის — რუსეთის წმიდა მოსკოვმა“.

— მაგრამ ვერ გატყდა, ბატონიშვილო, ქვა მაგარი! — ჩაიჩიფჩიფა ბოდბელმა. — ოსმალეთის ყმობა იმერეთს ვერა ძალამ ვერ მოაშორა.

ქეთევანი გულში ფიქრობდა: გიორგის უხამსი ხუმრობა სჩვევია, კი არ აწყენინოს სტუმარსო. შემდეგ გიორგის მიმართა:

— ბატონიშვილო! ჩვენ ქართლ-კახეთის სავალალო მდგომარეობაზე ვილაპარაკოთ. კახეთში გადმოსახლებულ აბაშიძესთვის ამიერიდან ეგ უფრო მეტად საყურადღებოა.

— სავალალო ჩვენ აღარაფერი გვაქვს, — უდარდელად ჩაილაპარაკა გიორგიმ, — ღვთის შეწევნით, ლევან ბატონიშვილი ახალი ლაშქრით ლეკოსმალეებს აღარ აქაჟანებს. — სთქვა და ირგვლივ მიმოიხედა, მოურავი რევან ანდრონიკაშვილი მოიკითხა.

— შეუძლოდ ბრძანდება მოურავი! — მოახსენეს მეშვეილრეს, თუმც დამსწრეთ კარგად უწყოდნენ მოურავის აქ არ ყოფნის მიზეზი.

უხერხული დუმილი ისევ ბატონიშვილმა დაარღვია, მან ფიცხლად შემწვარი კაკაბი მოითხოვა.

ქეთევანის ნატიფ სახეს კი ფერი ეცვალა. მშვიდმა თათლისფერმა თვალებმა კრთობა დაუწყეს. მეფის ერთ-

გული მდივანბეგის ელიაზარ ფალავანიშვილის სიტყვებში გაახანგრძლივდა.

— შეტად შეფოთავს მოურავი მეფის რისხვის მოლოდინში, — ქეთევანმა კარგად უწყოდა მძის ურჩობის ამბავი და მეფის უკმაყოფილება. მისმა დიდმა თვალებმა მდივანბეგს დაუწყეს ძებნა, ელიაზარის შემოხედვამაც დაუდასტურა მეფის რძალს, რომ მძის გამოუტყდადებლობას სხვა მიზეზი არ ჰქონდა.

გიორგისაც ავი გუნება დაეტყო. შეკვეთილი კაკაბი დროზე ვერ მოართვეს. მზარეულს უხმო, მაგრამ შეშინებულმა მზარეულმა თავი იმართლა.

— ნუ გამიწყრები, ბატონიშვილო! სამზარეულოში შესაწვავი ადგილი აღარ მქონდაო.

გიორგი ამან უფრო გაამძვინვარა.

— თუ ჩემს საუფლოში, თრიალეთიდან ქიზიყამდე კაკაბის შესაწვავი ადგილი ვერ იპოვე, იცოდე თვალით აღარ დამენახო! — უბრძანა მზარეულს.

თავშეკავებული სიცილი ისმოდა ირგვლივ, ეს სიცილი ქეთევანს სახმილს უმტებდა. გულში ფიქრობდა.

— უდარდელობისა და უქნარობისაგან ვნებული სული და ხორცი შენ დაიფარე, მაცხვარო!

ცეცხლისფრქვევას დაჩვეული თვალები ახლა კაეშნით საცხენი უმზერდნენ თუ როგორ იმტვრეოდა გიორგის კვერცხის გულით ნაბან თლილ თითებში შემწვარი ზაჭის ჩვილი ძელები.

ქეთევანმა წვალეებით დაჰყო სუფრაზე კიდევ მცირე-ხანს და მალე მოსასვენებლად წასვლა ინება. დირეზე გადმოსული, თავიდან-ფეხებამდის ქირმანის შალში გაეხვია, ვარსკვლავებით მოკვეჭილ ცას თვალი შეაგლო.

— ღმერთო! მძის უკეთურებას ნუღა მომასწრებ! — ლოცვის კილოზე

წარმოსთქვა. ჩარიგებული ხეების წყება დაძრულ ლაშქარად ელანდებოდა, ვითომ საშინელი ურჩხული სარდლობდა ლანდებს, მაგრამ ამ ურჩხულს მისი ძმის, რევაზის თავი გამობმობდა.

## VI

მიღებული მთვარე მკრთალად ანათებდა ჭიაურის ტყეს. მუხასა და რცხილას ხავს-მოდებული ტოტები ძირს დაეხარათ. სიჩუმე იყო, აქა-იქ შიშველ ხეებზე შემოხვეული უსურვაზები თუ შრიალებდნენ, ან შორიდან აეაზას ღრენა თუ მოისმოდა.

მტერზე გამარჯვების შემდეგ მორიგე ლაშქარს ამ ტყეში ნაბღის კარგები გაეშალა. ისვენებდნენ ომგადახდილი მეომრები. ლეკების ხელახლა თავდასხმის მოლოდინში ფხიზლად ასთვლემდნენ. მხარდამხარ იწვნენ დიდგვარიანნი და უგვაროები.

ამ კვლობაზე ველისციხის მისაგალი ერეკლე მეფეს დაეჭირა თავისი ჯარით. ქარ-ბელაქნის გზების დაკეტვა კი ლევან ბატონიშვილისთვის ებრძანებინა, თან საიმედო შვილისთვის მსტოვარის მიერ დაჭერილი უსტარი გამოეგზავნა. კოკლი რაებადინი ანდელებს და ნახბაქელებს მოუწოდებდა ურწმუნო საქართველოზე სათარეშოდ, ხალხის გასაწყვეტად და სოფლების დასარბევად.

უნაგირზე მიყრდნობილი ლევანი ამ უსტარს ხელში სრესდა. იმის გვერდით ოთარ ამილახვარი მიშქრალ ვარსკვლავებს მისჩერებოდა და გულში ფიქრობდა:

— რა დრო დადგა! დიდ პაპაჩემზე, გვივი ამილახვარზე ნადირ-შაჰი თურმე ამბობდა: კასპიის ზღვიდან ინდოეთამდე რაც ქვეყნებია, ყველა დავიმორჩილე და ეს ამილახვარი რა გამიხდა, ვერ მოვდრიკეო. აი მე კი, იმის შვილი, კახეთის ბატონის და ძუძუმწოვარა ბატონიშვილის ბრძა-

ნებას ველოდები. — ასე ფიქრობდა თავისთვის და ზუზუნით მოსულ კოლოებს იშორებდა. *ქვეყნის მთავარი*

— კახეთის კოლოებს მეტად მწარე კენა სჩვევიათ, ბატონიშვილო? ლამის თავზე ჩაჩქანი დამახურონ და ტანზე ჯაჭვი ჩამაცვან!

მიუხედა ლევანი ქარავმულ ნათქვამს და სიცილით უთხრა:

— ეგ საქურველი კახელ კოლოებს არ აშინებს, თავადო!

ამილახვარმა ჩუმი ბუზღუნის განაგრძო:

— მართლაც რომ არაფერი არ აშინებს მამას და შვილს! ამიტომაც ქართლის თავადებს ამათ ნალარაზე გვიხდება თამაში.

მალე ქენებით მომავალი ცხენის ფეხის ხმა შემოესმათ, ლევანი წამოიჭრა. ამილახვარმაც მას მიბაძა. თოფებზე ხელშეველებულმა ლაშქარმაც წამოიწია.

— ბატონიშვილო! — ქონინით ყიოდა მოსული მშვერავი: — აქეთ მოდიან! ეტყობათ ლეკებს სწადიათ ჭიაურის ტყეს თავი შემოათარონ!

ლევანი ლაშქარს მიუბრუნდა: — შემოათარონ! თქვენ რალას იტყვიოთ, ვეკაცნო?

— შემოათარონ... შემოათარონ! — დაიგუგუნა ლაშქარმა.

ჭიაურის ტყე ახმაურდა. მოლაშქრეებმა მოლოდინისგან დაბუცებული კუნთები გამართეს, ჩახმახ-სიათას პირი ერთხელ კიდევ გაუსინჯეს, მერე ლევანის ბრძანებით გაიშალნენ. სიღნაღიდან ჩამოტანილ ზარბაზნის ლულას ანდარეზ სავინაშვილი აეტუხა. იმის გვერდით მთიულეებმა სალაშქრო დროშა ააფრიალეს, ჭიაურის ტყეში მალე ისევ სიჩუმე დამკვიდრდა. ლამის ბინდი თანდათან იფანტებოდა. გათენებისას ქართველმა მეომრებმა მოახლოებული ხმაურობა გააჩიეს. სულ

მალე გაძლიერდა იგი. ხის ტოტებს ლაწანი გაუდიოდა და ბედაურების ტორების თქარა-თქური ტყეს აზანზარებდა. მაგრამ ამ ხმაურობაში მოულოდნელად ქალის განწირული ხმა გაერია, ქალი ხმამალა ჰკიოდა, თითქოს ქართველების გაფრთხილება უნდაო:

— ბატონიშვილო ლევანო,  
მარგალიტისა მტევანო!  
დალისტნელ ლეკებს მიყვებიარ,  
დამისხენ, თქვენი ტყვე ვარო.

თითქოს ამ ხმის საპასუხოდ, ტყეში ლევანის თოფის ტყვიამ გაიზუზუნა. ეს იყო ნიშანი. ქართველი ლაშქარი ტყეში შემოსულ მტერს მოულოდნელად გარს შემოერთყა და ბრძოლა დაუწყო.

ბრძოლამ შებინდებამდე ვასტანა. მტერი აქ გაცილებით უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვინემ პირველ შემბისას. ქართველებს გამარჯვებას ზარბაზანმაც უშველა.

თანდათან წვებოდნენ მტრის ბეღადები: ისმაილ მაჰამა, მუსალი ადამ-ლოის-ძე, ალი ბეგლაის-ძე.

მკვდარ ცხენს ამოფარებული რაეზადინი დიდხანს იბრძოდა, მაგრამ ვერა გააწყო რა და ბოლოს ქართველ ლაშქარს ტყვედ დანებდა.

ომგადახდილმა ქართველებმა ბრძოლის დამთავრებისთანვე ლეგა ჩოხის კალთები შეიკაცეს, ყოყინით მოედგნენ ჰიაურის ტყეს და სტამბოლიდან ლეკებისათვის ქართველების დასარბევად გამოგზავნილ იარაღს კრეფა დაუწყეს. ბატონიშვილმაც ვახურებული შუბლი ჰრელი ქალაღაით შეიმშრალა და მტრის მიერ დატოვებულ ტყვეების დასათვალიერებლად გაემართა.

სიცივისაგან აცახცახებულმა ბავშვებმა ლევანს ხურჯინებიდან შეკრული ხელები გაუწოდეს. დაიხარა ბატონიშვილი. ხელები შესხნა ბავშვებს, მოიხადა ნაბადი და წამოახუ-

რა. მაგრამ ბატონიშვილი ერთ აღგოლზე ვერ დგებოდა, სულ წინ მიიწედა. ეტყობოდა, მოულოდნელად ვიღაცას ეძებდა.

ეს იყო ქალი, რომლის ხმა საშველად ეძახდა. ვინ უნდა ყოფილიყო, რომ ტყვედ წაყვანას შესთხოვდა?

გვიან შენიშნა ხის ერთ ჯირკვზე მიყრდნობილი ხელებ-შეკრული ქალი.

შესდგა. თვალები შეავლო, ქალის სილამაზემ ისე გააკვირვა ბატონიშვილი, რომ ერთხანს ხმა ვერ ამოიღო.

— შენი სახელი! — ჰკითხა გვიან.  
— უზი!

შევ წამწამებით დამძიმებული ქუთუთოები ქალმა ნელა ასწია და ნალვლიანი თვალები ლევანის მზერას გაუსწორა. ჩამოშლილ თმებში სპილოს ძვლის ფერი შიშველი მხრები მოუჩანდა და აპეურებში გადახლართული ხელები ისე მოემარჯვენა, რომ მზეთუნახავის თლილი თითები თითქოს განზრახ, ლევანის დასანახავად, მუხლზე დაეწყო, თვითონ ანთებულ სანთელს დამსგავსებოდა.

— უზი? — გაიმეორა ჩუმად თავისთვის ქალის სილამაზით მოხიბლულმა ბატონიშვილმა, თითქოს რაღაც მოაგონდაო, აღტაცებამ სახე აუნთო: გაეგონა ქება უზის სილამაზისა, ზოლო არ ენახა კი.

ბატონიშვილმა მონადირე ვეფხვის მოქნეული თათივით გადადგა ქალისკენ ფეხი. შეეტყო, ეწადა ხელში აეტაცნა იგი ჩიტივით. მაგრამ უმაღვე შესდგა. გულისტქმის გამომჟღავნების შერცხვა მხლებლების წინაშე. ცივად მოიხედა უკან, თითქოს არ ესაიამონა მათი იქ ყოფნა. მაგრამ არ შეიმჩნია ბერო პავლიაშვილს უბრძანა, ქალისათვის ხელები შეეხსნა, ბაკურციხეში აეყვანა და საიმედო ბინა გაეჩინა მისთვის.



ლაშქარი ალაზნის ნაპირს აწყდებოდა, ხელ-პირს იბანდა. ანდარეზიც იქ მივიდა. ალაზნის ორივე ხელი გაუშალა:

— ალაზნო, შენ დინებას ვენაცვალ! ისევ ლურჯი ზარი მტერმა ჩვენი სისხლით ვერ შეგღება, ვერა! — ჩასძახა წყალს და ალანძული ხელები ამოიბანა. დანარჩენებმაც წყლის ნაპირას მოიკეცეს. იმათ წინ დამცხრალი ალაზანი ისევ ნელა მიბუტბუტებდა, თითქოს ამბობდა: რა მეჩქარება, სად წავალ, ამაზე უკეთეს ადგილს სად ვიპოვნით.

მეომრები ქიზიყიდან საჩუქრად მოსულ დატვირთულ ურმებსა სცლიდნენ, ვერხვების ძირში აწყობდნენ ტიკებით ღვინოს, გამტკიცულ შოთებს, გუდებით ყველს.

ისხდნენ მოკეცილნი და ქაშანურის ჯამებით ღვინოს სრუტავდნენ, თან მღეროდნენ:

„ხმალი სჭირს ბაგრატიონისა  
მედისა ირაკლისაო.  
ნეტავი ვაგვაცნობინა  
ღვინას უტებენ შვილსაო!  
აჯობა თავის მამასა  
სანამ იცვლიდა კბილსაო.  
ურჯულა შამოამტერივა  
ზვავმა, ვით პირი ტვისაო.  
წავიდა სარუსეთოდა  
საჭართველიო კეიფისაო,  
ამან რომ პირი ჩვენსკენ ჭას,  
საჭმე სჭირს დაღისტნისაო“.

მღეროდნენ და ამ ხმებისაგან შემკრთალი უსურვახები შიშველ ბეებს უფრო მჭიდროდ ეკვროდნენ, გაყვითლებული ფოთლები ყუნწებზე თავს ძლივს იმაჯრებდნენ.

ბატონიშვილი ვერცხლის სეაწიშზე ხელშეველებული შუბლქვემოდან კუმტი სახით იმზირებოდა.

ქიაურის ტყე გათენებამდე გამარჯვებას ზეიმობდა.



ლევანთან ალაზნის ნაპირზე განუწყვეტლივ მოდიოდნენ გამარჯვების მოსალოცად. შებინდებისას მარტო დარჩა მოსასვენებლად. თავისუფლად ნავარდს ჩვეული ქარი კარავის კედლებს აწყდებოდა და ქვის მაგიდაზე სანთლის შუქს აქეთ-იქით აბარბაცებდა, კარავში ტურების და მგლების ატეხილი გულშემზარავი ყმულილი შემოდიოდა. მოსვენებასა და ძილს უფრთხობდა ბატონიშვილს.

მომთინება არ ეყო, ნაბადი მოისხა. კარავიდან გარეთ გავიდა. | ნადირთა შემზარავი ხმა სულ ახლოს ისმოდა და ღამეს აფორიაქებდა.

— დაეფრთხოზ მინც! — გაიფიქრა ლევანმა და სასროლად დამბანა მოიმარჯვა. მაგრამ კარავთან მდგარი ერთგული დარაჯი ბერო პავლიაშვილი ფრუტუნით წინ აეტუზა.

— ეს ვერ უშველის, ბატონიშვილო, ვერა! ამ წუთისოფელში ტყუილუბრალოდ არა ხდება რა... ჩვენ გამარჯვება გვიხარის, ნადირთ კი მკედართა სიმარაგლე, ბატონიშვილო! იმათაც ზეიმი აქეთ!

ლევანს უსიამოვნოდ შეაერეოდა, სიასამურის ქულაჯის საკინძი შეიბნია და წინ გადაშლილ ღამეს ერთხელ კიდევ თვალი შეავლო. ერთ-ერთ საყარაულოში ჩონგურის ხმა მოისმოდა. ვილაც მღეროდა:

„ბომაღლში ჩავჯექ, ზღვას ვაველ,  
ფრანგის ჭეყნები ვნახეო,  
სულ დავიარე ხმელეთიო,  
ვერ ვნახე შენი სახეო!“

ბატონიშვილმა ყური დაუგდო, გულს ესალმუნა სიმღერა.

„ანთებულ სანთელს გაემგზავ-

სე... — ჩაილიდინა თავისთვის, თითქოს ხმა შეუწყო სიძღერას.

ბნელ ღამეში უცხად თითქოს იმ ქალის თვალები დაენთნენ, ვისაც მომღერალი ეძებდა. დაენთნენ და გამოიწვევად შემოაცქერდნენ. უზისას ჰგაენდნენ.

— უზი! — წამოცდა ბატონიშვილს, თითქოს იცნოო მოლანდებული თვალები.

ბერო პავლიაშვილისკენ მოტრიალდა:

— ცხენი აღკაზმე, ბერო! — უბრძანა და თავის კარვისკენ ჩქარი ნაბიჯით გაემართა.

... მალე ბატონიშვილი ბაკურციხისკენ მიაქროლებდა თავის იფრინდას.

VII

დაგვიანებულმა მზემ დილის რთვილი აღმასცბივით ააბუყვრიალა. ალანის ველზე ლატანებით შემორკალულ ასპარეზზე მორიგე ლაშქარი ნიშანში ესროდა მოღუნულ მუხას. მოშორებით მდივანმა გრძელი სია აიღო ხელში და ახალწვეულთა გვარებს სვენებ-სვენებით კითხვა დაუწყო. ირგვლივ შემოხვეული წვეულნი ლოდინს ველარა მალაენდნენ. ქალამნის წვერებზე შემდგარნი შფოთაენდნენ.

— წიგნის კითხვა, დაფიჯეროთ, ისე ძნელია, რომ ჩვენ მდივანს აგრე ახენეშებს?

მაგრამ მდივანი არა ჩქარობდა, ჩამოშვებულ გრძელ ღაბაბზე ხელი დაისვა, ცალი ფეხი აგორებულ ქვეს დააბჯინა.

წელსა ქრისტესით 177...სა, ნოემბრის ოცსა, სამორიგეოდ არ გამოცხადდა თავადი რევანს ანდრონიკაშვილი, არ გამოცხადდნენ არც ყმანი მისნი! — თავი შემართა, ყველა უხმოდ ლევანის კარავს მისჩერებოდა. კარებთან მოშორებით იღვა ბატონი-

შვილი, ჩოლოყაშვილმა მხარებზე ყურთმაჯები გადაიდრიალა:

— თუ ის ანდრონიკაშვილია — ბეგარის მოხდას უტყუარად უწყოდეს, ჩვენ ხომ ჩაჩიკაშვილები არავართ, რომ აქ მოვსულვართ! რას იტყვით, ვაენო?

— იმას ვიტყვით, რომ არც მე მსურს ამ ველზე სახეტილოდ მოვაცდინო ჩემი ყმები! — აბორავდა ასათ ვაჩინაძე.

— არ გვინდა, არა! — ახმაურდა თავადთა გუნდი და ამ ხმაურობამ აგორებულ ტალღასავით გადაირბინა, ლევანის კარავამდე მიაღწია.

წამოვიდა ბატონიშვილი ზავთიანი ნაბიჯით, ოქროს დაშნაზე ხელშეგლებული ყველას შორიდანვე ზომავდა. ყველა მოლაშქრე იმის ვადმოდგმულ ნაბიჯებს მისჩერებოდა. გზას ულოცავდნენ. უკან იხევენდნენ.

— მაუწყეთ ყოველივე, რაც ითქვა! — გაისმა ბატონიშვილის ხმა.

— ქიზიყის მოურავს მეფის ბრძანება მოსვლია, ბატონიშვილო, — წინ წამოვიდა ვეჯინის მღვდელი. — მეფე რაყამით სამოურავოს ჩამოროთმევას აუწყებს. გამწყარალა, შემოოთვლია, ვისთვისაც სამოურავო უნდათ, ლაშქარშიც იმან იმორიგეოსო.

გაჩუმდა მღვდელი. ჩოლოყაშვილმა და ასათ ვაჩინაძემ ისევე სიჩუმე არჩიეს.

ლევანს სახეზე აღმურმა აქრა, გადაშლილი სახე აელანძა, შუბლი შეიკრა და ვეფხვეური თვალები ირიბად აქეთ-იქით მიატარ-მოატარა.

— ვინც დაარღვევს სალაშქრო წესებს, აკლებული და აწიოკებული იქნება თქვენზე ხელით! — გაისმა ველზე ლევანის მკეპარე ხმა. სიჩუმე ჩამოვარდა. ჩოლოყაშვილის ქრელი ყურთმაჯები ახლა ლაშქრის ზურგასათ ვაჩინაძე წვეტიანი უძიროებით

მიწას სწიჩქნიდა. | მოლაშქრენი კი წინ მიიწეოდნენ დატოვებულ ადგილების შესავსებად. მიდიოდნენ სატყვერებზე ხელშეველებულნი, მიდიოდნენ ქალამნის წვერებით, სელისა და ხამის პერანგებში ამოწნეკილ მკერდებით რისხვა მოჰქონდათ. უმწერდა ლევანი მათ და გული სიამაყით ევსებოდა.

— ანდრონიკაშვილის | დანაშაულს, როგორც დამსახურებულ მეომრისას, სარდლობა | გააჩვენეს! — გამოუტხადა მეომრებს და კარავისაკენ გაემართა. სარდლობა თან გაჰყვა.

გზადაგზა ზოგი მორჩილებით ურჩევდა ბატონიშვილს: ვაი თუ გახმაურებამ და დასჯამ მეტი ზიანი მოგვაყენოსო.

მაგრამ ლევანი არ იყო განწყობილი ასეთი რჩევის მოსმენისათვის. თავის კარავთან მისულს ის-იყო საყვირით ლაშქარის აშლა უნდა ებრძანებინა, რომ მოახლოებულმა ცხენების ფეხის ხმამ ყურადღება მოსტაცა, გაიხედა თუ არა ხმისკენ, თვალი მოჰკრა ქალის საცხენოსნო კბახს. მაშინვე იცნო. უმაღლესი ქაბუჯური სიმარდით შესახვედრად დაიძრა. მაგრამ გაახსენდა, რომ სარდალს სიღარბაისლე მართებდა. აჩქარებული მოძრაობა შეანელა.

ვინც შეიცნო, მისი საცოლედ ელენე ანდრონიკაშვილის ასული იყო. ახლოს შესდგა ელენე. მეუხანგეები ცხენს გვერდიფ უდგნენ, მაგრამ ქალი მწვანე ხავერდის ფირუშებითა და ზურმუხტებით მოჭედილ რახტში ჩამჯდარ თეთრ ცხენიდან ჩამოსვლას არ აპირებდა. ვრძელი კაბა კოჭებთან ოდნავ ასწეოდა, ოქრომკედით ნაკერი შეიდიშის ტოტი უჩანდა.

ლევანმა მისაშველებლად ხელი გამართა. ქალი თითქოს ამას ელოდაო, ქარისაგან ატაცებულ ბუმბულივით ჩამოსრიალდა, ● მადლობის ნიშნად

გრძლად გაქიმული ქუთუთები ნელა ასწია და ლევანს ისე შეხვდა, ლევანმა მხოლოდ ახლა შენიშნა, რომ გიორგი ბატონიშვილი და არტილერისტი პაატა ანდრონიკაშვილიც მობრძანებულიყვნენ. დაგვიანებული ყურადღებისთვის ბოდიში მოიხადა. მაგრამ გიორგიმ უთხრა:

— ჩვენც გადაგვხედნია ეგ ამბავი! ასეთ ეამს რიყეზე ქვაც კი ვერ შეგვინიშნავსო.

პაატამ დარდიანად გაიღიმა, ნაადრევად გაჰალარავებულ თმის ზოლზე ხელი გადისო. რაღაც ეწადა ეთქვა, მაგრამ ლევანმა ძვირფას სტუმრებს ნაბდის კარავზე ხელით ანიშნა.

— ჩემს სრა-პალატებში მობრძანდითო, — და სიცილით კარავში შეიპატივა.

ელენემ კარავში შესვლისთანავე, მწყემსებისაგან გამოჩეკილ ხის ჯამპურქელს თვალი შეავლო.

— უცხო რამ არის თქვენი სადგომი, ბატონიშვილო, ზღაპრულ სამყოფელს უფრო მაგონებს! — კისკისობდა ხმამალა ქალი. ყველა ალტაცებით უმწერდა მას. ლევანი კი გულში ფიქრობდა, ასეთი ქცევა მართოდენ ელენეს თუ დაშვენდებო. მერე, როცა დრო იხელთა, ახლოს მივიდა მასთან და ჩუმად ყურში ჩაუჩურჩულა.

— არ ვიცი, თქვენ რას მოგაგონებთ ეს ჩემი სამყოფელი, მე კი ჩემ თავს პარისად ვრაცხ მშვენიერ ელენეს მოსატაცებლად განმზადებულს!

ლევანის ხშირმა სუნთქვამ ელენეს ღაწვი აუწვა. ბატონიშვილის ნათქვამს პირველად ვერ მიხვდა. შავ ხალზე ირგვლივ გაოცება შემოეხაზა, მერე თითქოს გვიან გაიგო, ლამაზი თავი ძირს დახარა, მტრედევით ჩუმად გაინაბა.

პაატა ლევანს მიუახლოვდა.

— ამ ლაშქარმა უნდა გვიხსნას სირცხვილისაგან, ბატონიშვილო, ძვე-

ლი ჰერეთი აწ მტაცებლების ბუდედ გადაქვეულა. იქიდან გეტაცებენ ცოლებს, შვილებს, ყმებს...

— დიადაც, პაატა, ძველი ჰერეთისაგან არარა დარჩენილა გარდა კაკლის და წაბლის ტყეებისა და დანგრეული ეკლესიებისა! — შეაწყვეტინა ლევანმა.

— ბატონიშვილო! ლეკიანობა უნდა მოისპოს. საამისოდ, რაც კი სიმწარე შეგხვდებათ, მერე სიტკბოდ გადაგექცევათ.

აქამდე გულზელდაკრეფილი გიორგი ახლა წელში გაიმართა.

— ოჰო, — გაიფიქრა თავისთვის მემკვიდრემ, — იქნებ, მომავალ სიტკბოდ ტახტსა და გვირგვინს უწინასწარმეტყველებენო, — და ხელი მძიმედ დაარზია, პაატას შეეიტყვა:

— იყურე, პაატა! განგების ჩაურევლად არა ხდება რა! ეტყობა შემოქმედს ასე სურდა! — მაგრამ პაატა ყურს არ უგდებდა გიორგის. წნორის ხესავით ირზეოდა უზარმაზარი არტილერისტი ლევანის წინ.

— ბატონიშვილო! ჩემი თოფხანა ათჯერ მეტ ზარბაზნებს დაგიშალდებთ. თუ ჩარხები არ გვეყო, რკინებს, აი ამ ხელებით მოვლუნავ, რომ ჩემმა ზარბაზნებმა თქვენი ლაშქარი გააძლიეროს.

ლევანმა ხელი გადახვია პაატას. მაგრამ გიორგი ისევ ჩაერია:

— ნუ აყოვნებთ ნადირობას, ბატონიშვილო! ქიაურის ტყე ხოხბების გუნდებს ვეღარ იტეცხო, ამბობენ! — და ხელების გაშლით ბრძანება გასცა.

— ჰეი, ბაზიერო, ქორ-მეძებრები აუშვი!

სანადირო ყიყინა თანდათან ედებოდა ტყეს. მეწინავეთა ცხენები ველზე ლარივით გაიჭიმნენ და ისე გააქურეს გრძელი ტანები, თითქოს მიწას უნდა გაეკვრნენო. გიორგისაც მოართვეს

ცხენი. მაგრამ მემკვიდრემ უარი ნიშნად თავი გადააქნია.

— მე ნადირობის მსჯობა მსჯობა მასამოვნებს, აქ ალაზნის-პირას მსჯობის ვენებო.

მოსორებით მღვარმა ანდარგმა თავისთვის ჩაილაპარაკა.

— გაუშვიო, ნუ აწუხებთ! ცეცხლის პირას იწილო-ბიწილოს ითამაშებსო. — თვითონ კი ცხენზე ნამგალივით მოიხარა და ტყისაკენ გააქროლა.

ელენე და ლევანი ერთად მიჯირითობდნენ. შემოდგომის მზეში გახვეული ქალი ოქროსფერ აბედივით ლაპლაპებდა, თითქოს ანთება სწადია და ნაპერწკლის გაკვრას მოელისო.

ლევანმა ავშარაზე ხელი უტაცა ელენეს ცხენს. ცხენმა ითაკილა, ყალბზე შედგა, მაგრამ ვაგის ღონიერ მკლავებს მაინც თავი ვერ დააღწია, დადგა.

ბატონიშვილმა ქალს წელზე ხელები შემოხვია, თვალში ჩახედა.

— ლაწინი ბროლთაგან ვარდს ჰმაგრავს.

მკერეტელთა ამაზრზენია.

ნუ ხარ უწყალო, იკმარე.

ესოდენ სინაზენია.

— ბატონიშვილო, მამაც გათენებამდის თავის ახალ ლექსს „მიჯნურთა ბადეს“ — გვიკითხავდა, — სთქვა ელენემ და ლევანის მკლავებიდან გაცლა მოინდომა.

მაგრამ გრძნობამორეულმა ბატონიშვილმა არ დაანება.

ჩამავალ მზისაგან შეწითლებულ ქიაურის ტყესა და კაკასიონზე ხელით ანიშნა.

— ეს რომ სამოთხეა და ჩვენია, ფმისთვის გვებრძვის ყველა, მაგრამ ჩვენც ამ სამოთხისთვის ვიბრძვით და მისთვის ლექსებსაც ვწერთ.

— მართალია, ბატონიშვილო, ამისთვის იყო, რომ ქეთევანი სამასი კაციოთ ხუთას ურჯულს შეებრძოლა ლართის ვიწროებში! განა ჩვენ ქალები არ ვიბრძვით?

და ელენემ ბავშვივით გადიკისკისა.  
— მეფემაც, როგორც გამარჯვებული სარდალი, ისე მიიღო გმირი რძალი ზარბაზნის სროლით და ჩირაღდნებით. — უპასუხა ლევანმა.

— მეც იქ გახლდით, ბატონიშვილო! უცხო რამ იყო, ბევრი ვიცინეთ. დედოფლები, სეფეკალები შემოეხვივნენ ქეთევანს, ბრძოლამ ხომ არაფერი დაგომავაო, ეკითხებოდნენ. — ნუ სწუხართო, — დაამშვიდა ქეთევანმა, — ისე ვიბრძოლე, რომ არცერთი ძაფი მარგალიტისა არ გამწყვეტიაო.

ელენე გაჩუმდა, მერე წვრილად გადაქიმული წარბები გადაშლილ შუბლზე ფიქრიანად აზიდა. ლევანს ოქრომკედლით ნაკერ საკინძეზე ხელი შეავლო.

— ბატონიშვილო, მცირე რამ სათხოვარი მაქვს თქვენთან... ნეტავი თუ შემისრულებთ?

„რა იქნება ისეთიო“, გაიფიქრა ბატონიშვილმა.

— ბრძანებად ჩათვლი თქვენს თხოვნას, ელენე!

— მოსვლისთანავე ცუდი ამბავი გავიგეთ, ბატონიშვილო. მემკვიდრეს მეტად არ ესიაშოვნა... რევანს ანდრონიკაშვილს უნდა შეუნდოთ დანაშაული. სასჯელად ისიც ეყოფა, რომ მეფემ მოურაობა ჩამოართვა...

გულში ანაზღეულად აღძრული უკმაყოფილების დასაფარავად თვალით ახედა ელენეს ბატონიშვილმა. მაგრამ თავი შიშველ დახარა უმაღვე და დაუხანებლად, ცოტა არ იყოს ცივად წარმოსთქვა:

— ვალად ვრაცხ შევასრულო თქვენი ბრძანება!

როცა ბატონიშვილმა თავი ასწია, მისი თვალი მახლობელ ხეზე შეფრთხილებულ მოლაღურს მოხვდა. ჩიტი წივილით აფრინდა, თითქოს ლევანის გამოხედვამ შეაშინაო.

იქვე ახლოს ღიჟის და მავკლის ბარდები შეიჩხნენ. მახვილზე ხელშეველებული ბატონიშვილი იმ ადგილს

დააცქერდა. ბარდებთან ანდარეზის შავი ქოჩორი გამოჩნდა. გაუკვირდა ლევანს.

ანდარეზი ნელი <sup>ქაქუცავაძის</sup> მითითებულა წელზე მოკიდებული ტვირთით დამძიმებული. ბატონიშვილის დანახვანე ტვირთი მოიხსნა და მიწას დაანარცხა, — ტვირთი ყელგამოღადრული ავაზა აღმოჩნდა.

ქალმა ნელი კივილით ცხენს უკან დაახევინა. ლევანმა ეშვებგადმოყრილ მხეცს დახედა და ანდარეზს გაწყრომით უთხრა:

— საგინაშვილო! ავაზებთან კიდილს თავი დაანებე! საჰიდაო მრავალი სხვა გვაქვს.

— ღმერთმა უწყოდეს, ავაზებზე ნადირობა არ მდომებია, ბატონიშვილო! ბეჭობიდან დაეინახე: ძუ და ხვალი ტრფილებდნენ. მალე ძუ თავის ბუნავში გაქმნულდა, ხვადს კი ალერსისაგან ისე დაბნეოდა თავგზა, რომ ჩემი სიახლოვე ვერ შენიშნა. ჩემმა თოფმაც დაიგრილა, სული რომ ხდებოდა, ალბათ, მაშინ კი მიხვდა, რაც მოუვიდა.

— მერე რომ მიხვდა? — შეეკითხა ბატონიშვილი.

— მიხვდა, მაგრამ გვიანდა იყო, ბატონიშვილო!

— გრცხვენოდესკ ანდარეზ, შენ, რომ მიჯნურობის რაინდი ხარ, და სხვისი მიჯნურობა ასე აუვად გამოიყენე?

— რომ დამენდო, შეიძლება წამეგო. ნათქვამია, ვინც დაინდობს, ის წააგებს.

ლევანს მოეწონა საგინაშვილის სიტყვები.

— ვინც დაინდობს, ის წააგებს, — გაიმეორა თავისთვის და ელენეს შეხედა. მაგრამ ქალს ავაზას ქრელ ტყავისთვის თვალი ვერ მოეწყვიტნა, ეტყობოდა, ლამაზი ნადირის ცქერით გატაცებულს, ანდარეზის სიტყვები არც კი გაეგონა. ლევანმაც დუმილი არჩია

VIII

ნარიყალის ფერდობებს მორიგე ლაშქარი შეჰყვებოდა.

შირაზელი დესპანების შესახებდრად ჩამოსული ლევან ბატონიშვილი და სოლომონ ლეონიძე ციხიდან ვიწრო ბილიკით სასახლისკენ ეშვებოდნენ.

თეთრი დიბის ქულაჯაში გამოწყობილი ლევანი ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა. ლეონიძე ლაშქარს გაეტაცა და ბატონიშვილს უკან ჩამორჩენოდა, როცა ლაშქრის მზერით გული იჯერა, ისევე დაეწია ბატონიშვილს.

— ბატონიშვილო, გახსოვთ, სამი წლის წინ თელავს რა გულის ტივილით ჩაიბარეთ ნაირფერი ლაშქარი? — ჩაუტყველი, დაუბურავი. ახლა კი თითქოს ერთმა დედამა შვაო დალოცვილები!

ლევანიც შედგა, დიდხანს ორივე უხმოდ უმზერდა წითელ ჩოხებში გამოწყობილ მორიგე მხედრებს. ყველას განიერ მხრებზე ვერცხლის ყაწიშები უკრიალებდა.

— ეს ლაშქარია მიზეზი, ბატონიშვილო, — ამბობდა ლეონიძე, — რომ რუსეთში დაუწერიათ: „ერეკლე მეფემ, თავისი წარჩინებული გონებით და სიმამაცით საქართველო ისეთ მნიშვნელოვან სიმაღლემდის აიყვანა, რომ მეზობელ ერებში გამოსარჩევი გახადაო“.

ლევანმა მზისაგან თვალები ოდნავ მოხუჭა, მტკვრის პირას ჩარიგებულ ფერად შუშაბანდების ზოლს გააყოლა. სოლომონს დაგვიანებით უპასუხა:

— ჩვენ წინათაც ცნობილი ვიყავით, სოლომონ! მხოლოდ იმის შემდეგ, რაც შავ-ზღვაში გველესაპივით ჩაწვა ოსმალეთი, დავკინდით და დავავიწყდით. ახლა კი, ალბათ, გვიხსენებენ.

— ეჰ, ეგ რომ არ ყოფილიყო, ვინ უწყის ახლა რანი ვიქნებოდით, ბატონიშვილო! — ჩაქლაპარაკა ლეონიძემ.

ასეთი საუბრით სასახლის კარებს მიუახლოვდნენ.

ბაღში პირდაპირ ეწვეა ლევანი დადმონადენი შადრევანზე. მხედრები ისროდნენ, ცხელ ქაერს ოდნავ აგრილებდნენ.

ლევანი უცხოელთა მისაღებ დარბაზისაკენ გაეშურა. ფრთხილად შეიღო კარი. ერეკლე მეფეს ის-იყო შირაზელი დესპანები გაეცტუმრებია. რვეალ მაგიდაზე ხელებ-დაბჯენილი ქერიმხან ზანდის უსტარს დასჩერებოდა. გვერდით სავარძელში ანტონ კათალიკოსი უჯდა. ერეკლემ მოხრილი მხრები შეარხია და ყარყუმის წამოსასხამი, თითქოს ფიჭრებს უმჭიმებსო, გვერდზე მოიგდო.

მეფემ შემოსული ლევანი დაინახა. მალალ შეზღვისაგან დაჩრდილული ირიბი მზერა ააყოლა და ერთი ხნის სიჩუმის შემდეგ მიმართა:

— შვილო, შენც ისმინე! ზონთქარი ქერიმ-ხანთან როგორი კადნიერებით გვიჩივის: ერეკლე მეფე ჩემს სამფლობელოებს თავისად სთვლის და გვედავებოა... სიბერისაგან მოხრილ სპარსეთის ვეჟილს ემუდარება, შენ დაუშალეო! — ქადარა წვერზე ხელი დაისვა მეფემ. უღვაშებში ნაღვლიანი და თან დამცინავი ღიმილი გაუწვა, — დავიწყა ურჯულომ, რომ მისი სამფლობელო ჩვენი მიწაა, ქართველთა სავანეა!.. უწყოდე, შვილო ლევან, იმ მიწის დაუბრუნებლობა მამაშენს საფლავშიაო არ მოასვენებს!

— მამავ ბატონო, — მოახტენა ლევანმა, — ეგ უსტარი საწინდარია იმის, რომ ოსმალეთს ჩვენი ახალი ლაშქრის ყიფინი უკვე მოესმა.

— ეგ კიდევ იმის საწინდარია, — ფეხზე წამოდგა კათალიკოსიც, — რომ აღმოსავლეთის ძლიერება მიღეულ მთვარესავით ხანმოკლეა, და სადაცაა ჩაესვენება!

— მამ, თქვენ იმას ბრძანებთ, წმინდაო ძმაო, რომ როდისმე იმ ჩვენგან

მოგლეჯილ მიწაზე საქართველო კვლავ გაიკაშკაშებს?

— ასეთი არს კანონი არსისა, მეფევე, მაგრამ ბეცმა ხონთქარმა ვერ განსკვრიტა, რომ თქვენი დავა ოსმალეთის წინააღმდეგ სპარსეთის შაჰს საწყენად არ დაურჩება.

— სპარსეთი დაქუცმაცებულია, იმიტომ გვიჩვენებს თეთრ კბილებს! მაგრამ გული ისევ შავი აქვს. საკმარისია გაერთიანდეს, რომ კვლავ აღსდგება ჩვენს წინააღმდეგ. ამიტომ მწაფდა ჩრდილოეთთან კავშირი და მეგობრობა! — ნაღვლიანად წარმოსთქვა მეფემ, მერე უცებ წამოდგა და ქაბუჭური სისწრაფით ლევანისკენ მიბრუნდა.

— შენ უნდა იყო მამის ნუგეში სიბერის ფაშს, შვილო ლევანი! შენი ლაშქრის ყეფინი როგორც ხონთქარს, ისე ყეფინსაც ღმერთმა ნუ მოუშალოს! — ამ სიტყვებით მიიზიდა ლევანი და ბრძოლებისაგან და მზისაგან დამწვარმა ხელებმა შვილის მხრებზე ფათური იწყეს.

— შვილო, თვალის ჩინივით უნდა უფრთხილდებოდე ლაშქრის ყველა კაცს, საიდუმლოდ და სარწმუნოდ შემატყობინეს, რომ ქსნის ერისთავნი განგვდგომია და ლევ-ოსმალებს ვაერთოვლებიაო.

აღვზნებული ლევანი მამას ხელიდან გამოუხსლტა.

— მერე, მამავ ბატონო, თქვენი ბრძანება რა არის? — მოწოლილი სიფიცისაგან ჰკითხა, მაგრამ მეფე არა ჩქარობდა, შუბლქვეშიდან დიდხანს უმზერდა ლევანს უსიტყვოდ. მერე ხელი ოდნავ ასწია.

— იუუჩე, შვილო! უცხოელ დესპანთა შესახვედრად მოწყობილს, სასახლის ზეიმსა და ლაზათს ნირი არ უნდა შეეშალოს! ხვალაც გვიან არ იჭნება ჩემი ბრძანება.

კარისკენ გაემართა. გიგანა და გავიდა. ლევანს და კათალიკოსს დიდხანს ესმოდათ დერეფანში მჭიდვალე მეფის მუხლ-მაგარი ნაბეჭდო *დიქონიქა*.

მთაწმინდის ნიაგმა გავარვარებულ ტინის კედლებს შემოუჭროლა, მაგრამ თბილისის გახურებული გული ვერ ვაგავილა: თავქვე დაეშვა და მტკვრის სანაპიროებს სისხიით გაჰყვა. სასახლის დარბაზებს სახეიმო ელფერი აღარა ჰქონდა. გრძელ მაგიდაზე, აღმოსავლურ ფერად ქსოვილის ნაცვლად, შავი ხავერდის სუფრა ეფინა ოქრო მკერდით ამოქარგული. მეფისა და კათალიკოსის მძიმე სავარძლები ცარიელი იყო. დარბაზის ერი თანდათან იქერდა მიკუთვნილ ადგილს.

კარები გაიღო, მეფე ჩქარი ნაბიჯით შემობრძანდა დარბაზში. გვერდით მსაჯულთ-მსაჯული დავით სარდალი მოჰყვებოდა, უკან მდივანბეგის მწკრივი მოსდევდა. დარბაზის ერი ნელი შრიალით წამოიშალა.

კათალიკოსიც შემობრძანდა. უშალ სავარძელს მიაშურა, რომლის კიბეებზე კვერთხის მტვირთველებმა და მორჩილებმა ჩაიკეცეს.

ერეკლე მეფე ფეხზე იდგა. დაწყნარებულ დარბაზს ქორივით მზერა შემოატარა, აუჩქარებლად და მშვიდად მიმართა:

— დარბაზის ერნო, მღვდელმთავარნო, მსაჯულნო და ბატონიშვილნო! სრულიად ქართლ-კახეთის მეფემ თქვენ მოგანდოთ, რათა ესოდენ მძიმე დანაშაული ქსნის ერისთავთა განსაჯოთ! — ბრძანა და სავარძელში ჩაესვენა.

დარბაზი მდუმარებდა, ამორგებული ჰაბუა ორბელიანის ყურთმაჯეების შრიალილა ისმოდა. გრძელი ხელები მის მახინჯ ტანს წინ ეფარებოდნენ. წამოწეული ბაგეები შესაზარად იჭიმებო-

დნენ. პირიდან ქარიშხალივით ამოუ-  
ლიოდნენ სიტყვები.

— მუხას შტოს ჩამოცლა არარას  
აენებს, მეფეო, ახალ ნერგზე კვლავ  
იშვება ყლორტები მოღალატეთა. მო-  
თხარე ძირში ბებერი მუხა, განაქარე  
საერისთაო, ნუ ჰყოენი მეფეო! რა და-  
კარგა საქართველომ, ოდეს განაქარე  
მეამბოხე არაგვის ერისთავნი!—რე-  
კავდნენ გრდემლზე მოქნეულ უროსა-  
ვით ქაბუას სიტყვები. მისი ხმისაგან  
კედელზე ჩარივებული წმიდანებისა  
და მეფეების უტყვი სურათებიც კი  
თითქოს გაცოცხლდნენ.

ქაბუას მხარი დაუჭირა მთელმა დარ-  
ბაზმა. სოლომონ ლეონიძემ განჩინე-  
ბის წერა დიწყო, მაგრამ დარბაზში  
ჩამოვარდნილი სიჩუმე ითანე მიტრო-  
პოლიტის აქანკალებულმა სიტყვებმა  
დაარღვიეს:

— დარბაზის ერნო! კრულ იყვნენ  
თვით მეფენიც, რომელთაც შესცვა-  
ლონ ეს განჩინება!

ერეკლე ფეხზე წამოიჭრა.

— ამინ, აჰ-ნი! კრულ იყვნენ, მამაო,  
თვით მეფენიც, რომელთაც შესცვა-  
ლონ ეს განჩინება!—გაიმეორა და თა-  
ვი მძიმედ დახარა.

— ამინ!—გუგუნებდა დარბაზი.

ტახტის-მემკვიდრე გიორგი ბატონი-  
შვილი ცალკე იჯდა, მის უკან იდგა  
რევან ანდრონიკაშვილი, რომელმაც  
სიძეს ყურში ჩაუჩურჩულა.

— განკვირდი, ცაო! ხედავთ, რა  
ხდება, ბატონიშვილო?

მეფის ღალატისათვის ყურებდასხე-  
პილი ციციშვილიც ამეტყველდა.

— ბატონიშვილო, — წასჩურჩულა  
მან გიორგის, — შეინახეთ ერისთავნი!  
გაქირვების ეამს დასაყრდენად გეყო-  
ლებათ! ნუ მოაწერთ ხელს განჩინე-  
ბას.

— ნუ მოაწერთ ხელს, ნუ! — ზავითა-  
ნად ქმნიავდა ნამოურავალი.

დაწერილი ოქმი გიორგის მართვენს  
ბეჭდის დასასმელად. გულქელდაკრე-  
ფილმა მემკვიდრემ უჩქარე წაშლიდ თა-  
ვი გადააქნია. სიხალისე

— მოახსენეთ მეფეს, რომ ნათესაე-  
თა შორის სისხლის დაღვრას ვერიდე-  
ბი. ვერ ვიქმ საქმესა ღმერთის დასაგ-  
მობად! — ბრძანა გიორგიმ და მდივან-  
ბეგები უარით გაისტუმრა. მცირე  
ხანს არ გაუვლია, რომ შეშფოთებული  
ლევანი მიიჭრა მემკვიდრესთან:

— ბატონიშვილო, სისხლი სისხლის  
წილ! ნუ აყოვნებთ ბეჭდის დასმას!  
ერისთავებმა ჩვენი ნათესაობა დაგმეს,  
უცხო თესლი, ჩვენი შტრები, გაიერთ-  
ბულეს, გვიღალატეს.

— ღმერთისაგან და მრავალ მეფე-  
თაგან მინიჭებულ სახელს ვერ წავარ-  
თმევთ! სულგრძელობა გემართებს!  
— აუჩქარებლად, ღიჯად უბასუხა გი-  
ორგიმ.

ლევანი სწრაფად რევან ანდრონი-  
კაშვილისკენ შეტრიალდა.

— მეფის სულგრძელობის ავად გა-  
მოყენება აუგია, თავადო!

ნამოურავალი მთელი სიძაღლით  
წელში გასწორდა.

— რაზე ბრძანებთ მაგას, ბატონი-  
შვილო?

— გასაგებია, თავადო.

— ეეჯინის სასახლეში ჩაეკტილს  
კიდევ თუ ვინმე შემღურება, ბატონი-  
შვილო?

— სიმართლე და სამეფო ორივე  
ერთად, თავადო!

ციციშვილმა ყურზე აკრული არტა-  
შანი გაისწორა. განზე გადაგა.

აბრძანდა სავარძელიდან გიორგი, სა-  
მდივნოში გაემართა. მიდიოდა აუჩქარ-  
ებლად და იმისი მძიმე ნაბიჯებისა-  
გან იატაკს ჭრიალი გაჰქონდა. ოქმი  
მოითხოვა და ისევე აუჩქარებლად და  
ზღაზვნით თავისი ბეჭედი დაარტყა:

„სიმდაბლით ჩვენთვის ვარდამოსულსა  
იესოს ვმონებ ღმერთ-კაცად სრულსა“.



ნარიყალის ციხიდან სალაშქრო ბუკის ხმა მოისმოდა.

სასახლის ღია სარკმელიდან უმზერდა რევას ანდრონიკაშვილი, თუ როგორ მიაქროლებდა ავლაბრის ხიდზე ლევანი თავის იფრინდას. თვალი აადევნა.

— ჩემს გაბიაბრუებას არ შევარჩენ მამა და შვილს, — წაიბუზღუნა ნამოურავალმა. — მათი წყალობით ქალის კალთას ვეფარები. ზაქი-ქამია მემკვიდრეს მფარველობას ვეხვეწები, როცა თავზე იმდენი ბეწვი არა მაქვს, რამდენი მტრის ჭრილობაც ტანზე!

ქალაქის თავზე კი ბუკის ხმა თანდათან ძლიერდებოდა. ნარიყალიდან ჩოხებშეკეცილი ლაშქარი ეშვებოდა. ლევანი ხიდს გაღმა დახვდა ლაშქარს.

— ახალგორს წავალთ! — მოკლედ გასცა სარდალმა ბრძანება და თავმოყრილ ლაშქარს წინ წაუძღვა თავისი ამალით.

მიუშვეს ლაგმები მხედრებმა.

ქსნის ერისთავის დიდი შანშეს მემკვიდრის დავითის სასახლისაკენ ეკირათ გეზი.

მცხეთასთან მისულებმა შენიშნეს, არავგის ნაპირს შეიარაღებული რაზმი მოჰყვებოდა სიმღერით:

„მოგვეყინდა სახლობში ყოფნა,  
იარაღს ვისხამთ ტანზედა!  
წინ გაგვიძებ, დიდოძებ,  
ნასახლარო მტერზედა“.

დიდოძის შესაგებებლად ანდარეზი ჩამორჩა ლაშქარს.

— რაკი სახლებში ყოფნა მოგებურადო, ჩვენთან ჩადექით, თუშებო! — გასძახა მან შორიდან რაზმს, დიდოძებ დაწინაურდა. ანდარეზის ცხენს ცხენი მიაგდო.

— საით მიედინება ეს ლაშქარი, აზნაურო?

— მოლაღატეებისაკენ, ცისკო, მოლაღატეებისაკენ!

ცისკოს ლურჯი ფეხლები — მკრფართოვდა, უხმოლ უმუცრულად წაივინაშვილს.

— მეფეს და ქვეყანას უღალატეს, ლეკ-ოსმალები გვირჩევენია-ო, გაიგე-ეე, ცისკო! — ხმამალა ჩასძახა ანდარეზმა თუშს.

— რა რჯულისაა მერე ეგ ხალხი, ანდარეზ?

— ქართველები არიან, ცისკო!

— ჩვენი მიწა-წყლისა?

— ჰო ჩვენი მიწა-წყლისა! თქვენ ლალატი არა გჩვევიათ, არა, ცისკო?

— არა, ჩვენთან ლალატი არ ეგების! ჩვენი მხრის ხალხის გული ალაზნანით წმინდაა, აზნაურო!

— ოჰო!... — გაიცინა ანდარეზმა, — მამ ეს მტკეპარი რალამ აამღვრია, თუშო?

## IX

დავით ქსნის ერისთავი ახალგორის სასახლეში იმყოფებოდა. იგი დიდ დარბაზში იდგა და იატაკზე მიმობნეულ ტყავებს თვალს ამტერებდა. საერისთოს გაუქმების განჩინებაზე მასაც ხელი უნდა მოეწერნა. მძიმე ფიქრებს მოეცვა.

— არა, ახალგორი არა ერთხელ მორწყულა სისხლით და ძელებითაც ბევრჯელ მოკირწყლულა, მაგრამ ჩემს წინაპრებს არცერთი ადლი ამ მიწისა თავისი ნებით არავისთვის დაუთმიათ, — ხმამალა ბუზღუნებდა ერისთავი.

კედელზე მისი დიდი მამის მეფეთაგან თვალუბდათხრილი შანშე ერისთავის სურათი ეკიდა. თვალი შეავლო დიდ წინაპარს დავითმა, თითქოს მისგან პასუხს ელისო.

— შენ განსაჯე, როგორ მოვიქცე? — მიმართა უმწეობაში მყოფმა სურათს. — შენმა შთამომავალმა, შენმა სისხლმა არ ვინდომე კახთ-ბატონის ქვეშევრ-

დომობა. მწადლა თვინიერ გურიისა და ოდიშისა დამოუკიდებლივ შეარსებნა, როგორც შენი სურვილიც იყო!—მაგრამ მამის დათხრილი თვალების უბეების დანახვაზე ფიქრი შესწყვიტა, შეაერეოლა. ვრძელი, ნაპატივები უღვაშის ბოლოს მისწვდა და ბურჯში გამარჯვებულ მეციხოვნეებს გადახედა იმედისათვის.

აღმართზე უკვე ლევან ბატონიშვილი მოაქენებდა ცხენს. უკან რაზმი მოსდევდა, ახალგაზრდა მუხრანელი და ქსანელი ჯარისკაცებისაგან შემდგარი.

— დიდი არს ძალა შენი, მაცხოვარო,—პირჯვარი გადაიწერა დავითმა და გალაგნის ბურჯს ნიშანი მისცა. ისროლეთო. მაგრამ მეციხოვნეებმა აწეული თოფები ძირს დაუშვეს უშაღვე.

— ჩვენი ლაშქრის ხალხია, ჩვენი ბიჭები არიან!—გასძახეს ერთმანეთს მეციხოვნეებმა აქეთ-იქიდან, და ორ მხრივ გამაგრებულ შესავალში ლევანმა და მისმა ლაშქარმა თავისუფლად გამოიარა. დამარცხება იგრძნო ერისთავმა.

ძველი სოფლის ქადრების ძირში, სადაც ერისთავს თავის დამოუკიდებლობასა და პატარა კახის განადგურებაზე უოცნებია, ახლა ქვის მაგიდაზე მეფე ერეკლეს ბრძანების ქალაღი შრიანლებდა საერისთავოს გაუქმების შესახებ. დავითი თითქოს არჩევდა კიდევ სიტყვებს:

„ჩვენი ბრძანება არს“...

სინამე იყო, მხოლოდ ბურჯიდან დედაბერის წყველის ხმა მოისმოდა:

— ჩვენზე აღმართული ხელები კუნძებად ექცეს ბატონიშვილს ლევანს... ეწაღოს განძრევა და ვერლა შესძლოს!

მაგრამ წყველაც და ყოყმანიც გვიანლა იყო.

ერისთავმა ერთხელ კიდევ მოზომა მანძილი განჩინებასა და მას შორის.

ღვეის ნაბიჯის ტოლა გადაბრტა. განჩინებასთან დამბაჩით ხელს მდგომ ლევანს ღვარძლიანი თვალებზე დაუმიზნა და განჩინების ქაფივალს მტკიცედ დაუჭირა.

„მეფის მოძულე თავადები ასეთი თვალებით შექადებიან ყველგან... ქართლშიც, კახეთშიც“... გაიფიქრა ბატონიშვილმა.

თავდახრილი დავითი ხელს აწერდა დარბაზის განაჩენს.

უხმოდ იღვა ლაშქარი.

ქალამნის წვერებზე შემდგარმა ცისკომ ანდარეზს გადუწურჩულა.

— ანდარეზ, აი, ისეთი თვალები, როგორც ერისთავსა ჰქონდა, როცა განჩინებას ხელს აწერდა, მართლაც რომ მტკვარსაც კი ამღვრევს. აი, რატომ არის ამღვრეული თურმე ჩვენი დიდი მდინარე.

X

აკვისტოს დილა თენდებოდა. ლევანის ლაშქარი ბოლნისიდან კახეთს მიდიოდა. დაღლილი ცხენები სამგორის ველზე ზღაპრით ადგამდნენ მტკრიან ფეხებს, უწყლო, ტრიალ მინდორს თვალს უშტერებდნენ.

სართიჭალასთან ივრის ჩხრიალზე გამოფხიზლდნენ. გაეები გვერდზე აათამაშეს. ლევანმა ლაშქრის კაცებს ნება მისცა მეფეთა სანადირო ადგილებში ცხენდაცხენ გაენადირნათ. მალე მზედართა ყიყინმა მოიცივა ქალები. მსურველებმა გული იჯერეს ნადირობით. შემდეგ ნაპირზე გასული ლაშქარი ბეჭობზე შედგა. ხაშმს გადახედეს. ახლანაშენი სახლები გამოჩნდნენ. ნავენახარი, ვერნაღქცეული ადგილები აღედგინათ, ისევ ვაზი ჩაერგოთ. ხალხი ვენახებში ფუსფუსებდა. ყველა გრძნობდა, თუ რა მშვიდობა მიენიჭებინა ხალხისათვის მორიგე ლაშქარს. საამაყოდ უმზერდნენ მეომრები თავიანთი მარჯვენის ნაყოფს.

ლევანის გვერდით მდგომმა საგინაშვილმა უღვაშებზე ხელი დაისვა.

— ბატონიშვილო, აი ამიტომ იყო, წყალში ვიბრძოდი. ფრენა რომ შემძლებოდა, ზეცის სიმაღლეც ვერ შემაკრებოდა.

ლაშქრის დანახვაზე ხალხი დაიძრა. ქულების მღლა სროლით გამოარბოდა დიდი და პატარა მისაგებებლად.

— კურთხეული იყოს, კურთხეული თქვენი მარჯვენა!—გაიძახოდნენ.

ბატონიშვილს შემოეხევივნენ:

— წამობრძანდი ჩვენთან, ბატონიშვილო. განახლებული კერა დაგვილოცე, ლეკებისაგან შენმა მარჯვენამ დავიფარაო!—უბნებოდნენ.

მაგრამ ბატონიშვილმა უარი ბრძანადარჩენაზე. ვეჯინში იოანე აბაშიძის სახლში ქორწილი იყო, და ლევანი რჩეული ამალით იქ მიიჩქაროდა.

ბატონიშვილს ეს ქორწილი იმითაც იზიდავდა, რომ წვეულთა შორის იქ ანუკა ვაჩნაძეც იქნებოდა. დაყოვნება არ უნდოდა. თავის ფეხ-მარდ იფრინდას სადავე სწრაფად აუკრიფა, ხალხს მადლობა უთხრა და ბედაური გააქროლა.

შელანთან ანდარეზი ალაზნის ნაპირების დასათვალიერებლად გაისტუმრა. უბრძანა საქმეს მორჩებოდა თუ არა, ვეჯინს ხლებოდა.

\*  
\*  
\*

ვეჯინის მთებიდან მზემ აიწია. მზურვალე სხივები აკანა-ქედას ოქროს ზოლებად შემოეხვია. ციხე ბურჯებში მომწყვედებული მონასტრიდან ზარების რეკვა მოისმოდა. ანაფორაში ჩაყუდებული ბერი სამრეკლოს ჯაჭვებთან ერთად ირხეოდა.

ვეჯინის ბატონი იოანე აბაშიძე დღეს ქალს ათხოვებდა, მისი სასახლე ქორწილისათვის დიდის ამბით ემზადებოდა. მინდორზე გაშლილ ახლადდახეხილ სპილენძის ქურჭელს შინა-

ყმანი და გოგო-ბიჭები მარტოგომოდნენ. ახლადგამომცხვარი ღურის სურნელებით გაბრუებულნი ეწყობოდნენ ხარბ თვალსსადაცსადაც თონებდნენ. აღანძული შავგვერემანი სახის ქალები თონეების ირგვლივ გრძელი კბების ბოლოებს ფარშევანგებოვით ასრიალებდნენ, ასტამ-შამფურებით შეიარაღებულები. თონეებიდან თვალმუდღამი სისწრაფით ცვიოდა შოთის პურები. ზოგს დედაკაციები წყევლით ისროდნენ შინა-ყმებისკენ.

— აჰა, თქვე თვალნაცრიანებო, ლამის თქვენმა მშვიერმა თვალებმა ხელკირი დავვაჭამოსო.

სასახლეში, კლდეზე დაკიდებულ აივანზე თვითონ იოანე აბაშიძე მიმოდიოდა. წითელი ფარჩის შარვლის შრიალზე—ყველა ატყობდა, რომ მეფის ეშკილაში მეტად ღელავდა. წყრომას ხმაშალალი ბუზღუნით გამოსთქვამდა:

— ამ დავეიდარობის გაძლოლას—ოსმალეთის წინააღმდეგ ლაშქარს გაეძლოლოდი, ის მერჩივნაო,—ამბობდა. თან შარაგზაზე უკვე გასულ მალემსობოლებს ყვირილით აგონებდა დავალებებს, და დოინჯშემოყრილი ეზოში შემოსულ ჩარდახიან ურმებს ზემოდან ათვალიერებდა.

გრძელ დარბაზში, აბმეტოდან და თიანეთიდან ჩამოყვანილ მოხელსაქმეებს მოეკეცათ. ზოგი სამზითვო ხალიჩაზე ამოყვანილი თამარ დედოფლის სახეს საბოლოოდ სინჯავდა. ზოგნი კი ატლასზე მარგალიტებით ამოქსოვილ ღვთისშობლის სახეს ამთავრებდნენ.

საქალებოდან კრიალოსნის ნელი ჩხრიალი მოისმოდა. ხანდახან დარბაისლურ მუსაიფს ჩუმი სიცილი მოჰყვებოდა.

მალე სასახლის შფოთი და ალიაქოთი იოანე აბაშიძის ზმით დაიფარა.

— ჰარიჭათ, ლევან ბატონიშვილი მობრძანდა თავის ამალით!

ქალები ფარჩის კაბების შრილით წამოიშალნენ. შეწითლებულ დაწვებზე ჩამოშვებულ დაღალ-კავებზე ხელი დაისვეს. მაგდან აფხაზი შეშინებული წამოდგა.

— გეთაყვათ, რა ხმა იყო! ალაზნის ნაპირებამდე მიადწევდა! — მაგრამ უშალვე თავის შვილიშვილ ანუკაზე შეაჩერა თვალები. არ გამოეპარა გამოცდილ თვალებს, თუ როგორ ქურციკით წამოხტა და სარკმელს მივარდა ლევანის ხსენებაზე. მაგდანმა შავი ნაწნავეები რისხვით გადაიყარა უკან, შვილიშვილს წინ აეფარა და წარბების შერხევით აჩქარება უსაყვედურა. მერე ქალების მწკრივს თვითონ ჩაუდგა სათავეში და ლევანის შესახებდრად წაუძღვა.

ლევანმა აღმართი ამოაქუნა. ეზოში შემოიჭრა, ჩამოშლილი თმის ხვეული სწრაფი შერხევით გადაიყარა და ცხენიდან გადმოიჭრა.

— ბედნიერია ჩემი სახლი თქვენი მობრძანებით, ბატონიშვილო! — გაისმა ყველაზე წინ მდგომ მასპინძლის ხმა, და იოანე აბაშიძემ გაშლილი ხელები შეაგება ბატონიშვილს. მიესალმა ლევანიც, მერე მანდილოსნებისაკენ მიბრუნდა.

მაგდანი შუბლზე ეამბორა, თვალში ჩახედა ლევანს.

— ეს თვალები მამაპაპისაა, ბატონიშვილო, ჩემთვის მარად სანუკვარნი. ამათაც, ალბათ, ისე სიწვევიანთ: მტერს ისარივით დაესობიან, მოყვარეს კი გულს მოუღობოვენ. ტანადობა კი დიანების გახლავს გამოყოლილი! — ეუბნებოდა დიდ-დედის თამარ დედოფლის მეგობარი ძვირფას სტუმარს.

ლევანმა თავი ასწია და დიდურანი შავი თვალები მაგდანის გვერდით მდგარ ანუკას გადაავლო, რომელიც თავდახრილი იდგა ბატონიშვილის სალამის მოლოდინში. უპასუხა თუ არა სტუმარს მისალმებაზე, დინჯად ასწია თავი და უკან გაბრუნდა.

თვალი გააყოლა ლევანმა. ვერ უხეზოთ ნაქსოვ ქამარში შესაღწეველად კიდევ ბავშვურ წელს. გაუბედავად მიარხედა ანუკა. ლევანს გასწინდა: თელავის სასახლეში ანუკისთვის ერთად გატარებული ყრობა, თითქოს ახლაც კი ცხადად ესმისო, მოაგონდა ანუკას სიტყვები, რომლების წარმოთქმაც უყვარდა კეკელე ქალს ბატონიშვილის ყოველ მოკითხვაზე: „ვზი მზრდელი სიყვარულისა, ბატონიშვილო!“. მოგონებამ გული გაუხსნა და სახე აუწვა ლევანს.

მამაკაცების მწკრივში პირველი იდგარევაზ ანდრონიკაშვილი. მდაბლად დახარა თავი ნამოურავალმა და ლევანს მკერდზე საამბოროდ მიუახლოვდა. მაგრამ მოუთმენელმა ახალგაზრდობამ მისასალმებელი სიტყვის დამთავრება არ დაანება. გარს შემოეხვია სათაყვანებელ ბატონიშვილს და დიდ დარბაზში გაწყობილი სუფრისკენ გაიტაცა.

ფეხზემდგომნი სცილიდნენ ერეკლე მეფის, ლევანის ვაჟაკობისა და მისი ლაშქარის ლომ-გულობის სადღეგრძელოებს. ციხე-სასახლის გალავნის შიგნით ჩამწკრივებულში იყო ლევანის ამალა.

სცილიდა მოწოდებულ თასებს ბატონიშვილი. სცილიდა და ელანდებოდა, რომ უძირა აზარფაშებში ლეინო კი არ ლიეღივებდა, არამედ ანუკას შავი თვალები.

მოსწრებულ სიტყვების კორიანტელი იდგა. ისმოდა მუნასიბები, შაირები. ნაღიმს ეშხი და ლაზათი თანდათან ემატებოდა.

სუფრის თავში მჯდომმა შეზარხოშებულმა ლევანმა თვალი მოჰკრა, რომ დარბაზის კუთხეში, მის პირდაპირ, ქალთა წრეში ჩამდგარი ანუკა ვაჩინაძის თილიმა თითებმა მინანქრის რკალიანა დაირა შეათამაშეს, და უმაღლვე სუფრის გაყოლებაზე, ვიდრე მაღალ კედლამდი, საცეკვოდ ადგილი დაცალიერდა.

ანუკას აღმოდებულ ღაწვებზე კაცები ეშხით ჩამოშვებოდნენ. ოდნავ მალა შეემართა დაირა და მის გამომწვევებზე ფეხები ძლიერ შესამჩნევლად აეთამაშებინა.

— ცეკვა! ცეკვა!— გაისმა ხმები.

თავი ვერ შეიკავა ბატონიშვილმა. სწრაფად წამოდგა და ტაშის შემოკვრით შესძახა:

— იყოს ცეკვა! გთხოვთ!

ანუკა მიხვდა, რომ ბატონიშვილის მოწოდება მას ეკუთვნოდა. შეერთა თითქოს, გაბრწყინვალებული თვალეზი დარბაზში შემოატარა, წამით თავის ქმარზე, ასათ ვანხაძეზე, შეაჩერა, თითქოს დასტური თხოვა. დაირა გვერდში მდგომ ქალს გადასცა და მკლავების გაშლით თავის ადგილს აფრენილი ჩიტივით მოსწყდა.

ტაში გააძლიერეს. სუფრის თავს მიახლოვებულმა, როცა ბატონიშვილს გაუსწორდა, ფეხების თამაში შეანელა და ათრთოლებული ტანის რხევა ლევანის ტაშის ცემას შეუწყო.

ალტაცებისა და ქების ხმა გაისმა კუთხით-კუთხემდე. წვეულნი იშვიათი ცეკვის საცქერად წრეს მოაწყდნენ. მხოლოდ ასათ ვანხაძე ადგილიდან არ დაძრულა. იგი ნაძალადევად იღიმებოდა და თავის მეუღლეს თვალს არიდებდა.

ამით ისარგებლა რევან ანდრონიკა-შვილმა. ნამოურავალი ნელი ნაბიჯით მიუახლოვდა ასათს, ხელი მკლავში გამოსდო და სახის მრავალის მოქმედი გამოიმეტყველებით დარბაზის მეორე კუთხისკენ შეუმჩნევლად გაიყოლია, სადაც კედელში საიდუმლო კიბეზე ჩასასვლელი დაბალი კარი იყო ჩატანებული.

— სიტყვა მინდა! გითხრა, თავადო,— ჩასჩურჩულა ყურში და თავის სწრაფი დაღუნვით იმ კარში პირველი გავიდა.

დასრულდა თუ არა ცეკვა, ლევან ბატონიშვილმა ანუკას სადღეგრძელოს

შესმა ინება. ქალი და კაცი სიხარულით შეეგება მის სიტყვას. მალა ასწიეს აზარტეშები, სიმღერა შემოსძახეს.

ნიმუშა ჰაპოტი

ლევანს ჯერ კიდევ არ ჰქონდა თავისი აზარტეში დაცილილი, რომ მის ყურთან გამაფრთხილებელი ხმა დაირხა ოდნავ გასაგონად.

— ზედმეტ ღვინოს მოერიდეთ, ბატონიშვილო, მტრები ავად გითვალთვალევენ.

შესწყვიტა სმა ბატონიშვილმა, ვითომ შეისვენაო. მიმოიხედა, მაგრამ საიდუმლო სიტყვების წარმომთქმელი ვერ შეიცნო. შუბლზე ნაოქები აეკეცნენ. აპრილებულ იარაღზე თვალი სწრაფად შეივლო. მერე პირდაპირ სარკმელზე აისროლა მხერა და ეზოში გადაიხედა. მისი ერთგული მეომრები დევებივით ერთყნენ სასაზღეს. არად ჩააგდო გაგონილი სიტყვები. ისევ აზარტეშს დაუბრუნდა.

ციხის საიდუმლო კიბის თავზე კი ამ დროს რევან ანდრონიკაშვილი ასათს ეუბნებოდა:

— უნდა გაგიმხილო, თავადო, ჩემი ერთი აზრი, შენი მეუღლის ცეკვით აღძრული... ბატონიშვილს ხმლითა და ზარბაზნით მხოლოდ კი არ მოაქვს ჩვენზე იერიში...— სთქვა და ცბიერი ღიმილი უღვაშებში გაათამაშა, თვალის ნიშნებით ასათს დარბაზისკენ გაახედვინა, — ჩვენს პარტიოსან სახელს, ასათ, სხვა ზიფათიც მოელის... აი, რა მინდოდა მეუწყებინა... ღმერთმა დაიფაროს, თავადო, ჩვენი ქალები ხარკის სახელის შერქმევისაგან.

ვანხაძის მარჯვენამ მახვილის ტარი ჩაბლუჯა, მაგრამ რევანმა მიჯაზე ხელი წაავლო.

— ნუ ჩქარობ, ასათ! რეგულის წყალობით გადატაკება რომ არ აგვცდებდა არც ჩვენ და არც ჩვენს მოდგმას, ესეც ხომ ცხადია... ისიც უწყიდევ ჩემგან, რომ ჩვენი მფარველი გიორგი ბატონიშვილი ტახტს დაჰკარგავს, თუ ლე-

ვანმა იცოცხლა. ეს საყრდენიც გამოგვეცლება... მხოლოდ სატერის იმედი ნუ გეჭნება, ჩემო ასათ!—გაჩუმდა, მერე შემზარავად ჩაიხითხითა და განაგრძო:—ამბობენ: მამა-შვილს ცივი იარაღი არ ეკარება!

— მამ, რით დავიცვათ თავი, თავადლო?—ამოიქმინა ვანამ.

ანდრონიკაშვილი ერთხანს სდუმდა. მერე სთქვა:

— ყველამ უწყის, რომ ბატონი-შვილს ორაგული ყველა საქმელზე უფრო უყვარს, მაგრამ სწყყენს კი, როგორც საწამლავე... გაიგე? როგორც საწამლავე სწყყენს! როცა მთვრალია, თავს ვერ იკავებს, თუმცა აკრძალული აქვს... დღეს ქარბად დალია... ჰო და, მოართვი ნადიმზე ორაგული! ეს სატევარზე უფრო გასჭრის მერწმუნე... ჰა, დაიჭირე!—ამ სიტყვებით ოქროსთავიანი მასრა ამოიღო. ასათს ხელში შეაჩეჩა.—ეს მარილიც მის კერძს უნდა წაეყაროს!.. შეფის რისხვასაც გზას ასე უფრო ავუბნევთ, თავადლო!.. საწამლავევით სწყყენს-მეთქი ორაგული ტყუილა კი არ გითხარი.



ნადიმი ისევ გრძელდებოდა.

მაგრამ ბატონიშვილი გარიდებოდა მზიარულებას, დაფიქრებული სჩანდა.

— ვინ იყო, რომ გამაფრთხილა? — ფიქრობდა იგი და თვალებით ანდარეზ საგინაშვილს ეძებდა დარბაზში მყოფთა შორის, მაგრამ ერთგული ყმა ჯერ კიდევ არ სჩანდა.

მალე შეინშნა, რომ მისმა დაღვრემილობამ საერთო მზიარულებაზე იმოქმედა. შეუფერებლად სცნო. თავს ძალა დაატანა. ისევ გამზიარულდა, თითქოს სიფრთხილის გრძნობამ გადაუარა და ავი გუმანი გაეფანტა.

ისევ ასწიეს უძირო აზარფეშები. ახალი საქმელები ჩამოარიგეს. განახლ-

და ლხინი, და ბატონიშვილისათვის საგანგებოდ მოტანილი ორაგული, ოხ-შივარმა საამო სუნით შაერო გაედუნთა.

ეპიკურული  
XIII ს. ხელნაწი

დალესტნის მთებიდან სქელი ბინდი ველზე წვებოდა.

ვეჯინის სასახლის გალავანში მამხალეები დაინიშნა.

ლევან ბატონიშვილს წასვლის სურვილი გამოეცხადებინა. დიდგვარიანი წვეულნიც დასამლელად გამზადებულიყვნენ.

სასახლის კიბეზე პირველი ლევანი გამოჩნდა მცირე ამალით. ჩქარი და არეული ნაბიჯით ჩამოდიოდა ბატონიშვილი. ღვინო მოჰკიდებიაო, ფიქრობდნენ მნახველნი.

ლევანისა და მისი ამალის უკან ანუკა მობრძანდებოდა, გვერდში ქმარი ამოსდგომოდა. ცოლ-ქმარს ფეხდაფეხ რევან ანდრონიკაშვილი მიჰყვებოდა შინაურების თანხლებით.

ეზოში ჩასულ ბატონიშვილს ცხენი მოჰგვარეს, მაგრამ, სანამ ამხედრდებოდა, ლევანმა თვალი მოჰკრა ანუკას, რომელიც ამავე დროს ცხენზე შეჯდომას აპირებდა.

ბატონიშვილმა უცბად მხედრებს შეატოვა თავისი იფრინდა. ანუკას ცხენთან მივიდა და სიყრმის მეგობარი ქალისადმი თავისი განსაკუთრებული პატივისცემის აღსანიშნავად კლავი გაუწოდა ამხედრებისათვის მისამველელებად. ბატონიშვილის ესოდენი ყურადღებით ბედნიერმა ანუკამ სიტყვა ვერ მონახა მადლობის გადასახდელად. დაბლა დაუკრა თავი ლევანს და მის მკლავზე დაყრდნობილი მჩატედ აფრინდა უნაგირზე.

ლევანი თავის ცხენისაკენ მოტრიალდა. მაგრამ, გადადგა თუ არა ნაბიჯი, უცნაურად შებარბაცდა.

მხლებლები მისამველად მივიარდნენ. მაგრამ ხელის დაქნევით შეაყენა ისინი

ბატონიშვილმა. ცხენთან მივიდა, ეტყობოდა თავს ძალას ატანდა.

როცა ფეხი ამართა უზანგში შესადგმელად, შეტორტმანდა. მთელი ტანით შეირხა და იფრინდას კისერზე გადააწვა.

შემოერთყნენ გარშემო. შეხედეს. ფერი არ ედვა. მალე ცხენის კისერზედაც თავი ვერ შეიმაგრა. ხელები შეაშველეს, რომ არ დაეცმულიყო.

ვიდაცამ წარმოსთქვა:

— ორაგული ხომ არ მიუერთმევიათო?

მეორემ დაატანა:

— ორაგული აწყენდაო!

ხელებზე დაისვენეს. კიბეებზე აარბენინეს. ოთახში ტახტზე დააწვენეს.

— რა მემართება, ქუთუთოებსაც ვეღარ ვერევი!— შესჩივლა ბატონიშვილმა საწოლთან დახრილ შეშინებულ მსპინძელს. გალურჯებული ბაგეები მოიკვნიტა, მაგრად მოკუმა, თითქოს ამით სადღაც შიგნით აღძრული ტკივილის ჩაქრობა სწადიაო.

ძლივს გააბილა თვალები. თალებში ჩარიგებულ რუხ ქვებს სვენებ-სვენებით დათვლა დაუწყა. ოცდარეამლის დათვალა.

— რა მცირე რამ არის ოცდარეა ქვა ამ ციხისათვის, — დაიჩურჩულა ავადმყოფმა.— რა მცირე დანაკლისი ვიქნები მეც ჩემი ქვეყნისათვის...

გარინდა... ზეითუნის-ზეთის სანათურის ტყაცა-ტკუცს თითქოს მაშის ხმა შეერია:

„შენ უნდა იყო სიბერის ეამს ჩემი ნუგეში“.

მოეჩვენა, თითქოს ახლო იდგა მამა. მკლავები უღონოდ მიადგათურა. ვერ იპოვნა. მარტო ჩაშაყვებული ციხის კედლები დაჰყურებდნენ.

მოშორებით ექიმბაში წამალს ლესავდა.

ავადმყოფი მეორე მხარეს გადაბრუნდა. ქვის კედელზე ახლა საზარელი

თვალები ათამაშდნენ. ნიშნის მოგებით და სიცილით მისკენ მოიწვედნენ.

სადღაც ენახა ეს თვალები, სადღაც უმზერდნენ კიდევ...  
გინგლომოსია  
მოაგონდა...

— განვედი! განვედი!— სთქვა და წამოიწია. ხმლის ვადას ხელი დასტაცა, მაგრამ ვერ ასწია. ვერ მოერია. შფოთვა დაიწყო.

ამ დროს დაგვიანებული ანდარეზი შემოიჭრა ოთახში.

— სად მოგიყვანა ბედისწერამ, ბატონიშვილო?

ლევანმა ერთგული ყმის ხმა იცნო. ჩაღრმავებული დიდი თვალებით ძებნა დაუწყა.

— ჰო, ანდარეზ! ეს ორაგულის მიწეზე არ არის... სხვაა... ანდარეზ!— სუსტი ხმით მიმართა ბატონიშვილმა. ანდარეზ ლევანის საწოლთან ჩაიკეცა.

— მიბრძანე! გამაგებინე, შენი კენესამე, ბატონიშვილო, მაშ რა არის, რამაც ასე შეგაშფოთა?

— აი, იმ თვალებმა, ანდარეზ, აი იმ თვალებმა...

— სად არიან, სად, ბატონიშვილო, ეგ თვალები?

— ისინი ყველგან არიან... ქართლში, კახეთში... ჩემს სიკბაბუკეს აედევნენ... ამა, ბოლო მომიღეს, ანდარეზ.

— შენი კენესამე, ბატონიშვილო! ქვესკნელში ჩაძვრები, ზეცაში ავალ, მაინც ვიპოვნი...

— ვერ იპოვნი, ანდარეზ... ვერა!..

— მაშ, რით ვიშველო, ლევან? — განწირული ხმით ჩასძახა საგინაშვილმა.

— ვერაფრით ანდარეზ. „მონადირისაგან დაკოდილ სპილოს ვერ განუტურნაეს სპილო იარას“.— დამციხავემა ღიმილმა ბავე გაუხსნა ლევანს. სიჩუმე ჩამოვარდა. დარბაზში მარტო მომაკვდავის ხშირი სუნთქვა-ლა მოისმოდა.

— ანდარეზ! — ძლივს ვასაგონად დაიჩურჩულა ავადმყოფმა.— ალაზნის ნაპირებზე ერახელ მიჯნურის თხოვ-

ნით, მეც შევეუნდე მტერს. არ დავსაჯე, ვაპატიე... და ისევე დავიღუპე, როგორც შენგან მოკლული ავაზა ტრფილების ქამს.—და ლევანმა ანდარეზს ხელით ანიშნა წასულიყო.

თენდებოდა. სათოფურებში სინათლე ჩამოეშვა. დარბაზში მღვდელი შემოიყვანეს ბატონიშვილის საზიარებლად. დამძიმებულ ქუთუთოების ქვეშ ლევანმა შავად აფრიალებული ანაფორის კალთა შენიშნა. შეაერყოლა.

— ბატონიშვილო, წმინდა ზიარებით მოინანიეთ ამ ქვეყნიერების ცოდვანი თქვენი...—გაისმა მღვდლის ხმა. ლევანმა თავი წამოსწია.


— მოძღვარო! ერთი კოვზით თუ შესაძლებელი არს ცოდვების გამოსყიდვა, მას ყველა ცოდვილი შესვამს და სასუფეველს დაიმკვიდრებს... რა მიცხოვრია, მოძღვარო, რომ ცოდვანი ჩემი მოვიანაო!—და ოცდარვა ქვას კიდევ შეხედა.—თუ ის ცოდვა იყო, — ჩურჩულებდა ავადმყოფი!—რომ ჩემს იფრინდას დაღისტნის საზღვარზე დღენიდავ დავექროლებდი... ან ის, რომ ველზე ლაშქართან ერთად სამშობლოს მტერს ვდარაჯობდი..

სიკვდილის ბასრი ბრჭყალები კი ავადმყოფის ყელთან მიიწვედნენ. მაგრამ მიღუღმა ღონემ მაინც სცადა შეებრძოლება. წამოიწია.

— არ იყო ცოდვები, არა...—დაიხრიალა და ციხის ყველა კუნძულში გაიხედა. ყველაფერი შენიშნა... ყველა წვრილმანი დაინახა... ოთახში მდუმარედ თავმოყრილი მეომრების ჩამოშლილი ქოჩრების ქვეშ ცრემლის ნივთიერიც კი შეამჩნია.

მაგრამ სიკვდილმა უმაღლე გულისცემა შეუჩერა და უზარმაზარი ვაეკაცი ტახტზე გულადმა გადააწვინა.

ბატონიშვილს შეკუმშული უსიცოცხლო მუშტი მამისეული ხმლის გვერდით ესვენა.



ციხე-ბურჯებიდან ზარების რეკვა მოისმოდა და ბატონიშვილი ლევანის სიკვდილის ამბავს მორბე მიმჭრჭდა საუწყებლად. ზარითა და მოთქმით მოდიოდა მთელი კახეთი. მოდიოდნენ სატირლად თავადი და გლეხი, მწყემსი და ამბოყარი, მოხუცი და ხეიბარი. მოდიოდნენ, რათა არანახული ვაეკაცის სიკვდილი დაეჯერებინათ. მაგრამ ციხეში სიციწროვის გამო ყველანი ვერ შედიოდნენ. წაბლისხეზე გამობმულ ლევანის ცხენს ირგვლივ უვლიდნენ. მაგრამ უკულმა შეკახმული იფრინდა არავის სამძიმარს არ იკარებდა. თეთრი ფეხები მიწისათვის მოღუნებულად დაებჯინა და წყლიანი დიდი თვალები მუხლთან მორთხმულ მეუზანგესათვის დაეშტერებინა.

გლოვითა და ზარით დაიწურა ზაფხულის დღე...

შებინდებისას შებურვილმა მხედარმა ციხის აღმართი ამოაქენა. არავის იმისთვის არ შეუხედავს. იმასაც არავინ არ დაუნახავს. ერთი მრავალთავანი ეგონა ყველას. მარტო იფრინდა შეიშმუნა მის დანახვაზე. ნესტოები დაიბერა. და როცა მოსულმა ჩაუარა, შესაბრალისად დაუჭიხვინა. მოსული შედგა, ბედაურს ფრთხილად მიუახლოვდა და აკანკალებული დიდი ხელები ცხენს თეთრ შებლზე მოუფათურა:

— რად მოიყვანე აქ? რად, იფრინდა?—უსაყვედურა მოსულმა. ცხენმა კიდევ დაიფშვინა, დამნაშავესავით მიწა მოსთხარა.

— მეფეა, მეფე!—გაისმა ხალხში.

— მამა, მამა!—აშრიალდა ვეჯინის ტყე.

სასახლის აღმართზე კი შებურვილი შავი ლანდები, ცხენების თქარა-თქურით ამოდიოდნენ. იარაღშემართული მეფის ამაღა ციხე-სასახლეს ირგვლივ ერტყმოდა.



მხრებში მოხრილი მეფე ციხის კარებს მიუახლოვდა. ფრთხილად შევიდა.

კელაპტრებ-შემოწყობილ ტახტზე იარაღში იწვა ლევანი. მოსული დაიხარა, მიცვალებულს შუბლზე კულულები გადაუწია.

— რა ვაჟკაცი მყოლია! რა ვაჟკაცი! — ჩურჩულებდა იგი. საკინძი შეხსნა. დაიხარა, მკერდზე ჭაღარა წვერი გადააფინა. მიეჭლო. გაყინული გული არ სცემდა. თითქოს მხოლოდ ახლა მიხვდა ყველაფერსო, შესაზარად დაიგმინა და წამოიჭრა.

— ქვეყნისათვის მოამაგე გული ვინ დაგიდუმა, შვილო? ვინ დამიჭვრივა შენი ლაშქარი...

ლევანს მკერდზე ხან მკერდს და ხან მამის ცრემლები ეღწენოვებოდა.

მაგრამ უცბად შესწყდნ ყრულ აქვითინებული ხმა. მკერდს მკერდსავე შავი თვალები ციხის დარბაზში ცეცხლივით დაენთნენ. კედლების გასწვრივ მუხლმოყრილი მღუმარე თავადების რიგს მრისხანების ალი შეუკიდეს. დიდხანს უძრავნი დარჩნენ.

ალაზნის ნაპირებზე კი უსარდლოდ-დარჩენილი ლაშქარი იდგა. იდგა და დაღესტანის მთებში ჩასაფრებულ საქართველოს მოსისხლე მტრებს უყიოდა:

„ვინ მახსენა ჩვენს მტრებსა  
სიკვდილი ლევანისაო?  
მტერი ვერ გაულადდება,  
ერსაღე ცხენსა ზისაო“.

## ქარიშხალი



კაპიტნის თანაშემწე ოდნავ ელაში, ჯგუხა კორნელი გვახარია კატარდა— „თოლიას“ გემბანზე ბოლთასა სცემდა.

— ორი ნაოსანი ქიშს ლეზავდა.

კორნელიმ, კატარლისაყენ ბარბაცით მომავალი ახოვანი კაპიტანი რომ დაინახა, თვალეზზე ხელი მოიჩრდილა.

„დამთვრალა“?!—გაოცდა კორნელი. მისი სიყრმის მეგობარი სარიდან ბერიძე ჯერ მთვრალი არ ენახა. „დალუპავს ის ქალი სარიდანს“,—გულისტკივილით გაიფიქრა და სწრაფი ნაბიჯით მეგობრისაყენ გასწია.

ნაოსნებმა კორნელის თვალი გააყოლეს.

— კაპიტანი მთვრალია, წიგნები მაინც ილიაში ამოუჩრია.

— კარგი კაცია ჩვენი კაპიტანი, — დასძინა მეორემ.

სარიდანი უღიმოდა კორნელის. მისი დიდრონი წაბლისფერი, კეთილი თვალეზი ნაღვლიანად გამოიყურებოდნენ.

კორნელიმ წელზე ხელი მოხვია.

— გამიშვი ხელი, მთვრალი ხომ არ გგონივარ?

განცვიფრებულმა კორნელიმ ხელი შეუშვა. მართლაც, სარიდანი მთვრალი არ იყო. უძილო ღამეებისაგან მოთენთილი, ფეხზე ძლივს იდგა.

კატარდაზე ავიდნენ. სარიდანი ტენ-

ტის ქვეშ რგვალ მაგიდას მიუჯდა, ჩასთვლიმა.

— თამარი ხომ არ შეგბვედრია? — მოჭუტული თვალეზით სარიდანს მიანიჩრდა.

— დილით ვინახულე.

— შერე?

— ჰმ... ცივად შემხვდა. ჩემმა მუცემ, ვერაფერი გამოგია. ხან თითქოს გულხშივრია, ალერსიანი, თუმცა მაშინაც თავი ისე უჭირავს, რომ გულს ვერ გავულებ.

— იქნებ არ უყვარხარ, შე კაი კაცო? თავს რატომ იმცირებ? ერთხელ მაინც გადაჭრით როგორ ვერ შეეკითხე?

— რომ არ მოვწონდე, ხშირი შეხვედრისა და საუბრის უფლებას არ მომცემდა. თამარი ამაყი, თავმოყვარე ქალია. თუმცა... არ ვიცი... სიყვარული უნდა გამომჟღავნდეს ქცევაში, მოქმედებაში... ვერ ვხედავ...

— რამდენი წელი უნდა დაჰყო ასეთ გაურკვევლობაში? ამაღამ ზღვაში რომ გავალთ, დილით ფოთში ვიქნებით. შერე სევასტოპოლი, ოდესა... ბარემ გაათავე...

— ამ საღამოს უნდა შევხვდეთ ერთმანეთს... ყველაფერს გამოვარკვევ. უარი თუ მითხრა, კატარდას შენ ჩაგბარებ, ოდესაში ისევ მოვეწყობი საოკეანო გემზე და შავ ზღვას დიღინით გავშორდები.

კორნელიმ ხელები უკან შემოიწყო, გეშბანზე გაიარა გამოიარა.

— მაინც არ შესისს, სარიდან, რა საჭიროა სიყვარული. განა მხოლოდ იმისათვის, რომ კაცი უძილობისაგან დაიტანჯოს!?

კორნელის უყვარდა დები, ძმები, შშობლები, მეგობრები, მაგრამ ქალი არასოდეს ყვარებია...

„თამარზე უკეთესი ქალიშვილები შეეტრფიან სარიდანს. აღმირალის ქალიშვილი თინა უფრო ლამაზია, ქონებაც საკმაოდ გააჩნია. ჩამოშორდეს თამარს და თინა შეიყვაროს. ნუ თუ ეს ძნელია?“.

ამ ფიქრებში გართულმა შენიშნა: სარიდანს მაგიდაზე თავი ჩამოედო, ჩასძინებოდა. კაიუტიდან საზაფხულო პალტო გამოიტანა და მხრებზე წამოასხა—არ გაცივდესო.

\*  
\* \*

ელნათურებით განათებულ, პალეობითა და კვიპაროსებით გარსშემორტყმულ, ზღვისპირას გაშლილ ბაღში შევიდნენ თამარი და სარიდან.

თამარი ლელავდა, გრძნობდა: სარიდანს სიყვარულში გამოუტყლებოდა. მოლისდერი აბრეშუმის კაბით გამოწყობილი ტანს კობტად მიარხევდა, წაცნობებს თავაზიანად ესალმებოდა, შავი, უღამაზესი თვალები უბრაწყინავდა.

სარიდანს მოწყენილი იყო. ბაღში მოსვირნე ქალვაცთა სიცილ-კისკისი მართობის სევდას აღვივებდა მის გულში. ეტყვის, ჩემი ტახტით, სიცოცხლეზე მეტად მიყვარხარო, მაგრამ უარი რომ უთხრას? იქნებ არც თამარია უგულო, მაგრამ თავმოყვარეობის გამო დღემდე არ გამოუმჯავებია თანისი გრძნობა?

სარიდანს მაგნოლიის ხეებში მიეყრდნო.

— რატომ განქრდები? შეიყვაროთ, ზღვისპირას გაიფიქროს სარიდანს დაბარბაცდა.

— რა გეპარტება?... დატუქსა სარიდანს, ერთმანეთში გადაზრდილი, შავი მოხატული წარბები შეჰკრა, მერე ხელი მკლავში გაუყარა და ცბიერი ღიმილით ჰკითხა:

— უთენია ჩემი სახლის წინ სკამზე რომ იჯექი, რას იტყვიან მეზობლები? ბოქაული შორიდან ვითვალთვალებდა.

მაგნოლიის ხეებს ჩაუარეს, ზღვისპირას კენჭებზე ჩამოსხდნენ.

ბნელოდა. ზღვიდან სიო უბერავდა. ქვევით კენჭებზე პაწია ზვირთები შხაპუნობდნენ.

— მომეცი უფლება წამოეწვე, — სთხოვა თამარს, —ნომ არ გამიწყურები?

— არა...  
სარიდანმა კენჭებზე თავი დასდო, თვალები დახუჭა...

რამდენჯერ განუზრახავს გული გაეხსნა თამარისათვის, მაგრამ მის ცბიერ, დამკინავ თვალებს რომ შეხედებოდა, გამბედაობას ჰკარგავდა. ახლა იმისათვის მოიყვანა აქ, რომ ყველაფერი უთხრას, გარკვეული პასუხი მიიღოს, მაგრამ ენა ვერ დაუძრავს.

მძიმედ, მოშვებულად იწვა. სურდა იმ კენჭებზე დაეწყო, რომელთაც სხეულით ეხებოდა თამარი, მისი სხეულის სითბო, როგორც ძვირფასი რამ განძი, შეენახა.

თამარი კენჭებს ხელში ათამაშებდა, მერე ზღვაში ისროდა. კენჭი წუთით ფოსფორულ სინათლეს ანთებდა წყალში.

თამარს თანდათან აღიზიანებდა სარიდანის დუმილი. გაბრაზებულმა კენჭი სახეში ესროლა. სარიდანმა თვალები გაახილა, ამომავალი მთვარე დაინახა, მარჯვენა გაკაწრულ ლოყაზე ხე-

ლი მოისვა, აეწვა. ხელი მოაფათურა, წვეტიან კენჭს თითები მოუჭირა. „ეს კენჭია“, — რატომღაც გადასწყვიტა, აკოცა და ჯიბეში ჩაიღო.

მთვარის შუქში გახვეული თამარი ზღვას გაჰყურებდა. კაბის კიდეს სიო ოდნავ არხვედა.

— დიდიხანია, თამარ, მინდა გულწრფელი ვიყო, მაგრამ ვერ გამოხედინია, — დაბალი ხმით წამოიწყო სარიდანი, — შენ აღბათ, გრძნობ, რომ მიყვარხარ. გრძნობას არა გთხოვ, გრძნობა ფული არ არის, მაგრამ გარკვეული პასუხი კი შესაქიროება.

— შენი არასოდეს ვიქნები.

— ხუმრობ? — ნაძალადევი ღიმილით შეეკითხა.

— არ ვხუმრობ, სარიდან.

— რატომ არ ვახდები ჩემი? — ხმა აუთრთოლდა.

— მომწონხარ როგორც ვაყვანი, მაგრამ, მაინც ვერ გავხდები შენი ცოლი.

— რატომ?

— სხვა მიყვარს... — თამარმა თავი დახარა, რომ სარიდანს მისი სახე არ დაეწახა.

— მაშ ჩემთან თვალთმაქცობდი?

სარიდანს თვალთ დაუბნელდა. უამრავი ჰინკა ახითხითდა და აცუკვდა მის გარშემო. წითელსა და ნემსივით წვრილ ენებს უყოფდნენ, დასცინოდნენ. ვინს რომ მოვიდა, სისწლი თავში აუვარდა, წამოხტა, მკლავებში თითები ჩაუჭირა, აიტაცა, მკერდზე ისე ღონივრად მიიკრა, თამარს კინაღამ გული შეუღონდა.

„დაგაღრჩობ, მოგკლავ, შურს ვიძიებ“... — ფიქრობდა გაათრებულად.

თამარი გრძნობდა კუნთებიან, მსხვილ მკლავებს, განიერ მკერდს, მკერდზე გულის ბავუნს. მკაფიოდ ესმოდა გახშირებული სუნთქვა. სარიდანის მკლავებზე მორჩილად იწვა.

სარიდანის გულში შუთოსძიების გრძნობა თანდათან ქრებოდა. ერთმანეთში გადაზრდილ თამარს წარბებს მონუხსულივით დაჰყურებდა, ენეებოდა, ეს წარბები კი არა, ასპიტი გველია. აი, ეს გველი უყვარდა თურმე მას. მკლავები უღუნუნებოდა. მოუღუნდა სხეულიც. თამარი ძირს დასვა. თამარი აღვა, თმა გაისწორა.

— დაგტანჯე? რა გქნა, ასეთი ვარ. მიყვარხარ... — მიახალა და კვიპაროსების ჩრდილში გაჰქრა.

• •

სარიდანის ღილინი რომ გაიგონა კორნელიმ, წიგნი დახურა, გემბანზე ასვლა დააპირა, მაგრამ ამ დროს კაიუტის კარებმა გაიჭრიალა და სარიდანმა შემოალაჯა, კორნელის ხელი მოხვია, ორივე ლოყაზე აკოცა.

— რა შეგემთხვა? — კორნელიმ მხრები აიჩჩა.

— მომილოცე, თამარს ვყვარები-ვარ... — სარიდანი დაწვრილებით მოუყვა.

— მაშ ჭორწილში მიქეიფნია, როცა დაებრუნდებით.

შეგობრებმა ერთმანეთი გადააკოცნეს.

— ამაღამ ბუქსირით ხომ უნდა წავიყვანოთ „ტავრიდა“?

— რა თქმა, უნდა, კორნელი.

— წავალ, „ტავრიდის“ კაპიტანს კიდევ გავაფრთხილებ, მოემზადოს.

• •

კატარა „თოლია“ „ტავრიდას“ მიუახლოვდა.

— ფოლადის ბაგირიც მიაწოდეთ! — ბრძანა სარიდანმა.

— არის ფოლადის ბაგირიც! — განსმა პასუხად.

„თოლიას“ ზრახნი წყალს აჩუხჩუხებდა.

— როგორ არის საქმე?—სარიდანმა „ტავრიდის“ კაპიტანს, მოხუც ლავრენტი ზორავას გადასძახა.

— მზად ვარ!—„ტავრიდიდან“ დაიგუგუნა ზორავამ.

— ჩვენი ლავრენტი ქარხნის საყვირად გამოდგება—იხუმრა კორნელიმ.

სარიდანმა ტელეგრაფის სახელური გადასწია. მექანიკოსმა სამანქანო განყოფილებიდან უპასუხა: დზინ... დზინ: „თოლია“ დაიძრა.

„თოლიას“ „ტავრიდა“ ფოთის ნავსადგურში უნდა შეეყვანა რემონტისათვის. იმჟამად ფოთის ნავსადგურში, რიონის პირას, ბოლაზთან, გრძელ ფიცრულ შენობაში გემთშემკეთებელი სახელოსნო იყო მოთავსებული.

ნავსადგურის კართან „თოლია“ აქანავდა. ჯერ გვერდით გადაწვა, მერე ყალყზე შედგა და წყალზე ცხვირით დგაფუნი გააღინა.

ზღვაური სქელ, შავ ღრუბლებს მოერეკებოდა.

კორნელი დაბარბაცდა,—ზღვა არ ხუმრობს,—ჩაიბუტბუტა და სარიდანს მიმართა:

— „ტავრიდა“ ახლა ჩვეთან, ბაგირები ხომ არ დავაგრძელოთ?

— თუ ღელვამ იმატა, ჩვენსა და „ტავრიდის“ შორის მეტი მანძილი უნდა დაევიპიროთ. ახლა კი დარჩეს ისე, როგორც არის. დილით შემცვალე.

კორნელი კაპიტნის ბოგირიდან დაეშვა.

ქარი ძლიერდებოდა, ტალღები იზრდებოდნენ. როცა „თოლია“ ტალღას ზურგზე მოექცეოდა, სარიდანი განათებულ ქალაქს ხედავდა. გონებაში ესახებოდა მძინარე თამარი, მისი

მორთოლვარე ნესტოები წარბები, უკეთ—ერთი გრძელი, მშვენიერი წარბი. ბათუმს შორდებოდა, მაგრამ გული იქ რჩებოდა, სადაც ყოველთვის ეგულეებოდა. იქნებ თამარსაც არ სძინავს? ალბათ ნანობს—რად ვტანჯავდი სარიდანსო. წლის განმავლობაში ვერაფერი გავუო სარიდანმა. ოცი წლის ქალს ვინ მისცა ამდენი ეშმაკობა?

გულგაღვლილი მესაქე ღონიერი მკლავებით შტურვალს ჩაბლაუჭებოდა.

ზღვაურის სტვენა და ზუზუნის ტალღების ხმაგამბულ გუგუნს ერთოდა.

ზღვას კი არა, თითქოს გულს, სიყვარულით აფორიაქებულ გულს უსმენდა სარიდანი.

შუღამეს იძალა ქარმა.

სარიდანმა ბრძანება გასცა—ბაგირები დაეგრძელებინათ.

ლუკები ყრუდ დაძხურეს.

ზვირთები გემბანზე დათარეშობდნენ.

„თოლია“ ტალღებზე ცხვირით რომ დაეშვებოდა, საქე და ორლაპოტიანი ზრახნი ჰაერში რჩებოდა. ზრახნი პროპელერივით ტრიალებდა.

ტალღა კატარლას ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ შემოატრიალებდა.

ოფლალქეუული, აქოშინებული მესაქე შტურვალს ებრძოდა.

სარიდანი დროგამოშვებით „ტავრიდისაკენ“ იყურებოდა. „ტავრიდა“ არ ჩანდა, მის ანძაზე წითელი ფარანი ბეჭუტავდა. წითელი შუქი ხან ზევით იწვედა, ხანაც უჩინარდებოდა.

გათენდა.

ფოთის შუქურას ამაოდ ეძებდა სარიდანი.

ქარი ღრუბლებს საოცარი სისწრაფით მოაქროლებდა. ხანდახან ცის ლურჯი ნაქერი გამოჩნდებოდა, მზეც გამოანათებდა. მერე ისევ ჩაბნელდებოდა პორიზონტი.

უზარმაზარი ზვირთები ერთმანეთში იჭრებოდნენ, კატარლის ქიმებს ასკდებოდნენ, გემბანზე გადმოდიოდნენ.

„თოლიდან“ „ტავრიდაზე“ გაბმული სამი ბაგირი ხან ლარივით იჭიმებოდა, ხან წყალში იძირებოდა.

კორნელი კაიუტიდან ამოვიდა და კიბეს შეახტა—ტალღამ არ დამასველოსო. საფეხურები აირბინა.

— შუბლზე კოპი ვინ დავასევა?

კორნელის გულიანად გაეცინა.

— კაიუტაში დავეცი, კარგი ბიჭი ხარ, შე კაი კაცი, და ასეთ ღელვაში წონასწორობა დაიცავი. ეს არაფერი, ცეცხლფარეშს ხელი დასწვია. ჯოჯოხეთური სიცხეა იქ თურმე.

— უნდა მოითმინონ, სხვა ვზა არ არის.

— გეტყობა მოქანცული ხარ. ღამე შეგცვლიდი, მაგრამ, ძილის წინ არაყი გადავხუხე და მაგრად ჩამძინებია.

კიბეზე ჩამავალმა სარიდანმა პორიზონტზე შევ ზოლს თვალი რომ შეაგელო, შეაერუოლა, კლდინი უცხო ნაპირი შეივცნო... „ქარიშხალი კატარლებს კლდეებისაკენ მიეზიდება“.

კაიუტაში შუბლზე ხელი შემოირტყა.

„ღმერთო ჩემო, ქარიშხალს საით წავეუდივართ... „თოლიაზე“ და „ტავრიდაზე“ ოცდაჩვიდმეტი კაცია. ნუ თუ დაღუბვა გველის?“

კარადაში ჭიქებისა და საინების ნამსხვრევები წკარუნობდნენ. ფიცრები კრიჭინებდნენ. მაგიდიდან იატაკზე ცვივოდნენ წიგნები. ერთი ილუმინატორიდან წყალი ეონავდა, კორნელის საწოლზე აღუღუნებულ ანგორის კატას უფრზე ეწვეთებოდა. კატა ხანგა-

მოშვებით თავს იქნევდა, მარჯვენა უფრს არხევდა.

სარიდან ბორავდა საწოლზე, უნდოდა თვალი მოეტყუებინა, მაგრამ ძილი არ ეკარებოდა. წამოაჯდა, იატაკს ნაღვლიანად დაამტვრედა.

„დაუეწოყარი ღამე, ზემი თამარი... ყველაფერი გათავდა...“

თმაჩამოწეწილი, თვალბმოწკურული დიდხანს არ განძრეულა. მერე მშვიდი თვალებით ირგვლივ მიმოიხედა, წელში გასწორდა, „მე და შენ კიდევ ვიბრძოლებთ, სიკვდილო!“ — მტკიცედ ჩაილაპარაკა და ზევით ავიდა.

სარიდან გააოცა კორნელის შეშინებულმა, ფერმიხდილმა სახემ. მაღალ, კლდოვან ნაპირს რომ შეხედავდა, თვალეში საშინელება ეხატებოდა.

— კაიუტაში მოისვენე! — უფრში ჩასძახა სარიდანმა.

— „ტავრიდას“ ბოცმანი ზვირთმა ჯალამბარში გააძვრინა, ფიცარივით გააბრტყელა და გადაარეცხა. ზომ ხედავ კლდეს? სადა ვართ, ვერ გამოვივა. გადავკრათ ბაგირები, „თოლია“ ქარიშხალს მოერევა. „ტავრიდას“ გულისათვის ჩვენც ზომ არ დავილუბებით? — ყვიროდა კორნელი, რომ სარიდანს გაეგონა.

„აქ აღარ შეიძლება მისი დატოვება, აღგზნებულია, ხელს შემისლის“, — გაიფიქრა სარიდანმა, დაუყვავა, მხარზე ხელი მოუთათუნა, სოხოვა—ჩადი კაიუტაშიო.



თუმცა „თოლიას“ მანქანა მთელი სიმძლავრით მუშაობდა, მაგრამ ქარიშხალი უკან ეწეოდა. გარკვევით მოჩანდნენ მაღალი მთები, სადაც იმსხვრეოდნენ და ჭაფდებოდნენ ზვირთები.

ორი დღე-ღამის განმავლობაში კაპიტნის ბოგირიდან ფეხი არ მოუცვლია სარიდანს. ფერმკრთალი, სახეჩამო-

გრძელბული, გამხდარი, წყლის მტკრისაგან თავიდან ფეხებამდე დასველებული მშვიდად, აულღელებლად იძლეოდა ბრძანებებს.

კორნელის ზღვამ აწყინა, ფეხზე დგომის თავი აღარა ჰქონდა. მტწილად იწვა, არაყს სევამდა, კაიუტიდან არ გამოდიოდა.

ვეება ტალღები ისე მძაფრად უტყედნენ ქარაფებს, რომ ფისისფერი ღრუბლებით სახე-ჩაბნელებული მთები გუგუუნებდნენ. შხეფები ხანდახან მთის მწვერვალამდე აღწევდნენ. მაშინ მთის მწვერვალს თეთრი ფრინველი მოწყდებოდა, ჩაღამებულ სივრცეში აიჭრებოდა, იქ თეთრი წერტილივით ელავდა.

გემბანზე საიდანღაც გაჩნდა დამკლავებული, ჯერ კიდევ ბავშვი, უაზროდ მომღიმარი, მზარეულის მოწაფე. მისი ხუტუჭი თმა ქარს ცალ მხარზე მოექცია. გემბანზე გაგორებულმა ტალღამ ქიშხე გადაათრია იგი და დაძვარა. წყლიდან თავი ამოჰყო, ხელი გაიქნია. ქაფიანმა ზვირთმა თავზე გადაუარა.

სარიდანმა უკანასკნელად წყლიდან ამოწვდილ, მის პატარა, თეთრ თითებს მოჰქრა თვალი, დაიგმინა და ხელზე იკბინა. ბავშვს მიეშველებოდა, მაგრამ ორივენი რომ დამღრჩვალიყვნენ, კატარლებს ვინდა უპატრონებდა?

ქარი კლებულობდა, მაგრამ კატარლებსა და ნაპირს შორის მანძილი საბედისწერო სიჩქარით მოკლდებოდა. „თოლიას“ მანქანა სრული დატვირთვით ვეღარ მუშაობდა.

სარიდანი ტელეგრაფს ანგრევდა. სამანქანო განყოფილებიდან იშვიათად იძლეოდნენ პასუხს.

„დაიღალენ... კიდევ ასე მეტრი და „ტავრიდა“ დაიღუწება, ბევრ ჩვენი ჯერიც მოვა“.

სარიდანი ორთქლივით მზარეულს მივარდა, ლუზები ჩაჰყარა, მთვრალამბარი დაამუხრუჭა. ჯაჭვები დაიქიმნენ. კაპიტანი ბოგირს დაუბრუნდა, მესაქვს გამამხნეველად მხარზე ხელი დაჰკრა.

ოცი წლის ნაოსანმა ისე შეხედა სარიდანს, რომ გული დაუთუთქა. იმ უსიტყვო გამოხედვაში სასიკვდილოდ განწირული კაცის უიმედობა ამოიკითხა.

— დაიღალე, ხომ? წადი, ბოცმანს დამიძახე.

— ბოცმანი ცეცხლფარეშს ეხმარება. სხვებს მუშაობის თავი აღარა აქვთ, სელიოლეებივით წვანან. თქვენთან ვიქნები, კაპიტანო...— რაღაც კიდევ უნდა ეთქვა, მაგრამ ენა მუცელში ჩაუვარდა, სანვენებელი თითი კატარლის ბოლოსკენ გაიშვირა.

სარიდანმა მიიხედა და ბოგირიდან გემბანზე გადახტა.

კატარლის ბოლოში კორნელი ცულს იქნევდა, ბაგირებს სჭრიდა. სარიდანმა კორნელის მუშტი თავში დაჰკრა. კორნელი გემბანზე უგრძობლად ჩაიკეცა.

სარიდანმა ცული წყალში ისროლა. ტანთ სასწრაფოდ გაიძრო, წელზე გრძელი თოკი მოიბა, თოკის ბოლო ფოლადის ბაგირის თავს შეასკვნა და წყალში თავით გადაეშვა.

დაზიანებული ბაგირები რომ დაწყვეტილიყვნენ „ტავრიდა“ ტალღების სათამაშო შეიქნებოდა; საჭირო იყო ახალი ბაგირის მიშველება, ამიტომ ჩქარობდა სარიდანი.

„ტავრიდას“ გაუსწორდა. ტალღას ზურგზე რომ მოექცა, კატარლისაკენ რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მოუსვა სარიდანმა. ტალღამ გემბანზე ააგდო და ჯალამბარს მძლავრად მიანარცხა.

ოთახში კრაქი ბოლავდა. სარიდანმა გადაბრუნება სცადა, მაგრამ მკლავში და ხერხემლის არეში ტკივილი იგრძნო, ხმამალა ამოიკვნესა. სარიდანს იმ წამსვე თავს წამოადგა ბოცმანი.

— მადლობა ღმერთს, კაპიტანო, — იძახდა გახარებული ბოცმანი და თითებს იმტვრევდა.

— ჩვენ კი გადავრჩით, მაგრამ დანარჩენები? კორნელი სად არის? — გაფართოებული, ანთებული თვალები ბოცმანს თვალებში გაუყარა.

კორნელის ხსენებაზე ბოცმანი დაიბნა, ენა დაება.

„დაილუპნენი!“ — გადასწყვიტა სარიდანმა, თვალები დაეხუჭა. მის ჩაცვინულ, გამჟვირვალე, წვერმოშვებულ სახეზე ცრემლი ჩამოცურდა.

— თქვენ გადაარჩინეთ „ტაერიდა“, კაპიტანო, რომ დაიმტვერით, იმ საღამოს ქარი ჩადგა, მერე ზღვაც დამშვილდა, ჩვენები ახლა ფოთში იქნებიან.

— რა სთქვი? — კაპიტანს აღელვებისაგან ლოყები წამოუწითლდა, — მამ ცოცხლები არიან?

— დიახ, ბატონო, კაპიტანო, სისხლისაგან იცლებოდით. ფოთამდე შეიძლება სული ვერ მიგეტანათ. მე და თქვენ ნაპირზე გადაგვსწვსანახლს ყველაფერი რიგზეა! — ბოცმანს უმარხოდა კორნელის შესახებ კიდევ არ შემეკითხოსო. კატარლაზე კორნელის ბედი არაეინ იცოდა.

კრაქის შუჭზე სარიდანმა კედელზე ჩამოკიდებული ქართველი ქალის პორტრეტი დაინახა. ბალიშიდან თავი წამოსწია, აღელვებული დიდხანს აკვირდებოდა. „ეს ხომ თამარიია!“ — გაიფიქრა.

— თამარის პორტრეტს აქ რა უნდა? — შეეკითხა ბოცმანს.

— ეს ამ სახლის პატრონის ქალიშვილის სურათი გახლავთ, ბატონო კაპიტანო.

— ბათომში ვართ?

ამ დროს იქვე ვიღაცამ ყრუდ ჩაახველა. მერე მაღალი, წვერიანი კაცის სილუეტი ოთახის კუთხეში აიშართა.

სარიდანი მოხუცის ლანდს ცნობის-მოყვარეობით მიაჩერდა.

— არ იღარდო, შვილო ქართველებში ხარ, ბათომსაც ჩქარა ნახავ, — ანუ გეშა მოხუცმა ლანდმა, — აქ, ტრაპიზონში ბევრია შენი მოგვარე.



კლავონ ასანიძე

## აპრილი

★

ვღვევარ ბაღში... გული არ გრძნობს სიმარტოვეს...  
შხოლოდ შიკვირს — ტყემლებს რად აქვთ ფერი მკრთალი?  
ან მხარგაშლილ მობრიალე ატმის რტოებს  
ვინ შეუწითო გასაოცრად ცეცხლის ალი?  
ირველოვ ხენი უშფოთველნი დგანან შშვიდად...  
შე მხოცებს ეს ცეცხლი და თოვლის გროვა...  
თუ ცეცხლია — მარტო ატმებს წაეციდა?  
თუ თოვლია — მარტო ტყემლებს დაათოვა?  
სხვა ნერგები თვალის სეირს ესწრებიან?  
თუ რა არის? რა სიმწვანე ფარავთ მხრებზე?..  
— აპრილია! თურმე აპრილს შესძლებია:  
ტყემლებს თოვლით, ატმებს ცეცხლით ააფეთქებს!

---

# მოგონებანი



## I

დავიანებული მოგონებანი. — ჩემი მშობლები. — ჩემი დაბადება და მამის მწუხარება. — ბებია ნინო, მისი მეორე ქმრის სოლომონ ჭავჭავაძის ოჯახი. — ჩემი ცხოვრება ბებია ნინოს ოჯახში. — ბავშვობა და ჩემი ცელქობის ამბები. — წერაკითხვის შესწავლა და სასწავლებელში მიბარება. — ბებია ნინოს აზრი ქალის სწავლაზე. — დედის გარდაცვალება. — სასწავლებლიდან გამოყვანა. — მამის მიერ მეორე ცოლის შერთვა, ობლების მდგომარეობა და ჩემი მზრუნველობა მათზე. — ახალი მასწავლებელი. — ჩემი გათხოვების ამბავი. — ლაგოდებში ჩემი გაგზავნა. — თბილისში გადმოსახლება.

მეუბნებიან მოგონებები დაწერო. ერთმა ჩემმა მეგობარმა, აწ-გარდაცვლილმა მწერალმა ქალმა, ნინო ყიფიანისამ, მისაყვედურა კიდეც:

— შენ დიდხანს ემსახურე ქართულ სცენას. დიდი თავგადასავალი გაქვს, ჩვენს მწერალ-მოღვაწეებში ტრიალებდი, ბევრი რამ გინახავს და გაგიგონია, ყველაფერი ამის აწერა საინტერესოა და აუცილებელიც. ამიტომ, რა უფლება გაქვს მოგონებაში არ დაწერო. ამაზე ვუპასუხე:

— ჯერ ერთი, არც ისე დიდი ვინმე ვარ, რომ ჩემი მოგონებებით ვინმე დავაინტერესო, მეორეც, მწერალი არა ვარ, წერა არ მეხერხება და ჩემი კალმის ნაცოდვილარი აბა ვის მოეწონება-მეთქი.

— შენი შრომა რაც იყო, ეგ სხვამ შეაფასოს, შენ-კი, როგორც მოახერხო, ისე დასწერე, და ყველაფერი რიგზე იქნებაო.

მიუხედავად დაეინებული მოთხოვნისა, მაინც ვყოყმანობდი, არ ვიწყებდი

ჩემი მოგონებების კერცლად დაწერას... მაგრამ ნაწილ-ნაწილ ამათუიმ საკითხზე, ან ვისმეზე, ზოგჯერ დაეწერდი და ჩვენს პერიოდულ პრესაში ვაჭკვეყნებდი, სულ ხუთი თუ ექვსი წერილი გამოვაჭკვეყნე... გავიდა დიდი ხანი. ახლა ჩემმა მეგობრებმა საკითხი ხელახლად წამოჭრეს: მოითხოვენ მოგონებები უეჭველად დაწერო.

გვიანდაა, მოხუცებული ვარ, 80 წელი მაშინიშებს, ჩემს მახსოვრობას გულმაიწყოების ბურუსი ჩამოეფარა. მეუბნებიან: უარესი რომ დაგემართოს, რას აპირებ, ახლავე შეუდექი წერასო... სჩანს ეგ საჭიროა... თუ მართლა ასეა, რა უფლება მაქვს უარი ვთქვა... ამიტომ ჩემს მოგონებათა ბოხჩის თავს მოვხსნი და, თუ შიგ რამე ჩარჩა, ამოვალაგებ... მაგრამ წინასწარ უნდა განვაცხადო: თარღილებზე ხშირად უკაცრავად ვიქნები, დეტალებიც ბოდიშის გარეშე არ დარჩება,—რას იზამთ, ასეთი შეუბრალებელია 80 წლის ასაკი, ამიტომ მაპატიეთ, არა, მე ნუ მაპატი-

\* მსახიობის მარიამ საფაროვი-აბაშიძის მოგონებათა ტექსტი გადმოსცა რედაქციის გამოსაქვეყნებლად საქართველოს სახელმწიფო სათეატრო მუზეუმმა.

როგორც აღნიშნულია თვით მოგონებათა შესავალში, განსვენებულმა მსახიობმა ეს მოგონებანი დასწერა მოხუცების დროს. მდივნის მოვალეობას მოხუცებულ მსახიობთან ასრულებდა სათეატრო მუზეუმის უფროსი მეცნიერი მუშაკი სერგი გერსამია.

მოგონებთა დამთავრების შემდეგ განსვენებულმა მსახიობმა 1940 წელს იგი წაიკითხა ლიტერატორთა და მსახიობთა ვიწრო წრეში.

ებთ, დამნაშავე ვარ, რადგან თუ დასაწყერი იყო, თავიდან უნდა დამეჯერებია მეგობრების რჩევისათვის და ეს მოგონებები აღრე დამეწერნა; აპატიეთ ჩემს ასაკს, ის არის ამ საქმეში უნებლიე დამნაშავე...

მამ დაიწყო.

მამაჩემი იყო მიხეილ სოლომონის-ძე საფაროვი. იგი შთამომავლობით ქართველი იყო, მაგრამ მის წინაპარს, რაღაც მიზეზის გამო, სომეხ-გრიგორიანთა სარწმუნოება მიეღო. მამა რელიგიას არავითარ ანგარიშს არ უწყევდა. მის წინაპართა გზას ურყევად ადგა, თავს ქართველად თვლიდა, ის წოდებით აზნაური იყო და ქართველ თავდაზნაურობის საკრებულოშიც ირიცხებოდა. ის ერთ დროს სამხედრო დარგში—მილიციაში მსახურობდა და პრაპორშჩიკის ხარისხს ატარებდა. მამა დიდი შეძლების არ იყო, ოჯახს ძლივს არჩენდა, მაგრამ იხტიბარს მაინც არ იტეხდა. საკუთრების დროს სტუმარ-მასპინძლობაში დარდიმანდობას იჩენდა.

დედაჩემი სალომე — ივანიშვილის ასული იყო. კარგად იცოდა ქართული ენა, შესწავლილი ჰქონდა ქართული ლიტერატურა. ოჯახი ძლიერ უყვარდა, მუდამ თავს დასტრიალებდა, სოჯახო საქმეებს მორჩებოდა თუ არა, მაშინვე წიგნებს ჩაუჯდებოდა.

დაეიბადე 1860 წ. 18 თებერვალს ქალაქ თელავში. ჩემი შშობლები კახეთში, სოფელ გავაზში, ცხოვრობდნენ.

დაეიბადე თუ არა, მაშინვე მიახარეს მამაჩემს, რომელიც მეორე ოთახში თურმე ფრიალ აღელვებული და გულისფანცქალით ელოდა შშობიარობის შედეგს. ქალი დაიბადა, ძლიერ ეწყინა. მაშინ ქალის შექენა ხომ არავის უხაროდა. მისი გავრდა, გათხოვება საკირბოროტო. საკითხად მიიჩნდათ. მართო ერთი მზითვეის ხსენება და მის გარშემო გამართულ ვაქრობის მოგო-

ნება რად ღირდა... ჩვენი მკაცრული ბელეტრისტის დავით კლინიშვილის „ირინეს ბედნიერებაში“ და „არისპანის გასაჭირში“ და სხვა რომანებებში აწერილი ამბები ძველ ქართულ ოჯახში, სადაც კი გასათხოვარი ქალი იყო, ყველგან ჩვეულებრივ მოვლენად ითვლებოდა... აღმათ მამასაც ეს აზრები დაუტრიალდა, როცა ქალის დაბადება გაიგო და იწყინა. თურმე კარგა ხანს იყო მოღუშული, არავის ელაპარაკებოდა, და ბოლოსა სცემდა. ბოლოს მდგომარეობას მაინც შეურყვია, მეტი რა ჩარა იყო, და თურმე თქვა:

— ქალია თუ ვაჟი, სულ ერთია, ორივე ჩემი სისხლზორცია, ორივე ადამიანია.

სამ წლამდე მამის ოჯახში ვიზრდებოდი. ამ ხნის განმავლობაში დედას შეილები ზედიზედ შეეძინა, ძნელი შეიქნა სამი, ოთხი ბავშვის ერთად გაზრდა, მამას ნეთიერი მდგომარეობაც ხელს არ უწყობდა, ამიტომ გასაზრდელად ბებია ნინომ წამოყვანა.

ბებია ნინო დედაჩემის დედა იყო, მას პირველი ქმარი რომ მოუყვდა, მეორედ სოლომონ ჭავჭავაძეს გაჰყვა ცოლად. სოლომონ ჭავჭავაძე ყვარელში ცხოვრობდა.

მას ყავდა ორი ქალი: კატო, რომელიც შემდეგ ოფიცერ აბელოვს მითხოვდა და ლიზა, რომელიც ცნობილია იმით, რომ იგი ჩვენი დიდი მწერალ-მოღვაწის ილია ჭავჭავაძის სატარფო იყო. მას პოეტმა უძღვნა თავის შესანიშნავი ლექსი: „გახსოვს, ტურფავ, ჩვენს დიდ ბაღში მე და შენ რომ ერთად ვრბოდით?“... მათი სიყვარული ქორწინებით ვერ დასრულდა. შემდეგში ლიზა ცოლად გაჰყვა ოფიცერ ალექსანდრე მარჯანიშვილს, და მათმა ოჯახმა ჩვენ მოგვცა უნიჭიერესი რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი.

სოლომონ ჭავჭავაძე მდიდარი მემამულე იყო. ჰქონდა ძველებური, პატრიარქალური ოჯახი, რომელიც თავის

პერმარილითა და სტუმარმოყვარეობით განთქმული იყო არამარტო ყვარელში, არამედ მთელ კახეთში. სოლომონის ოჯახი კულტურულადაც არ იყო ჩამორჩენილი. როდესაც ყვარელში ჩამოვიდოდნენ ილია ჭავჭავაძე და სხვა ჩვენი მწერალ-მოღვაწეები, სოლომონის ოჯახსაც ეწვეოდნენ. იმართებოდა მსჯელობა მწერლობაზე, პოლიტიკურ-საზოგადოებრივ საკითხებზე და სხვ. ბებია ნინო ამ ოჯახის გვირგვინი იყო: ძველი დარბაზული ქალი, რომელსაც შესწავლილი ჰქონდა ქართული ძველი მწერლობა, ზეპირად იცოდა „ვეფხისტყაოსანი“. ოჯახს ფარვანასავით დატრიალებდა თავს, თავისუფალ დროს საღვთისმეტყველო და საერო წიგნების კითხვაში ატარებდა და ქართული ძველი ოჯახის ტრადიციებს ურყევად იცავდა.

მდიდრულად ცხოვრობდნენ და ბავშვებიც ფუფუნებაში იზრდებოდნენ: მათ ყაელათ მიჩენილი გუვერნანტი-ქალები და მათი მუდმივი მეთვალყურეობით იწვრთნებოდნენ.

აი ასეთ ოჯახში ჩავვარდი მეც... ბებია მამამ გაძღვალა მიმიჩინა ერთი ხანშიშესული ქალი—სახელად მელანია, ის იყო ჩემი მუდმივი მეთვალყურე და დედის მაგიერი.

სოლომონი თავისი შვილებისაგან არ მარჩევდა, მისმა შვილებმა, ჩემმა ახალგაზრდა დეიდებმაც შემყვარეს. ამიტომ ოჯახს მალე შეეჩვიე, სხვასთან არ ვგრძნობდი თავს, ოჯახის სიამტკბილობას მოკლებული არ ვიყავი—და როგორც უმცროსს, ყველა მანებობდნენ.

ჩემი თავი მხოლოდ შვიდი წლის ასაკიდან მახსოვს: აუტანელი ცელქი ვიყავი, დაუდგარი და განუწყვეტლივ ვეშმაკობდი. ჩემს სიცელქეს ჩემი მეორე პაპა სოლომონი ეგრე რიგად ყურადღებას არ აქცევდა და, ცოტა არ იყოს, მეც ვერიდებოდი, მაგრამ ბებია

ნინო ზეპირად გამომყავდა მორჩინებულად.

სხვათა შორის ძლიერ მაყვარდა ვისიმე შეშინება და ამისთვის ცდიდა კატო ყველაზე უფრო დაბრთვებული მყავდა: ამოვეფარებოდი კუთხეში რამეს და დეიდა კატო რომ გამოვივლიდა, ერთბაშად გამოვხტებოდი და შეეძახებდი:—„ეუჰ!“...—მოულოდნელი შეძახებისაგან იგი შეშინდებოდა და შეხტებოდა... მე სიცილ-ხარხარით გავიქცეოდი, დეიდა კატო გონს მოვიდოდა და გამომეკიდებოდა, მე კი ბებია ნინოსაკენ გავექანებოდი და თავს შევადარებდი.

ბებია ნინოს ერთი ძველებური საათი ჰქონდა. საათი უზარმაზარ ხის ყუთში იყო მოთავსებული და კედელზე ჩამოკიდებული ჰქრიდან იატაკს წვდებოდა. საათის ქვეები, „გირებს“ რომ ეძახიან, ქვევით იყო ჩამოშვებული, ყუთს განჯინასავით გასაღები კარები ჰქონდა, მას დღეში ერთხელ გააღებდნენ, „გირებს“ ასწევდნენ და ასეთნაირად საათს მორთავდნენ.

ერთ დღეს დეიდა კატოს შეშინება ძლიერ მომინდა. ვფიქრობდი ისეთი რამ გამეკეთებია, მისთვის სრულიად მოულოდნელი ყოფილიყო და ძლიერ შეშინებოდა. დავათვალიერე ოთახები—სად რა მომეწყო და ჩემი ყურადღება სწორედ ამ საათმა მიიპყრო. გადავეწყვიტე მისი გამოყენება, გამოვალე ყუთის კარები, შიგ შევძვერი და კარები მივიხურე. დეიდა კატოს ვუცდი, მაგრამ არსად სჩანს. ორ საათზე მეტი ვუყურებდნენ მოთმინება შეკარგება, მაინც ვკირვეულობ. მოცდას განვაგრძობ. არ ვკარგავ იმედს, რომ კატო გამოვივლის... ბოლოს გამოჩნდა კიდეც, მოუახლოვდა საათს, გახარებული საათის ყუთიდან გამოვხტი და შეეძახე „ეუჰ!“—კატო მართლაც ძლიერ შეშინდა მაგრამ... მე უარესი დამემართა, ჩავარდი გაჭირებაში: გადმოხტომის დროს საათი თავის ყუთით თან გად-

მომყვა, იგი ოთახის შუაღვივზე ჩამოკიდებულ ქალს მოხვდა, შემდეგ ძირს დაეცა და მეც შიგ მომიყოლია. თავვეით აფრიაბინდი, შემდეგ აყვირდი, დეიდა კატო შიშისაგან გულგახეთქილი ოთახიდან ყვირილით გავარდა, ყველანი ხმაურობისაგან და ყვირილისაგან თავზარდაცემული შემოკვივდნენ ოთახში და საათის ყუთიდან ძლივს გამომიყვანეს. მე ტირილს მაინც თავს არ ვანებებ, პირიქით ვუმატე კიდევ, ვიცი ცემა-არ ამცდება და ვფიქრობ, ეგებ ამით თავიდან ავიციდინო. ოინმა ვასკრა: ყველანი შეშინებული მომკვივდნენ, შეკითხებიან, ხომ არაფერი გტკივაო, მე კი ვანუწყევტლივ ვზლუქუნებ. მომესმა ბებიას ხმა, მწყევლის, მე კი ტირილს ვუმატე... ბოლოს ბებიაც ჩაფიქრდა, ეგებ რაპე ეტკინაო, და მომეფერა, ცემას გადაერჩი... გუნებაში მიხაროდა და თანდათანობით გაეჩუმდი... მერე სიბრაზემ ვადაუარა, წყველა-კრულვით დაკმაყოფილდა.

ერთ დღეს დეიდა კატოს თბილისიდან, ტოლეს მალაზიიდან, გამოწერილი მძივებიანი პალტო მოუვიდა. ის რომ დავიხანბე, გული ამომიჯდა და ტირილს მოვეყვი, ასეთი პალტო რატომ მეც არ მომივიდა-მეთქი. ბევრი მილოლიავეს, მითხრეს, ნუ სტირი შენც მიიღებ მაგისთანა პალტოსო, მე კი მაინც ჩემსას ვანვარძობდი. ბოლოს ბებია ნინო მოვიდა, მომეფერა და მითხრა: — გაჩუმდი, ნუ ტირი და წითელ კაბას შეგიკერავო. მეც გაეჩუმდი. დაპირება გულში ჩამრჩა. გადის ერთი დღე, მეორე, კვირა, კიდევ მეტი, მაგრამ ჩემი კაბის შეკერვაზე არავეინ ფიქრობს. ერთ დღეს გამახსენდა, რომ სოლომონს ძვირფასი, თათრული წითელი ღიბის ხალათი ჰქონდა, შევძვერი შეაფში, ეს ხალათი გამოვძებნე, სახელოები მოვაჭერი და ბებიას მივუბრებინე:

— აი ბებია, შენ რომ წითელ კაბას

შემპირდი, ნაქრები ავერ არის და შემეკერე-მეთქი.

— ეგ რაები ჩავიდენია? შენ არამხადა შენაო? — შემომყვირა: — ჯერ კლანძლევას მოჰყვა. მაგრამ აბა ხალათს რაღა ეშველებოდა. სული გაეტვრინე და შემდეგ ზლუქუნი ამოვეუფი. ცემას ამჯერზეც გადავრჩი.

დეიდა კატოს ერთ დღეს თბილისიდან მალა-ქუსლებიანი, ლილებიანი ფეხსაცმელები მოუვიდა. ასეთი ფეხსაცმელები მეც რომ არ მივიღე, ძლიერ მეწყინა. ერთ დღეს ეს ფეხსაცმელები მოვიპარე, შევიტანე საქვეშაგებოში და ქუსლები დავამჯერე, მინდოდა ჩემი ფეხსაცმელებისათვის ნემსითა და ძაფით დამეკერებინა. ბევრი ვიწვალე, მაგრამ არაფერი გამოვიდა. მერე ლურსმნები და ჩაქუჩი გამოვძებნე და რის ვაივაგლაბით ქუსლები ჩემს ფეხსაცმელს მივაკოწიწე, ამას გარდა დეიდა კატოს ფეხსაცმელებს ლილებიც ავაქერი და ჩემსას მივაკერე.

ბებია ნინოს თავისთვის ძველებურის წესით ერთი ოთახი ჰქონდა მოწყობილი ტახტით, მუთაჭებით, სუზნით, იანის ნაალით, და ხალიჩებით. ბებიას ძლიერ ეჯავრებოდა სკამზე ჯდომა და მაგიდაზე პურის მიერთმევა. ამიტომ კვირაში ერთხელ მის პატივსაცემად მთელი ოჯახი ბებიას ოთახში სადილობდა. ამ დროს იგი თავის ქერკში გრძობდა თავს, რადგან სადილს ფეხმორთხმული მიერთმევედა. სწორედ ერთ ასეთ დღეს იყო ჩემი ხარაზობა მოწყობილი. სადილობის დროც მოსულა. ოჯახის წევრები უკლებლივ ბებიას ოთახში შეკრებილან, მე ვხარაზობ. ყველანი მეძებენ, საქვეშაგებოში მიპოვენ და მითხრეს, სადილზე გამოდიო. მეც ჩემი ახალმოდის ფეხსაცმელები ჩავიცვი და ბარბაცით ოთახში შევბაკუნდი. ყველა განცვიფრებით მომაჩერდა და ერთმანეთს დაუწყეს კითხვა: ამ გოგოს რა მოსვლიაო.

— გოგო, რა ღმერთი გიწყრება, მთვრალი ხომ არა ხარ? რატომ ასე ბარბაცებ?!— შეშვეთხა ბებია და ექვისთვალთ ამათვალ-ჩამათვალღერა.

მე ხმას არ ვიღებდი.

— არ იტყვი, რა დაგემართა?— ისევ შემომძახა ბებია.

— ახალი ფეხსაცმელები მაცვია-მეთქი, — მორცხვად ვუბასუხე.

ყველამ ფეხსაცმელებზე შემომხედა. მიხვდნენ, საჭმე ზოგორც იყო. ბებია გაბრაზდა, დაიწყო წყევლა-კრულვა. ასეთი გაცხარებული ჯერ არ მენახა.

— აი, შე კუდრაქავ შენა (კუდრაქა ჩემმა გამდელმა მელანიამ დამარქვა), უკუდო ვირზე შეგსვამ და მამასთან ისე გაგისტუმრებ, თუ ასეთები არ დაგიშლიათ, — მიყვიროდა ბებია და ერთი ლაზათიანად მიმტყეხა. მეც მოვრთე ღრიალი. ბოლოს, როგორც იქნა, გული მოიბრუნა, დაშვიდდა, მაგრამ სადილი კი მაინც გაუუგემურდა.

ბარემ ერთი ამბავიც უნდა მოვიგონო:

პატარაობისას ვნახე ბარონ ვრანგელის პატარა ვაჟი, რომელსაც ვალოდია ერქვა. იგი ზოგჯერ ჩვენთან დადიოდა და ერთად ვთამაშობდით. რატომღაც მისი სახელი ძლიერ მომეწონა, ამიტომ ვიძახოდი, რომ ვაგიზრდები, ისეთ ქმარს უნდა წავყვე, რომელსაც ვალოდია ერქმევა მეთქი. ერთხელ ეს ვაგიგონა პატარა ვალოდიამ და ტირილი მორთო, მე კი კვლავ ჩემსას ვიძახოდი. რომ აღარ მოვიშალე, ერთხელ შემხვდა და ამანაც რიგიანად მცემა... მერმე კი დავანებე თავი, მაგრამ გვიანდა იყო.

სწავლის სურვილი პატარაობიდანვე აღმეძრა და როდესაც ჩემი დეიდები გაკვეთილის სწავლას შეუდგებოდნენ, გვერდზე მივეუჯდებოდი და, რასაც

ყურს მოვკრავდი, ზეპირად / დავისწავლიდი.

ასე გავიდა რამდენიმე წელიწადი. ჩემი დეიდები დათხოვნის შემდეგ, ოფიცერმა აბელაშვილმა შეითხო, ხოლო ლიზა კი ოფიცერმა ალექსანდრე მარჯანიშვილმა, კოტე მარჯანიშვილის მამამ. მეც წამოვიხარადე, მაგრამ ცელქობას არ ვიშლიდი.

ალექსანდრე მარჯანიშვილი წარმოსადექი ვაკეკაცი იყო და დესპოტიური შეხედულება ჰქონდა, შეხედულება მის ხასიათს შეეფარდებოდა. მკაცრი იყო, თავს არავის დაუმორჩილებდა, პირიქით ცდილობდა ყველა დაებრივებია და მართლაც ყველანი მორიდებით ებურბოდნენ. იგი ჩემზეც დიდ შთაბეჭდილებას ტოვებდა, მისი ძლიერ მეშინოდა და მუდამ თვალებში შეეყურებდი, არაფერი ვაწყენინო-მეთქი. ისე მქონდა წარმოდგენილი, რომ ეს წყენინება ჩემთვის არასასიამოვნო შედეგით დასრულდებოდა. ამავე დროს ყოველთვის ვცდილობდი, როგორმე რაიმე ვასიამოვნო-მეთქი. მეც ამ „სიამოვნების“ საშუალება გამოვიძებნე: როდესაც შევიტყობდი, რომ ალექსანდრე სადმე წასვლას აპირებდა, დერეფანში დახვდებოდი, და მოკრძალებით ქუდსა და ჯოხს მივაწოდებდი, იგიც გაიღიმებდა და მადლობის ნიშნად თავზე ხელს გადამისვამდა. ეს კი ჩემთვის დიდი ჯილდო იყო. შემდეგ თვალს ვაღვებებდი და, როცა კარ-მიდამოს ვასცილდებოდა, გულზე მომეშვებოდა და თავისუფლად ამოვისუნთქავდი.

სალამობით ოჯახში, განსაკუთრებით შემოდგომისა და ზამთრის გრძელ ღამეებში, ალექსანდრეს რომელიმე ქართული წიგნის კითხვის მოსმენა უყვარდა. ოჯახის ერთერთი წევრი წიგნს ხმაშემალი კითხულობდა, დანარჩენნი კი სულგანაბული უსმენდნენ. ეს და-

მეუბნება მე ძლიერ მომწონდა და მოუთმენლად ველოდი კითხვის დაწყებას. სხვებთან ერთად მეც მივუდებოდი კითხვებში და ყურს ვუვლებდი, მაგრამ ხშირად მოსმენის ნებას არ მაძლევდნენ, როგორც პატარას, ხშირად ოთახიდან გამომაგდებდნენ და საწოლისაკენ მიმითითებდნენ. ასეთი მოპყრობა მე არაფრად მსიამოვნებდა. კითხვის მოსმენა ძლიერ მიწოდდა, მაგრამ რა მექნა, უფროსების ბრძანებას ვემორჩილებოდი.

კითხვას ყოველთვის გულდასმით ვუვლებდი ყურს და მეორე დღეს დღეობებს გაგონილს დაწერილებით ვუამბობდი.

ბევრი ვიფიქრე, როგორ მომიწყობა საქმე ისე, რომ წიგნების კითხვა მომეძინა, და ბოლოს გადავწყვიტე: სანამ კითხვას დაიწყებდნენ, მაგიდის ქვეშ დავმალულიყავ და იქიდან მესმინა. ნაფიქრიც ავასრულე. და ხშირად 3—4 საათი სულგანაბული, მოკაყული ვიჯექი მაგიდის ქვეშ და კითხვას ვისმენდი.

ასეთი მღვამარეობა დიდხანს არ გაგრძელდა და ერთი მოულოდნელი შემთხვევის გამო ყველაფერი გამომეღიანდა: ერთ ღამეს აღუქსანდრე თვითონ კითხულობდა რაღაცა წიგნს. ყველანი უსმენდნენ, მეც მაგიდის ქვეშ ვიჯექი მოკრუნხბული და ვუსმენდი, კითხვის დროს მან უცებ ფეხი გაჭიმა და მე მომახვედრა, ტკივილი ვიგრძენი, მაგრამ თავი შევიკავე.

— დახე ამ „როზკას“ (ალექსანდრეს ერთი ძალი ყავდა და ასე ეძახდა), სად შემძვრალა, კინალამ გავმკვლიტეო, — წამოიძახა და მაგიდის ქვეშ შემოიხედა. წარმოიდგინეთ ყველას გაკვირვება, როცა „როზკას“ მაგიერ მე შევრჩიხელში და მაგიდიდან გამომიყვანა. როდესაც დამშვიდდნენ, წასვლა და დაძინება გადამიწყვიტეს, მეც—გულ-

მოსული, რომ ოინები გამიჩვენეს და წიგნის კითხვაც ვერ მოვისმინე, ბურტყუნით საწოლისაკენ გავიქცეული.

7 წლის გავხდი, დავდიხარ კითხვის შესწავლის დრო, ბებიამ ამ მიზნით თავად ნოშრევანის ცოლს ნინოს მიმბარა. რამდენიმე დღის შემდეგ ასოები სულ ზეპირად ვიცოდი, მალე წერაც შევისწავლე. დაახლოებით 1868 წელს თელავში წამიყვანეს და წმ. ნინოს სახელობის სასწავლებელში მიმბარეს. ეს ამბავი ძლიერ მესიამოვნა და სწავლასაც ბეჯითად შევეუდექი. სასწავლებელში ერთი წელიწადიც არ მქონდა შესრულებული, რომ ერთ დღეს შემამარწუნებელი ცნობა მივიღე: დედა უკანასკნელ წუთებშია და შენი ნახვა უნდაო. წამიყვანეს სოფელში. დედა მართლაც მომაკვდავი დამიხვდა. მომიხვია, თან ტირიდა და თანაც მარიგებდა:

— აბა, შეილო, აწი შენი იყო, მე ვკვდები და შენი ძმების პატრონად შენ რჩები, მიხედე და მფარველობა გაუწიეო.

ოთხი ძმა მრჩებოდა, რომელთაგან უფროსი იყო შეიდი წლისა, ხოლო უმცროსი კი ექვსი თვისა. ადვილად წარმოსადგენია, რა პატრონობის გავწევა შემეძლო მე, 8 წლის ბავშვს, მაგრამ ჩქარა ამაზე ფიქრს თავი დავანებე, რადგან იქვე ხმელი შოთი (პური იყო, იმას ბოლო წავატებე და კვება დავუწყე. შემდეგ დედამ სკივრზე მიმითითა და მითხრა:

— შეილო, აი იმ სკივრში რაც არის, სულ შენია გაუფრთხილდით. მერე ყველას გამოგვეთხოვა, გადამოცნა, თავის პატარა შეილებს პირჯვარი გადაგვწერა და სული განუტევა. მამა შინ არ იყო და სანამ მოვიდოდა, ჩვენ გამღელის ამბრა ვიყავით. მე გადავწყვიტე დედის დარიგება ამესრულე-

ბია: გამდელს, მოვთხოვე, სკივრში რაც ტანისამოსი იყო, ჩემთვის ჩაეცმია.

— რად გინდა ამდენი ტანისამოსი? — გაკვირვებით შემეკითხა იგი.

— დედამ ასე ბრძანა-მეთქი, — უპასუხე.

სანამ დედის დარიგებას სისრულეში მოვიყვანდი, მამაც მოვიდა, ატყდა ტირილი და წივილ-კივილი, მოვიდნენ მეზობლებიც. მივხვდი „დარიგების“ შესრულების დრო, აღარ იყო. კარგად ეიგრძენი, რომ დიდი თავზარდამცემი ამბავი დაატყდა ოჯახს და საერთო მწუხარებას ჩემი ტირილის ხმებიც შეუერთდა.

დედის დასაფლავების შემდეგ ბებიამ ისევ ყვარელში წამიყვანა და ჩემი პატარა ძმები კი დარჩნენ მამასთან გამდელის ამარა.

დედის გარდაცვალების შემდეგ სასწავლებელში არ დავბრუნებულვარ. ბებია სწავლის გაგრძელების წინააღმდეგი იყო. ასე იტყოდა:

— რაა საჭირო, ჩვენს ქალებს სწავლა არ უნდა, „ვეფხის-ტყაოსანი“ კარგად შეისწავლონ, ოჯახის საქმე, წნილის 'ჩადება იცოდნენ და სხვა არაფერია საჭიროო.

საერთოდ ბებიას პროგრამით ქალს წერაკითხვა უნდა სცოდნოდა, შემდეგ შეესწავლა „სირინოზიანი“, „დავრი-შიანი“, „ბარამიანი“, (ხოლო, ვისაც უმაღლესი სწავლის მიღება უნდოდა, „ვეფხის-ტყაოსანი“; ზეპირად უნდა შეესწავლა.

მაშინ წესად იყო მიღებული: როცა ოჯახში სტუმრები მოვიდოდნენ, ბავშვებს „ვეფხის-ტყაოსანიდან“ ადგილები ზეპირად უნდა ეთქვათ, და თუ შეუცდომლად იტყოდნენ, მშობლებს უხაროდათ: რა განათლებული შვილი მყავსო.

ალბათ, სწორედ ამ მოსაზრებით, ბებიამ ისევ თავად ნოშრევანის ცოლს

ნინოს მიმბარა სწავლის გაგრძელებლად. ამან კი მთელი ვეფხის-ტყაოსანი“ ზეპირად იცოდნა, ბავშვობის დროს ჰქონდა შესწავლილი და მამულები შესწავლა. მომცა წიგნი და წამიკითხა, მეც სხაპასუხობით დავიწყე კითხვა. მან გამაჩერა და მითხრა: „არა, შეილო, ეგრე არ უნდა, ისეთი მღერით უნდა სთქვა, რომ ადამიანს ძილი მოგვაროსო“, და მიჩვენა, როგორ უნდა წამეკითხნა. იგი მართლაც ისე სიმღერა-ლილინით კითხულობდა, მსმენელს ჩაითრევდა და შემდეგ ძილსაც მოგვრიდა.

მასწავლებელ ნინოსთან მეცადინეობა არ მაქმყოფილებდა. სასწავლებელში შესვლა უფრო მიზიდავდა, მაგრამ ბებია ნინო ყოველთვის გადაჭრილ უარს მეუბნებოდა. ვისთვის შემეჩივლა, დედა მე არ მყავდა და მამა კი დიდ ყურადღებას არ მაქცევდა, რადგან მას ახალი საზრუნავი გაუჩნდა.

უქალობა ოჯახში, ისიც — სადაც ბევრი ბავშვია, რა თქმა უნდა, ძლიერ ძნელია. მამასაც ოჯახის მოვლა გაუჭირდა, ამიტომ ნათესავეებმა და მეგობრებმა ურჩიეს ორ-ნაქმარევი ქალის შერთვა, მხოლოდ მას არცერთი ქმრის ხელში შვილი არ უნდა ყოლოდა, მას შენთანაც შვილი არ იყოლება, ობლებს შვილივით შეიყვარებს და ოჯახს ფეხზე დააყენებსო, — ეუბნებოდნენ. მამაც დათანხმდა. ასეთი ქალი გამოძებნა და შეირთო კიდევ. მაგრამ დახე უბედურებას, მოხდა ის, რაც დეკლდიაშვილის მოთხრობის გმირს ბეკინა სამანიშვილს დაემართა: ეყოლა შვილი, მაგრამ განა ერთი?! ზედიზედ — ექვსი... ისედაც ღარიბ ოჯახს მძიმე უღელი დააწვა, ზუმრობა ხომ არ იყო ჩემს გარდა თორმეტი სულის რჩენა?! მშობლებმა მთელი ყურადღება მეორე წყება ბავშვებს მიაქციეს, ობლები თითქმის უპატრონოდ ეყარნენ. დე-



დინაცვალი ობლებს სასტიკად ეპყრობოდა და ისინიც გაჭირვებულ მღვთმარეობაში ჩაცვიფდნენ. მამა ამას ხედავდა, მაგრამ არაერთგვაროვნად გამოსავალი ვხა არ ჰქონდა, გულში აღბათი ძლიერ წუხდა და ამის შედეგი იყო ის, რომ დათმობას მიჰყო ხელი.

ბებია ნინომ სასწავლებელში რომ არ დამაბრუნა და სხვა პატრონიც აღარ გამოჩნდა, მისთვის ჩემი გულის დარღვევა რომ გამეზიარებინა, ამან ობლობა მთელის სიმწვეავით მაგრძნობია. ჩემი ობოლი ძმები ხშირად მაგონდებოდა და სიბრაღულით გული მეცსებოდა. დაეწიყე ფიქრი იმაზე, მათთვის საჩუქრები მეგროვებია. მე ვიყლებდი ტკბილეულობას და სხვას ყველაფერს მათთვის ვინახავდი. ხშირად მივმართავდი ბებიას:

— ბებია, გავაზში გამგზავნე ძმების სანახავად-მეთქი.

— კი შეილოო,— მეტყობდა ბებია, ჩემი საყვარელი ბებია. დამტვირთავდა პურით, ყველით, ერბოთი და სხვა საჩუქრებით, მეც ჩემის მხრივ კაბაზე მეორე კაბას ჩავიცვამდი, შემსვამდნენ ცხენზე და გავაზში გავემგზავრებოდი. იქ ზედმეტ ტანისამოსს ძმებს დაეუტოვებდი, რომ იქიდან მათთვის ხალათი ან შარვალი შეეკერნათ. მამის ოჯახში დავრჩებოდი რამდენიმე დღეს, ძმებს გამოვყვებავდი, მოვხედავდი, შემდეგ თვალტრემლიანი ერთმანეთს გავცილდებოდი და მე ისევ ყვარულში დავბრუნდებოდი.

ასეთ ყოფაში ვიყავი, რომ თუთხმეტი წლის ასაკი შემომეპარა და ბებია მათხოვება დამიძირა.

ბებიას ძლიერ მოსწონდა ერთი ხანში შესული აქციზის სამმართველოს მოხელე თავადი არღუთინსკი და გადაწყვიტა, ცოლად მას წაეყოლოდი. მე წინააღმდეგი ვიყავი, მაგრამ ხმის ამოღებას ვინ ვაბედავდა. ნიშნობის დღეც დანიშნეს. მე ძალიან ნაღვლიანი

და თან გაბრაზებული ვიყავი. საქმროსაც ძლიერ ცუდად შევხვდი და იგი იძულებული შეიქნა, ჩემს უმართაზე უარი გაცეხადებინა. ჩემს მამაშიდა ელენეს მოსწონდა და საქმის ჩაშლაში ხელი მანაც შემეწყო. საქმრო კი მოვიშორე, მაგრამ ბებია ნინო ძლიერ გაჯავრდა, აღარ იცოდა, როგორ დავესაჯე ამის გამო. ბოლოს გადაწყვიტა, როგორც შერცხვენილი და დანიშნულზე ხელაღებული ოჯახიდან მოვეშორებინე და ლაგოდეხში დეიდა კატოსთან გადავესახლებინე. დეიდა კატო მამინ ლაგოდეხში ცხოვრობდა, რადგან მისი ქმარი იქ მსახურობდა ოფიცრად... მეც დავემორჩილე ბებიას გადაწყვეტილებას და გავემგზავრე.

დეიდა კატოს ოჯახმა კარგად მიმილო... მეც იქაურობას შევეჩვიე. საქმროები და მოარზიყეები ლაგოდეხშიც გამიჩნდნენ, ისინი არღუთინსკიზე უფრო ახალგაზრდები იყვნენ, მაგრამ არც ერთი მათგანი არ მიზიდავდა და მოხერხებით ყველას თავიდან ვიშორებდი.

1877 წელს, როგორც მოგეხსენებათ, რუსეთ-ოსმალეთის ომი იყო გაჩაღებული. ლეკებმა ამ მღვთმარეობით ისარგებლეს და კახეთისაკენ გამოითარეს მცხოვრებთა დამარცხის მიზნით. ისინი შილდა-ყვარულსაც ეწვიენ და გაძარცვეს; ერთ დღეს ლაგოდეხში დეებეშა მივიღეთ: შიშინაობა ძლიერდება, მოსალოდნელია ლეკების თავდასხმა, ამიტომ ლაგოდეხი დატოვეთ და თბილისში ჩამოდიეთო. ჩვენც ავიყარენით და გადმოვსახლდით თბილისში. ყვარულიდან ბებია ნინო და მისი სიძე მარჯანიშვილის ოჯახიც ჩამოვიდნენ. დაიქირავეს სახლი ახლანდელს საბჭოთა ქუჩაზე და იქ დავსახლდით.

მთელი ძველი ოჯახი კვლავ შეერთდა, და დაიწყო, ახალი ქალაქური ცხოვრება... და აქედან ჩემს ცხოვრებაშიც ახალი ხანა იწყება.

## II



ჩვენი სტუმრები თბილისში. — როგორ გავიცანი აკაკი. — მე და ბეატრიკსი ერთად თეატრში. — პირველი შთაბეჭდილებანი. — თეატრის გველენა. — სტუდენტური ცხოვრება და აკაკის საუბარი დედა კატოსთან. — აკაკის და სერგეი მესხის საუბარი ჩემს შესახებ ბეზიასთან. — ბეზიას თანხმობა, რომ მე სცენაზე გამოვიდე. — გაცნობა გ. თუმანიშვილთან. — ვაჟა აბაშიძე. — ჩემი გამოცდა. — პირველი რეპეტიცია. — პირველად გამოსვლა სცენაზე. — ბეზიას წერილი მამამთან. — აკაკი და მე.

თბილისში ჩვენ ოჯახს დაუახლოვდნენ იმდროინდელი ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები — აკაკი, რაფიელ ერისთავი და სერგეი მესხი (იგი დედაშვილი იყო ჩემი დეიდა ლიზას ქმრის ალექსანდრე მარჯანიშვილისა), გიორგი წერეთელი და სხვ. ესენი ხშირად დადიოდნენ ჩვენთან, ზოგჯერ დადიოდა ილია ქავკავაძეც, ერთდროს ლიზაზე შეყვარებული, მაგრამ იმ დროს დეიდა ლიზა კვლავ უყვარდა, თუ სიყვარულის ცეცხლი ჩამქრალი ჰქონდა, ძნელი სათქმელია.

მე ყველას გავეცანი. აქ იმართებოდა მუსიკის და მსჯელობა მწერლობაზე, საზოგადოებრივ საკითხებზე, საქართველოს და ქართველი ხალხის პოლიტიკურ ცხოვრებაზე. მესმოდა მათი სიტყვები, მათი გამოთქმული აზრები და ზოგჯერ ჩაფიქრებებივარ კიდევ მათ იმდენად, რამდენად ეს შესაძლებელი იყო ჩემს მდგომარეობასა და ასაკში მყოფ ქალისათვის.

გავიცანი ჩვენი საყვარელი მგოსანი აკაკიც, ეს გაცნობა მოხდა ძლიერ კურორტულ ფორმებში და ამან, შეიძლება ითქვას, გადაწყვიტა ჩემი მომავალი არტისტობის ბედიც. ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია უფრო დაწვრილებით შევჩერდე ამ ამბავზე.

ახლანდელ კომუნართა ბაღში (მაშინ ალექსანდრეს ბაღს ეძახდნენ) გამართული იყო დიდი მშვენიერი საზაფხული ღარბაზი. საღამოობით იქ დიდძალი ხალხი იყრიდა თავს. მუსიკობა-ბ. „მეათობი“, № 4.

დნენ, თავს ირთობდნენ და თან ხილულობის ცივ წყალს მიირთმევდნენ. ერთხელ ჩვენსას სერგეი მესხის ოჯახობა მოვიდა და ყველანი სასეირნოდ წავედით. მე პირველად მივედიოდი ამ ბაღში და საერთოდ პირველად გავდიოდი ქალაქის ასეთ დიდ საზოგადოებაში. ამიტომ ბეზია ნინომ დამიძახა და დარიგება მომცა, როგორ უნდა დამეჭირა თავი და როგორ მოვქცეულიყავი. სხვათა შორის მითხრა:

— შეილო, დინჯად იყავი, გზაზე არავის დაუწყო ლაპარაკი, თორემ ქალაქი ჯიბგირებით და გარყვნილი ხალხით არის სავსე და, ვინ იცის, რა ხათაბალას აეცილებიო. — კიდევ არ მახსოვს, რაები მითხრა, მე, ცოტა არ იყოს, შემეშინდა კიდევ. მაგრამ ვიფიქრე, უცნობს არავის გავეცარები და რა უნდა შემეზღვეს შეთქი... წავედით ბაღში. უფროსები მაგიდებისაკენ გაემართნენ. ახალგაზრდებმა კი ვარჩიეთ ცოტა ხანს მოსეირნეთათვის გვეცქირნა და ჩამოვსხედით იქვე გრძელ სკამებზე. უცებ მთიარბინა ჩემთან პატარა ლამაზმა ძაღლმა და ლაქუცი დამიწყო. მეც თავზე ხელი გადავუსვი და ვაკოცე. ამ დროს მომესმა ხმა:

— ოჰ, რას შერები, ქალო, მაგისთანა ცუგრუმელა გოგონა ძაღლს როგორ ჰკოცნი?

აეიხედე ზევით. თავზე მადგა ბრგე, ლამაზი ვაჟაკი, რომელსაც თეთრი გადაჭიმული შუბლი ჰქონდა. თავი ისეთი ხუჭუჭი თმით ჰქონდა დაფარული, არაბი გეგონებოდათ, სახის უზო-

მოსითეთრე რომ არ ჰქონოდა. მას პალტო გადაეკიდნა ხელზე და ღიმილით შემომხერებოდა... მე გამახსენდა ბებუის დარიგება. ალბათ ეს ერთი იმ არამშადათაგანია, რომელმაც რაიმე ხათბალა უნდა ამკიდოს-მეთქი და მკაცრად მიეუგე:

— ზოგჯერ ძაღლის კოცნა უფრო სასიამოვნოა, ვიდრე ზოგიერთი ადამიანის კოცნა, ანდა თქვენისთანა კაცთან ლაპარაკი-მეთქი.

ამ პასუხზე მან ერთი გულიანად გაღიკისკისა. სხვათა შორის აკაკის არ ჰქონდა ლამაზი სიცილი, მის ბრგე შეხედულებას არ უხდებოდა ქალური კისკისი. მე სამინელი ჯავრი მომივიდა იმის სიცილზე და კადნიერად შევეკითხე:—რას ხედავთ, აქ სასაცილოს მეთქი? ამაზედ კიდევ გაღიკისკისა, მომიჯდა გვერდით და მითხრა:

— შენ თუ ჰქვაც მაგისტანა მახვილი გაქვს, როგორც ენა გქონია, ძალიან კარგი აქტრისა გამოხვალო.

მე ვიუჯადრისე უცნობის მიერ ჩემთან შენობით ლაპარაკი, აგრეთვე ის, რომ კარგი აქტრისა იქნებო. გაბრაზებული წამოვხტი და უხეშად მივახალე:

— ბატონო ჩემო, თქვენ ალბათ უბატრონო გოგო გგონივართ, მაგისტანა სიტყვებით რომ მელაპარაკებით, როგორ თუ აქტრისა, ვინა გგონივართ მე.

— გაჯავრებაც რომ გცოდნია, ეგ უფრო გშენის, ვიდრე დამშვიდებული სახე.

— ეგ თქვენი საქმე არ გახლავთ.

— მე ცუდს არაფერს გეუბნები, გოგონი, მხოლოდ მინდა გავიგო, ვისი ხარ და ან რა გვარი ხარ?

— რაში გეპირანებათ ჩემი ვინაობა-მეთქი, მივიცი პასუხი და გავცილდი, ჩქარის ნაბიჯით გავსწიე იქით, სადაც ჩვენები ისხდნენ. მე ველეაფდი, ყველამ შემატყუა და დეიდა ლიზა შემეკითხა:

— რამ აგაღელვა ასე, ერე გაგაბრაზაო?

— ეინ უნდა იყოს, თქვენი კაცი, რომელიც ავერ მოუხერხებოდა ხელი მივეუშვირე ჩემს შეურაცხყოფელზე, რომელიც ჩვენსკენ მოეშურებოდა.

— რას მიჰქარავ, რატომ ესე უბღვერი, ეგ იცი, ვინ არის?

— ეინ უნდა იყოს?

— ეს არის დიდი პოეტი აკაკი წერეთელი,—მიპასუხა დეიდა ლიზამ. მე შევეკრთი, ვიგრძენი უხერხულობა, აკაკი მოგვიახლოვდა, მე აღარ ვიცოდი, როგორ მოვექცულიყავი. დეიდა ლიზამ, ჩემი უხეში საქციელის გამოსასწორებლად აკაკის მიმართა:

— ნება მიბოძეთ, გაგაცნოთ ჩემი დისწული, თქვენი პიროვნება მასაც კი აინტერესებო.

— ნუ სწუხდებით,—მიუგო ღიმილით აკაკიმ,—ჩვენ იმდენად კარგად ვიცნობთ ერთმანეთს, ვინაშე მეთ კიდევ ცო.—და მოჰყვა ჩვენი გამოლაპარაკების ამბავს.

აკაკი დეიდაჩემს „ღროების“ რედაქციაში გაეცნო. მე მის მწერლობას ვიცნობდი, პირადად კი არ მენახა, მაშინ პირველად ვნახე. შემდეგ აკაკი ყოველ საღამოს დადიოდა ჩვენთან. მე ხშირად შემინიშნავს, აკაკი და სერგეი მესხი ლაპარაკობდნენ ჩემზე და ახსენებდნენ თეატრს, მაგრამ, რადგან მაშინ არ ვიცოდი, თუ რა იყო თეატრი, ამიტომ ვერ გამეგო თეატრთან დაკავშირებით რად ახსენებდნენ ჩემს სახელს.

ერთ დღეს ივანე მესხი, სერგეი მესხის ძმა, მოვიდა ჩვენსას და დაგვპატიუა თეატრში. ამავე დროს მითხრა:

— შე, კუდიანო, ხვალ საღამოს ისეთ სანახაობას გაჩვენებ, რაც შენს სიცოცხლეში არ გენახოსო.

— რა უნდა იყოს, იმისთანა-მითქი,—სასწრაფოდ შევეკითხე.

— ამას ხვალ ნახავ და მერე ვილაპარაკოთ, — მიპასუხა, გამოგვემწვიდობა და წავიდა. მე მოუთმენლად ველოდი ხსენებულ საღამოს და თანაც გულში ვფიქრობდი.

— რატომ მაინცდამაინც საღამოს, რატომ დღით არ წაგვიყვანს, თუ კი ასეთი კარგი სანახავია მეთქი.

როგორც იქნა, გათენდა მეორე დღე. დილის რვა საათზე უკვე ფეხზე ვიყავი და მოვირთვეი. მოთმინება მეკარგებოდა. როგორც იქნა დაღამდა. მოვიდა ივანეც და წაგვიყვანა თეატრში. შევედით სახლში, რომელიც კალოსავით რგვალი იყო, მთლად განათებული და არსად ფანჯარა არ ჰქონდა. მაშინ აქ იტალიური ოპერა მიდიოდა. ფეხზე დღეს მე და ბებიასევე პირველად ვიყავით თეატრში და ყველას აინტერესებდა როგორ შთაბეჭდილებას მოახდენდა ჩემზე. ვიჯექი ლოჯიაში და პარტერს გადმოვყურებდი. ვშინჯავდი განათებას და თეატრის მოწყობილებას, თან მივიკვირდა, რომ დარბაზში ერთი ბეწო ადგილი არ იყო სასეირნოდ დატოვებული, სკამებით იყო გაჭედებული და ხალხი არ ლაპარაკობდა. გულში სიამაყით გავიფიქრე:

— ჩვენი სოფლის დარბაზი სჯობს, იქ ხალხი თამამად დადის, როცა ბალი ან საღამო იმართება-მეთქი. ამ ფიქრში რომ ვიყავი, უცბად ფარდა აიხადა. შიშით კინალამ დავიკვილე, მაგრამ, როგორც იქნა, თავი შევიკავე, ვასაშტერებელმა სანახაობამ გამიტაცა ისე, რომ ლოჯიდან კინალამ გადმოვევარდი. ვფიქრობდი:

— ნეტა ამდენი ლამაზები სად მოაგროვეს და რომელ ქვეყანაში იპოვეს-მეთქი.

ჩემი ბებია კიდევ გააშტერა სახლების საჩქაროდ დანგრევამ და ახლის აშენებამ, და პირჯვრის გადაწერით თქვა:

— ნეტა რა ფული ჯდება, რამოდენა კალატოზი და ღურგალი უნდა

მუშაობდეს, რომ ნახევარი საათში, ამხელა სახლები ააშენონ. ბებიას ნათქვამი ჩემს დეიდებს სიცხელად არ ეყოთ, ქალაქში ხშირად დადიოდნენ და თეატრიც ხშირად ჰქონდათ ნახული. ჩვენ კი ისევ გაკვირვებული მივჩერებოდით სცენას. ჩამოეშვა ფარდა. ხალხი ალაპარაკდა. მე კი ფარდას არ ვაშორებ თვალს, ვფიქრობ: ეგებ აიხადოს და რაიმე სანახაობა გამომეპარება-მეთქი... გათავდა წარმოდგენა. ხალხი ჩოჩქოლით დიშალა, ჩვენც წამოვედით შინ. ამ დღიდან დავკარგე მოსვენება.

მუდამ ვფიქრობდი: ნეტა ერთხელ ახლო მაჩვენა ეს არაჩვეულებრივი ხალხი-მეთქი. ჩემს ცხოვრებაში რაღაც გარდატეხა მოხდა, დავკარგე ცელქობის უნარი, სულ დაფიქრებული დავდიოდი, მთელი ჩემი აზროვნება იმ სანახაობის გარშემო დატრიალებდა. ერთ დღეს სერგეი მესხი და აკაკი მოვიდნენ ჩვენთან და აკაკიმ, რა ასე დალონებული მნახა, გაკვირვებით შემეკითხა:

— რა მოგსვლია, ეგრე დალონებული რადა ხარო?..

ჩემს მაგიერ დეიდა ლიზამ დაცინვით უპასუხა:

— ეგ თეატრის შემდეგ ბრძანდება ასეთ გუნებაზეო.

ამის შემდეგ აკაკი მომიბრუნდა და შემეკითხა:

— გინდა შენც გაერიო იმ ლამაზ ხალხში და მათთან ითამაშოო?

მე თავი ჩაექინდრე და არაფერი ვუპასუხე. იმ დღეს ლაპარაკი ამით დასრულდა, მაგრამ მე კი ამიფორიაქდა გონება და წამდაუწუმ გამკარავდა აზრით:

— ნუთუ ისეთი ბედნიერი ვიქნები, ოდესმე მათში გავერევი-მეთქი.

ამის შემდეგ დღე არ გავიდოდა ისე, რომ ჩვენებთან ვისმეს ლაპარაკი არ ჩამოვგდო ჩემი სცენაზე გამოსვლის შესახებ, მაგრამ ყველანი გადაჭრილ

უარს ამბობდნენ და, მათ შორის—განსაკუთრებით ბებიი.

ერთ დღეს ჩვენსას ალექსანდრე მარჯანიშვილმა წვეულება გამართა, მოპატივებული იყვნენ ჩვენი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები. სხვათა შორის იყვნენ: აკაკი, რაფიელ ერისთავი, სერგეი მესხი, ვიორჯი წერეთელი და სხვები. დიდი ღვინო გაიმართა, კახურ მრავალყამიერს და ხალხურ სიმღერებს საზღვარი არ ჰქონდა. მე ძლიერ კარგ ხასიათზე დავდექი, ბევრი ვიმღერე, ვიცეკვე, ვიოხუნჯე, და ამით სტუმრების გამხიარულებას ძლიერ შევუწყე ხელი. რაფიელი, აკაკი და სერგეი სულ მე მომჩერებოდნენ და ჩემზე ლაპარაკობდნენ. გათავდა ქვიფი, სუფრიდან ავიშალენით. სტუმრები ზალაში ჯგუფ-ჯგუფად დადგნენ და მუსაიფობდნენ. მე და დეიდა კატო ერთ ჯგუფში ვდგავართ და ვმუსაიფობთ. ამ დროს მოგვიახლოვდა აკაკი, გაერია ლაპარაკში და, როცა მოხერხებული დრო იპოვა, მითხრა:

—ჯამაგირი რომ დაგინიშნოთ ჩვენს თეატრში, არ წამოხვალ სამუშაოდ?

— მაგას ვინ ელირსება, 15 მანეთიც რომ მაშოვნია ჩემი საკუთარი შრომით, თავს ბედნიერად ჩავთვლი და მეტიც არა მინდა-მეთქი, ვუპასუხე.

— თუ თანახმა იქნები, მე მაგ საქმეს მოგიწყობ.

— ძლიერ მაღლობელი ვიქნები.— ვუპასუხე. ჩვენ ლაპარაკს ყური მოჰკრა დეიდა კატომ, არ ესიამოვნა, მუსაიფში ჩაერია და აკაკის მიმართა:

— თქვენ ხუმრობთ, ეგ ბავშვია, მართალი ეგონება და გაბრიყვდება.

— როგორ თუ ვხუმრობ, სრულ სიმართლეს ვეუბნები,—უპასუხა აკაკიმ.

— ერთი მიბრძანეთ, ვასათხოვარი ქალის სცენაზე გამოქენება, რა საკადრისია და ვის გაუგონია?

— რომ არ გაუგონია, ამიტომ აღარ გავიგონოთ? აბა როგორ შეიძლება,

რომ თეატრს ასე ზიზლით უყურებთ? თქვენ სარკეში იხედებით?

— სარკე რა შეუძლია? მერე რა რომ ეიხედები? ვინ უნდა იხედოს?

— ნუ გეწყინებათ, მიპასუხეთ, რისთვის იხედებით?

— იმისთვის, რომ შიგ ვსჩანვარ, რაც არ მომწონს, ან არ მიხდება, იმას ვისწორებ.

— კარგი დავემართოს, აი სწორედ ის, რაც აღამიანისთვის, კერძო პირისათვის სარკეა, ის მთელი საზოგადოებისათვის თეატრია, რომ ხალხმა შიგ ჩაიხედოს, თავის ნაკლი და ღირსება დაინახოს და გასასწორებელი გაასწოროს. თეატრი სკოლაა ხალხისთვის, გამასწორებელი და არა უბრალო დროს გასართობელი, განათლებულ ქვეყნებში თეატრი ამ მიზნით აქვთ მოწყობილი.

— ჩვენში კი ჯერ არ არის და რა ვიცი!..

— რომ არ არის, ოდესმე ზომ უნდა იყოს?

— მაშინ სულ სხვა იქნება. ნეტავი მაგას მოვესწრებოდე, თორემ მაშინ მეც გამოვალ სცენაზე, თუ საქირი და სასარგებლო ვიქნები.

— უნდა დავიწყოთ, ჩვენი ეცადოთ და ბოლოს გავიმარჯვებთ.

— თქვენი ნებაა, შევეცდებით, რითაც შეგვიძლია დავგებმარებით.

ეს მუსაიფი ასე დასრულდა... ამის შემდეგ კარგა ხანი გავიდა, ასეთი ხასიათის ლექციებს ჩვენებს ხშირად უკითხავდნენ, ზოგი ჩვენიანი მოლბა. ბებია კი ისევ ჯიუტობდა... მაგრამ არ ეშვებოდნენ, განსაკუთრებით აკაკისა და სერგეის მიჰქონდათ იერიშები. ერთხელ რომ აღარ მოეშვენენ გაჯავრებულმა უთხრა აკაკის:

— ქნიაზო აკაკი, არ გეკადრებათ, რაკი ობოლია, ასეთ გაუბედურებას უპირებთო.

— რას ბრძანებთ, გაუბედურება კი არა, დიდად ბედნიერი იქნება, საზო-

კადო საქმეს სამსახურს გაუწევს, ჩვენი ხალხის გამოღვიძებას ხელს შეუწყობს, განა ეს უბედურებაა, პირიქით, სასახელოა.

— რადგან არ დაგიშლიათ, რაც ვინდათ, ის ქენით, ოღონდ ეს კი ვიცი, ახალგაზრდა ქალს სახელი გაუტყდება და პატრონი კი არავინ ეყოლებათ.

აკაკი და სერგეი კი უმტკიცებდნენ რომ სახელი კი არ გაუტყდება, პირიქით, სასახელო საქმე არისო. ბებიას რომ საქმე გაუტვირეს, ბოლოს თქვა:

— ვიმეორებ, რადგან არ იშლით და განიზრახეთ ამის გაუბედურება, ვათხოვებაც თქვენ იყისრეთ და მე თანახმა ვიქნებიო.

— დიდის სიამოვნებით, მას არავის შეეღა არ დასკირდება, იქ უფრო მალე გათხოვდებაო.—უპასუხა აკაკიმ და მიუბრუნდა სერგეის:—მე ხვალ არ მცალიან, შენ წაიყვანე გიორგი თუმანიშვილთან და უთხარი, რომ ეს ის ქალია, რომელზეც ჩვენ ვლაპარაკობდით—თქო.

მომიბრუნდა სერგეი მესხი და მითხრა:

— აბა, მაკო, ხვალ საღამოს მზად დამხვდი, სხვაგან უნდა წაგიყვანოთ.

მეორე დღეს სერგეი მართლაც მოვიდა და წამიყვანა გიორგი თუმანიშვილთან. იგი მაშინ ქართული თეატრის საქმეში მხურვალე მონაწილეობას ღებულობდა. სერგეიმ მას ჩააბარა ჩემი თავი და უთხრა:

— ეს ის ქალია, რომელზეც მე და აკაკი გეუბნებოდითო.

— ძალიან სასიამოვნოა, ძალიან,— ღიმილით უპასუხა გიორგიმ და თავიანიანად მოგვესალმა. პირველი ნახვის დროს მას ძლიერ იამა, მაგრამ როცა ამათვალ ჩამათვალეირა, ვგონებ არ ესიამოვნა ჩემი ბავშვური შეხედულება და დაღონებული კვლავ დაუმატა:

— კარგი, ძალიან კარგი.

სერგეი წავიდა. გიორგი სათნოდ მომექცა, გამაცნო თავის პატივცემული

და ინასტასია, გიორგი წერტილის ცოლი და მითხრა:

— მოითმინეთ აქ, *ქვეყნისადმი* და გეახლებითო.

მეზღოროთქა

მართლაც რამდენიმე წაშში მოემზადა და წავედით. ავქალის ქუჩაზე ცხოვრობდა ზაქარია ანდრონიკაშვილი, რომლის შვილი, იოსებო, მფარველობას და შემწეობას უწევდა ქართულ თეატრს.

ეს ოჯახი არისტოკრატიულ ოჯახების მიმბაძველი არ იყო, როდესაც სხვები არც კი იყარებდნენ სცენისმოყვარეებს, ისინი აქ, ამ ოჯახში, პოულობდნენ მამობრივ ზრუნვას და მეგობრულ პატივისცემას. ამ ზაქარიას სახლში, სადაც სცენისმოყვარეებს თავი მოეყარათ, გიორგიმ შემიყვანა და განაცხადა:

— აი, მოვიყვანე ის ქალი, რომელსაც სასცენო ნიჭს ამჩნევდნო.

ყველანი მომაჩერდნენ. ერთმა ახალგაზრდა კაცმა, რომელიც როგორც შემდეგ გავიგე, ვასო აბაშიძე იყო, ტუჩები დაუშვა, აღმატერად შემომხედა და რუსულად უთხრა:

— ეგ ყველაფერი კარგი, მაგრამ აქ დაწყებითი სკოლა ხომ არ არისო?

მე ძალიან მეწყინა რომ ბავშვი დამიძახეს, მაგრამ მოვითმინე, რადგან თუმცა მეთვრამეტე წელიწადში ვიყავი, მართლაც ძალიან ბავშვური შეხედულება მქონდა.

მერმე პიესის კითხვა დაიწყეს და შევატყე, ვერცერთი რიგიანად ვერ კითხულობდა, რატომღაც ქართული კილო არ ისმოდა... რამდენიმე ხნის შემდეგ იგივე კაცი, რომელიც შემდეგ აბაშიძე აღმოჩნდა, მომიბრუნდა და ისევ დაცინვით მკითხა:

— ქაჯან, კითხვა იციო?

— როგორ არ ვიცი—მეტქი,—ამაყად მიუვგე.

— მაშ წაიკითხე!—მითხრა და წიგნი მომაჩეჩა.

დავიწყე კითხვა და ვინჩენ ჩემს ოსტატობას. იმდენად ეშმაკი ვიყავი, კითხვის დროს ვიხელთებდი დროს და ცალი თვალით გადავხედავდი იქმყოფთ, მინდოდა გამეგო, რა შთაბეჭდილებას ეტოვებდი მათზე, შევნიშნე: ერთმანეთს სიამოვნების ღიმილით გადახედავდნენ ხოლმე. ნახევარი ფურცელი არ წაშეკითხა, შემაჩერეს, ჩამომართვეს წიგნი და მითხრეს:

— აი ეს როლი ზეპირად ისწავლეო, და წიგნს ერთ ადგილას წითელი ფანქრით ხაზი გაუსვეს.

— კარგი-მეთქი, ვუბასუხე, და წიგნი ჩამოვართვი. გულში ვფიქრობ:—ეგ როლი რა ეშმაკებსა ჰქვიან, ალბათ მთელი წიგნი უნდა ვისწავლო ზეპირად და ვინც კარგად ისწავლის, ალბათ გამარჯვებულად ის დარჩება-მეთქი. წამოვედი სახლში და შევეუღდე მეცადინეობას. ორიოდე დღეში მთელი წიგნი ზეპირად ვისწავლე: დაწყებული ყდიდან „დაზოლენო ცენზური“-მდე. მივედი გიორგი თუმანიშვილთან და მან ისევ იქ წამიყვანა, მაგრამ ახლა სულ სხვა სურათი დამხვდა.

შევედი დიდ ზალაში. აქ შუა ოთახში ჩაჯდა ერთი კაცი სავარძელში მაგიდის წინ, აქეთ-იქით ანთებული სანთლებით შანდლები დაიდგა, შუაში წიგნი დასდო და დაიწყო კითხვა. რასაც ის ამბობდა, სხვები იმეორებდნენ. ვიფიქრე:—ზეპირად ვერ უსწავლიათ და ახლა იმიტომ ეხმარება ეს კაცი-მეთქი.

როცა მოვიდა ჯერი ჩემზე, მანიშნეს მიდითო. მეც მივედი, ჯერ სათაური ვთქვი, მერე სიტყვასავეთ დაეყარე, თან თვალეები მიბრწყინავდა, სიამოვნებით, რომ სხვებს ვაჯობე და გამარჯვება მე უნდა დამრჩენოდა. მაგრამ ჩემს განცვიტრებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა სწორედ ამ დროს შემაჩერეს და მითხრეს:

— არა ეგრე არ უნდა, ზქვენ მარტო თქვენი სიტყვები თქვითო.

მე ცრემლები მომივიდა და უთხარი:

— მე ჩემი სიტყვებით ვერ ველოდა-რაკებ, თუ წიგნში ვაჩვენებდი კარის და არ წავითხებ-მეთქი.

— წიგნში წაკითხული და დასწავლილი უნდა თქვა, მაგრამ უნდა თქვა მხოლოდ შენი როლი, ე. ი. რაც შენ გეხებაო.

— კიდევ ეგ ჯანაბა როლი, რა ეშმაკია, მეორედ მესმის-მეთქი,—გამკრა გულში. მინდოდა რაღაც მეთქვა, მაგრამ შევჩერდი, რადგან, ვინც სთქვა ეგ სიტყვა—როლი, სწორედ ის მიხსნიდა,—რას ჰქვია როლი, როგორ უნდა შევისწავლო ის, რომ ასეთ წაკითხვას ჰქვია რეპეტიცია; ამ რეპეტიციაზე უნდა მოვამზადოთ პიესა, და როცა მოვამზადებთ, მერე უნდა გავმართოთ წარმოდგენა თეატრში, რომელსაც ხალხი დაესწრება... გამახსენდა ჩემი ყოფნა წარმოდგენაზე, მიღებული შთაბეჭდილება და გულმაც რაღაც სხვანაირად დამიწყო ტოკვა.

შემდეგ ამიხსნეს რომელი იყო ჩემი როლი.

ეს იყო პიესა „ეორე დანდენში“ კლოდინას პასუხსაგები როლი, პიესის ავტორი იყო ფრანგი დრამატურგი მოლიერი, ხოლო მისი ქართული თარგმანი ეკუთვნოდა გიორგი თუმანიშვილს.

ამ დღეს ბევრი რამ ახალი გავიგე ჩემი მომავალი პროფესიის შესახებ, უფრო თვალახილული და გახარებული დავბრუნდი შინ... ესწავლობდი ჩემ როლს, დავდიოდი რეპეტიციებზე.

დადგა წარმოდგენის დღეც... ჩამაცვეს შესაფერი ტანისამოსი, გამიკეთეს გრიმი და როცა ჩემი მორთვა-მოკაზმვა დაასრულეს, მარტო დავდექ სარკესთან და ჩავიხედე, ჩემი თავი ვერ ვიცანი, სულ ერთიანად გამოვეცილი-ვიყავი, გამახსენდა ოპერა, და გავიფიქრე:—ალბათ იქაც ასე არიან ნამდვილი სახეები შეცვლილი-მეთქი. ვი-

გრძენი, რომ ახალი მოკაზმულობა ცოტათი მეხამუშება... ამასობაში ზარიც დარეკეს და მომესმა ვილაციის ხმა: — შხად იყავით გასასვლელად, წარმოდგენა იწყება.

— ეს ალბათ მეც მეხება-მეთქი, გავიფიქრე და გული ამიტოკდა. თითქოს შიშიც კი შემეპარა, სხვადასხვა აზრები მიელავდა თავში: როგორი ვიქნები სცენაზე, თავს ხომ არ შევირცხვენ, ოჰ, ერთი გავიმარჯვებდე, და, ვინ მოსთვლის, რას არ ვფიქრობდი... ამასობაში დადგა სცენაზე გასვლის დროც. კრძალვით მივადექ კარებს, და უცებ გავედი... შიშმა უცებვე გამოიარა. როლი თამამად დავიწყე. გათავდა მოქმედება, ხალხი ტაშით გამიმასპინძლდა ამან უფრო წამაქეზა და შემდეგ მოქმედებაში უფრო თამამად ვიგრძენი თავი. წარმოდგენა გათავდა. რამდენჯერმე გამიძახეს სცენაზე და ტაშით დამაჯილდოვეს. ეს პირველი ჯილდო იყო, რომელმაც გამახარა და მაგრძობინა, რომ მეც რაღაცის გაკეთება შემიძლება. მივხედი იმასაც, რომ, რადგანაც ტაშს მიკრავენ, მაშასადამე, როლი არ გამიფუჭებია. ამ დღიდან გადაწყვიტე მთელი ჩემი ცხოვრება დაუწყეშრო თეატრს და სანამ ძალღონე საშუალებას მომცემს, მას არ მოვიცლდე.

ახლა მიმეჩქარება სახლში, მინდა გავიგო, რას მეტყვიან ჩვენები. მივედი კიდეც, შემხვდა ბებიაც, მან დამინახა თუ არა, ხმამალლა გამომიტრია, შემდეგ დაჯდა და ასეთი წერილი მოსწერა მამაჩემს:

„შვილო მიხეილ, დიდი უბედურება და სირცხვილი დაატყდა ჩვენს ოჯახს; ვიცი, შვილო, ეს ამბავი თავზარს დაგცემს, მაგრამ როდემღი დაგიმალო, ხომ მაინც გაიგებ. შენს ქალბატონს მაკოს მე თავი ველარ დაუჭირე და გავარდა,—ვაი, შენსა და ჩემს მოსწრებას, გავარდა და პირდაპირ ტრიატში შევარდა“.

მამაჩემს რომ მიუთლა ეს წერილი, ძლიერ გაბრაზებულა და მოიწერა, თვალით არ დამენახოს კვლევის შემარცხვენელი... მამაჩემს ასეთი წერილები რას გაჭრიდნენ: ჩემი ბედი და თეატრი უკვე ერთმანეთზე იყვნენ გადაჯაჭვული.

ამნაირად სერგეი მესხმა და აკაკიმ ბებიაჩემს ძალით წაართვეს, მოსტაცეს ჩემი თავი, განსაკუთრებით კი აკაკიმ იბრძოლა ამისთვის.

სახელოვანი მგოსანი აკაკი საერთოდ თეატრის დიდი მოყვარული იყო. იგი არავითარ შრომას არ ენაქილობდა, ოღონდ ქართული თეატრი დამკვიდრებულიყო. სათეატრო დარგშიც მისი მოღვაწეობა მრავალფეროვანი იყო: იგი სცენაზეც თამაშობდა, რეჟისორობდა, ანტრეპრენიორობდა, რეცენზიებსაც წერდა და, ვინ იცის, კიდევ რას არ აკეთებდა ამ ფრიალ კულტურული საქმისათვის.

როდესაც მუდმივი დასი შესდგა და დრამატიული საზოგადოება დაარსდა, მართალია, თავმჯდომარე ამ საზოგადოებისა ილია ჭავჭავაძე იყო, მაგრამ მოუცლელობის გამო მას არ შეეძლო თეატრის საქმიანობაში პრაქტიკულად საესეებით ჩაბმულიყო. რამდენადაც მახსოვს, პირველ სეზონს დრამატიული საზოგადოების სახელით აკაკი ხელმძღვანელობდა, როგორც ადმინისტრაციული გამგე და როგორც რეჟისორი.

აკაკის რეჟისორობაზე ბევრს ვერას ვიტყვით. არც მაშინ და არც კარგა ხნის შემდეგ ქართულ თეატრს ნამდვილი რეჟისორი არ ყოლია, გარდა მიხეილ ბებუთაშვილისა, რომელმაც პირველად დადგა დავ. ერისთავის „სამშობლო“. იგი სამწუხაროდ ძალიან მოკლე ხანს მოღვაწეობდა ქართულ თეატრში. ხოლო სხვა რეჟისორებზე აკაკი ნაკლები არ იჭნებოდა. მაშინ რეჟისორის მოვალეობას პიესის ამორჩევა და როლების განაწილება შეადგენდა, თანაც რეპეტიციების ხელმძღვა-



ნელობა წესიერების დასაცავად და ზოგი რამ შენიშვნის მისაცემად. ყველაფერი დამყარებული იყო თვით მსახიობის შემოქმედებაზე, მის ცოდნაზე, გამჭრიახობაზე და პიესისა და როლის გაგებაზე. აკაკი ჩვენს იმდროინდელ რეჟისორებს არაფრით არ ჩამოუვარდებოდა. აქტიორების სწავლება, რაიმე საინტერესო მიზანსცენების შექმნა და დადგმაში მთლიანობის შეტანა არც მას და არც სხვა რეჟისორებს არ შეეძლოთ, ამისათვის სპეციალური მომზადება იყო საჭირო, ჩვენს რეჟისორებს კი შემთხვევით უზღებოდათ ამ საქმეში მონაწილეობა. რამდენადაც მაგონდება აკაკი ერთხელ მსახიობადაც კი გამოვიდა სცენაზე, მხოლოდ არ მახსოვს, რა პიესაში და რა როლში.

ყოველ შემთხვევაში, თამამად შემოდლიან ვთქვა, როგორც რეჟისორს და როგორც მსახიობს, აკაკის არ გამოუჩენია რაიმე ნიჭი, თორემ ეს მე მეხსიერებაში ჩამრჩებოდა. სამაგიეროდ აკაკი აწოდებდა ქართულ თეატრს პიესებს, ორიგინალურსაც და გადმოკეთებულსაც. მისი პიესებიდან, რასაკვირველია, ყველაზე საყურადღებოა „თამარ ცბიერი“ და „პატარა კახი“. ძალიან გასაყალი ჰქონდა მის „კინტოს“, რომელიც მან ნატო გაბუნიას საბუნეფისოდ დაწერა ერთს თუ ორ დღეში. „კინტო“ ხშირად იდგმებოდა, თუმცა ის ნატოსთვის იყო დაწერილი, მაგრამ მთავარ როლში ერთხელ მეც მიმთამაშნია. ამავე როლს ძალიან კარგად ასრულებდა განსვენებული მსახიობი ქალი ქეთო ანდრონიკაშვილი, რომელსაც ძლიან ეხერხებოდა სიმღერა და ტყვეა გადაცმულ კინტოს როლში.

საზოგადოებას ძალიან უყვარდა აგრეთვე „პატარა კახი“ და ხშირად იდგმებოდა კიდევაც. ამასვე ვერ ვიტყვი „თამარ ცბიერზე“, ამ შესანიშნავ პოეტურ ნაწარმოებზე; მაგრამ იგი როგორც ჩვენ, მსახიობები ვამბობთ ხოლმე, სცენიურ მოქმედებას არის მოკლე-

ბული. ამასთანავე მეც არტისტებს დეკლამაცია არ გვეზურებოდა და ეს აუფერულებდა შეტყუებულებას. მე ცირას ვთამაშობდით, ანდრონიკაშვილი (თამარის როლიც მიმთამაშნია). აკაკი ძალიან კმაყოფილი იყო როგორც ჩემი, ისე სხვა არტისტებისა. განსაკუთრებით ლაღო მესხიშვილისა, რომელსაც მშვენიერი ხმა უწყობდა ხელს, თუმცა არც ის იყო მაინცა და მაინც დიდი დეკლამატორი. საერთოდ ჩვენს დროს დეკლამაცია ძალიან მოიკოკლებდა. არც გასაკვირველია. არავის ჩვენთაგანს სასცენო ხელოვნება არ ესწავლა, ხოლო დეკლამაცია უამისოდ ძნელი შესათვისებელია. ვკითხულობდით ლექსებს ჩვენებურად-ძველებურად, ცოტა არ იყოს მღერის კილოზე და ლექსის ასეთი გადაცემა, რაღა თქმა უნდა, უფრო ანელებდა პიესის მოქმედებას. სწორედ ამით უნდა აიხსნას, რომ ქართული თეატრი იშვიათად უბრუნდებოდა, ვიმეორებ, ამ თავისთავად მშვენიერ ნაწარმოებს საკვირველი ლექსით დაწერილს.

ამას გარდა აკაკის ისტორიული პიესები მეტისმეტად ღარიბულად იდგმებოდა ჩვენს სცენაზე, როგორც სხვა ასეთივე პიესები. ძალიან ღარიბი იყო ჩვენი მაშინდელი თეატრი, არც დეკორაციები, არც რაიმე მორთულობა არ გვექონდა. პიესებსაც სამ ოთხ დღეში ვამზადებდით.. მაგრამ ამაზე აქ არ გავაგრძელებ, ქვემოდაც შეგვხვდება ლაპარაკი. დაუბრუნდები ისევ აკაკის.

აკაკი ჩემი გულითადი მეგობარი იყო ამ სიტყვის ნამდვილი, კეთილშობილური მნიშვნელობით და თამამად შემოდლიან ვთქვა, რომ აკაკის მომადლებული ჰქონდა ნიჭი თვით ქალთანაც ასეთი უანგარო მეგობრობისა. იშვიათად შემხვედრია იმაზე გულკეთილი და აღამიანის დახმარებაში დაუზარებელი პიროვნება.

ღარიბ თეატრს—მსახურნიც, რასაკვირველია, ღარიბნი ეყოლებოდა, გან-

საკუთრებით პირველ ხანს, როდესაც მე და ჩემი ქმარი სულ მცირე გასაპრ-  
ჯელოს ვლებულობდით.

აკაკიმ იცოდა ეს ჩვენი ხელმოკლეო-  
ბა, მაგრამ თვალსაჩინო დახმარების  
გაწევა არც იმას შეეძლო. ხოლო ამხა-  
ნაგურად, მეგობრულად ხელის გამარ-  
თვა ძალიან მოხერხებით იცოდა. არა-  
ერთხელ მომმართავდა ხოლმე ამ სიტ-  
ყვებით:

— ახლა რა იქნება, ქალო მაკო, ერ-  
თი მშვენიერი გემრიელი სადილი მაჭა-  
მო!—როდესაც მე დიდ საიმოვნებას  
გამოვთქვამდი და მივიწვევდი ხოლმე  
სადილად, გაიღიმებდა და მეტყვოდა:

— რადგანაც ძალადმაცხოვნედ და-  
ვაპატიებდნენ თავი, სასყიდელი ჩემი  
იყოს, ხელი კი შენია.

ჩემი დიდი უარი ამაზე არ ვადიოდა  
და აკაკი თავისას ვაიტანდა ხოლმე. მე  
ვგრძნობდი, რომ აქ კაღნიერება არ  
იყო, არამედ სურვილი ფარულად ხე-  
ლის გამართვისა იმ მცირედით, რაც  
მას შეეძლო, რადგან იმ თუნდიდან თუ  
თუთხმეტი მანეთიდან, რასაც აკაკი  
გადმომცემდა ხოლმე სადილისათვის,  
მეხარჯებოდა ორი-სამი მანეთი. ანგა-  
რისის წარდგენას ხომ ვერ ვაგუბებდ-  
დი. სხვისა არ ვიცი და მე პირადად  
ასეთი, როგორც ახლა ამბობენ, შენიღ-  
ბული დახმარება არ მეთაკილებოდა,  
ვინაიდან იგი წრფელის გულით იყო  
მოწყდილი. სხვისაგან, რა თქმა უნდა,  
ასეთ „კაღნიერებს“ არ ვიგუბდდი,  
მაგრამ აკაკი სულ სხვა იყო.

საზოგადოდ, აკაკი ხელგაშლილი,  
უფრო მეტიც—ბედოვლათი იყო. არ  
მახსოვს, რა წლებში, აკაკი ჩემს სახლ-  
ში იდგა ორ წელიწადზე მეტს ხანს.  
როცა კი შინ იყო (ხშირად მიდიოდა  
ხოლმე ქუთაისსა და საჩხერეში) აუა-  
რებელი მთხოვნელი მოსდიოდა, სულ  
ფულს სთხოვდნენ, და მისი წუხილი  
ის იყო რომ, თითონაც ხელმოკლეს, არ  
შეეძლო ყველას ხელის გამართვა.  
როდესაც ერთხელ ვუთხარი: ბატონო

აკაკი, რისთვის იწუხებდით თავს,  
ბიჭს ვუბრძანებ, არ შიილოთ შეწვენი  
მთხოვნელები-მეთქი, საწინააღმდეგო-  
ნა.

— ღვთის გულისათვის, მაგას ნუ  
იზამ. გაჭირვებული ადამიანი მოდის  
შეწვევისათვის და კარი როგორ გა-  
მოვებურო. თუ შევიძლებ—ხელს მო-  
ვეუმართავ, თუ არა და თანაგრძნობით  
შაინც მივიღებო,—მიპასუხა.

თუმცა მე და აკაკი დიდი მეგობრები  
ვიყავით, მოგეხსენებათ ზოგჯერ მე-  
გობრებს შორისაც არის ხოლმე სამ-  
ღურავი. ამიტომ ხანდახან ჩვენც მო-  
გვივიდოდა წალაპარაკება, ერთმანეთს  
დავემღურებოდით, მაგრამ ერთმანე-  
თის დაულაპარაკებლად ვერ ვძლებ-  
დით და მალე შევრიგდებოდით.

ერთ დღეს მე და აკაკი წავიჩხუბეთ,  
არ მახსოვს კი რაზე. იმ ხანებში კოტე  
მესხმა მიმიწვია სადილად. სხვა სტუმ-  
რებიც ყავდა. აკაკიც იქ იყო. შეიქნა  
ჩვენებური—ქართული ჭეიფი: სიტყ-  
ვებით, სიმღერით, ცეკვა-თამაშით და  
ოხუნჯობით. ყველანი გამხიარულდნენ  
და, რა თქმა უნდა, მათ შორის—მეც.  
დალიეს აკაკის სადღეგრძელო. ბევრი  
ლამაზი სიტყვა უთხრეს და ბევრი რა-  
მეც უსურვეს. მე ჩუმად ავწიე ჭიქა და  
უსიტყვოდ თავი დავეუქარი. აკაკიმ ამა-  
ზე სიცილით მითხრა:

— ქალო მაკო ცერემონიას თავი  
დაანებო.

გამოვიდა ზმა: „ქალო, მაკოცე“.  
ასტყვდა საერთო სიცილი, ვაისმა ძახი-  
ლი.

— აკოცე, აკოცე!

ზოგმა იცოდა, აკაკისთან უძრახად  
რომ ვიყავი და ამით შერიგებას გვი-  
პირებდნენ, მეც გამაციანა მისმა მოს-  
წრებულმა სიტყვამ, იძულებული ვი-  
ყავი ბუტიობა უკუემედო და ვაკოცე.  
ამით შევრიგდით.

ეკვი არ არის, ბევრი სხვა ასეთი  
მოსწრებელი სიტყვა გამიგონია აკაკი-

საგან, მაგრამ ახლა არ მაგონდება. განა ხუმრობა საქმეა, ხანდაზმულობამ და ხანგრძლივმა სენმა მეხსიერება მთლად გამომიფიტა... კიდევ კარგი, გეც რომ არ დამავიწყდა!

საერთოდ აქი ძლიერ მოსწრებელი

სიტყვის პატრონი იყო: მას აქვს ბევრი ბრძნული სიტყვა, ბევრი მტკრილი ოხუნჯობა-ნაყვესი. ედამწამთყუებოდა თუ არა რამე, მაშინვე ხალხში გავრცელდებოდა. ეს ყველაფერი მისი სობრძნის დამამტკიცებელია.

### III

შემდეგ წარმოდგენებში მონაწილეობის მიღება. — მუშაობის პირობები. — ზაალ მაჩაბელი. — დიმიტრი ყიფიანი და მისი ოჯახი. — კოტე ყიფიანი. — პირველი ბენეფისი. — წერილი მამასთან. — მამის პასუხი. — მუდმივი პროფესიანალური დასის შექმნა. — დასის გამგზავრება გასტროლოგზე. — ვასო აბაშიძე და მე. — დაჭორწინება. გასტროლოგიდან დაბრუნება. — ქართული დრამატული საზოგადოების დაარსება. — დრამატული საზოგადოების პირველი გამგეობა და ილია ჭავჭავაძე გამგეობის სათავეში. — ილია ჭავჭავაძე და მე. — გარდერობის უჭონლობა თეატრში. — ადმინისტრატორი ადამ ჩუბინაშვილი. — რა ტანისამოსი მომაწოდა ერთხელ. — ჯენინა ჭაბუღოვთან ტანისამოსისათვის. — ოპერის თეატრის მკერავის მოჭრთამვა და მასთან დადებული პირობა. — კიდევ ადამ ჩუბინაშვილის კურიაზი.

პირველ გამოსვლის შემდეგ სცენაზე გზა გამეხსნა. იქ მუშაობამ ძლიერ გამიტაცა და ენერგიულადაც შევეუდექი საქმეს. ყველა დაეისრებულ როლს კეთილსინდისიერად ვამზადებდი და შესაძლებლობის ფარგლებში ვცდილობდი კარგადაც შემესრულებია. იმხანად ქართული თეატრის საქმეს აწარმოებდა ე. წ. „ქართული სცენის მოყვარეთა წრე“, რომელსაც სათავეში უდგნენ: ნიკო ავალიშვილი, გიორგი თუმანიშვილი, პეტრე უმიკაშვილი, დავით ერისთავი და სხვ. დასში კი მუშაობდნენ ქალები: ბაბო ბერხელაძე-ავალიშვილისა, ელენე ანტონოვსკაია და მე, კაცებიდან: კოტე ყიფიანი, ვასო აბაშიძე, ნოდარ ჯორჯაძე, ზაალ მაჩაბელი, ნიკო შიშინაშვილი, ადამ ჩუბინაშვილი, ასიკო ცავარელი, გრიგოლ ყიფშიძე და ალექსანდრე როინიშვილი. ხოლო 1879 წლის დასაწყისში შემოგვემართა ნატო გაბუნია და ბაბო კორინთელი-ყიფშიძისა.

როგორც ვხედავთ, დასში ქალები ძლიერ ცოტა გყავდა და ამიტომ ვარჩევდით ისეთ პქესებს, რომელშიც ქალთა პერსონალი ცოტა იყო საჭირო, მაგრამ თუ გამოსავალი აღარ იყო და

მოქმედ პირთა შორის ქალი ბევრი არ იყო, მაშინ კაცები გამოდიოდნენ ქალების როლში. ამ დროს პირდაპირ ჩვენი გაჭირვების ტალღისი ზაალ მაჩაბელი იყო: ქალების როლს ზშირად იგი ასრულებდა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენი საზოგადოების ქალები სცენას გაუბოლდნენ. ფიქრობდნენ, რომ ის ქალი, ვინც სცენაზე ფეხს შეადგამს, ან გარყვნილია ან და დიდი სურვილი აქვს გაიჩყვანოს. ქალის სცენაზე გამოსვლა ოჯახის სირცხვილად მიაჩნდათ და, აბა ვის ჰქონდა სურვილი შერცხვენილი ოჯახის პატრონი ყოფილიყო? დიმიტრი ყიფიანმა პირველად დაარღვია თეატრზე ასეთი დახანგებული და არასწორი შეხედულება. მან პირველმა გაუღო ფართოდ ოჯახის კარი თეატრის მუშაეებს. მან პირველმა მისცა თავის ქალს ელენეს სცენაზე თამაშის ნებართვა და ისიც თავდადებით მუშაობდა, დიმიტრი ყიფიანი იმხანად ჩვენს საზოგადოებაში უსახლვრო ავტორიტეტით სარგებლობდა, მისმა ასეთმა მოქმედებამ მაშინდელ საზოგადოებაზე გავლენა მოახდინა და ის თითო-ოროლა ქალი, რომელნიც სცე-

ნას შერჩენენ, სწორედ ამის მეოხებით იყო.

სცენისმოყვარეთ იმ ხანად ძლიერ ცუდ პირობებში უხდებოდათ მუშაობა: არ ჰქონდათ თეატრი, არ ჰქონდათ მუღმივი ბინა, სადაც შეიძლებოდა პიესის წაკითხვა და რეპეტიციების ვაჟლა, არ იყო გარდერობი, არ იყო ბიბლიოთეკა, ერთი სიტყვით—არაფერი არ იყო, და ამ არაფერისაგან უნდა შეგვექნა სპექტაკლი. მაშინდელი საზოგადოების წევრები ოჯახებში არ გვლებულობდნენ. გვეძახოდნენ „გამბაზებს“ და „კომედიანჩიკებს“ და ჩვენთან რაიმე საქმიანი დამოკიდებულების დაქერა სამარცხვინო ამბად მიიანდათ. თანაგრძნობით გვეკიდებოდა მხოლოდ ინტელიგენცია და იმხანად ისინიც თითზე ჩამოსათვალნი იყვნენ. მათ შორის ერია სერგეი მესხი, გიორგი თუმანიშვილი, ზაქარია ანდრონიკაშვილი, დავით ერისთავი, და მათთან ერთად დიმიტრი ყიფიანი და მისი ოჯახი. ხშირად ისეთი მდგომარეობა გექონდა, სად წაგვეკითხა ახალი პიესა, არ ვიცოდით და ხანგრძლივად ვმსჯელობდით იმაზე, თუ ვის მიედგომოდით კარზე. ამ მდგომარეობიდან ყოველთვის კოტე ყიფიანი გამოგვიყვანდა და გვეტყოდა: ჩვენთან (ე. ი. დიმიტრი ყიფიანის ოჯახში) წამოდითო. ყველას მოგვეშვებოდა გულზე და მოკრძალებით, მაგრამ მაინც სიამოვნებით მივიღებდით მიწვევას... ხოლო როგორ დაგვიხედებოდნენ, აი რა არის აქ საყურადღებო! თვით დიმიტრი მოგვეტყეოდა ისე, ვით თანასწორ ამხანაგებს და არ ეტყობოდა ის მფარველობითი ან მედიდური კილო, რასაც ზოგჯერ სხვაგან გვაგრძნობინებდნენ. პიესის კითხვის დროს მთელი ოჯახი ვარშემო შემოგვიჯდებოდა და თვით დიმიტრი ყიფიანი მხურვალე მონაწილეობას ღებულობდა კითხვაში. პიესის სტილს ასწორებდა, ხანდახან მთელ ფრაზებს შესცვლიდა, ზოგს გა-

მორთებდა, ზოგს კიდევ თავის ნაწერს ჩაუმატებდა, პიესას ვაშლაშინებდა და ასე გვეხმარებოდა თუ სადილობის დრო იყო, სადილად გვეტყოფდა ხოლო თუ ჩაის, ჩაით გაგვიმასპინძლებოდა. ყველას მამაშვილურად გვარიგებდა, გვაძხნევებდა და სულ იმას გვეუბნებოდა:

— ნუ გეშინიათ, თამამად იყავით. ებრძოლეთ ყოველ გაჭირვებას დაურიდებლად და მომავალი უქველად თქვენიაო. წამოსვლის დროს ყველას მოგვეფერებოდა, თავზე ხელს გადაგვისვამდა და გვეტყოდა:

— აბა ყოჩაღად იყავით, ნუ მომერიდებთ. ხშირად მოდიო ჩვენსაო.

დიმიტრის, რასაკვირველია, უყვარდა თავის სამშობლო ენაზე დაწყებული ეს დრდი კულტურული საქმე. მისი შვილის კოტეს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა მამა ასე თავაზიანად გვეტყეოდა.

თვით კოტემ ხომ მოქმედებითაც დამტკიცა ქართული თეატრისადმი სიყვარული. მას უმაღლესი განათლება ჰქონდა მიღებული. სპეციალისტი იყო და საპატიო თანამდებობის მიღების საშუალება ჰქონდა. იგი სამსახურში დაწინაურდებოდა, მაგრამ ოფიციალურ თანამდებობებს თავი დაანება და საზოგადოებრივ საქმეს—თეატრს გადაეგო. კოტე ფრიალ კულტურული, განვითარებული, სამაგალითოდ ზრდილი, თავაზიანი და საამხანაგო ადამიანი იყო. არ უყვარდა ინტრიგები, თავის ღირსებების გაზვიადება, ცხვირის მალლა აწევა, თავის წინ-წამოყენება—რეკლამები. მე, თეატრში ფეხი შევდგი თუ არა, კოტე მაშინვე გავიცანი. ჩვენს შორის თავიდანვე შეიქმნა კარგი განწყობილება, რაც შემდეგ მეგობრობაში გადავიდა და ჩვენც ბოლომდე მეგობრებად დავრჩით.

რაც შეეხება კოტეს, როგორც არტისტს, იგი რეზონიორი იყო და, თამამად შეიძლება ვთქვა, ამ აპკლუსი

როლთა აღსრულებებში, ჩვენს სცენაზე მას ბადალი არავინ ჰყავდა. იმის შემდეგ, ვინც ასეთი ხასიათის როლს ასრულებდა, ყველა კოტეს ბაძავდა; საკმარისია გავიხსენოთ მისი შესრულებული როლები: ლიონიძე — „სამშობლოში“, კარდინალი რიშელიე — ასეთივე სახელწოდების პიესაში, ლირი — „მეფე ლირში“ და სხვა მრავალი, რომელთაც იგი მაღალი არტისტული ოსტატობით ასრულებდა და მაყურებელშიც დიდს შთაბეჭდილებას ტოვებდა.

მე სცენაზე თამაშის დროს არასდროს თავდავიწყება არ ვიციოდი. მოქმედების მიმდინარეობას ყოველთვის ფხიზლად ვადევნებდი თვალყურს, მაგრამ ერთხელ ასეთი მარცხი მომივიდა: კოტე ეან ბოდრს თამაშობდა და მე კი იმის ქალის როლს ვასრულებდი. სცენაზე ვიდექი. შემოვიდა კოტე: იგი ისე შემოვიდა, ისე მოხერხებულად დადო ქუდი, ისე შემომხედა, რომ ყველაფერი დამავიწყდა, დავიბენი. საერთოდ ეს მიზანსცენა ისეთი ოსტატობით გააკეთა, რომ არცერთ გამოთქმულ სიტყვას ვგონებ არ შეეძლო ადამიანზე ისე ემოქმედნა, როგორც ამას. მე დიალოგში უნდა ჩავბმულიყავი და დამავიწყდა, მხოლოდ ცოტა ხნის შემდეგ გამოვედი ბურანიდან და როლის ასრულებას შევეუდექი.

ასეთი იყო კოტე, როგორც ადამიანი, როგორც არტისტი და სრულიად გასაკვირველი არ არის, თუ მას მისი ამხანაგები და საზოგადოებაც პატივსაცემით ეპყრობოდა.

ჩვენი საქმიანობა ასეთნაირად მიმდინარეობდა 1879 წლის ივნისამდე. ამ პერიოდშივე დაიწყო მუშაობა დრამატიულ საზოგადოების შედგენაზე. მოეწყო საინიციატივო წრე. წესდების პროექტის შედგენა ცნობილ პუბლიცისტს და საზოგადო მოღვაწეს ნიკო ნიკოლაძეს მიანდევს. იგივე საინიციატივო წრე, რომელსაც აგრეთვე

დრამატიულ კომიტეტსაც უწოდებდნენ, შეუდგა 1879-80 წლებს სენიორსათვის დასის შედგენას. წესდება შემუშავდა, დამაარსებელთა სავსეთი კრებაში ის მოიწონა და დასამტკიცებლად მეფის მოადგილეს წარუდგინა.

1879 წლის მაისში უკვე შედგენილ იქნა პირველი პროფესიული დასი, რომლის წევრებსაც უნდა მისცემოდათ ყოველთვიური ხელფასი. რა თქმა უნდა, სეზონის განმავლობაში. ამ პირველ დასში მოწვეულ იქმნენ — ქალები: ნატო გაბუნია, მარიამ ყიფიანი — ქართველიშვილი, ბაბო კორინთელი — ყიფშიძე და მე. ვაყები: კოტე ყიფიანი, ვასო აბაშიძე, ზაალ მანაბელი, ადამ ჩუბინაშვილი (მსახიობად და აღმინისტრატორად), გრგიოლ ყიფშიძე (სუფლიორად), ნიკო თომაშვილი — შიშინაშვილი, ავქსენტი ცაგარელი. შემოდგომაზე, სეზონი როცა დაიწყო, მოგვემატა კოტე მესხიცი.

მე დამინიშნეს ხელფასი — თვეში ორმოცდაათი მანეთი.

იმ მიზნით, რომ მე წავეხალისებინეთ და ამას გარდა ჩემთან ერთად სხვა ქალებიც წაეხალისებინათ, გამიმართეს ბენეფისი. ეს ჩემი პირველი ბენეფისი გამართა 1879 წლის 13 ივნისს საზაფხულო თეატრში. დაიდგა მოლიერის ცნობილი კომედია „ექვით ავადმყოფი“, ვთამაშობდი ტუნანტას როლს. ბენეფისს აუარებელი მაყურებელი დაესწრო და როგორც ფულად, ისე ძვირფასი ნივთებითაც დიდძალი საჩუქარი მივიღე.

ბავშვობიდანვე ერთი სურვილი დამებადა და შემდეგშიც მოსვენებას არ მაძლევდა: მინდოდა მქონოდა ოქროს საათი. მეგონა, რომ მასზე იყო დაკავშირებული ჩემი ბედობა, და მუდამ ვფიქრობდი: დადგება თუ არა ისეთი ბედნიერი დღე, მე რომ ოქროს საათი მექნება-მეთქი... და ვერ წარმოიდგენთ ჩემს სიხარულს და აღელვებას, როცა მიღებულ საჩუქართა შორის ოქ-

როს საათიც აღმოჩნდა. ამისრულდა დიდი ხნის ნატვრა. დაჩქარებით ჩავაწყვე ყველაფერი და ეგონებ სიხარულთ ფეხსაც არ ვაღგამდი მიწაზე, ისე მოვექროდი სახლისაკენ, რომ ეს ამბავი ჩვენებისთვის მეხარებინა.

შევვდი ჩემს ოთახში, მოვირთხი ფეხი ხალიჩაზე, საჩუქრად მიღებული ნივთები გავშალე, ყოველი მათგანი სიყვარულით დაეთვალიერე, განსაკუთრებით კი—საათი. შემდეგ ისინი გამლილი დაეტრე და წავედი ბებიას მოსაყვანად, მინდოდა ჩემი სიხარული მისთვის გამეზიარებია.

— აი, ბებია, ამელამ რამდენი საჩუქარი მივიღე-მეთქი, და ხალიჩაზე დალაგებულ ნივთებზე მივუთითე...

— ეგ რა ოხრად ვინდა, როდესაც ნამუსი დაკარგე და ოჯახი შეგვირცხვინეო,—დამიყვირა და ნივთები მომაყარა. მე ხელი დავსტაცე საათს და უბეში ჩავიდე, შემეშინდა არ გაეტეხნა, და თან ქვითინით მივემართე.

— რა არის აქ ცუდი, პატიოსანი შრომით დავიწყე ცხოვრება, საზოგადოებამ გულწრფელად მცა პატივი, ალბათ ღირსი ვიყავი-მეთქი.

— ვიცი, რა პატიოსანი შრომაც არის, ვიცი, რაზეც გცეს პატივი, შე მაის ოჯახის შემრცხვენელო, შენაო.—კვლავ ამიყვირდა ბებიჩემი და ღანძლვა-გინებით მოშშორდა.

მე განვაგრძე ქვითინი. ჩავწეკი ლოგინში... დიდხანს მიტრიალა შავმა ფიქრებმა, ბოლოს ჩამეძინა და მეორე დღეს უკვე კარგა ხნის გათენებული იყო, რომ გამომეღვიძა, იმ ურყევი გადაწყვეტილებით, რომ თეატრს არავითარ შემთხვევაში თავს არ დავანებებდი.

გვიან გავიგე, რაც მიეწერა ბებიას მამაჩემისთვის. გავიგე მიზეზი თუ რისთვის იბუტებოდა ჩემზე მამა, გადავწყვიტე წერილი მიმეწერა და თან ამეხსნა, რომ სამსახურში კარგად ვარ მოწყობილი და ვფიქრობდი ამით მისი

გული მომეღბო. მას ასეთი შინაარსის წერილი მიეწერა:

ბებიჩემი სცდება, ვერაფერი გაუგია, ცუდ ადგილას წავიყვანე, არამედ ისეთ სამსახურში შევედი, რომ ლამეში სამოც თუმნამდე ფული და საჩუქრები ავიღე-მეთქი.

მამ როგორ მიმეწერა, მამაჩემს თეატრის არაფერი გაეგებოდა, ბენეფის ის ვერ გაიგებდა და არტისტობას. რამდენიმე ხნის შემდეგ საშინელი რისხვის წერილი მომივიდა:

„მამა გიცხოვრდება, კარგ ხელობას დადგომიხარ, თუ ლამეში სამოც თუმანს იღებ. ეგ რა მამაძალღური სამსახურია ისეთი, რომ ღამით არის და არა დღისით. თუ მაინც და მაინც სამსახური ვინდოდა, აქ არ ვიყავ? ოცი წელიწადია ოტსტავეკაში ვარ და სამსახურს დავებებ, მე ვერ შემრიცხავდი? თავი დაანებე მაგ სამსახურს, თორემ, თუ ჩამოვედი, მამა-ჩემი სოლომონი არ წამიწყდეს, სულ მათრახის წვერით ავაჭრებ“—ო.

წერილის შინაარსი და კილო არ მომეწონა. მაგრამ ჩემი გადაწყვეტილება ვერც ამან შეარყია. ახლად შედგენილმა დასმა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გასტროლებით წასვლა გადასწყვიტა. დაამზადა რამდენიმე პიესა, საცდელი წარმოდგენები გამართა თბილისში და შემდეგ სავასტროლოდ გზას გაუღვა. გასტროლებზე დასს რეჟისორობდა დრამატული კომიტეტის დავალებით და თვით დასის არჩევით კოტე ყიფიანი. ეს იყო პირველი გასტროლი ქართული პროფესიული დასისა, რომელიც მოეწყო საქართველოში. პირველად ჩავედი თორში და წარმოდგენები იქ გავემართეთ, შემდეგ ქუთაისში, ფოთში, ბათუმში და სხვა. ეს მოგზაურობა ყოველმხრივ შესანიშნავი იყო, მას უაღრესად კულტურული მნიშვნელობა ჰქონდა. ადგილებზე ხალხი ამას კარგად გრძნობდა, ამიტომ ყველგან დიდი სიყვარულით

და პატივისცემით გვხვდებოდნენ. პირადად ჩვენთვის, მსახობებისათვის, კიდევ იმ მხრივ იყო მნიშვნელოვანი, რომ ბევრი რამ ახალი ვნახეთ, ბევრი ახალი გავიგონეთ, გავეცანით ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხის ცხოვრებას, აქ მცხოვრებ ხალხთა ზნეჩვეულებას. ბევრს ჩვენგანს სრულიად არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდა იმ ქალაქებსა და კუთხეებზე, სადაც ვიმოგზაურეთ. ზოგიერთებს, რა დასამალავია, ზღვაც კი არ ჰქონდა ნახული. ჩვენი მოგზაურობა ამას გარდა დაუსრულებელი ტრიუმფი და სიამოვნება იყო. ეს იყო უბრალო და გულწრფელი შეხვედრა მეფის რეჟიმით დაბეჩავებულ ხალხსა, რომელსაც სწადადა შეექმნა თავისი საკუთარი, კულტურა, რითაც ლამობდა თავისი ეროვნული სახის შენარჩუნებას, და ჩვენში ხედავდა იმ პირველ მერცხლებს, რომლებიც დაფრინავდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, რათა ეს კულტურის ნაპერწკალი გაეღვივებინათ.

აუარებელი შთაბეჭდილება! უდიდესი სიხარული! დასის წევრები ყველანი ახალგაზრდები ვიყავით და ყველაფერმა ამან ისეთი ღრმა შთაბეჭდილება დასტოვა ჩვენზე, რომ დღეს, სამოცი წლის შემდეგ, ოთხმოცე წლის მოხუცს რომ მომაგონდება; ტანში სიამოვნების ყრუანტელი გამოვიღის და გავიფიქრებ, ჩვენ ახალგაზრდები ვანაღირსნი ვიყავით ამდენი პატივისცემისა, თუ ჩვენის სახით პატივი სცეს იმ საქმეს, რომლის პიონერობაც ჩვენ გვხვდა წილად?!..

ამ მოგზაურობის შესახებ სიტყვას არ გავაგრძელებ, რადგან დაწვრილებით აქვს აწერილი ჩვენს საყვარელ დრამატურგს, მოგზაურობის ერთერთ მონაწილეს, ასიკო ცაგარელს, თავის მოგონებებში, ძალიან ვუღიბო მინდობდა ახალი რამ დამემატებინა, მაგრამ ჩემს მეხსიერებაში ვეღარაფერი აღვადგინე, ხოლო, უნდა მოგახსენოთ ერთი

ამბავი, რომელიც პირადად მე შემეხება და ამ მოგზაურობისათვის აქვს მკიდრო კავშირი. ეს ვახლავთ ჩემი და ვასო აბაშიძის შეუღლებული შვილები. მიუხედავად იმისა, რომ ვასო აბაშიძემ, პირველად სცენაზე გამოსვლა რომ დაეპირე, სასაცილოდ ამიგდო და ბავშვი მიწოდა, სცენაზე გამოსვლის პირველ დღიდანვე თვალი დამასო. ზაქადაპირველად მეხუმრებოდა, შემდეგ უკვე სერიოზულად გადავიდა საკითხზე და წინადადება მომცა ცოლად გაეყოლოდი... მაგრამ ყველაფერი ეს ხუმრობად მივიღე და გადაჭრილი უარი ეუთხარი, თუმცა უნდა ვაღიარო, იგი, ცოტა არ იყოს, მომწონდა... ის მაინც არ მცილდებოდა და, იპოვიდა თუ არა მოხერხებულ დროს, სიტყვას ჩამომიგდებდა. ჩვენმა ამხანაგებმა, გაიგეს თუ არა ეს ამბავი, ძლიერ მოინდომეს ჩვენი შეუღლება, ეს სურვილი, რა თქმა უნდა, ერთის მხრით გამოწვეული იყო ამხანაგური გრძობებით, მეორეც იმით, რომ ჩვენი შეუღლებით ფიქრობდნენ ორივენი თეატრს მივეჯაკვებოდით... ბევრს მელაპარაკებოდნენ, ბოლოს გული მომიღბეს, მაგრამ მაინც ვუყოყმანობდი. ასე მივალწიეთ ხსენებულ გასტროლებამდე. გორში დავდგიით რამდენიმე წარმოდგენა და გავეშაღეთ ქუთაისისკენ გასამგზავრებლად. გამგზავრების დღეს ძალიან სიცხე იყო, ნაშუადღევს ბინიდან გამოვედი, გამოვიდა ვასოც, რაღაც ილღიაში ჰქონდა ამოჩრილი და მე ამეღვენა:

— ქაჯან, მაშ უარს მეუბნები და ცოლად არ მომყვები?—რაღაც გამკილავი, სწორედ ვასოსებური კილოთი შემეკითხა და ამირიზა.

— არა, არ ვაპირებ!—მეც ამრეხით ეუპასუხე, რადგან შეკითხვის კილო არ მომეწონა.

— რისთვის, ქაჯან, არ მოგწონვარ?

— არ ვიცი!—ეუპასუხე.

— მაშ თუ ცოლად არ მომყვები, დღესვე მტკვარში დაეინჩრობ თავსო,—სთქვა, სასწრაფოდ გამცილდა და ჩქარის ნაბიჯით გაუდგა გზას. დაეკვირდი, მართლაც მტკვრისაკენ მიდიოდა. ერთის წუთით შეეჩერდი. ცუდმა აზრებმა გამიბრინეს თავში: ვაი თუ მართლა დაიხრჩოს თავი-მეთქი, გავიფიქრე, ვაი თუ დაიღუბოს და ამის მიზეზი კი მე ვარ, მერე რისთვის? მეც ხომ მომწონს, რად ვშერები ამას, მოდი გადავწყვეტ შეუღლებას, რაც იქნება, იქნება! კიდევ ცოტა ვიყოყმანე, შემდეგ საკითხი დადებითად გადავწყვიტე და გავედევნე. ვასო უკვე მიმალულიყო, შივადეჭი შორიდან მდინარეს; ვხედავ ჩასულა მდინარეში და წყალი მკერდზე სცემს. სიბრალული-საგან ცრემლები მომერიდა და, რაც ძალიდა ღონე მქონდა, დაუძახე:

— ვასო, ამოდი საჩქაროდ უნდა მოგელაპარაკო-მეთქი, და თან გულის ფანცქალით მიეჩერებოდა.

— არა, არ ამოვალ!—მიპასუხა.

— ნუ დაიხრჩობ თავს, ამოდი, ერთი სიტყვა გითხრა!—კვლავ შივადახე.

— მაშ კარგი, ცოტა ხანს დამიცადე და ამოვალო.

მე იქაობას მოვეცილდი და კარგა ხანს შემდეგ მოვიდა.

— რა ქენი, ქაჯან, მოდი ჰკუაზე?—ლიმილით შეშეკითხა.

— რა ვქნა, რადგან ასე გიყვარვარ, შევეუღლდე!—მორცხვად გავეცი პასუხი.

— ეგრე არა სჯობია!—კვლავ დაუმატა ვასომ და გამოვეშურეთ ამხანაგებისაკენ. ისინი წინ მოგვეგებენ, თურმე ჩვენი ამბისათვის თვალი უდევნებიათ. ვასომ მათ ყველაფერი უამბო, ჩვენი გადაწყვეტილებაც აღწომა, ყველანი სიხარულით ფეხზე აღარ იდგნენ. იქვე გადაწყვიტეთ—ქორწილი ქუთაისში გავემართნა. ქუთაისში გავაწავეთ ვანტროლები, მეორე დღე თავისუფალი გვქონდა და სწორედ წინა

დღეს ამხანაგებმა მოგვიყვარ ქორწილი. ჯვარი დაგვეწერა ღვინოზე, რაქდენ გიგაურმა, მთავარ-ანგლოზის ეკლესიაში და ჯვრის ქვეშე მდებარე პირველი საჩუქარიც მან გვიიღვნა. ქორწილი მოწყობილი იყო სასტუმროში, მოწყვეული იყო რამდენიმე გარეშე პირიც. დროს ტარება თითქმის დილაძღე გაგრძელდა. კარგად იქვიდეეს, შუაქვიფის დროს ერთერთმა ამხანაგმა ვასოს სიცილით ჰკითხა:

— როგორ იყო, ვასო, მაკო რომ ცოლად არ მოგყვებოდა და მტკვარში თავს იხრჩობდი?

— მაშ რა მომეგონა, რომ ვერაფრით ვერ შევითანხმე ეს მამაცხონებული,—სიცილით უბასუხა ვასომ.

— განა ვასო აბაშიძე სიყვარულისთვის თავისდამხრჩობია? — წამოიძახა მეორე ამხანაგმა.

გამოირკვა, რომ ვასოს თურმე უემ-მაქნია: სიციხეში ტანისდასაბანად მილოჯდა, მე კი მოშეჩვენა, რომ თავის დასახრჩობად მიდის-მეთქი. ბევრი იციენს... მეც ბევრი ვიციენ... თუმც გულში გავიფიქრე:

— რა ბავშვი ყუოფილვარ, რა გამოუცდელი, როგორ მოვტყუედი-მეთქი.

ასე ყურიოზულად მოხდა ჩვენი დაქორწინება.

დავბრუნდით ვანტროლებიდან. თბილისში ჩვენი თეატრის მეთაურთ და სხვა საზოგადო მოღვაწეებს ყველაფერი დაწერილებით ვუამბეთ. ყველამ დიდად ნასიამოვნები დარჩნენ და გამოსთქვამდნენ აზრს; ასეთი შეხვედრა მომასწავებელია იმისა, რომ ქართველი ხალხი არ გადაგვარებულა, მას უყვარს თავის ქვეყანა, სჯერა მისი მომავალი და მოღვაწეებს ცხოვრებაში თუ რაიმე საგანძური შეაქვს, ამისათვის აფასებსო.

ასეთმა ამბავმა და დასკვნებმა უფრო აღგვაფრთოვნა და სეზონის გახსნისათვის სამზადისს გაორკეცებული ენერგიით შევეუღვეით.



სეზონიც იმავე 1879 წლის 5 სექტემბერს გავხსენით. დაედგით მწერალი ქალის ბარბარე ჯორჯაძის კომედია—„რას ვეძებდი და რა ვპოვე“, წარმოდგენას აუარებელი მაყურებელი დაესწრო და წარმოდგენა ისე მოეწონათ, რომ ეს პიესა იმ სეზონის განმავლობაში სამჯერ გავიმეორეთ, რაც ჩვენი ძველი თეატრის ცხოვრებაში იშვიათი მოვლენა იყო.

1880 წელს მთავრობამ დრამატიული საზოგადოების წესდება დაამტკიცა. შესდგა დრამატიული საზოგადოების პირველი კრება, რომელმაც აირჩია პირველი გამგეობა, შემდეგი შემადგენლობით: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გიორგი თუმანიშვილი, დავით ერისთავი, დავით სარაჯიშვილი, კოტე ყიფიანი და მიხეილ ქაიხოსროს-ძე ყიფიანი. გამგეობის თავმჯდომარედ ილია ჭავჭავაძე აირჩიეს. მის მოადგილედ აკაკი წერეთელი.

ილია დიდი სიყვარულით შეუდგა საქმეს, თუმცა იმ ხანად სათეატრო ასპარეზზე მოღვაწეობა ძნელი იყო, ათანაირი დაბრკოლება და გაპირება ელოებოდა. ბევრჯერ თვით ილიასი და დანარჩენი გამგეობის წევრების იმედით დარჩენილა თეატრი. დიდი დრო და ტენერგია უნდა დაეკარგნათ ილიასა და მის თანამოღვაწეებს, რომ ინტილიგენცია თეატრისათვის დაეახლოებინათ. გადაგვარებული თავად-აზნაურობა ალმაცერად უყურებდა ყოველივე ქართულს და მათ შორის ყოველნაირად ცდილობდა ე. წ. „ინოროდების“ გარუსებას და მცონარე თავად-აზნაურობაში მიზანს კიდევაც აღწევდა. ასეთ ეპოქაში ქართულ თეატრს, სადაც თავისუფლად გაისმოდა ქართული ენა, ქართული საუბარი ყოველდღიურ საჭირბოროტო საკითხებზე და სადაც ქართველი საზოგადოება ერთად იკრიბებოდა, რა თქმა უნდა, ჰქონდა უაღრესი პოლიტიკური და

კულტურული მნიშვნელობა. ეს კარგად ესმოდა ილია ჭავჭავაძეს და ამიტომ, მიუხედავად ათასგვარი დაბრკოლებისა, გულს არ იტანდა ენაწილის დარიგებით ჩვენც შემსწრეობაში გული არ აგვეცრუებინა. ხშირად გვეტყოდა:

— იმუშავეთ, მომავალი ჩვენი იქნება, თუ მუყაითად მუშაობას განაგრძობთო.

ილია აშკარად ომს უცხადებდა ყველა გადაგვარებულთ, რომელნიც ქართულ თეატრში მხოლოდ ქველმოქმედების მიზნით შემოდიოდნენ. არაერთხელ გამიგონია მისგან:

— ჩვენ, თეატრში მომუშავეთ ამითი იმედი არ უნდა გქონდეს, მათ ქარი საითაც დაუქროლებს, იქით გადაიზინიქებიან, ჩვენ დაბალი ხალხი უნდა შევაჩვიოთ თეატრსო.

ქართული პიესა სცენაზე ისე ვერ გაჰაჰანდებოდა იმ ხანად, რომ ილიას არ წაეკითხნა, მას არ გაესწორებინა, როგორც ენის, ისე შინაარსის მხრივ, თუ ასეთს საჭიროდ დაინახავდა. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ჩვენ როგორც „კამედიაწიკებს“ თბილისში რამდენიმე ოჯახის ვარდა ყველგან კარები დაკეტილი გვქონდა, ამ რამდენიმეში ილიას ოჯახიც ერია, აქაც ყოველთვის შეგვეძლო ვყოფილიყავით, გვეკითხნა პიესები, რეპეტიციები ჩაგვეტარებინა. ხშირად სადილად და ვახშმადაც გვტოვებდნენ. სხვები თუ შოერადებოდნენ და ზოგჯერ არ დარჩებოდნენ, მე მიინც არასგზით არ გამიშვებდნენ.

ჩვენ ერთი და იგივე ოჯახის შეწყუბება ძლიერ გვიჭირდა ამიტომ ვეძებდით სხვასაც, მაგრამ უმრავლესობა უარით გვისტუმრებდა, ზოგნი კი უყოყმანოდ თანხმდებოდნენ. იყო ერთი ასეთი ოჯახი—ორბელიანისა, მაგალითად, სადაც დიასახლისმა რეპეტიციების ნება დაგვართო, მაგრამ ერთის პირობით: თუ „ბრწყინვალე წოდების“ სტუმრები ეწვეოდნენ, იმ შემთხვევაში

უკანა კარებით უნდა გავპარულიყავით, ისეთნაირად, რომ არამცდარაიმე „მათ ბრწყინვალე“ სტუმრებს ჩვენი იქ ყოფნა არ შეემჩნიათ. დავუბრუნდეთ ისევ ილიას.

ერთხელ საჭირო იყო რაიმე პიესა საჩქაროდ გვემოვნა. ძალიან ცოტა დრო გვჭონდა, ასე რომ რაიმე ახალის დაწერა არ მოხერხდებოდა; ამიტომ ავიღე და ერთი პიესა გადავთარგმნე და დიდის შიშით ენის შესასწორებლად ილიას გავუგზავნე.

რამდენიმე დღის შემდეგ თარგმანი დამიბრუნა, მე სასტიკ განაჩენის მოლოდინში გულისფანცქალით გადავათვალიერე: ენახოთ, მთელი პიესა გადაექოხნა, მხოლოდ ერთი წინადადება შეესწორებია, თუმცა იქვე შენიშვნაც დაერთო: „ისე დატოვებაც შეიძლება“. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, ილიას სიტყვა და მისი დასკვნა ჩემთვის კანონი იყო და, განა მარტო ჩემთვის?

ბარემ ერთი ამბავიც აქვე მოვიხსენიო: მე ილიასთან პატარა ინციდენტი მქონდა—იგიც ჩემი ქმრის, ვასო აბაშიძის, გამო. იმ პერიოდში ილიას რაღაც მიზეზის გამო ვასო ორმოცდაათი მანეთით დაუჯარიმებია, ე. ი. მთელი ერთი თვის ხელფასით. ეს თანხა ჩვენი ოჯახისათვის იმდენად საგრძნობი იყო, რომ ერთი თვის განმავლობაში შიმშილი მოგველოდა, მივმართე ილიას, ჯარიმა მოეხსნა, მაგრამ მოგეხსენებათ, მისი მტკიცე ხასიათის შესახებ,—ჩემი თხოვნა არ შეიწყნარა. რა თქმა უნდა, სიტყვის შებრუნება ვერ შევებდე, მაგრამ ვაუწყერი და აღარ ველაპარაკებოდი.

ილიას ჩემი გულის წყრომის შესახებ ნიკო ხიზანიშვილისთვის (ნ. ურბნელი, ელისაბედ ჩერქეზიშვილის ქმარი) შეეჩივლა და თან ეთქვა:

— როგორ უნდა მოვქცეულიყავი, რომ არ დამეჯარიმებია, არ შეიძლე-

ბოდა, რადგან წესი დაჯარიმა რომ მომეხსნა, ეგვიც არ შეიძლებოდა, რადგან ჩემის მოქმედებით ამ წესის დარღვევას დავადამსტრუქავდი.

— კარგი, ამ საქმეს მე მოვარიგებო, —უპასუხნია ნიკოს. ერთ დღეს მან თავის ბავშვის ნათვლა მოაწყო და მე ნათლიად მიმიწვია, თურმე მეორე ნათლიად ილიაც მოუწვევია, ჩვენ არც ერთმა არ ვიცოდით, ორივენი მივედით, იყვნენ სხვა სტუმრებიც. ნიკომ ორივეს მოგვმართა:

— აბა, როგორ შეიძლება საზოგადო საქმის მოღვაწენი ერთმანეთს ემდუროდეთ. ვთხოვთ შერიგდეთო.

ჩვენ, რა თქმა უნდა, მასპინძელს დავუჯერეთ და სიამოვნებით შევრიგდით.

საერთოდ ილიას ღვაწლი ქართული თეატრის დარგში დიდი და მრავალფეროვანია: დაუფასებელია მისი მუშაობა როგორც მთარგმნელისა, როგორც დრამატულ საზოგადოების თავმჯდომარის დაუღალავი ხელმძღვანელისა. მე სადა მაქვს იმის შეძლება ყოველივე ეგ ავწერო და ილიას ნამოქმედარი, ამ დარგში მკითხველს გადავუშალო.

აქვე უნდა აღვნიშნო: ილია რეცენზიებში ყოველთვის მაღალ შეფასებას აძლევდა ჩემს მუშაობას, ამან კი სცენაზე ჩემი ავტორიტეტის განმტკიცებას ხელი დიდად შეუწყო.

გარდა უბინაობისა ხელს ძლიერ ვეიშლიდა გარდერობის უქონლობაც. ჩვენი მცირე ხელფასით სცენისათვის საჭირო ტანისამოსიც უნდა შეგვეძინა, აბა ყველაფერში ეს თანხა რას გავეწვდებოდა! ამიტომ ვაჭირვებას განვიცდიდით, მუდამ ტანისამოსის ძებნაში ვიყავით. ყველაზე უფრო ვაჭირვებაში იყო ჩვენი აღმინისტრატორი ადამ ჩუბინაშვილი. იგი ნიკის პატრონი არტისტი არ იყო, მაგრამ თეატრი სულთ და გულთ უყვარდა. მიუხედავად იმი-

სა, რომ ნივთიერად დიდ გაჭირვებას განიცდიდა, ამას გარდა ბევრ დამცირებასაც იტანდა, მაინც თეატრს არ სცილდებოდა. უწყინარი კაც იყო ადამი, მუდამ თვალეში შემოგვჩერებოდა და ეძებდა საშუალებას, რითიმე ესიამოვნებინა. ტანისამოსის შოვნაც მასვე ჰქონდა დაკისრებული, ქართული თეატრის სადღესასწაულოდ აღსანიშნავ დღეს 2 იანვარს, რომელიც პიესაში პატარაძალი უნდა შეთამაშნა და, რასაკვირველია, შესაფერი კაბა იყო საჭირო. მეც ჩვენს ადმინისტრატორს, ადამ ჩუბინაშვილს, მივაშურე და ვუთხარი:

— აბა ადამჯან, შენ იცი როგორ კაბასაც მიშოვნე საპატარაძლოდ.

— კი, მარი მიხაილოვნა, უეჭველად კარგ კაბას გიშოვნით.

მეორე დღეს დამიძახა და მეუბნება:

— აბა მობრძანდი, კაბები მოვიტანე.

მივედი ვნახე, ბოლჩაში დაცვეთილი ჩითის კაბები ელაგა და ვუთხარი:

— ადამ, აქ არცერთი არ არის ჩემი როლის შესაფერი-მეთქი.

— თქვენ მერე მობრძანდითო,—ლიბილით მითხრა.

შეუფერებელ ტანსაცმელს ყველა წუნობდა, მაგრამ უკეთესი არსად იყო და უნდა ჩაეცვათ. ჩვენი ადმინისტრატორი მოთამაშეთა უკმაყოფილებას რომ გადაურჩა, მე მიმიხმო, ამოიღო ქაღალდში ფრთხილად გახვეული კაბა და მითხრა:

— სანაჭებო კაბა გიშოვეთ, მარი მიხაილოვნა, დედა ჩემისა არის, ჯერ კლავი არ გაუყრია, ახალია და სუფთა.

სიტყვა „სუფთა“ იმიტომ დააყოლა, რომ იმ წყეულ დროში ამას ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ხანდახან ისეთი ტანსაცმელი მოჰქონდათ ჩვენთვის, რომ წარმოდგენის მეორე დღესვე აბანოსკენ მივიჩქაროდით. გაშალა კაბა და ვნახე, რომ შავი საქერი-

ვო მერინოსის კაბა მოუტანია. ცოტა საყვედურიც უთხარო.

— ეს ხომ საქერივო კაბაა და მე კი პატარაძალს ვთამაშებო, უნდა ვიცეკვო.

— რა უშავს, გენაცვალე, განა არ შეიძლება იმ პატარაძალს მახლობელი მოკვდომოდეს და შაგებში იწერდეს ჯვარსა?—მორიდებით მიპასუხა ადამმა.

— რას ამბობ, ადამ, თუ მგლოვიარეა, რალად დაუფლის-მეთქი, მივაძახე.

— რა ვჭნა, გენაცვალე, მთელი ქალაქი დავიარე და ამაზე კარგი ვერ გავიჩინე. ვისაც კი ვთხოვე, ასე მეუბნება: ხომ არ გაგიყდი, იმ სალახანა მასხარების ნახმარი კაბა როგორღა ჩაიცმებაო. რა უშავს, გენაცვალე, ერთი შენებურად იმღერე. მერე ლეკური ჩამოუარე და ვერცაი შეგატყობენ, რა გაცვიით.

მე, რასაკვირველია, ვერ დავეთანხმე ადამის მოსაზრებას და წარმოდგენის დღეს კაბის ძებნას თვითონ შევუდექი. მთელი დღე ვიარე, რის ვაივიგლახით ვიშოვნე და საღამოს კაბის ძებნით დაღლილდაქანცული გამოვედი სცენაზე.

ერთხელ რალაც პიესაში ვთამაშობდი და საჭირო იყო ფარჩის კაბა. ჩემს გვერდით ბინა ეჭირა შალიკოვის ცოლს, რომელიც ჩემი მეგობარი იყო და ძალიანაც უყვარდი. როცა გაიგო რომ ჩემთვის ფარჩის კაბა არის საჭირო ქობულოვის ცოლთან წამიყვანა,—მას ბევრი კაბა აქვს და იქნება გათხოვოსო. წავედიო.

შალიკოვის ცოლმა ქობულოვის ცოლს ბევრი საგულისხმო უამბო ჩვენს საქმეზე, მაგრამ იმან ყურიც არ ათხოვა, თანაც სკამიც არ შემომთავაზა. ამით შეწუხებულმა შალიკოვის ცოლმა, რომ ჩქარა დაეხსენი ამ უხერხულ მდგომარეობიდან, მოკლედ მოუჭრა:

— კაბას მე პირადად ვთხოვ, რადგან მაკოს აზრადაც არ მოუვიდოდა თქვენთვის კაბა ეთხოვნაო.

— დარწმუნებული ბრძანებოდით, როგორც მიზოქებთ, ასე უვნებელს ჩაგაბარებთ-მეთქი, დავუმატე მეც.

— არა, ჩემო კარგო, თეატრში გამახარავებულ და ნათრევ კაბაში კნეინა ქობულაგისა მკლავს აღარ გაპყოფს და შეგიძლიათ ეგ კაბა სრულებით დაიტოვოთ, — სთქვა და ისეთი ზიზღით გაიქნია ხელი, თითქოს მანიშნა, თავიდან მომიცილდი, გეყოფათ.

ეჰ, ვინ მოსთელის რამდენი ამისთანა წყენა და შეურაცხყოფა აგვიტანია სასცენო საქმის სიყვარულისთვის. მერე და მერე, როცა მსახიობები მოგვემატნენ და დროგამოშვებით ტრაგედიების თამაშიც დავიწყეთ, საოპერო თეატრის მკერავს მოვიქრთამავდით და ტანსაცმელი იქიდან მოგვჭონდა. რასაკვირველია, არც ეს იყო პირველხარისხოვანი და შესაფერი, მაგრამ შემთხვევით ნანათხოვრებს კი სჯობდა.

მკერავმა პირობა მოგვთხოვა: თუ თქვენს წარმოდგენაზე ჩვენი აღმინისტრაციიდან ვინმე შენიშნოთ, ჩემს მიერ მოცემული ტანსამოსი იმ წამსვე გაიხადეთო. მეტი რა ჩარა იყო, ასეთი პირობაც დავუდეთ. ამის გამო ხშირი იყო შემთხვევა: მსახიობს პირველ მოქმედებაში დანიის უფლისწულის ტანსამოსი ეცვა, მეორე მოქმედებაში იმულებული იყო თავის ჩოხით გამოსულიყო, რომ მკერავი არ გაგვეცა.

ეს ამბავი ასაწერად აღვილია, მაგრამ ჩვენ კი უსაშინელეს ტანჯვას განვიც-

დიდით, იმ დროს წარმოდგენა კი არ შეგვეძლო, რომ ოდესმე დადგებოდა ისეთი დრო, როცა მსახიობებს გაუწევდნენ ყოველ შემთხვევაში სრულ დაწესებულებას და მათ შორის თეატრსაც.

რადგან ადამ ჩუბინაშვილზე გვეჭონდა ლაპარაკი, ერთი კურიოზიც გავიხსენოთ. ვთამაშობდით პიესას „ქმარი ხუთი ცოლისა“. ქმრის როლს თამაშობდა ვასო აბაშიძე, რომელსაც ასამართლებენ. კულისებში გზირი ხალხს ღორბოტოთი ეძახის: — „ახლო, მოგროვდით. ხუთცოლიანს ვასამართლებთო“. სცენარიუსად გ. წერეთლის და მარიამი გეყავდა. ადამ ჩუბინაშვილი გზირის როლს თამაშობდა.

ბევრს ეცადა ადამი, მაგრამ ღორბოტოს ხმა ვერ ამოაღებინა, რამდენსაც ჩაპყვირებდა, ღორბოტო უცნაურად დაიწყებდა ხიხინს. ბოლოს თვითონვე შეშინდა, დაიბნა და იმის ნაცვლად რომ ეთქვა: „ხალხო, მოგროვდით სასამართლოო“, — ხმამალა დაიყვირა: — „ხალხო, მიშველეთო“.

ვასომ ადამი ამ მდგომარეობიდან გამოიყვანა და გაჯავრებულმა წამოიძახა:

— თუ მასამართლებთ, გამასამართლეთო.

ბევრი ასეთი კურიოზი მოსვლია ჩვენ კეთილ ადამს, მაგრამ სხვას უკვე ვეღარ ვიხსენებ.

(დასასრულად შემდეგ ნომერში)

## ალექსანდრე წულუკიძე როგორც ეკონომისტი



„არბან ისეთი პირები, რომელთა სახელს პროლეტარიატი ვერ დაივიწყებს... ალექსანდრე წულუკიძე ასეთ პირებს ეკუთვნის...“

ი. სტალინი

ალექსანდრე წულუკიძემ, როგორც ამხანაგი ლ. პ. ბერია სწერს, „მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მუშათა კლასის რევოლუციურ ბრძოლას შესწირა“.<sup>1</sup>

ალ. წულუკიძე მწერლობის ასპარეზზე გამოვიდა 1890-იან წლებში. ეს იყო დრო რუსეთში კაპიტალისტური მრეწველობის აღმავლობისა და მუშათა მოძრაობის გაძლიერებისა, როდესაც გ. პლეხანოვის მოღვაწეობით უკვე ძირი გამოეთხარა ნაროდნიკების გავლენაზე რევოლუციურ ინტელიგენციაში, როდესაც ლენინი პეტერბურგში მარქსისტულ მუშათა წრეებს აერთიანებს „ბრძოლის კავშირად“, — რომელსაც პოლიტიკური ზემოქმედანობა უნდა გაეწია მუშათა მასობრივი მოძრაობისათვის.

შემოქმედებითი მარქსიზმის მსოფლიო ცენტრი რუსეთში გადმოდიოდა და აქ პირველად იწყებოდა მუშათა მოძრაობასთან სოციალიზმის შეერთების განხორციელება. ლენინის მიერ ნაროდნიკობის იდეურად ბოლომდე განადგურებამ უზრუნველყო ფართო

გზახსნილი მარქსიზმის შემდგომი გავრცელებისა და ს.-დ. პარტიის შექმნის შესაძლებლობისათვის.

საქართველოსა და ამიერკავკასიაში სამრეწველო რევოლუცია უკვე მომხდარი ფაქტი იყო. ფეოდალური ურთიერთობის ძლიერი ნაშთები ამ დროს სწრაფი ტემპით ირღვევიან, ძველი წოდებრივი სტრუქტურის მეტამორფოზის გზით საზოგადოებაში ანტაგონიზმის ახალი შინაარსის მატარებელი კლასები ბატონდებიან. კარგა ხანია, რაც წოდებრივ-კლასობრივი ბრძოლა სცილდება ლიტერატურული მოძრაობის საბურველს და მოპირდაპირე კლასებად დაყოფილ საზოგადოებაში წარმოიქმნება პოლიტიკური პარტიები, რომელთა შორის ჩაღდება ისეთივე შეურიგებელი ბრძოლა, როგორადაც შეურიგებელი იყვნენ ის კლასები, რომელთაც ისინი წარმოადგენდნენ.

1870—1880-იან წლებიდან კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებითა და მარქსიზმის გავრცობისათვის ადგილობრივ პუბლიცისტიკასა და საზოგადოებრივობაში წარმოებულ დისკუსიით მომზადებულ ნიადაგზე 1890-იანი წლებიდან ამიერკავკასიაში ყალიბდება „მესამე დასი“—პირველი

<sup>1</sup> ლ. პ. ბერია, „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“, 1939, თბ. გვ. 33.

ქართული, მარქსისტული ორგანიზაცია, რომელიც ეწევა მარქსიზმის იდეების გავრცელებას. მაგრამ „მესამე დასის“ უმრავლესობა აფულგარენდა მარქსის მოძღვრებას, რომელსაც „უგუებდა ბურჟუაზიულ-კაპიტალისტური განვითარებისა და ბურჟუაზიული ნაციონალიზმის ინტერესებს“. მხოლოდ „მესამე დასის“ უმცირესობა, რომელსაც ამხანაგი სტალინი შეთავრობდა და რომელიც შეიქმნა ლენინურ-ისკრული მიმართულების მთავარი ბირთვი, იცავდა რევოლუციური მარქსიზმის იდეებს და ეწეოდა მის პროპაგანდას.

[ უკვე რამდენიმე გამოქვეყნებული სტატიის ავტორი, სულ ახალგაზრდა, 22 წლის ალ. წულუკიძე, 1897 წ. მოსკოვში მიდის, სადაც 1899 წ. ზაფხულამდე რჩება.

ცნობილ „მესამე დასელს“ და რევოლუციონერს ა. წულუკიძეს, მოსკოვში წასვლისას უკვე წინასწარ ჰქონდა შემუშავებული გეგმა, თუ სახელდობრ ცოდნის რომელი დარგის გაღრმავებულ შესწავლას შესდგომოდა. ჯერ კიდევ 1896 წ. მაისში, თავის ერთერთ პირველ სტატიაში, — „ქართველ სტუდენტთა საყურადღებოდ“, — იგი ახალგაზრდობას მოუწოდებდა: „გაიკანით რიგიანად... ხალხის გაჭირვებული ცხოვრება, დააკვირდით, ახსენით თეორეტიკებისათვის ძნელად ასახსნელდ კითხვებშიო“. <sup>1</sup> ა. წულუკიძე მოსკოვში დაეწაფა სოციალ-ეკონომიურ და ფილოსოფიურ ლიტერატურას და ბრწყინვალედ დაეუფლა ეკონომიურ მეცნიერებას.]

დაცულია ა. წულუკიძის პირველი თეკის ნაწილი. როგორც ამ ბიბლიოთეკაში შემონახული, ისევე წულუკიძის ნაწერებში გამოყენებული სტალინის ხელნაწერულ წიგნთა შორის ჩვენ შევხვდებით. სახელებს ფიზიოკრატებიდან მოყოლებული მრავალი ცნობილი და ნაკლებად ცნობილი ეკონომისტისა, მაგრამ არის ერთი ეკონომისტი და ერთი ეკონომიური თხზულება, რომლის ვარშემო ტრიალებს ა. წულუკიძე მთელ თავის ლიტერატურულ მოღვაწეობაში: ესაა კარლ მარქსი და მისი გენიალური ქმნილება „კაპიტალი“.

ლიტერატურის რა დარგშიაც არ უნდა გამოდიოდეს ა. წულუკიძე, გამოდის იგი როგორც ლიტერატურული კრიტიკოსი, როგორც პუბლიცისტი, ფელატონისტი, თუ ეკონომისტი, ყველგან ყოველთვის კარლ მარქსისა მისთვის უებრო ავტორიტეტი, „კაპიტალია“ მისთვის ცოდნის უმრეტე წყარო.

[ თუ არ შევხვებით 1900-იანი წლებიდანვე პირველად ქართულად გამოქვეყნებულ ამხანაგ იოსებ სტალინის ეკონომიურ შრომებს, რომელთა სახით საფუძველი ჩაეყარა ქართულ მარქსისტულ-ლენინურ ეკონომიურ მეცნიერებას და რომლებშიაც მოცემულია მარქსისტული ეკონომიური მეცნიერების არა მხოლოდ ბრწყინვალე დაცვა და პროპაგანდა, არამედ შემდგომი გენიალური განვითარება, თუ არას ვიტყვით იმის შესახებ, რომ ქართულ ეკონომიურ მეცნიერებას ყოველთვის შეუძლია იამაყოს ამ დიდი საგანძურით, — შეიძლება გადაუქარბებლად ითქვას, და ამის დოკუმენტური დამტკიცებაც ადვილია, რომ იმდროინდელ ქართულ ლიტერატურაში არ მოიძებნება არცერთი ავტორი, რომელიც მარქსისტული ეკონომიური მეცნიერების საფუძვრებზე ისე ამაღლებულიყოს, როგორც ალ. წულუკიძე.]

<sup>1</sup> ლ. პ. ბერიძე, დასახლებული წიგნი, გვ. 34.  
<sup>2</sup> ალ. წულუკიძე, „თხზულებანი“, 1943, თბ. გვ. 266.

აღნიშნავთ მხოლოდ ერთ ფაქტს, თუ რამდენად დიდ ანგარიშს უწევდნენ „მესამე დასელები“ ალ. წულუკიძეს, როგორც მარქსის ეკონომიური მოძღვრების სერიოზულ მცოდნეს.

1890-იან წლებში „კვალსა“ („მესამე დასელებსა“) და „ივერიას“ შორის ეკონომიური საკითხების გარშემო დაწყებულმა დავამ 1900-იანი წლების პირველ ნახევარში უმწვევესი ხასიათი მიიღო. კონკრეტული ეკონომიური მოვლენების, როგორცაა, მაგალითად, გლეხობის სწრაფი დიფერენციაციის, ფეოდალური საადგილმამულო საკუთრების რღვევის პროცესის, ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარების, ბურჟუაზიულ თაოსნობაში ეროვნული და უცხო კაპიტალის როლის, მნიშვნელობისა და საერთოდ ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობისა და პერსპექტივების გარშემო გამართული დისკუსია ადვილად და მალე გადაიზარდა საერთოდ ეკონომიური კატეგორიების ცნებათა გაგებისა და განმარტებისათვის პოლემიკაში, რაც, ცხადია, გამოწვეული იყო კამათში მეტი ვარჯვეულობისა და პრინციპულობის შეტანის აუცილებლობით. ეკონომიური კატეგორიების ცნებათა, აბსტრაქტულ მოვლენათა გარშემო დისკუსიით, ბუნებრივია, ორივე მხარე უკვე შედიოდა თეორიული პოლიტიკური ეკონომიის სფეროში, სადაც მათ თავიანთი კლასობრივი ინტერესების შესაბამისი სისტემის მთელი არსენალი, ან უკეთ ვსთქვათ, ამ არსენალიდან მათთვის ხელმისაწვდომი იარაღები უნდა ამოქმედდებოდა.

ალ. წულუკიძე იმთავითვე ჩაება ამ დისკუსიაში, რაშიც საბოლოოდ იგი კიდევაც მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ დაეწერა თავისი „ნაწყვეტები პოლიტიკური ეკონომიიდან“. მაგრამ კმ წიგნს ქვემოთ შეეხებოდა. აქ კი აღვნიშნავთ მხოლოდ ორიოდ მომენტს, რომელიც ახასიათებს თანამედროვეთა

შორის ა. წულუკიძის აბსტრაქტულ მარქსისტულ-ეკონომიურ მცოდნეობაში.

ნ. ჟორდანიასა (ეკონომიური დროისათვის ცნობილ წერილებურეუ-აზიულ ეკონომისტ ვ. წერეთელს („ივერიას“) შორის 1898 წელს კონკრეტულ ეკონომიურ საკითხებზე დაწყებული დისკუსია ეკონომიური მეცნიერების ფრიად რთული, აბსტრაქტული, მოვლენების სფეროში შეიჭრა. ვ. წერეთელს საკმაო ეკონომიური განათლება ჰქონდა. იგი, როგორც გ. ლასხივილი სწერს თავის მოგონებაში, ჯერ კიდევ ოთხმოციანი წლებიდან გატაცებული იყო ადამ სმიტით, და საერთოდ პოლიტიკური ეკონომიით. ახლა იგი „მესამე დასელთა“ წინააღმდეგ ბრძოლაში თვით „შეიარაღდა კ. მარქსის „კაპიტალის“ ტომებით და ამტკიცებდა, რომ: 1. ნ. ჟორდანიამ სწორედ ვერ გაიგო კ. მარქსის მოძღვრება და რომ 2. თვით „კაპიტალიც“ წინააღმდეგობებს შეიცავს.

როდესაც ეკონომიკის თეორიულ პრობლემებზე დავა სერიოზულ ხასიათს ღებულობდა „კვალის“ რედაქცია დახმარებისათვის ალ. წულუკიძეს მიმართავდა ხოლმე.

ფაქტია, რომ ვ. წერეთელმა უტაქტობად ჩაუთვალა ნ. ჟორდანიას: მე თქვენ გეკამათებით, ხოლო თქვენ კი ალ. წულუკიძე „შემომიტიეთო“.<sup>1</sup>

მხოლოდ ალ. წულუკიძემ ამხილა საბოლოოდ ვ. წერეთლის მიერ „კაპიტალის“ აზრების დამახინჯებისა და ყალბად, მექანიკურად, გაგების ფაქტი. ხოლო „კვალის“ აკრძალვის შემდეგ ფ. მახარაძის „მოგზაურისათვის“ აუცილებელი შეიქნა კვლავ ალ. წულუკიძის მოშველიება, რათა ანგარიში გაესწორებია ისევ კ. მარქსისა და კ. კაუცკის წიგნებით შეიარაღებული

<sup>1</sup> „ივერიას“, 1900 წ. № 70.

ფ. გოგიჩაიშვილის<sup>1</sup>, — არსებითად საერთოდ „ივერიელთა“ — ე. წ. „საერთო ნიადაგის“ თეორიასთან.<sup>2</sup>

აღ. წულუკიძის ეკონომიური შრომები შეეხება უმთავრესად ეკონომიური მეცნიერების სამ ძირითად დისციპლინის, — სახელდობრ, 1. ეკონომიური ცხოვრების, ანუ სახალხო მეურნეობის ისტორიის, 2. პოლიტიკური ეკონომიის (ეკონომიური აზრის) ისტორიისა და 3. თეორიული პოლიტიკური ეკონომიის საკითხებს.<sup>3</sup>

ორი უკანასკნელი დისციპლინის პრობლემებზე მუშაობისას იგი ისაზღვრება უპირატესად დასავლეთ ევროპის ცხოვრებისა და მეცნიერების მასალათა შესწავლითა და ანალიზით, ხოლო პირველისათვის აღებული აქვს ფაქტები თითქმის მხოლოდ საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიური ვითარებიდან.

ჩვენს მიზანს ამ შემთხვევაში არ შეადგენს დეტალური განხილვა და შეფასება იმისა, რაც აღ. წულუკიძის ტალანტს მოუცია ქართული ეკონომიური მეცნიერებისათვის და რაც, მიუხედავად იმისა, რომ აღ. წულუკიძე სულ ახალგაზრდა, 28 წლის უახუცი, გარდაიცვალა და მისი ლიტერატურული მოღვაწეობა სულ ექვსიოდე წელიწადი გრძელდებოდა, მაინც დიდად მნიშვნელოვან მემკვიდრეობას წარმოადგენს.

აღ. წულუკიძეს მონოგრაფიები არ დაუწერია ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის

საკითხებზე, მაგრამ იგი თანაშრომებსა, სტატეებსა და ფელეტონებში ძალიან ხშირად ეხებუდა ეკონომიურ სხვადასხვა აქტუალურ საკითხებს, რამდენადაც ცხოველყოფელმა სინამდვილემ, როგორც იგი სწერს, „ეკონომიური კითხვები სფინქსივით წინ“ დაუყენა<sup>4</sup> საზოგადოებას.<sup>5</sup>

ეკონომიური ცხოვრების მოვლენათა ასახსნელად, აცხადებს იგი, „საკმაო არ არის მართო ისტორიული ფაქტების ცოდნა, მათი მწყობრად და ლამაზად მზობა. საჭიროა მეცნიერული მეთოდი, რომელიც ამ ფაქტს რაიმე გარკვეულ ხასიათს მისცემს, მოვლენათა კავშირს იპოვის“ —<sup>6</sup>

ა. წულუკიძე, იქვე აღნიშნავს, რომ ეს საკითხი გადასწყვეტა „ისტორიის მატერიალისტურმა შეგნებამ, რომელმაც მრავალი ფაქტორები ისტორიული პროცესისა უარყუო და აღიარა ერთი ფაქტორი — საზოგადოების ეკონომიური შენობა. ეს სრულიად არ ნიშნავს, — განაგრძობს იგი, — როგორც ზოგიერთ ჩვენს უვიც პუბლიცისტებს ჰგონიათ, რომ ისტორიული ცხოვრების ყველა რთული მოვლენანი მხოლოდ ეკონომიური ფაქტორის ზეგავლენით უნდა აიხსნას“.<sup>7</sup>

საქმე იმაშია, რომ თვით „ეკონომიური სტრუქტურა, რომელზედაც, შენდება საზოგადოებრივი ცხოვრება, უბრალო მექანიზმი როდია, რომლიდან მექანიკურად, ავტომატიურად გამოდის კანონი, ზნე-ჩვეულება, აზრი, გრძნობა, იდეოლოგია და სხვა ამ ზედა შენების წარმოშობა მეტად რთული და დახლართული პროცესია“.<sup>8</sup>

აღ. წულუკიძე ეკონომიური განვითარების საკითხების შესწავლაში მშვე-

<sup>1</sup> აღ. წულუკიძე, „თხზულებანი“, 29.

<sup>2</sup> იქვე, 30.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> იქვე, 34. შეადარე: ქ. მარტისი, „კავპიტალი“, III, II.

<sup>1</sup> „მოკამბე“, 1904 წ. № 9 „ცნობის ფურცელი“, 1905 წ. №№ 2682, 2696 და 2702.

<sup>2</sup> „მოგზაური“, 1905 წ. № 2 და 3.



ნივრად იყენებს კიდევაც მარქსისტულ მეთოდს. ამ მხრივ იგი, — ამხანაგ სტალინის შემდეგ, — უდაოდ პირველი მკვლევარია, რომელმაც მარქსისტულ-ლენინურად გააშუქა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის საკითხები.

მაგალითად, იგი ჯერ კიდევ 1898 წელს სტატიაში — „ახალი ტიპი ჩვენს ცხოვრებაში“ — ბრწყინვალე, მარქსისტულ ანალიზს უკეთებს სოფელში ბურჟუაზიული თაოსნობის შეჭრისა და ამის შედეგად გადატაკებული ქართველი აზნაურობის ვითარებას. იგი სავესებით რეალურად გვისურათებს, თუ როგორ გამოეყოფა ეპიკური-მეფავსზე, რომელიც საბოლოო ანგარიშით, ადრე თუ გვიან, ებატრონება გადატაკებული წერილი მწარმოებლის (გლეხის) და აზნაურის ადგილ-მამულს და ბატონდება სოფელში.<sup>1</sup>

1899 წელს სტატიაში „საუბარი მეითხველთან“ ალ. წულუკიძე, ლენინისაგან სავსებით დამოუკიდებლად (ლენინის „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“ გამოვიდა იმავე წელს) ანვითარებს იმ დებულებას, რომ რუსეთის კაპიტალიზმმა საქართველო და ამიერკავკასია ჩაითრია ჯერ თავის, ხოლო შემდეგ მსოფლიო ბაზრის ორომტრიალში, რის მეოხებითაც, როგორც ალ. წულუკიძე ლენინური თეზისის შესაბამისად<sup>2</sup> სწერდა, „ჩვენი ეკონომიური ცხოვრება განქარვებით წავიდა წინ“.<sup>3</sup>

ამგვარად, ალ. წულუკიძემ, როგორც მარქსისტმა ეკონომისტმა პირველმა აღნიშნა, მართალია, მრავალი ტყივილების მიმყენებელი, მაგრამ საბოლოო ანგარიშით საქართველოსა და ამიერ-

კავკასიის მიმართ პროგრესიული როლი რუსეთის კაპიტალიზმისა.

ჩვენ შორს წაგვიყვანდა თუნდაც უბრალო ჩამოთვლა ჩვენს ქვეყნის ეკონომიკის იმ საკითხებში, რომელთა შესახებ უწერია ალ. წულუკიძეს, ვიტყვით მხოლოდ, რომ იგი აქ, — როგორც თავისი მეცნიერული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის ყველა დარგში, — ყოველთვის პრინციპულ სიმალღეზე იდგა, და როგორი მწვავე ხასიათისაც არ უნდა ყოფილიყო პოლემიკა, მოპირდაპირისაგან მოითხოვდა დაკვირვებულ და დინჯ მსჯელობას, ღრმად ჩახედული და აუღელვებელი იყო თვითონ იგი ასეთს შემთხვევებში.

პოლიტიკური ეკონომიის ისტორიის შესახებ, გარდა სხვადასხვა შრომებისა და სტატიების გამოთქმული მოსაზრებებისა, ალ. წულუკიძეს აქვს ერთი სპეციალური შრომა სახელწოდებით: „ეკონომიური მეცნიერების ისტორიიდან“, რომელიც 1899 წელს გამოქვეყნდა ჟურნალ „კვალის“ ნომბრისა და დეკემბრის ნომრებში.

როგორც ამ შრომის, ისე საერთოდ ეკონომიური დოქტრინების ისტორიის შესახებ ალ. წულუკიძის ნაწერთა განხილვა-შეფასების დროს არ უნდა დავივიწყოთ ის გარემოება, რომ კ. მარქსის „წემდემტი ღირებულებათა თეორიები“ გამოქვეყნდა გერმანულად მხოლოდ 1904 წელს და, ამგვარად, ბურჟუაზიული კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ისტორიის შესწავლისათვის ჩვენთვის არსებული ეს ძვირფასი განაჩი მისთვის ხელმიუწვდომელი იყო.

მიუხედავად ამისა ალ. წულუკიძე მართებულად იტყევა, როდესაც აღნიშნავს, რომ „პოლიტიკურ ეკონომიასაც

<sup>1</sup> ალ. წულუკიძე, „თხულებანი“, 1943, 19 — 29, 22 — 23.

<sup>2</sup> ლენინი, „თხულებანი“, ტ. III, 575 — 576.

<sup>3</sup> ალ. წულუკიძე, I, c, 29.

თავისი მშობელი ხანა ჰყავს და ეს ხანა ბურჟუაზიული ხანააო.<sup>1</sup> ]

ასევე მართებულია მის მიერ შრომის შესავალშივე გაკეთებული განცხადება, რომ „მერკანტილურ სისტემას, ჩვენის აზრით, პოლიტიკურ ეკონომიაში სკოლა არ შეუქმნია, მწყობრად და მეცნიერულად არ შეუქმნავებია თავისი პრინციპებიო“.<sup>2</sup>

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მერკანტილური სისტემის შეფასების საქმეში მას გზის სწორი მაჩვენებელი ჰქონდა თვით კ. მარქის „კაპიტალის“ შესამე ტომის სახით.<sup>3</sup>

✓ შემდეგ ალ. წულუკიძე, იქვე იწყებს რა, საგნის თხრობას, ე. ი. როგორც თვითონვე სწერს, „პოლიტიკური ეკონომიის, როგორც მეცნიერების დასაწყისის, ისტორიული ფურცლების გადაშლას“, აცხადებს, რომ „იქ წველაზე წინ ფიზიოკრატების და მათ შორის უფრო დიდი ასოებით ფრანსუა კენეს სახელს ამოვიკითხავთო“.<sup>4</sup>

ცნობილია, რომ კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ფუძემდებელი არის განთქმული ინგლისელი ეკონომისტი უილიამ პეტი (1623—1687), რომელსაც კ. მარქი სთვლის „ერთერთ უგენიალურეს და უორიგენიალურეს“ მკვლევარად, იგი უკვე ეკონომიურ მოვლენათა თვით საწყისებს, საფუძვლებს ეხებოდა,<sup>5</sup> და, ამისათვის, ეძებდა რა მოვლენათა „საიდუმლო ბუნებას“, მიმართავდა ამსტრაქციებს, რაც საზოგადოებრივ მოვლენათა შესწავლაში, კ. მარქის სიტყვებით რომ ვსთქვათ, ისეთსავე როლს თამაშობს, როგორც მიკროსკოპი და ქიმიური რეაქტივები ბუნებათმეცნიერებაში. ვ. პეტის მთავარი შრომები გამოქვეყნდა

1662 წ., ე. ი. კენეს დაბადებამდე ოცდაათიოდე წლით ადრე.

საფრანგეთში კი კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის პოლიტიკურმა ვ. პეტის უმცროსი თანამედროვე პიერ ბუავილბერი (1646—1714).

კარლ მარქსი ჯერ კიდევ შრომაში „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“, რომლის რუსული თარგმანიც 1896 წ. გამოიცა, სწერდა, რომ კლასიკური პოლიტიკური ეკონომია „ინგლისში უილიამ პეტით და საფრანგეთში ბუავილბერით იწყებაო“.<sup>1</sup> ხოლო რაც შეეხება ფიზიოკრატებს და ამ სისტემის ფუძემდებელს ფრანსუა კენეს (1693—1774) მათ უდიდესი როლი ითამაშეს ეკონომიური მეცნიერების შემდგომ განვითარებაში. მათ „საკითხი ზედმეტი ღირებულების წარმოშობის შესახებ მიმოქცევის სფეროდან გადაიტანეს უშუალოდ წარმოების სფეროში და სწორედ ამით საფუძველი ჩაუყარეს კაპიტალისტური წარმოების ანალიზს“<sup>2</sup> (ხაზი ჩვენია—პ. გ.).

ალ. წულუკიძე საუცხოოდ ვერკვევა იმ ისტორიულ ვითარებასა და მიზეზებში, რომელთაც განსაზღვრეს ფიზიოკრატებისა და მათი მამამთავრის ფრ. კენეს მსოფლმხედველობა.

ალ. წულუკიძე სწერს, რომ კენემ „მიწადმოქმედებას მიაქცია უმთავრესი ყურადღება და იქ ჰპოვა ჭეშმარიტების მარცვალი, რადგან იმ დროს მიწათმფლობელნი და მიწადმოქმედნი უფრო მეტი იყვნენ ვაჭარ-მრეწველებზე და მიწის დამუშავების და მის ნიადაგზე აღძრული ინტერესების დანახვა და შემჩნევა უფრო ადვილი იყო“.<sup>3</sup>

<sup>1</sup> კ. მარქსი, „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“, 1932, ტფ. გვ. 75.

<sup>2</sup> К. Маркс, „Теория прибавочной стоимости“, I, 38; იგივეთვე კ. მარქსი, „კაპიტალი“, ტ. II, ფრ. ენგელსის წინასიტყვიობა, 1933, თბ. გვ. XVI—XVII.

<sup>3</sup> ალ. წულუკიძე, I, ც. 52.

<sup>1</sup> ალ. წულუკიძე, „ოხზულებანი“, 48.

<sup>2</sup> იქვე, 49.

<sup>3</sup> კ. მარქსი, „კაპიტალი“, ტ. III.

<sup>4</sup> ალ. წულუკიძე, I, ც. 49.

<sup>5</sup> К. Маркс, „Теория прибавочной стоимости“, 1931 г., I, 17.

ფრ. კენეს ეკონომიური სისტემის ცენტრალურ პუნქტს წარმოადგენს მოძღვრება „წმინდა პროდუქტზე“. ამ თვალსაზრისიდან იძლევა ფრ. კენე ანალიზს კაპიტალისა, ნაყოფიერი და უნაყოფო შრომისა და საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურისა. ამ „წმინდა პროდუქტს“—გი იძლევა მხოლოდ მიწადმოქმედება.

აღ. წულუკიძე ფ. კენეს „წმინდა პროდუქტის“ შესატყვისად ხმარობს „წმინდა შემოსავალს“. გადმოგვეცემს რა ფრ. კენეს შეხედულებას, იგი სწერს, რომ „ფიზიოკრატებმა ყველაზე ადრე შეიგნეს ის კეშმარიტება, რომ ეპრობას არ შეუძლია ახალი ღირებულების შექმნა. საქონელი სანამ ბაზარში გატანილა, გასასყიდათ დამზადებულა, მანამდე აქვს მას შექმნილი ახალი ღირებულება, სწორედ იმ დროს, როდესაც თვით წარმოების პროცესი ხდება, საქონელი კეთდება. მაგრამ ამ აზრის ნათელი გამორკვევა მათ ვერ მოახერხეს და მხოლოდ ნაყოფიერი თესლი გადაისროლეს ეკონომიური ცნობიერების მიდამოშიო“.<sup>1</sup>

აღ. წულუკიძე ღრმად სწვდება ფ. კენეს მოძღვრების დედააზრს, როდესაც აღნიშნავს რომ ფ. კენემ ზედმეტი ღირებულება მხოლოდ მიწის დამუშავებაში ჰპოვა და წარმოების ის დარგი, რომელიც უფრო მეტ ქონებას ჰქმნის ამ საფუძველზე, ვერ შეამჩნია, ფაბრიკებისა და ქარხნების იგივე თვისება მას გამოეპარაო“.<sup>2</sup>

რამდენადაც ფრანსუა კენეს „წმინდა პროდუქტი“, შედეგი დაჭირავებული მუშის ექსპლოატაციისა, მხოლოდ მიწათმფლობელის ხვედრია და, ამგვარად, ისე გამოდის, რომ მხოლოდ მიწადმოქმედებაში აქვს ადგილი ზედმეტი ღირებულების წარმოებას, ე. ი. კაპიტალიზმი, ამის მეოხებით ღებუ-

ლობს ბურჟუაზიულ გარკნობას, ბურჟუაზიული საზოგადოების ღებულობს ფეოდალურ იერს“.

აღ. წულუკიძე სწვდება აღნიშნავს ფრანსუა კენესა და საერთოდ ფიზიოკრატების ძირითად დამსახურებას ეკონომიურ მეცნიერებაში, როდესაც იცხადებს, რომ მათს „შემცდარ აზრებში“ ერია კეშმარიტებაც, სახელდობრ, „საზოგადოება არ წარმოადგენს ერთ მთელს, ინტერესებით და მისწრაფებებით განუყოფელს, არამედ ჯგუფებად დაყოფილია და მათი ინტერესების წინააღმდეგობა არის ისტორიის დიადი შინაარსი, რომ მხოლოდ შრომას შეუძლია ღირებულების შექმნა და იმ ზედმეტი ნაწილის გამოჩეკა, რომელიც ერს ასაზრდოებს და ამღიდრებს“.

აღ. წულუკიძე რომ ცოტა უფრო შორს წახულიყო, ანუ, სხვა სიტყვებით, მას რომ შესაძლებლად მიეჩნია საზოგადოებრივი კლასების შესახებ ფრანსუა კენეს მოძღვრების უფრო დეტალური გადმოცემა და კრიტიკული განხილვა, იგი აუცილებლად უჩვენებდა, რომ სასახლის ცნობილი ქიჩორუგი ფრანსუა კენე იმ ხანაში, როდესაც საფრანგეთი რევოლუციის უშუალო წინახანის ორბიტში მოძრაობდა, სრულიადაც არ სთვლიდა საჭიროდ საზოგადოების „ქიჩორუგულ ოპერაციას“. მართალია, იგი ბურჟუაზიული წარმოების წესის მესიტყვეა, მაგრამ არაა მომხრე მისი ფეოდალური გარსის დაფხრეწისა; პირიქით, უკანასკნელი მას მიანია კაპიტალისტური ურთიერთობის ერთგვარ მაცოცხლებელ ელექსირად.

აქედან: ფ. კენესათვის იდეალური საზოგადოების საფუძველია ფერმერთა კლასი,—ერთადერთი ნაყოფიერი

<sup>1</sup> აღ. წულუკიძე, I, c., 51.

<sup>2</sup> აღ. წულუკიძე, I, c., 52.

<sup>1</sup> K. Маркс, „Теория прибавочной стоимости“, I, 42.

<sup>2</sup> აღ. წულუკიძე, I, c., 53.

კლასი, და მიწადმოქმედება—მეურ-  
ნეობის ერთადერთი ნაყოფიერი დარ-  
გი. კენეს საზოგადოებაში არ იხსენი-  
ება პროლეტარიატი: დაქირავებული  
შრომა ნაყოფიერია მხოლოდ მიწად-  
მოქმედებაში.

ამგვარად, მართალია, რომ ბურჟუა-  
ზიულ საზოგადოებაში ნაყოფიერია  
მხოლოდ ის კლასი, რომელიც „წმინდა  
პროდუქტს“, ე. ი. ზედმეტ პროდუქტს  
ანუ ზედმეტ ღირებულებას აწარ-  
მოებს, მაგრამ ფრანსუა კენეს გამოი-  
ჩინა ძირითადი ნაყოფიერი კლასი—სამ-  
რეწველო პროლეტარიატი, თუმცა მის  
მიერ საფუძვლად აღებული პრინციპი  
თავისთავად სწორია.

ალსანიშნავია ისიც, რომ ერთიანი  
გადასახადის საკითხში ფრ. კენე გარე-  
ვეული ზომით ძირს უთხრიდა ფეოდალ-  
ურ საადგილმამულო საკუთრებას,  
რამდენადაც საგადასახადო დაბეგვრის  
მთელი სიმძიმე მიწათმფლობელებს  
ეკისრებოდა.

მაინც, უნდა აღვნიშნოთ, რომ ფრ.  
კენეს მოძღვრების დაწვრილებითი  
განიხილვა ალ. წულუკიძის მიზანს არ  
შეადგენდა.

•  
•  
•  
ალ. წულუკიძე განიხილავს ადამ  
სმიტის (1723—1790) ეკონომიურ მო-  
ძღვრებასაც.

ზოგადად აღნიშნავს რა მეცნიერე-  
ბაში ა. სმიტის დამსახურებას, ალ. წულ-  
უკიძე იქვე აცხადებს, რომ მის  
„მრავალფეროვან თხზულებაში არ  
არის ერთ იდეაზე აცმული მსჯელობა,  
უადგილო მრავალსიტყვაობა და აზ-  
როვნების არევა-დარევა ხელს უშლის  
შეუჩვეველ მკითხველს ავტორის ნამ-  
დვილი შეხედულება გაიგოს“.<sup>1</sup>

„ზედმეტი ღირებულებათა თეო-  
რიებში“, რომელიც უცნობი იყო ალ.

წულუკიძისათვის, კარლ მარქსი, აზა-  
სიათებდა რა „ხალხთა სიმდიდრის“  
ავტორის მეთოდს, სწერდა: „სმეტი ღი-  
დის გულუბრველფერად... სწავლებს  
მუდმივ წინააღმდეგობაში. ერთის  
მხრივ, ის იკვლევს ეკონომიურ კა-  
ტეგორიათა შინაგან კავშირს—ანუ  
ბურჟუაზიული ეკონომიური სისტემის  
ფართულ აგებულობას. მეორეს მხრივ,  
ის გვერდში აყენებს კავშირს იმ სახით  
როგორც იგი მოცემულია გარეგნუ-  
ლად კონკურენციის მოვლენაში და,  
მამასადამე, წარმოუდგება არა მეც-  
ნიერულ დამკვირვებელსო“.<sup>2</sup>

ალ. წულუკიძე მართებულად იქცე-  
ვა მაშინაც, როდესაც ადამ სმიტს აზა-  
სიათებს „როგორც მანუფაქტურის  
დროის ეკონომისტს“.<sup>3</sup> ალ. წულუკიძეს  
მოყავს ამონაწერი „ხალხთა სიმდი-  
რის“ პირველი ტომიდან: „პირადი  
სარგებლობა ყოველ ადამიანს აიძუ-  
ლებს მოიპოვოს უფრო სასარგებლო  
საქმე, ხოლო უსარგებლო უკუაედოს“<sup>4</sup>  
და განმარტავს: „მამასადამე, მიეცი  
ადამიანს ნება იმოქმედოს ისე, რო-  
გორც მისი ინტერესი უყარნახებს, მი-  
ანიჭეთ მას სრული თავისუფლება და  
მაშინ ნახავთ, რომ საყოველთაო კე-  
თილდღეობა დამყარდებაო“.<sup>5</sup>

ქვემოთ, მოყავს რა კიდევ სმიტის  
სიტყვები შრომის დანაწილების სა-  
კითხებზე, ალ. წულუკიძე აცხადებს:  
რომ სმიტის „აზრის სათავე ფიზიოკ-  
რატიების მოძღვრებაშია... ადამ სმიტმა  
წინ წაიმძღვრა ფიზიოკრატიების დევი-  
ზი: „Laisser faire, laisser passer“-ო.“<sup>6</sup>

მაგრამ ა. წულუკიძე მშვენიერად ხე-  
დავს სმიტსა და ფიზიოკრატიებს შო-

<sup>1</sup> კ. მარქსი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები“, 1933, თბ. II, 1, 2.

<sup>2</sup> ალ. წულუკიძე, I. c., 57.

<sup>3</sup> ალ. სმიტი, „გამოკლევა ხალხთა სიმ-  
დიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“,  
1866 წ. რუს. გამოც., I, 250.

<sup>4</sup> ალ. წულუკიძე, I. c., 54.

<sup>5</sup> იქვე, 54—55.

<sup>1</sup> ალ. წულუკიძე, I. c., 54.

რის არსებულ დიდ განსხვავებასაც. ადამ სმიტმა თავისი კლასიკური შრომის დასაწყისშივე სიმდიდრის წყაროდ აღიარა შრომა, შეტურნეობის რომელ დარგშიაც არ უნდა იყოს იგი გამოყენებული.

კ. მარქსი ჯერ კიდევ 1859 წ. სწერდა: „მას შემდეგ რაც რეალური შრომის განსაკუთრებული ფორმები, როგორცაა მიწათმოქმედება, მრეწველობა, ნოსნობა, ვაჭრობა და სხვ. რიგობით სიმდიდრის ქეშმარიტ წყაროდ იყო გამოცხადებული, ადამ სმიტმა შრომა საზოგადოდ და ამასთან მისი საზოგადოებრივი მთლიანი სახით, როგორც შრომის დანაწილება, გამოაცხადა მატერიალური სიმდიდრის ანუ საცვლელ ღირებულებათა ერთადერთ წყაროდ“.<sup>1</sup>

ალ. წულუკიძე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ადამ სმიტის მოძღვრებას „საქონლის ღირებულებაზე, რომელიც პოლიტიკური ეკონომიის სისტემაში უმთავრეს კითხვას წარმოადგენს“.<sup>2</sup>

მას მოყავს ამ მხრივ ერთერთი ყველაზე დამახასიათებელი ადგილი ა. სმიტიდან, რომ „ყოველი ნივთის ღირებულება, თუ პატრონს არ უნდა თავად მოიხმაროს ეს ნივთი, არამედ სურს სხვა ნივთზე გაცვალოს, უთუოდ უღრის შრომის იმ რაოდენობას, რომელიც მას შეუძლია იყიდოს იმ ნივთით“.<sup>3</sup>

ეს ციტატი „ხალხთა სიმდიდრის“ ქართულ და უკანასკნელ რუსულ თარგმანში ასე იკითხება: „ყოველი საქონლის ღირებულება იმ პირისათვის, ვინც მას ფლობს და აპირობს არა თვითონ გამოიყენოს ანუ მოიხმაროს იგი, არამედ გასცვალოს სხვა საქონელზე უდ-

რის იმ შრომის რაოდენობას, რომელიც მას შეუძლია მათ იყიდოს ანუ მიიღოს თავის განკუთრებულზე“.<sup>1</sup>

ალ. წულუკიძე აქვენივე წყაროებში ამაგრამ სმიტმა ვერ გაატარა ბოლომდე ეს ქეშმარიტება, გადასცა ამ სწორ გზას და აღიარა, რომ ეს აზრი ქეშმარიტი იყო მხოლოდ მაშინ, როცა საზოგადოება დაყოფილი არ იყო კლასებადო“.<sup>2</sup>

მართალია, ა. სმიტს საქონლის საცვლელი ღირებულების განსაზღვრა შრომის დანაწილებიდან გამოყავს: საზოგადოებაში შრომა დანაწილებულია საზოგადოების სხვადასხვა წევრთა შორის, რომლებიც ამგვარად ერთმანეთისათვის მუშაობენ. საქონლის საცვლელ ღირებულებას განსაზღვრავს ის შრომა, რომლის შესყიდვაც ამ საქონლით შეიძლებაო, მაგრამ ა. სმიტი აქვე დასძენს, რომ „ყოველი საგნის ნამდვილი ფასი, ე. ი. ის, რაღაც ყოველი საგანი ნამდვილად უღირს იმას, ვისაც მისი შექმნა სწადია, არის ის ჯაფა და გარჯა, რომელიც საჭიროა ამ საგნის მოსაპოვებლადო“.<sup>3</sup>

ამგვარად კი ახლა სხვა რამ გამოვიდა. სახელდობრ: საქონლის საცვლელი ღირებულება აქ ისაზღვრება არა იმ შრომით, რომელიც საქონლით შეისყიდება, არამედ იმ შრომით (რასაც სმიტი აგრეთვე გარჯას ანუ ღონისძიებასაც უწოდებს), რაც დახარჯულია საქონლის მოპოვებაზე. ადამ სმიტი ყოველთვის ერთმანეთში ურევს შრომას, რომელიც საქონლით შეისყიდება და შრომას, რომელიც საქონლის წარმოებაზე იხარჯება; სმიტი მათ აიგივებს.

ადამ სმიტის კვლევის თანმიმდევრობა ასეთია: შრომიდან საცვლელი ღი-

<sup>1</sup> კ. მარქსი, „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“, 84, 27.

<sup>2</sup> ალ. წულუკიძე, I. c., 57.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>1</sup> ადამ სმიტი, „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“, 1938, თბ. I, 35; 1935 წ. რუს. გამოც. 30.

<sup>2</sup> ალ. წულუკიძე, I. c., 57.

<sup>3</sup> ა. სმიტი, I. c., გვ. 35. რუს. გამოც. 30.

რებულეებისაკენ, საცვლელი ღირებულებიდან შემოსავლისაკენ, ხოლო შემოსავლიდან წარმოების დანახარჯებისაკენ, რომელიც ღირებულების ადგილს იკავებს. ამგვარად გამოკვლევის საბოლოო პუნქტი უარყოფს მის ამოსავალ პუნქტს.

სმიტი ამტკიცებდა, რომ კაპიტალისა და საადგილმამულო საკუთრების გაჩენის დროიდან, შრომა, მართალია, დარჩა სიმდიდრის წყაროდ, მაგრამ ამიერიდან გაცვლა ხორციელდება არა შრომის დანახარჯების შესაბამისად.

მაშასადამე, ა. სმიტს, როგორც საესეზოთი სამართლიანად აღნიშნავს ალ. წულუკიძე, მიჩნდა, რომ შრომა განსაზღვრავდა ღირებულებას „მხოლოდ მაშინ როცა საზოგადოება დაყოფილი არ იყო“ კლასებად.<sup>1</sup>

მართალია, ა. სმიტის გენია მიუახლოვდა ღირებულების წარმოების ფასში გადასვლის საკითხს, მაგრამ ამის გადაჭრა ვერც მან და ვერც საერთოდ ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის კლასიკურმა სკოლამ ვერ შესძლო. სმიტი შეჩერდა იმ დასკვნაზე, რომ კაპიტალიზმის დროს საექონლ ის ღირებულებას განსაზღვრავს არა შრომა, არამედ შემოსავალი (ე. ი. ხელფასი, რენტა და მოგება).

ყოველივე ეს ალ. წულუკიძეს სრულსაფუძველს აძლევს განაცხადოს: „სმიტმა ვერ ახსნა, ვერ გამოარკვია ღირებულების ნამდვილი წყარო; შრომას სწორედ ის ნაწილები დაურთო, რომელიც თვით შრომისაგან წარმოიშობიან (შრომის ხელფასი, წმინდა შემოსავალი და რენტა) და ზედმეტი ღირებულების (მიერ) შექმნილი სიმდიდრის მხოლოდ სხვადასხვა ფორმას წარმოადგენენო“.<sup>2</sup>

აქ საჭიროა შემდეგი შენიშვნა გავაკეთოთ: რომ იმ დროის ეკონომიური ტერმინოლოგიის ვითარების მეოხებით ალ. წულუკიძის როგორც ფრ. კენეს „წმინდა შრომული უქტი“<sup>3</sup>, აგრეთვე სმიტის „მოგების“ შესატყვისად ხმარობს „წმინდა შემოსავალს“.<sup>4</sup>

აღამ სმიტს, როგორც ზემოდაც აღვნიშნეთ, მოცემული აქვს ღირებულების ორი თეორია: 1. ღირებულებას განსაზღვრავს შრომა და 2. ღირებულებას განსაზღვრავს შემოსავალი; ასევე იგი იძლევა ხელფასის ორ თეორიას: 1. ხელფასი—შრომის პროდუქტია, 2. ხელფასი—შრომის ფასია, ხოლო შრომის ფასი წარმოადგენს შრომის პროდუქტის მხოლოდ ნაწილს.

რაც შეეხება მოგებას, მის წინამორბედთა უმრავლესობისაგან (პეტისა, კენესი და სხვ.) განსხვავებით, ა. სმიტი ამკარად აცხადებს, რომ მოგება გვევლინება მხოლოდ კაპიტალის გაჩენიდან, ე. ი. ბურჟუაზიული საზოგადოების კატეგორიაა. ღირებულებისა და ხელფასის ორი თეორიის შესაბამისად ა. სმიტი იძლევა მოგების ორ თეორიას: 1. გამოშდინარე იქედან რომ ღირებულებას განსაზღვრავს შრომა და რომ შრომის პროდუქტი არის ხელფასი, სმიტი ასკვნის: მოგება და რენტა არის ნაწილი შრომის პროდუქტისა, — რაც იმ დროისათვის გენიალური აღმოჩენა იყო. 2. მაგრამ, მეორეს მხრივ, სმიტი ღირებულებას (ე. ი. საჭონლის წარმოების დანახარჯებს) განსაზღვრავს შემოსავლით. იგი მოგებას განიხილავს, როგორც წარმოების დანახარჯების შემადგენელ ნაწილს. წარმოების დანახარჯები კი შეესაბამება შემოსავლის სამ ძირითად სახეს: ხელფასს, რენტასა და მოგებას. ხოლო ესენი კიდევ განიხილებიან როგორც ბუნებრივი, ე. ი. მარადიული მოვლენები.

<sup>1</sup> ალ. წულუკიძე, I, c. 57.

<sup>2</sup> ალ. წულუკიძე, I, c. 57.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 51 და 57.

ეს მეორე კონცეპცია ა. სმიტის, ასე ვთქვათ, „ჩავარდნაა“, და ალ. წულუკიძემ სწორედ ამ კარიდან გაუხსნა თავის მკითხველებს ა. სმიტის მოძღვრების კლასიკური, ბურჟუაზიული, ხასიათი.

ალ. წულუკიძე ა. სმიტის მოძღვრების საერთო შეფასებისას სწერს: „აღამ სმიტი საზოგადოთ შრომელ ელემენტის მომხრეთ ითვლება, თვითონაც ასე მოაქვს თავი და ხშირად მართლაც ბევრ მშვენიერ აზრსაც გამოსთქვამს ხოლმე. მხოლოდ ნამდვილად კი იგი თავისდა შეუმჩნეველად შეძლებულთა იდეების დამცველი, გამომთქმელია... აღამ სმიტისათვის სრულიად გაუგებარი იყო ის ჰეგელიანობა... რომ ყველაფერი იცვლება, არაფერი მუდმივი, გარდაუვალი არ არისო“<sup>1</sup> — ამთავრებს იგი.

რასაკვირველია, [ქ] ჩვენ მხოლოდ ზოგიერთ მომენტს შევებეთ ალ. წულუკიძის მიერ როგორც ფრ. კენეს ისე ა. სმიტის ეკონომიურ მოძღვრებათა განხილვაში. და აქედანაც უკვე აშკარა უნდა იყოს, თუ რაოდენ დაკვირვებული და ღრმა მოაზრე ეკონომისტი იყო ალ. წულუკიძე, რომელიც კლასიკური ეკონომიური მეცნიერების კორიფეების იდეათა განხილვისას თავისუფლად ახერხებს ბრინციპულ დონემდე ამ აღლდეს და მოგვცეს ნამდვილად მარქსისტული ანალიზი და შეფასება მათი მოძღვრებისა. ]

[ ალ. წულუკიძის ძირითადი ეკონომიური ნაშრომია „ნაწყვეტები პოლიტიკური ეკონომიიდან“, რომელიც პირველად 1904 წელს გამოიცა.

არ იქნება გადაჭარბებული თუ ვიტყვით, რომ ეს შრომა დიდ მოვლენას წარმოადგენდა ქართველ ეკონომიურში, სადაც მან უმნიშვნელოაზრის როლი ითამაშა კიდევ, და უმთავრესად სწორედ იმ მიმართულებით, რა დანიშნულებასაც მას თვით ავტორი უსახავდა მიზნად.

თავისი წიგნის წინასიტყვაობაში ალ. წულუკიძე, აღნიშნავს რა 1890-იანი წლებიდან ქართულ საზოგადოებრივობაში მომხდარ ძვრებს, რომლებმაც ფრიად გაააქტიურა ყურადღება და ინტერესი პოლიტიკურ-ეკონომიური კითხვებისადმი, სწერს, რომ თანამედროვეობა „საჭიროებს თეორიულად შემუშავებულ სახელმძღვანელო პრინციპებს და საზოგადო ასპარეზზე გამოქმედოთ ამ ბრინციპების ნათლად, ადვილ გასაგებად და სავსებით აღნუსხვასო“.<sup>2</sup> ]

შემდეგ იგი აღნიშნავს, რომ ამ მხრივ უკვე არსებული ლიტერატურა „ვერ არის ყოველთვის ქართველი მკითხველის გონებრივი ვითარების შესაფერისიო“.

ალ. წულუკიძე ამას ამბობს არა შესახებ ქართული ლიტერატურისა, რომლის ამ მხრივ სიღარიბეს უწინარეს აღნიშნავს, არამედ შესახებ უცხო, ე. ი. უპირატესად რუსული ლიტერატურისა.

ჩვენ დღეს გვეუცხოვება რუსული თეორიული ეკონომიური ლიტერატურის ასეთი შეფასება. მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ ალ. წულუკიძე ჩინებულად იცნობდა საერთოდ რუსულ (როგორც ორიგინალურ ისე თარგმნილ) ეკონომიურ ლიტერატურას... ამის საილუსტრაციოდ საკმარისი იქნებოდა წაგვეკითხა მხოლოდ სია მისი

<sup>1</sup> ალ. წულუკიძე, I, c., 59.

<sup>2</sup> იქვე, 126.

ბიბლიოთეკისა და თუნდაც მხოლოდ მის მიერ გამოყენებული წიგნებისა.

ჩვენ რამდენადაც ხელი მიგვიწვდებოდა გადავათვალიერეთ იმდროინდელი შესაბამისი რუსული ლიტერატურა, რომელიც, რასაკვირველია, ფრიალ მდიდარია, მაგრამ რამდენადაც ა. წულუკიძეს მხედველობაში ჰქონდა კ. მარქსის ეკონომიური მოძღვრების, ან უკეთ ვსთქვათ, თვით „კაპიტალის“ პოპულარული გადმოცემა, ამ მხრივ იქ იმდენად სერიოზული რამ ვერ ვიპოვეთ.

[რაც შეეხება კ. კაუციუს ცნობილ წიგნს, — „კარლ მარქსის ეკონომიური მოძღვრება“ ჩვენ სამწუხაროდ ვერ დავადგინეთ, ექნებოდა თუ არა იგი წაკითხული აღ. წულუკიძეს; ხოლო საერთოდ კ. კაუციუს ავტორიტეტით რომ იგი არ იყო აღტაცებული, ამის საბუთები კი მოიპოება. 1905 წელს სოც. ფედერალისტებთან (გაზ. „ცნობის ფურცელთან“) დისკუსიის დროს, როდესაც მის წინააღმდეგ კ. კაუციუს სახელი მოიშველიეს, ა. წულუკიძემ მოპირდაპირეს უპასუხა: „ჩვენ არც ისეთი ბრმა თაყვანისმცემლები ვაზღავართ ავტორიტეტების, რომ თუ ევროპაში კაუციუსი თქვა, უკრიტიკოთ გავიმეოროთ“.<sup>1</sup>

ამასთანავე, როგორც ცნობილ კ. კაუციუს დასახელებულ წიგნს, რომელიც რუსულად მრავალჯონისაა გამოცემული და 1911 წ. ქართულადაც გამოქვეყნდა, არაერთი სერიოზული ნაკლოვანება გააჩნია. კ. კაუციუს ფრიალ შერთალად აქვს გადმოცემული, ანდა სულ გამოტოვებული, და დამახინჯებულიც „კაპიტალის“ მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი დებულებებისა. ეს იოქმის განსაკუთრებით

პირვანდელი დაგროვების მუშათა კლასის გაღატაკების, კაპიტალიზური დაგროვების ისტორიულ-ეკონომიკური, მონოპოლიური კაპიტალიზმის შესახებ.<sup>2</sup> ]

ა. წულუკიძე „ნაწყვეტების“ წინასიტყვაობაში სწერს: „დღემდე „კაპიტალის“ ეკონომიური პრინციპები საუკუნით არავის გადმოუცია ქართულ ენაზე. ჩვენის აზრით ეს დიდი ნაკლიაო“; ამიტომ მას გადაუწყვეტია, ამ მხრივ, პირველი ნაბიჯის გადადგმა: „ჩვენი სურვილი იყო, რამდენადაც ღონე შეგვეწვდოდა, ა დ ვ ი ლ გ ა ს ა გ ე ბ ა დ, დაახლოვებით გადაგვეცა მკითხველისათვის უმთავრესი ეკონომიური პრინციპები, ის პრინციპები, რომლებიც თეორიულად საიმედო ნიადავს იძლევა საერთო მსოფლმხედველობის შესამუშავებლად და მით პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ც ხ ო ვ რ ე ბ ა შ ი ხელმძღვანელობას უწყევს აღამიანსო“.<sup>3</sup>

ამგვარად, აღ. წულუკიძეს იმიტომ მოუკილია ხელი კ. მარქსის „კაპიტალის“ პოპულარული გადმოცემისათვის, რათა დახმარება გაეწია ქართველ მკითხველისათვის, ე. ი. უწინარეს მუშათა კლასისათვის პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს, ჩვენ ვიტყვით—და თუ ცენზურული პირობები არ ყოფილიყო, ა. წულუკიძეც ასევე იტყვოდა; პ ა რ ტ ი უ ლ ი პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს აქტუალური საკოვების გარკვევაში.

<sup>1</sup> იხ. К. Каутский, „Экономическое учение Карла Маркса“, 1940. М., 73. 166.

<sup>2</sup> იქვე. 126.



და რომ ეს ასეა—სწამს მისი შრომის მთელი აღნაგობიდან. რასაკვირველია, აქ არ შევეუდგებით ამ წიგნის განხილვას, ვიტყვით მხოლოდ, რომ ალ. წულუკიძის შრომა, „ნაწყვეტები პოლიტიკური ეკონომიიდან“, წარმოადგენს ერთგვარ ნიმუშს კ. მარქსის ეკონომიური მოძღვრების პოპულარულად გადმოცემისა. ესაა პირველი ცდა (ცდა რამდენადაც მხოლოდ ნაწილობრივადაა მიზანი შესრულებული) ქართულ ენაზე და ერთერთი პირველი, და იქნებ პირველი, საბჭოთა კავშირის ხალხთა ენებზედაც „კაპიტალის“ ღრმა მეცნიერული დედააჩრისის მკითხველთა ფართო მასებისათვის გასაგებ ენაზე გადმოცემისა.

ალ. წულუკიძეს ჩინებულად ესმოდა კ. მარქსის ეკონომიური მოძღვრების პოპულარიზაციის უდიდესი მნიშვნელობა მუშათა კლასის რევოლუციური მოძრაობის გაღრმავებისა და განვითარების საქმეში, რომ კ. მარქსის ეკონომიური იდეები პროლეტარიატს ხელში აძლევდა ფრიად ბასრ იარაღს ბურჟუაზიული თეორიებისა და აგიტაცია-პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ალ. წულუკიძის ეს წიგნი იწერებოდა სწორედ მუშათა რევოლუციური მოძრაობის აღმავლობის ხანაში და თუმცა წიგნის კონკრეტულ-ისტორიულ მასალას თითქმის არაფერი აქვს საერთო ჩვენს ქვეყანასთან, მაგრამ საზოგადოებათა \*და თეორიული დასკვნების გამოყვანისას ალ. წულუკიძე შინაგანად იძულებულია ყურადღება გაამახვილოს სწორედ ჩვენი ცხოვრების, ქართველი მუშათა

კლასის ბრძოლის ყოველდღიური აქტუალური საკითხების თეორიულ-საფუძვლებში **საქართველო**

ეს უდავოდ დიდად საინტერესო მოვლენაა და აქ ორიოდ საილუსტრაციო მასალა უნდა მოვიყვანოთ.

1890-იანი წლებიდანვე ბურჟუაზიული ურთიერთობისა და, მაშასადამე, მუშათა მოძრაობის, ე. ი. კლასობრივი ანტაგონიზმის შემდგომი განვითარების ვითარებაში წარმოქმნა, ე. წ. „საერთო ნიადაგის“ თეორია.

ბურჟუაზიული თუ წვრილბურჟუაზიული პოლიტიკური პარტიები იწყებენ სისტემატურად ქადაგებას იმის შესახებ, რომ ქართველ მუშათა კლასსა და ქართველ ბურჟუაზიას შორის, მართალია, არსებობს წინააღმდეგობა, მაგრამ უფრო მეტია ინტერესთა ერთიანობა. ისინი საერთო ძალით, გაერთიანებულად, უნდა დაუპირისპირდნენ ჩვენს ქვეყანაში შემოჭრილ უცხოურ ბურჟუაზიას და ამ საბით იბრძოლონ ქვეყნის ეროვნული აღორძინებისათვის.

როგორც ვიცით, ამ იდეებს 1894 წლიდან ქადაგებდა მენშევიკების ბელადი ნოე ეორდანი. 1900-იანი წლების დასაწყისიდან „საერთო ნიადაგის“ თეორიას დიდის გულმოდგინებით ანვითარებენ სხვათაშორის სოც.-ფედერალისტები და ანარქისტებიც—„ივერიის“, „შოაშის“, „ცნობის ფურცლის“ და სხვა პერიოდულ გამოცემათა ფურცლები სავსეა ასეთი ზასიათის სტატიებით, ფელეტონებით, ნარკვევებით.

ცნობილია, თუ რაოდენ შეურიგ-

ბელ და პრინციპულ ბრძოლას აწარმოებდა ამხანაგი სტალინი წინააღმდეგ „საერთო მოქმედების ნიადაგის“ სოც.-ფედერალისტური „თეორიისა“, რომლის მიხედვით „კლასთა ანტაგონიზმზე ლაპარაკი „დროის შეუფერებელ დოქტრინერობად მოგვეჩვენება“.<sup>1</sup>

ე. წ. „საერთო ნიადაგის“ თეორიის, მეტი თუ ნაკლები, ზომით მესიტყვე თუ მომხრე ავტორები, რათა ეჩვენებიათ მუშათა კლასისა და ბურჟუაზიის ინტერესების ერთიანობა, სხვათა შორის, ქადაგებდნენ, რომ მუშათა კლასი არ განიცდის, ანდა დროთა მსვლელობაში სულ უფრო ნაკლები ზომით განიცდის ექსპლოატაციას, რომ რეალური ხელფასი კი არ მცირდება, არამედ სულ უფრო იზრდება, რომ სინამდვილეში ადგილი არა აქვს კაპიტალის კონცენტრაციასა და ცენტრალიზაციას, წერილი მწარმოებლები კი არ ისობიან, არამედ სულ უფრო სიცოცხლისუნარიანნი ხდებიან და მრავლებიან კიდევაც, რომ ცხოვრებაში არ მართლდება პროლეტარიატის აბსოლუტური გაღატაკების თეორია და სხვ. და სხვ.

მაგალითად, ე. ჩერქეზიშვილი 1900-იანი წლებიდან გაზ. „ივერიაში“ ათავსებს ფელეტონების სერიას, სადაც ვარდა იმისა, რომ მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლებს, კ. მარქსსა და ფრ. ენგელსს, ცილს სწამებს პლაგიატობაში, მარქსის ეკონომიური მოძღვრების განქიქებასაც ეწევა.

ე. ჩერქეზიშვილი, მაგალითად, აღნიშნავს რა, რომ „კაპიტალის კონცენტრაციის კანონი ქვეყნებში მარქსისტთა მოძღვრებისა, ცილსა და ამტიკოს ცხოვრებაში მისი გაუმართლებლობა. მას მოყავს ინგლისში შემოსავლისა და გადასახადთა განაწილების სტატისტიკა, საიდანაც როგორც თვით ე. ჩერქეზიშვილი სწერს, ჩანს, რომ „კ. მარქსის „კაპიტალის“ გამოყვლის შემდეგ 30 წლის განმავლობაში კაპიტალისტთა რიცხვი თითქმის გაორდა“, ე. ი. ... ხალხის შრომით გადიდრებულთა რიცხვი კი არ კლებულობს, იზრდება და მატულობს. წერილი კაპიტალისტები არც არავის გადაუყვანია, არც არავის მოუკლავს. მრავლება მსხვილ და წვრილ კაპიტალისტთა რიცხვი ერთმანეთის ამოუყვლეტავადო“.<sup>2</sup>

სამიოდე თვის შემდეგ ე. ჩერქეზიშვილი სწერდა: „ბელგია, კანადა, შვეიცარია და ამ ბოლო დროს კიდევ დანია საუკეთესო მაგალითს წარმოადგენენ იმისას, რომ ხალხისა და სოფლებიდან სოფლელთა განდევნა კი არა, მეურნეთა რიცხვის გამრავლება... შეადგენს ქვეყნის ეკონომიურად და საზოგადოებრივად განვითარების ნამდვილ წყაროს“.<sup>3</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ „კვალმა“ მაშინვე ამხილა ამ „კრიტიკული“ წერილების უკუღმართული ხასიათი. სახელდობრ ის, რომ ე. ჩერქეზიშვილმა კაპი-

<sup>1</sup> ე. მარქველი, „ბელგიაში მოგზაურობა“, („ივერია“, 1900 წ. № 248).

<sup>2</sup> ე. მარქველი, „წერილები ინგლიიდან“, („ივერია“, 1901 წ. № 43).

<sup>1</sup> ი. სტალინი, „როგორ ემის სოციალდემოკრატიის ნაციონალური კითხვა“, 1940, თბ. გვ. 13 — 15, 30 — 31.

10. „მნათობი“, № 4.

ტალისტად მონათლა სახელმწიფო გადასახადით დაბეგრული თითქმის ყოველი მოქალაქე, მათ შორის ასე თუ ისე მალაზღელფასიანი მუშა-მოსამსახურეებიც კი, და, ამგვარად, გამოიყენა, რომ თითქო კაპიტალისტთა რიცხვი შეუჩერებლივ მრავლდება და ადგილი აქვს არა კონცენტრაციას, არამედ დეცენტრალიზაციას კაპიტალისა. ამასთანავე „შინათურო“ (ა. წულუკიძე?) მიუთითებს, რომ კაპიტალის კონცენტრაცია „იმას კი არ ნიშნავს, რომ ვითომ თუ დღეს საქართველოში ათი კაპიტალისტია, გაისათ უთუოდ 5 უნდა იყოს, როგორც ეს ბ. მარველს ჰგონია, არამედ იმას, რომ ნაციონალური სიმდიდრე მცხოვრებთა რიცხვის შედარებით უფრო და უფრო ცოტა პირის ხელში გროვდება“.<sup>1</sup>

აღ. წულუკიძე დიდის დამაჯერებლობით ამუქებს „ნაწყვეტებში“ კაპიტალის კონცენტრაციისა და მუშათა კლასის აბსოლუტური გადატყების მარქსისტულ თეორიას, რითაც სასიკვდილო ლახვარს სცემს „საერთო ნიადაგის“ მქადაგებელთა მთელ მოძღვრებას. მაგრამ ამ მხრივაც თავისი აზრების უფრო ნათლად გამოთქმა მას მაინც, ცხადია, შეეძლო არალეგალურ ბოლშევიკურ ორგანოში, სადაც, სტატიაში „შეგნებული პროლეტარიატის ბრძოლა“, ვკითხულობთ: „კაპიტალისტური წარმოების ვითარება ამრავლებს ბოგანო ზალხს, მწარმოებლებს საწარმოვო იარაღებს აცლის ხელიდან და ლუკმა პურის მოსაპოვებლად ქარხნის კარებისაკენ დენის. აუარებელი საწარმოვო იარაღები თავს იყრის მცირერიცხოვან კაპიტალისტების ხელში; ამ

იარაღების საშუალებით ეს პაწია ჯგუფი პროლეტარების შრომით სიმდიდრეს იგროვებს და ამ სიმდიდრეს თავის და მიხედვით თაყობს ბრძოლმთხოვნილების შესაფერისად ანაწილებს. ს ი მ დ ი დ რ ე ი ზ რ დ ე ბ ა უ მ ც ი რ ე ს ო ბ ი ს ს ა გ ე მ ე ბ ლ ა დ, უ მ რ ა ვ ლ ე ს ო ბ ა დ ლ ი თ ი - დ ლ ე ლ ა ტ ა კ დ ე ბ ა“.<sup>2</sup>

აღ. წულუკიძეს არა ერთხელ გაულაშქრნია თავისი ბასრი კალმით „საერთო ნიადაგის“ თეორიის მქადაგებელთა წინააღმდეგ. პარტიულ-პუბლიცისტური ბრძოლის ნიმუშებად შეიძლება იქნან მიჩნეული, მაგალითად, მისი საფუძვლიანი და მწვავე გამოსვლები ფ. გოგინაიშვილის, ვ. წერეთლის და ა. ჯორჯაძის წინააღმდეგ.

ჩვენ არ გამოვუდგებით ამონაწერების მოყვანას ამ პოლემიკიდან, რაც უმთავრესად, ზემოხსენებული პრობლემების გარშემო ტრიალებდა.

აქ მოვიყვანთ მხოლოდ ერთ ამონაწერს აღ. წულუკიძის „ნაწყვეტებიდან“, სადაც იგი, კ. მარქსის „კაპიტალის“ მიხედვით, ევროპის ქვეყნებში (ინგლისში და სხვ.) კაპიტალისტური წარმოების წესის სინამდვილიდან აღებულ მასალათა ანალიზის საფუძველზე გამოყვანილ დასკვნებში ახსნა-განმარტებას აძლევს ქართველ მუშებს სწორედ ამ უკანასკნელთა ყოველდღიური პოლემიკური ბრძოლის საკითხებზე—სახელდობრ ე. წ. „საერთო ნიადაგის“ თეორიის შესახებ.

„ნაწყვეტებში“ ყველა სხვებზე უფრო ვრცელია თავი „სამუშაო დღე“.<sup>3</sup> განიხილავს რა გრძელი სამუშაო დღის მუშათა კლასისათვის უარყოფით მხარეებს, სვამს კითხვას: „ე გ ე ბ ყ ვ ე - ლ ა ფ ე რ ი ე ს ს ა ჭ ი რ ო ა წ ა რ - მ ო ე ბ ი ს ა ს ა ლ ო რ ძ ი ნ ე ბ -

<sup>1</sup> გაზ. „პროლეტარიატის ბრძოლა“, 1905 წ. № 14: ა. წულუკიძე, დას. თხ. გვ. 223.

<sup>2</sup> აღ. წულუკიძე, I, ც., 145—161.

<sup>3</sup> შინათურო, „გაყრა-გამოყრა“ („კვანლი“, 1900 წ. № 47, გვ. 751—753).

ლად, ერის გასამდიდრებლად, საზოგადოებრივი ცხოვრების გასაუმჯობესებლად!“<sup>1</sup> როგორც ამას ქადაგებენ ბურჟუაზიის მწერლები!

მაგრამ ამის გასაგებად აუცილებელია ცოდნა, სახელდობრ ცოდნა კ. მარქსის ეკონომიური მოძღვრებისა. საქმე იმაშია, სწერს ალ. წულუკიძე, რომ „მორჩილია მუშა, სანამ თავისი სამუშაო ძალის ნამდვილი ღირებულება ვერ გაუგია, სანამ არსებული სოციალური პირობები ვერ შეუგნია, სანამ უმწეო და მარტოხელია“; მაგრამ, როდესაც იგი ყველაფერს ამას შეიგნებს და „შრომის წარმომადგენელნი მტკიცე ერთობის კავშირით შეიკვრებიან...“ ცხადია, კაპიტალისტები მუშებისაგან მორჩილების ნაცვლად მუქარას მოისმენენ.

მუშათა კლასი, რომელმაც გაიგო, რომ გრძელი სამუშაო დღის სახით მას ზედმეტ დროს ამუშავებენ და ამ ზედმეტ დროში ის ზედმეტ შრომას ეწევა, ხოლო ზედმეტი შრომით ქმნის ზედმეტ ღირებულებას, რომელსაც მეჭარხნე ითვისებს — უკვე არაა „უმწეო და მარტოხელი“, ასეთი მუშათა კლასი შეკავშირებულად იბრძვის, იგი სცილდება ა ც ი ო ნ ა ლ უ რ შე ზ ლ უ დ უ ლ ო ბ ა ს, მას უკვე ვერ მოატყუილებენ ე. წ. „საერთო ნიადაგის“ მჭადაგებელნი, იგი ახლა ორგანიზებულად უპირისპირდება ბურჟუაზიას და მოითხოვს სამუშაო დღის შემცირებას. სამუშაო დღის შემცირებით მცირდება

ბა ზედმეტი ღირებულება; ე. ი. მცირდება კაპიტალისტის მოგება; ამიტომაც მუშა ახლა კაპიტალისტს მუშაობის სიტყვებით რომს სთქვამს, უცხადებს: „მე კარგად ვიცი შენ ამას (სამუშაო დღის შემცირებას) გულკეთილობით, კაცთმოყვარეობით არ იზამ და ამიტომ მე იძულებული ვარ საკუთარის ძალღონით დაეიცვა ჩემი უფლებათა“.<sup>2</sup>

ალ. წულუკიძე იყო საქართველოს პროლეტარიატის არა მხოლოდ ბრწყინვალე თეორეტიკოსი - ეკონომისტი, იგი იყო აგრეთვე პროფესიული რევოლუციონერი-ბოლშევიკი, გენიალური სტალინის ერთგული მოწაფე და თანამებრძოლი თეორიულ-პუბლიცისტურ თუ პრაქტიკულ-პოლიტიკურ ბრძოლაში.



ალ. წულუკიძის ნაწერები მკითხველთა ფართო მასეზისათვის ხელმისაწვდომი გახდა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ. უკვე ორჯერ გამოიცა მისი თხზულებების სრული კრებული. ხოლო 1945 წელს ამხ. პ. შარიას რედაქციით გამოქვეყნდა მშვენიერი რუსული თარგმანი ალ. წულუკიძის თხზულებათა კრებულისა<sup>3</sup> და, ამგვარად, იგი მთელი საბჭოთა კავშირის ხალხთა სულიერი სიმდიდრის დიად საგანძურს შეემატა.

<sup>1</sup> იქვე, 148.

<sup>2</sup> იქვე, 148.

<sup>3</sup> А. Цулукидзе, Сочинения, перевод с грузинского под редакцией П. Шария, 1945 г. Тбилиси.

<sup>1</sup> იქვე, 155.

## ვახტანგ მეექვსე

(ბარდაცვალებიდან 210 წლისთამის გამო)



ვახტანგ მეექვსე ქართული კულტურის გამოჩენილი მოღვაწეა. ის იყო ქვეყნის განათლებული ზელმძღვანელი მამულიშვილი, გულუხვი მეცენატი, სწავლული მწიგნობარი, გრძნობიერი პოეტი, ჰუმანური პიროვნება. ვახტანგი სათავეში ედგა ქვეყნის არა მარტო პოლიტიკურ ცხოვრებას, არამედ ის უშუალოდ წარმართავდა ქვეყნის მთელ ინტელექტუალურ საქმიანობას. ვახტანგის ინიციატივითა და პირადი მონაწილეობით დამუშავდა ქართული ისტორია, ქართული სამართალი, ქართული ჯდმინისტრაციულ-სამეურნეო წესდებულება. ვახტანგის წყალობით საქართველოში პირველად ამუშავდა სასტამბო დაზგა. ვახტანგის სტამბაში დაიბეჭდა ბევრი წიგნი როგორც სასულიერო, ისე საერო-სამოქალაქო ხასიათისა. კერძოდ დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსნის“ მეცნიერულ-კრიტიკულად დამუშავებული ტექსტი, ე. წ. ვახტანგისეული რედაქცია რუსთაველის პოემისა, რომელსაც თან ახლავს თხზულების ვრცელი კომენტარული მიმოხილვა, შესრულებული თვითონ ვახტანგის მიერ.

როგორც ჩანს, ვახტანგი ჯერ კიდევ ბატონიშვილობის პერიოდში, ე. ი. 1703 წლამდე, ეწეოდა ნაყოფიერ მუშაობას. 1703 წელს ის დაინიშნა ქართლის გამგებლად მეფის მოადგილის

(„ჯანიშინის“) წოდებით. სულ რაღაც ათიოდე წელი დაჰყო ვახტანგმა ქვეყნის სათავეში, მაგრამ ეს ათიოდე წელი უნაყოფიერესი პერიოდი აღმოჩნდა საქართველოს ისტორიაში. ცხოვრების ყოველ სფეროს დაეტყო ენერგიული გამგებლის ხელი. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ვახტანგი კულტურის დარგს. მან შემოიკრიბა ქართლის მთელი მოაზროვნე საზოგადოება, ყველას ნიჭისა და მოწოდების შესაფერისს საქმეს ანდობდა. გააჩაღდა დაძაბული შემოქმედებითი მუშაობა. ვახტანგს გვერდში უდგა და ზურგს უმაგრებდა მისი განათლებული აღმზრდელი სულხან-საბა ორბელიანი (1658—1725).

ირანის შაჰი ეჭვითა და უნდობლობით უყურებდა ქართლის ჯანიშინის განმახლებელ საქმიანობას. 1712 წელს ვახტანგი გაიწვიეს ისპაჰანში, მოთხოვეს მშობლიური სჯულის დაგდება და სამაგიეროდ მას აღუთქვეს ქართლის ტახტზე დამტკიცება. ვახტანგმა იუარა, შედეგად იგი ქირმანში გადაასახლეს. ვახტანგს სპარსეთში ახლდა სულხან-საბა ორბელიანი, რომელიც ფარული დავალებით გაიგზავნა ევროპაში. აქედან სახარბიელო არაფერი გამოვიდა. სულხან-საბა ზელცარიელი დაბრუნდა უკან. შეჭირვებაში მყოფი ვახტანგი ბოლმა-ნალველს იმსუბუქებდა ლიტერატურული საქმიანობით. ის წერს:

„სხვა საქმე არა მქონდა რა, ამის შექცევას გამოვეყიდე... თუცა დამეკლოს რამე, ნუ დამგმობთ. ჩემი ქირი ქვას ჰქონებოდა, დადნებოდა; ჩემი ფიქრე და ნაღველი ზღვის ალაგს აავსებდა“-ო. ქირმანის პატიმრობაში თარგმნა ვახტანგმა ქართულ ენაზე მსოფლიო მწერლობის მშვენიერი ძეგლი „ქილილა და დამანა“. ქირმანის პერიოდს ეკუთვნის ვახტანგის რამდენიმე ლირიკული შედევრი.

პატიმარ მეფეს სამშობლოდან ცუდი ამბები მისდიოდა. ამოძრავდნენ ყოველი ჯურის შინაგამცემნი. უნაყოფო ჩანდა სულხან-საბას დიპლომატიური მოღვაწეობაც. ვახტანგმა ჯეროვნად შეაფასა შექმნილი მდგომარეობა, მან ხელი აიღო ჯიქური პოლიტიკის წარმოებაზე, გარეგნულად მიიღო შაჰის მოთხოვნები. 1716 წელს ვახტანგმა ოფიციალურად აღიარა მამამდიანობა. სამაგიეროდ მას უბოძეს „ქართლი, ერანის სპასალარობა, თავრიზი და ბარდა“.

ჩანს, ირანის შაჰი საბოლოოდ მაინც არ ენდობოდა გამამდიანებულ ქართლის მეფეს. სამიოდე წელი ის კვლავ სპარსეთში დაიტოვეს. მხოლოდ 1719 წელს დაბრუნდა ვახტანგი თავის სამშობლოში, დაბრუნდა და ახალი ენერჯით შეუდგა უწინდელ განმაახლებელ საქმიანობას. მაგრამ სულ მალე რადიკალურად შეიცვალა ქვეყნის პოლიტიკური კონიუნქტურა. როგორც ცნობილია, შეეცინა წინააღმდეგ წარმოებული ომის წარმატებით დამთავრებისა და ბალტიის ზღვის სანაპიროების დაპყრობის შემდეგ პეტრე დიდმა გადაწყვიტა აღმოსავლეთისკენაც „გაეყრა ფანჯარა“ და ხელთ ეგდო კასპის ზღვის მიდამოები. ამ განზრახვის განსახორციელებლად პეტრეს ესაჭიროებოდა მოკავშირე. ვახტანგის უკეთეს მოკავშირეს ის ვერ ისურვებდა. პეტრე აღრევე სინჯავდა ნიადაგს. ორივე ქვეყნის, რუსეთისა და საქართ-

ველის, ინტერესები მლითხობდა სპარსეთის ძლიერების შემსუბუქებას. 1721 წელს დაწყებული მოლაპარაკება წარმატებით დასრულდა. თანახმად შეთანხმებისა, პეტრესა და ვახტანგის ლაშქარი უნდა შეერთებულიყო ქალაქ მამახისთან.

რუსეთის ჯარი ძლევამოსილად მოიწვედა სამხრეთისაკენ, ვახტანგიც მომზადებული ელოდა თავის მოკავშირეს. მოკავშირეთა შორის არსებული მანძილი დაეწროვდა. პეტრემ იერიშით აიღო დარუბანდის (დერბენტის) ციხე-სიმაგრე. როცა საბოლოო გამარჯვება უეჭველი ჩანდა, საუცხოოდ დაწყებული საქმე სწორედ მაშინ ჩაიშალა. დარუბანდიდან პეტრემ პირი იბრუნა, ლაშქრობა მოხსნა და ჩრდილოეთისაკენ გაეშურა. განმარტოებული ვახტანგი პირისპირ შერჩა გამძვინვარებულ მტერს.

ქართლის „განდგომილი“ მეფე სპარსეთმა სამაგალითოდ დასაჯა, ვახტანგს ქართლის ტახტი ჩამოართვეს და ის კახეთის ბატონს გადასცეს, ქართლი და კახეთი გათიშეს, მათაშორისი მუდლი ჩამოაგდეს, თბილისს მიუსიეს ლეკების დაჭირავებული ჯარები. განსაცდელში ჩაეარდნილმა ვახტანგმა საზიფათო ნაბიჯი გადადგა, შემწეობა თხოვა ოსმალეთს. ოსმალეთმაც არ დააყოვნა, ის თავის სასარგებლოდ ჩაერია ქართლის საქმეებში, ჩვენი ქვეყანა აიგვო სარასკიოების ყაჩაღური რაზმებით. დრო იხელთეს კავკასიის მთიელმა ტომებმაც. „თურქი, სპარსი, ლეკი, ოსი, ჩერქეზ, ლილევი, დიდო, ქისტი“ ყველა დათარეშობდა ქართლის მიწა-წყალზე, არბევდა, აოხრებდა, აწიოებდა ჩვენს ქვეყანას. გურამიშვილის სიტყვით „მოისრა ხშირი ქვეყანა, გახდა ვერანად, ტრამლად“.

სავალალო გახდა ვახტანგის ბედი: სპარსეთი გადაიმტერა, ოსმალეთმა ვერაგულად უმცუუნა, მთა განუდგა, „შინათ აიშალნენ“. სხვა გამოსავალი

ალარ ჩნებოდა. ვახტანგმა მიმართა თავის მოკავშირეს, ასტრახანის გუბერნატორის ვოლინსკისაგან ითხოვა რუსეთში გახიზნვის ნებართვა. ნებართვა მიიღო. სხვათა შორის, ვოლინსკის ვახტანგისათვის ნება დაურთავს პეტრეს დაუკითხავად. ეს რომ პეტრეს გაუგია, გაგულსებულა:

«Монарх (т. е. Петр I А. Б.) негодовал за сие позволение, приметив, что хотя царь (т. е. Вахтанг, А. Б.) и в бедстве, но гордости не оставляет»<sup>1</sup>

ვახტანგი დიდძალი ამალით გადავიდა რუსეთში 1724 წელს. ვახტანგის ამალაში შედიოდნენ საქართველოს ყველა კუთხის მოწინავე საზოგადოებრიობის წარმომადგენლები—პოლიტიკური მოღვაწენი, მწიგნობრები, მეცნიერები, სჯულისუფალნი და ა. შ. ვახტანგს იმედი ჰქონდა, რომ რუსეთის დახმარებით მალე კვლავ დაიბრუნებდა თავის ქვეყანას. ეს იმედი მას გაუცრუვდა. ვახტანგს ერთხანს კარგად ეპყრობოდნენ, მაგრამ როდესაც აღმოსავლეთის საკითხი მოიხსნა პოლიტიკური ცხოვრების დღის წესრიგიდან, ქართლის ყოფილი მეფის პოლიტიკურმა წონამაც იკლო. ვახტანგს მოთხოვეს, რათა ხელი აეღო საქართველოში დაბრუნების ცდაზე, თავისი ამალით ჩარიცხულიყო რუსეთის ქვეშევრდომთა რიგში და რუსეთშივე დამკვიდრებულიყო საბოლოოდ. ვახტანგს შეურაცხყოფილად უგრძვნია თავი, გამწარებით უთქვამს:

მოხოვენ და მოვსცემ ვერავის,  
შე ვერ ვიტვიროვ ამასა:  
შე წაუხდინე ქვეყანა,  
შვილიც გაუცე მამასა?

(დავითიანი).

პოლიტიკურ ჩიხში მომწყვედეულსა და უღონოქმნილ ქართლის აღრინდელ

მბრძანებელს განუცხადებია „სჯობს უკმელობით სიკვდილი საკვდურითა შამასა“-ო. პროტესტის ნიშნად დაუტოვებია მოსკოვიც და ჩრდილოეთით პირი, გადასახლებულა ასტრახანში. საგულისხმეოა, რომ დიდებული ქართველი პოეტი დავით გურამიშვილი (1705—1792) არ იზიარებდა ვახტანგის პოლიტიკურ ხაზს, მან დაუხოვავად ამხილა მეფის ზოგიერთი ნაბიჯი, მაგრამ ამავე დროს სწორედ გურამიშვილმა დაგვიხატა ვახტანგის არაჩვეულებრივად მიზიდველი და სიმპატიური სახე. გურამიშვილის აზრით, ვახტანგის ყოველი მოქმედება ჩაგონებული იყო ქვეყნის უსახლდრო სიყვარულის მოტივით. „თავისას, თავის ქვეყნისას უბედურებას ჩიოდა“ პატრიოტი და ჰუმანიური მეფეო. ყველა ძლიერსა და გავლენიანს ის თურმე თვალცრემლიანად ავედრებდა ქართლის ქვეყნის შველას: „ამასა გთხოვ, შემოიწყნარო, ბრძანო ჩემი ქვეყნის შველა“-ო“. ვახტანგი მართლაც თავგამოდებულად და გულწრფელად ეცადა თავისი ქვეყნის შველას. სამშობლო ქვეყნის უზომო სიყვარული მან გრძნობიერად გამოხატა თავის ლირიკულ ლექსებში და სამარეშიც თან ჩაიტანა. ვახტანგი გარდაიცვალა ასტრახანში 1737 წლის 26 მარტს (ძველი სტილით). მქუხარე ლექსით გამოიტვირა გურამიშვილმა თავისი მწყალობელი პატრონი:

ვაი, რა ბოძი წაიქცა,  
სახლ-კარი თავს დაგვექცაო.

\*  
\*  
\*

ვახტანგი იყო მრავალფეროვანი და ნაყოფიერი მწერალი — მწიგნობარი, მთარგმნელი, რედაქტორი, კომენტატორი, პოეტი. შედარებით კარგად არის შესწავლილი ის მუშაობა, რაც ვახტანგმა გასწია „ვეფხისტყაოსან-

<sup>1</sup> П. Бутков, Материалы по новой истории Кавказа, СПб., 1869, I, 63.

ზე<sup>1</sup>. ასევე ცნობილია ვახტანგის დიდი ღვწლი „ქილილა და დამანას“ ქართული ვერსიების ჩამოყალიბების საქმეში.<sup>2</sup> ვახტანგს სპარსულიდან უთარგმნია და შემდეგ გაუღეკსავს დიდაქტიკურ-ალმზრდელი ხასიათის ნაწარმოები „ამირ-ნასარიანი“. ზნეთ-სწავლელების რივისაა „სობრძენ მალაღობელიც“, რომელიც ვახტანგს ლექსად შეუწყვია ერასტი თურქისტანიშვილის მიერ რუსულიდან ნათარგმნი პროზული „აბოეთეგმატა“ მიხედვით. ვახტანგის ბრძანებით უთარგმნიათ იგავ-არაკთა განთქმული კრებული „ბახთიარ-ნამე“, სამიჯნურო მოთხრობა „ბარამ-გულანდამიანი“<sup>3</sup> და სხვა. ვახტანგის მითითებით არის შეთხზული ქართული მწერლობის ზოგიერთი დიდად მნიშვნელოვანი ძეგლი, მათ შორის მამუკა ბარათაშვილის „კაშნიკი“, ანუ „სწავლა ლექსთა თქმისა“.<sup>4</sup>

შედარებით უფრო ნაკლებად არის ცნობილი ვახტანგი როგორც პოეტი. საკმარისია, თუ აღვნიშნავთ, რომ მისი ლექსების კრებული მხოლოდ ახლა ქვეყნდება პირველად.<sup>5</sup>

ვახტანგის ლირიკული ლექსების უმეტესობა დაწერილია უცხოეთში

(ისპაჰანში, ქირმანში, მოსკოვში) დევნულობისა და გარდახვეწილობის დროს, როდესაც მგზავნი მწიგნობელი მღელვარებას განსჯის მშვენიერი იყო მძაფრი კაეშით და მას სანეტაროდ ესახებოდა „პირველისა მის დიდებულობისა არ ქონა ნაღვლიანობისა“. პატივყარილი, დამცირებული და დამარცხებული შეფე საშინელი სიმწარით იტანდა აუციანი ბედის უკუღმართობას, ხოლო პოეტის გრძნობიერ გულში დაგროვილი ბოღმა-ნაღველი თავის უშუალო გულწრფელ გამოხატულობას კპოულობდა ელეგიურ ლექსებში:

დამიმონა კაეშანა,  
სეფა მომხვდა მათვის წამლად,  
ნაღველს ვხმარობ მუდამ მელნად,  
გულსა ვაწვევ მისად კალმად.

„ალმემართა კაეშანი“-ო, აშობს ვახტანგი სხვაგან და გულისმომკვლელად მოსთქვამს თავის მიუსაფრობას, უცხოეთში დაკარგულობის სივაგლახეს:

დაუტევე საზლ-სამყოფი,  
თვისნი ტომნი, მონადები,  
დაკარგულვარ უცხოს თემა...

ისპაჰანის სულის შემხუთავ გარემოში მომწყვდეულ პოეტ-მამულიშვილს არ შორდებოდა არცთუ ისე შორეული წარსულის ნაღვლიანი მოგონებანი. ვახტანგი მწვავედ განიცდიდა უწინდულობისა და აწინდულობის მძაფრ კონტრასტულ ვითარებას:

პირველ მალხინა სოფელმან  
შამიანთ არე-მარებას,  
ყარაის და სოშითში,  
დიდგორის გასახარებას,  
სხვას რას შეტყვევას, რას შევებას,  
არ კაცთა დასაზარებას  
აწ დამსვა მარტო, ვასჭვრეტით,  
ქუჩუქას სახლს-სარებას.

<sup>1</sup> იხ. ვახტანგისეული ვეფხისტყაოსანი. აღდგენილი აკაკი შანიძის მიერ, თბილისი 1937.

<sup>2</sup> ალ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, 1945, გვ. 235 — 372.

<sup>3</sup> ეს ნაწარმოები მე-18 საუკუნეშივე ითარგმნა რუსულ ენაზე: „Похождение новомодной красавицы Гулицяны и храброго принца Барамы“. Переведено с грузинского языка Московского университета информатором Семеном Игнатьевым, СПб, 1773.

<sup>4</sup> გამოცემულია ოჯეგრ, პირველად ალ. ხახანაშვილის მიერ („მოამბე“, 1900, XII, გვ. 50 — 68). მეორედ გ. ლეონიძის მიერ (თბილისი 1920).

<sup>5</sup> ვახტანგის ლირიკული ლექსების ნაწილი ჩვენ დაგვედით „ანთოლოგიის“ მეორე ტომში (თბ. 1928).



სხვაგან პოეტი უშუალოდ მიმართავს თავის საკუთარ თავს:

ჰე, თაო, პირველ შეგებულო,  
აწ უცხოს ჭირსა ვარდია,  
საკერელსა ძნელად სასწნელსა,  
მთხრებლსა, მოღრმოსა ვარდია;  
მკვიდრი უმკვიდროდ შევიქენ,  
სამყოფთვან გარე ვარდია,  
ლაწვი შემქნია ზაფრანად,  
ვის ვერა მდრიდა ვარდია.

უცხოობის ურვით შეპყრობილი პატრიოტი პოეტი დიდი სიყვარულით იგონებდა მშობლიური ქვეყნის ძვირფას გარემოს, ქართლის მომხიბლავ მიდამოებს, იქ გატარებული ჭაბუკური სიხარულისა და განცხრომის დღეებს. ვახტანგმა ერთმა პირველთაგანმა უმღერა შთაგონებული ლექსებით საქართველოს დედაქალაქ თბილისს, ამწვანებულ და აყვავებულ მაისის თბილისს:

რა სჯობს მაისში ტილიძსა,  
ვარდი ვარსკვლავებრ ესხასა,  
მწვანედ ღელავდეს გარემო,  
ცოცხელი მასზე ესხასა,  
თუ არ უშმაგო, ვინცა ჭას,  
მაზედა რითმე ესხასა!

ერთი მოგონება იწვევდა მეორეს, პოეტის წარმოდგენაში ირეოდა ერთიმეორეზე უფრო საყვარელი, უფრო მიწიმიწველი სახეები: თრიალეთის მთები, შამშიანი, კოჯორი, ლილოს ტბა, შანაბადა, ქცია ორაგულებითა და კალმახებით, სომხითში ნადირობა შემოდგომაზე, ზამთარს ყარაია... შემდგომ ისევ თბილისი, ისევ შვება, ისევ სიხარული.

გარეშე მტერმა, ირანის მტარვალმა შაჰმა მოუღო ბოლო ვახტანგის გატაცებულ შემოქმედებით საქმიანობას საქართველოში. ირანის შაჰმა მოსწყვიტა გრძნობიერი მამულიშვილი მშობლიურ მიწას და სამყოფელად მიუჩინა ქუჩუქას აბეზარი ჭერი. საშინელი მუ-

ქარის ქვეშ ვახტანგს მლთხოვეს სინი-დისის შებლაღვა, სჯულის დადება, სამშობლოს ლალატი. ეს მტკიცედ იგერიებდა მტრების მოკვლად იწყებებს, მას უფრო გულს უკლავდა თვისტომთა, ნათესავთა, ოდინდელ ტოლ-მეგობართა და ამხანაგთა ვერაგული განდგომა, შავი უმადურობა და შური. ვახტანგი ჩივის:

ყმაზე წამიხდა წყალობა,  
კულ რაც ა სამსახურები,  
ამხანაგებთან სიკეთე,  
სხვათაგან შესაზურები,  
ძმათა და თვისთა მოყვობა,  
რა ჩემგან მოსასურები!  
განმძეს ასე უბრალოდ  
თვალთ ცრემლთა მონაწიურები.

მძიმე განსაცდლის ეამს პატივყარილ მეფეს ყველა განდგომია ერი და ბერი, თითქოს ყველას უქისრია ოდინდელი პატრონის უსინიდისოდ ჩაწიხლვა:

ერთი ღმერთი არ ირწმუნეს,  
ბერთა რჯული შეურაცხვეს,  
არას ვერხსა არ უქნია  
ჩემ საწმეზე იმათ რაც ჰყვეს...

მძიმე სულიერი დებრესიის ვითარებაში მყოფ პოეტს წარმტაც გულისსწორ სატრფოდ ეხატებოდა თავისი სამშობლო მხარე (ამით ვახტანგი აკაკის წინამორბედი). მხურვალე გრძნობით ეტრფილბოდა ის სათაყვანებელ საგანს, მაგრამ — ვაგლახ—ალერსიანი პასუხის ნაცვლად იქიდან ღებულობდა გესლიან ისარს. „კეკლუთ ზედა ხარ ხელმწიფე, ტრფიალთ ცეცხლს უღებ მაღამით“—ო, მიმართავს ვახტანგი სამშობლოს და ნაღვლიანი სიტყვებით ურთავს:

მანდით ნასროლმა ისარმა  
გული გამიპო მალ ამით-ო.

პოეტის ფაქიზი სანდომიანი სატრფო თურმე ხელთ ჩაუგდიათ სხვადასხვა ჯურის მედროვეებს, მზაკვრებს, გამცემლებს და უპატრონოდ დარჩენილს. უპირებდნენ სულისა და ხორცის ავაზაკურად შეგინებას. ვახტანგი გრძნობდა თავის უძლურებას დახმარების აღმოსაჩენად, რაც მას გულს უკლავდა და უსასოობის რწმენას უღვივებდა. ბოლოსდაბოლოს ვახტანგი იძულებული გახდა ტაქტიკური მანევრი ეხმარა, ახალ გზას დასდგომოდა. მაგრამ როდესაც იქიდანაც არა გამოსულა რა, მაშინ შეუთხზავს უმწვავესი სასოწარკვეთილებით აღბეჭდილი შემდეგი შესანიშნავი ლექსი:

რანი და, მოვაცანი და,  
სახლი და, კარი, ბანი, და,  
გათოვდა ყოველი წერილი,  
ანი, ბანი და, ვანი, და...  
ვიარე ყოველი ქვეყანა  
სოფელ და სივრცე, ვანი, და,  
ვერა ეპოვე რა მის მეტი,  
დავყარე მშა და დანი, და...  
ხორცსა მრავალი დავაკლეთ,  
სულს მივეც იტი რჯანი, და.  
ვიოვად, შააგეს უბრალოდ,  
არ მომცეს მე აჯანი, და.

ეს ლექსი ვახტანგის პოეზიაში თავისებური გედის სიმღერაა სამაგალითო სიტყვიერი ოსტატობით, გასაოცარი პოეტური ძალით, სრულიად ახლებური მუსიკალური კილოთი გადმოუცია აქ ვახტანგს ჭეშმარიტად დიდბუნებოვანი პოეტი-პატრიოტის უსახლვრო ტრადიციული ფანცღა<sup>1</sup>.

ვახტანგი სოფლის მომდურავი პოეტია. პოეტს სოფლისაგან წილად რგებია „კაცთაგან მოუგონარი მწირობა, სიგლაზაკე, შიმშილი, დასაღონარი“. ის ისე შეჩვევია სოფლის გამწი-

რობას, რომ აღარც კი უჭერს და ამიტომაც თითქოს აღარც კი გმუნაეს, თავს ირონიულად ანუ უგემებს:

სოფლის სიმუხთლე მამ,  
რად ვინ სდევს, მივირს, მეფეო,  
ან შენ ამისთვის რათ სწუხარ,  
უცხოვლ განის ვახტანგ მეფეო.

სოფლის გაუტანლობა განსაკუთრებული სიძლიერით აქვს ვახტანგს გადმოცემული ელეგიურ ლექსში „ვაი, სიკვდილო, მწარე სიკვდილო“:

რა დავიბადე, სოფლით ვიბადე,  
ვაი, სიკვდილო, მწარე სიკვდილო!  
მეფუნა რა მე, სოფლისა რამე,  
ვაი, სიკვდილო, მწარე სიკვდილო!

სხვათა შორის, ექვი არაა, ვახტანგის ამ ლექსით არის შთაგონებული დავით გურამიშვილის „გოდება“:

გული ღონდება, ვიწყო გოდება,  
ვაი, საწუთრო, ცრუ სოფელო!  
ბორჯანა-ბოდება, რაც მგონდება,  
ვაი, საწუთრო, ცრუ სოფელო!

საერთოა ორივე დამოწმებული ლექსის მეტრი, რიტმი, რეფრენი, აგრეთვე შინაარსობრივი მხარე, განწყობა, კილო.

ვახტანგი მძულვარებით ამხელს სოფლის დაუდგრომელ ბუნებას, მის მზაკვრულ ქცევას. სოფელი პოეტს აგონებს უზნეო მეძვე დედაკაცს:

ეს სოფელია დიაცო  
სიძვისა მიმყოფელი,  
თავს კეკლუცად გაჭყნებს,  
ბოლო აქვს დასაქოლელი,  
ხან შენს უბეთა მძინარი,  
ხან სხვათან არის მწოლელი.

მკაცრი განაჩენით ასკენის ვახტანგი: „სოფელი ჩვენი მესისხლე ზღაპარი არის, ყბედია“. დასასრულ შესაბრალისად დასძენს, „ვიჩვი, თუმცა არვინ მისმენს, რა ვქნა, თავი მებრალება“.

<sup>1</sup> აღნიშნული ლექსი გამოსაქვეყნებლად გადმოცემა შევლევარმა პავლე ინგოროს ე. ა. მ., რისთვისაც მას მადლობას მოვასწებებ.

შესაბრალოსადღე იძახის სხვაგანც „ღამწვა სოფლისა საციოურმა“-ო. ადამიანის სიცოცხლე, ვახტანგის აზრით, „რუსთ ზაფხულისებრ მოკლეა“. თანაც ეს მოკლე სიცოცხლე ერთი გაბმული და დაუსრულებელი ტანჯვაა. თავისებური ჰუმორით ურთავს ერთგან პოეტი:

სულ დამიქცია სამყოფი,  
სახლი, სართული, ბანი,  
მეფობის ნაცელად სოფელმან  
მიბოძა ლეშობანია-ო.

ვახტანგი არ ზოგავს არც თავის საკუთარ თავს და ზოგჯერ სინანულით აღნიშნავს:

რას ვაბრალებ საწყეთოსა?  
ვაშობ, მიყო ამან ესო,  
რაც მე შეცხვი შეხამელი,  
ესე ხელსა ვისცა ესო?  
ვარდი შედგა ბაღსა ჩემსა,  
არ-თუ სამე ნაჩი ესო,  
მე აღმოვფხვარ, სხვაც ვის ეძლო  
მისთვის რამე ძირსა ესო?

უსასოობის გრძნობას გამოხატავს აფორისტული ხასიათის მქონე შემდეგი ლექსი ვახტანგისა:

თუ თივა ცეცხლით გაზარდო,  
ცხვარს მისცე საკჳლად მგელი,  
დათვი მოედანს აბურთო,  
ვიჩი ჭა კი მშველია,  
ტვირთი პეპელას აქიდო,  
ჭრელი ფრთით გამფრენელია,  
აღვისრულდების მაშინა,  
რაცა გაქვს საწაფელია.

ამისდამიუხედავად, მთლიანად აღებული ვახტანგის პოეზია მაინც არ ხასიათდება პესიმისტური მსოფლმხედველობით. ვახტანგის პოეზიას უსათუოდ ამჩნევია სევდა-ნაღველის ძლიერი ნირი, ზოგჯერ პოეტი აღწევს უსასოობის განზოგადოებულად წარმოსადგენ მიჯნასაც კი, მაგრამ ეს მიჯნა მის საბოლოოდ არ გადაულახავს. ვახტანგი „ღებულობს წუთისოფელს

და ადამიანებს უქადაგებს ამქვეყნიური სასარგებლო მოღვაწეობის აუცილებელ საჭიროებას. ვახტანგის და არა მარტო ამ მხრით, ალექსანდრე ვახტანგის ბრძნული შეგონება:

კაცმან უნდა თავის საკჳე  
ყველა ღვთითა მოიკარგოს,  
ამ სოფელსა ხელი კჳაროს,  
იქაც ბარგი დაიბარგოს,  
მოუყარეთ და ამხანავთა  
თავის რიგით რამე არგოს,  
სახელის ხე საჩრდილებლად  
წყელისა პირსა სამე დარგოს.

უნდა აღინიშნოს, რომ ვახტანგის შეგონების ამ ბრძნულ მოტივამდე არ მისულა მისი არცერთი წინამორბედი პოეტი (თეიმურაზი, არჩილი...), თუმცა ქრისტიანულ-სარწმუნოებრივი შეგნება მათ უკარნახებდა სოფლის წყევის შენელებასა და გარკვეულ საზღვრებში ამქვეყნიურობის მიღების აუცილებლობას. ვახტანგის მსგავსად მხოლოდ ნიკოლოზ ბარათაშვილმა გამოიხატა სოფლისთვის ზრუნვის საჭიროების ღრმა ფილოსოფიური საფუძველი:

მაგრამ რადგანაც კაცი გვექიან  
— შეილნი სოფლისა,  
უნდა კიდეცა მივდიოთ მას,  
გვექმის შობლისა.  
არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი  
მკედარსა ემსგავსოს,  
იყოს სოფელში და სოფლისთვის  
არა იზრუნოს.

თუ მართებულად იყო გამოთქმული ზოგადი მოსაზრება იმის თაობაზე, რომ „აღორძინების (პერიოდის) მწერალთა შემოქმედებაში ეპოევით ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიის ფესვებს“-ო<sup>1</sup>, ჩვენ კონკრეტულად შეგვიძლია დავადგინოთ, რომ სწორედ ვახ-

<sup>1</sup> ვ. ნ. დირაძე, პოეტი და ადამიანი (ნიკოლოზ ბარათაშვილი), თბილისი, 1938, გვ. 98.

ტანგის დამოწმებული შეგონება უნდა გამხდარიყო ნიკოლოზ ბარათაშვილის ნააზრის იდეურ წყაროდ. „ორივე შემთხვევაში ადგილი აქვს წუთისოფლის პრობლემისა და ადამიანის დანიშნულების ერთგვარ სიბრტყეზე დასმას და შემსგავსებული თვალსაზრისით გადაწყვეტას. ვახტანგისა და ნ. ბარათაშვილის ბრძნული აფორისტული შეგონებანი ერთიმეორეს ეხმაურება არა მარტო იდეური ნათესაობით, არამედ მხატვრული წარმოსახვის მთელი მატერიალური კომპლექსით — ლექსის საერთო შინაგანი ტონუსით, მელოდიკით, თითქმის ერთობრივი სიტყვიერი ინვენტარითაც კი. მგონი არ შეეცდები თუ ვიტყვი, რომ ნებსით თუ უნებლიედ აქ კონკრეტულად შეღავნდება სხვადასხვა დროის ორი შესანიშნავი ქართული პოეტის დიდი იდეურ-ინტელექტუალური და პოეტურ-მხატვრული ნათესაობის უტყუარი ფაქტი“<sup>1</sup>.



ვახტანგს საკმაოდ უწერია სატრფიალო მოტივებზედაც. ის ღია, ნათელი სახეებით აღწერს და ამკობს ქალის მოხდენილობას, გარეგნულ სილამაზეს:

ლაწვი ვარდად, პირი შროშნად,  
ტუჩებია ვასალადად,  
თვალ-მელანი, წარბი სათი,  
თმასუმბული, კბილი სრალად,  
ყული ვერცხლი, ძუძუები  
ბოლოსაგან განათალად,  
ტანი ალვად, ხელ-მკლავები  
შოლტები დასაქრძალად.

პოეტის მიერ სათაყვანებელი დასახული სატრფო-ასული ასოლოტურ-რი უმანკობისა, სიფრთხილად სიწმინდის სიმბოლოა, მას დასაყვანილად გახაფხულის ყვავილების სინორჩე და სურნელება.

ქალწულებისა ვარდი ხარ,  
სიწმინდის ბაღსა რგულია,  
ფერად ვაქვს უმანკობა,  
უბოწობა სულ ია,  
რტოდ გამოიღე მოკვდავთა  
იგ უკვდავება სრულია,  
ფოთლად გასხია წყალობა,  
განკურნე ჩემი წულულია!

როგორც დაკვირვება ცხადპყოფს, ვახტანგის მგზნებარე ტრფიალების საგანი როდი ყოფილა რეალური ქალი. პოეტის მხურვალე სამიჯნურო კიშნი მიძღვნილია ირეალური, მისტიკური არსებისადმი, ღვთაებისადმი, ღვთისმშობლისადმი და წმიდანებისადმი. ვახტანგის სატრფიალო ლექსების ჯგუფს („სატრფიალონი“) სათაურშივე შემოუნახავს საგანგებო შენიშვნა: „აქა იწყებიან ტრფიალისაგან სატრფოსათვის შაირობა... და მკითხველთა უხმს გულისხმიერება, თუ ვისდამე ტრფიალებს მეფე“-ო. მეორე ხელნაწერის კომენტარია სავესებით ზღის ფარდას ამ საიდუმლოებას: „აქა შაირობანი ფრიალ პატროსანი უფლისა და ყოველთა წმიდათა მიმართ. მისგანვე, მეფის ვახტანგისაგან სულ იერად ნათქვამნი“. ვისაც არ უნდა ეკუთვნოდეს დამოწმებული კომენტარია, ის სწორად გამოხატავს საქმის ნამდვილ ვითარებას. შიგადაშიგ თვითონ აეტორიც ცხადად ამიშვლებს სატრფიალო ლექსების გარკვეულ ტენდენციას, მიჯნურული სევდით შეპყრობილ პოეტს თავისი ღვთაებრივი სატრფო თანაგრძნობის სანაცვლოდ თურმე შემდეგ პირობას უღებდა:

<sup>1</sup> ალ. ბარამიძე, ნიკოლოზ ბარათაშვილი და ძველი ქართული პოეზია (ლიტერატურული ძიებანი, III, თბ., 1947).  
თქმა არ უნდა, თეიმურაზისა და არჩილის შვავასად სოფლის წყვილის სიმწვანეს ზოგჯერ ვახტანგაც აწვდებს ქრისტიანულ-სარწმუნოებრივი თვალსაზრისით („მოთქმენის პეტეი წამლი არა აქვს დასაქრულებასა“-ო).



2. სიმღიდრის შურსა დაღ სჯობს  
სიღარიბისა კილები.
3. ვინც მოწაფედ არ ყოფილა,  
ის მოძღვარი არ იქნების.
4. ნუ ჰგონებ მრისხანებასა  
იყოს დიდების ნიშანი.



საგანგებოდ აღსანიშნავია ვახტანგის ღვაწლი ქართული ეერსიფიკაციის დარგში. მართალია, პოეტი ერთგან მოკრძალებულად ითხოვს:

გემუდარები, ნუ მიზრგვ  
ლექსისა სიგჳე-განებას,  
ნურცა რუსთველსა მადარებ,  
ნურცალა ლექსთა სხვანებას-ო.

მაგრამ ჩვენ იძულებული ვართ დავარღვიოთ ეს ანდერძი და ცოტათი მაინც უნდა გავუჩხრიკოთ მის ლექსთა „სიგჳე-განები“. უპირველესად ყოველისა ვახტანგმა დაამკვიდრა ქართულ პოეზიაში ელეგიური ლექსის ფორმა. ვახტანგის გზას გაჰყვა დავით გურამიშვილი. ჩვენ ზევით უკვე ვაჩვენეთ ამისი მაგალითი. ელეგიისათვის ვახტანგს გამოუყენებია 20-მარცვლოვანი ლექსი ჩაბრუნხულის ტიპისა. ტიპისაო ვამბობთ იმიტომ, რომ ვახტანგს არსებითად შეუცვლია ჩაბრუნხული ლექსის კილოც და კონსტრუქციაც. ჩაბრუნხული ჩვეულებრივად იხმარებოდა სახოტბო საზეიმო ლექსებისათვის. ვახტანგს კი ოცმარცვლოვანი ლექსით გადმოჲყვია მძაფრი პესიმისტური განწყობილება. კონსტრუქციის მხრივ ვახტანგს დაურღვევია ჩაბრუნხული ტიპის მეორე ნახევრის სქემა. ვახტანგის ოცმარცვლოვანი ლექსის მეორე ნახევარტაეები იძლევა რეფრენს, რომელიც ლექსს ბოლომდე გასდევს ყოველ ტაეპში:

რა დავიბადე, სოფლით ვიბადე;  
ვთი, სიკვდილო, მწარე  
სიკვდილო.

ჩაბრუნხულის კლასიკური ფორმიდან ვახტანგს შენარჩუნებული აქვს მარცვალთა რაოდენობა და პირველნახევარ ტაეპთა შენარჩუნება. ვახტანგის სქემით შემდეგ სარგებლობდა გურამიშვილი.

ვახტანგს შეუთხზავს რელიგიური შინაარსის ერთი შესანიშნავი ელეგია, რომლის პირველი სტროფი ასე იკითხება:

შურით აღივსნენ უგბილი,  
წესი ქნეს მათის მამისა,  
სიკვდილს ზრახვიდენ უწესოდ,  
თუ დრო დაიცივ ეამისა,  
უსჯულლო მისი მოწაფე  
მოცემას ჰპირავს ამისა,  
ვთი, რა მწარედ იწოდა  
ნაწლენნი მარიაშისა.

ეს ელეგია რუსთაველური შაირის სტროფის გადახალისების მაუწყებელია: აქაც ვახტანგი რეფრენის ხერხს მიჰმართავს, ოღონდ რეფრენად გამოყენებულია სტროფის ბოლო ტაეები. ვახტანგის ელეგია დასდებია საფუძვლად დავით გურამიშვილის ანალოგიური შინაარსის ლექსს („მოთქმა ხმითა თაე-ბოლო ერთი“):

ვთი, რა კარგი საჩინო  
რა ავად მივიჩნიესო,  
ბოროტისაგან კეთილი  
შურით ვერ განარჩიესო,  
მაცხოვრებელი შენ მთი  
წამწყვდელად მივიჩნიესო.  
დიდება მოთმინებასა  
შენსა, უფალო იესო!

სხვათა შორის, „ღეთისმშობლის ტირილიში“ დავითს განმეორებული აქვს ვახტანგის სპეციფიკური გამოთქმაც: „ვთი, რა მწარედ იწოდა ნაწლენნი მარიაშისა“ (მღრ. „ჩემნი იწვიან ნაწლენნი“-ო). რუსთაველური შაირის სრულიად ახალი, სახეცვლილი ფორმაა „რანი და მოყავანი“ და „ლექს-ამბავი“. შაირისაგან შეუნარჩუნებია ვახტანგს მარ-

ტოდენ ტაების თექვსმეტმარცვლიანობა, ახალია რიტმი, სტროფიკა, საერთო კონსტრუქცია, განწყობა. მარცვალთა რაოდენობის თვალსაზრისით თითქოს შაირს უახლოვდება ლექსის ის სახე, რომელიც „ჭაშნიკს“ შემოუნახავს და რომელსაც ქართული პოეზიის თეორეტიკოსი უწოდებს „ვახტანგურს“. ეს პატარა ლექსი სულ ხუთი ტაებისაგან შედგება. მოგვაქვს მთლიანად:

ორი მისი თვალი — ორი ჯერანი,  
ბოლოსმზერელი,  
კეკლუბობის ძალით კაცის მწყენელი,  
გულზე მწერელი,  
ჩნახეთ, მოყვანო, სავარელი,  
ჩემი თვალის მკრელი,  
იმას უცხოთ ჰგავს ის ტურფა  
დაუჯერელი,  
არა, არა, ის არ არის,  
შე სავარელს ვიცნობ მისი მზერელი.

რა თქმა უნდა, ეს ლექსი არ არის ვახტანგისა, მაგრამ ვახტანგურია, ე. ი. ვახტანგის მეტრის კვალობაზეა შეთხზული. სამწუხაროდ, თვითონ ვახტანგის ორიგინალი ჯერ არსად ჩანს. არც ის ვიცით, თუ ვინაა „ვახტანგურის“ ავტორი, ჩვენ სავარაუდოდ ავტორად თვითონ მაშუკას მივიჩნევდით. მაგრამ ამ გზობის გეაინტერესებს „ვახტანგურის“ მეტრი: ლექსის პირველი სამი ტაები 16-მარცვლოვანია, მეოთხე ცამეტმარცვლოვანი, ხოლო მეხუთე ცხრამეტმარცვლოვანი. რიტმული ჰარმონია დარღვეულია, არც თუ რაიმე კანონზომიერება ჩანს. შესაძლებელია აქ ადგილი ჰქონდეს გაუგებრობას და მეოთხე ტაების დანაკლისი სამი მარცვალი მეხუთესთან იყოს მიტმანნილი. მაინცდამაინც ლექსის საერთო განწყობიდანაც იგრძნობა ვახტანგის აწ უკვე საკმაოდ ნაცნობი სტილი.

ერთი სიტყვით, ვახტანგი უცილოდ გვევლინება, როგორც ქართული ლექსის რეფორმატორი. ქართული პოეტუ-

რი კულტურის შესანიშნავი წარმომადგენელი. ვახტანგმა გაამდიდრა ქართული ლექსი როგორც ფორმულაში შინაარსით. შემთხვევით „ქაშნიკს“ რომ „ჭაშნიკისათვის“ სანიმუშო გამხდარა ვახტანგიც. ვახტანგიც უნდა მიეკუთვნოს ქართული ლექსის დარგში ნოვატორების სახელოვან პლეადას (სულხან-საბა ორბელიანს, მამუკა ბარათაშვილს, დავით გურამიშვილს).

რუსთაველი ჩვეულებისამებრ ვახტანგზედაც დიდ გავლენას ახდენს. რუსთაველის გავლენასთან ერთად აღსანიშნავია მნიშვნელოვანი გავლენა თეიმურაზისა („მაჯამის“ ხაზით) და არჩილისა (დიდაქტიკის“ ხაზით). თეიმურაზის „მაჯამის“ ერთგვარ შთამგონებელ ძალაზე ვახტანგი პირდაპირ მიუთითებს:

ჩემთა ნათქვამთა მოწმობა  
კვლავ ლექსმა მიუო მ ა ჯ ა მ ა,  
ცრემლთა ნაკადმა ავსო,  
ნახეთ, ვაცნობოთ მაჯამა,  
დამწვა სოფლისა საციურმან,  
ველარა სცემოს მაჯამა.

თავის მხრით ვახტანგსაც საკმაოდ მოუხდენია გავლენა როგორც თავისი თაობის, ისე შემდგომი თაობის ქართულ პოეტებზე და მწერლებზე. ამაზე ნაწილობრივად უკვე ვილაპარაკეთ. აქ მინდა გაცერით შევებო მხოლოდ ვახტანგისა და გურამიშვილის დიდაქტიკათა ურთიერთობის საკითხს. გურამიშვილის დიდაქტიკური მოძღვრება დიდადაა დავალებული ვახტანგის პოეზიით. ვრცელი დიდაქტიკური თხზულება „სიბრძნე მაღალობელი“ ვახტანგს ყრმათათვის განუკუთვნებია:

არმადნად ესე დავაცო  
ყრმათათვის მოსართმევლადო.

ხოლო გურამიშვილი თავის მხრით ურთავს:

ყრბით შევავედრე ეს წიგნი,  
არ შექანს დასახვევლად.<sup>1</sup>

სანიმუშოდ მოვიტანთ რამდენიმე  
პარალელურ ადგილს:

1. მღვდელს აღუარე ნაქარი,  
სწავლანი შეიერთო.

(ვახტანგი).

რაც გეცოდოს, შეინანე,  
მღვდელს აღუარეო.

(დავითი).

2. სწავლის ძირი მწარე არის,  
ნაყოფს მოგვემს ბოლოდ ტკბილსა.  
(ვახტანგი).

სწავლის ძირი მწარე არის,  
კენწეროში გატკბილდების.

(დავითი).

3. სიყრმივანვე ყოველთვის სწავლა  
სინერეში ვამოგადგეს.  
(ვახტანგი).

სწავლა სიკვდიმდე შენია,  
მუდამ შენთანა მყოფელი.

(დავითი).

4. სჯობს ყოელს სიმდიდრეს, ქონებას,  
სწავლითა გამდიდრებანი,  
არც ქურდი რამე მოპარავს,  
არც გზირისაგან ვნებანი,  
ვერც მძლავრსა ძალეც ძალითა.  
მისი მოღება, კლებანი,  
უმჯობესია ყოელისა  
სამედლოდ მისი ხლებანი.  
(ვახტანგი).

ყოფნა თან დასდევს მკოდნელსა,  
რაზომსაც დაეტარების,  
აქვს უბილავი საუნჯე,  
ხელი არ შეეკარების,  
არც ცხადით, ძალით წყართმის,  
არც მალვით მოიპარების.

(დავითი).

5. მოწადის მეტის ცემისთვის  
გმობისა ვინმე მდგმელი?  
მწვრთნელთა მოსწავლის ცემზე  
ვინ დაუზრახოს უბედურელი?  
სწავლისთვის

ნუ გენაღვლებს სწავლაზე  
ყრბის წკებლის ცემით კვილი,  
შენ გემეტების რად არა  
ძე წვრთნაზე გასაწყებლად?  
(დავითი).

6. უნაყოფობა ბევრით სჯობს  
ბოროტის შევილის ყოლასა.  
(ვახტანგი).

სჯობს ყოლა უწვრთის ძაღლისა  
უწვრთნელის შევილის ყოლასა.  
(დავითი).

7. ჭირთ მყოფნი ღებნსა შესრულნი  
მას აღარ მოიჩვენებენ.  
(ვახტანგი).

ჭირს მყოფი, ღებნი შესული,  
შეებად მიივლი ენებასა.  
(დავითი).

ვახტანგს ერთგან შენიშნული აქვს  
აფორისტულად:

არა მართებს გონიერსა,  
რომ ეძებდეს თვითან პურსა-ო.

ნალელით და მოკრძალებით უბასუ-  
ხებს ამას გურამიშვილი:

ბრძენი პურთათვის ჩემსავით  
მუხლთ არვის მოეკნებინა.

დავით გურამიშვილს უსარგებლია  
ვახტანგის „მაჯამითაც“. მოგვაქვს  
ერთი სანიმუშო მაგალითი:

როკოს ღამი მომავალთა  
შეკმნან ბევრი საგალია,  
გნოლი წითლის დევნებითა  
ქვე მიწაზე საგალია,  
კალმახისა გასაწყვეტლად  
დაუნაყონ საგალია,  
ვა, სოფელმან დღენი ჩემნი  
აწე ცუდად საგალია?  
(ვახტანგი).

<sup>1</sup> თუმცა სხვაგან სხვაგვარი და საუცხოო  
დიდაქტიკური აზრია გამოთქმული.  
სჯობს დანახვებით, განიხვებით,  
რისთვისა რამე სწავლასა,  
შეაბულვებს და დასწყევლის  
მისსა ბედსა და დავლასა.

<sup>1</sup> დ ა ვ ი თ ი ა ნ ი, აღ. ბარამიძისა და  
ს. იორდანიშვილის რედაქციით, თბ. 1931,  
გვ. 3, 27 — 28.



შემქნა უზრტო, უნაყოფო,  
 ვით ხმელის ზისა გალია.  
 გულს დამსდა სამკედურად  
 ლახურად სევდის საგალია.  
 ზდიან ცრემლნი თვალითა ჩემთა,  
 სწევს ვით თევზთა საგალია.  
 ასე მიზანს სრა სამყოფლად,  
 ვითა ფრინველსა გალია.  
 (დავითი).

ამას ვიკმარებთ (თორემ ასეთი პა-  
 რალელები შორს წაგვიყვანდა). ვგო-

ნებ, უეპველია, ვახტანგის შთამავო-  
 ნებელი ძალა გურამიშვილზე.

ყოველივე აღნიშნულ ნაშრომშია მოცემული,  
 რომ ვახტანგს თავისი საკუთარი და  
 საპატიო ადგილი უნდა მიეკუთვნოს  
 როგორც ქართული კულტურის ის-  
 ტორიაში საზოგადოდ, ისე ქართული  
 პოეტური კულტურის ისტორიაში კერ-  
 ძოდ.

## ბიბლიოგრაფია

კარლო კალაძე — რჩეული ლექსებისა და  
ბალადების ერთობეული.

გამომცემლობა „კომუნისტი“, თბილისი, 1946 წ.



ქართული საბჭოთა პოეზიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის კარლო კალაძის ლექსებისა და ბალადების ერთობეული გამოსვლა, უსათუოდ აღსანიშნავი მოვლენაა ჩვენს ლიტერატურულ-საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

სიწრფელით, სიმშობლოსადმი უნაზეთი სიყვარულის გრძნობით გამთბარი სტრიტონები აქვს თავმოყრილი პოეტს ხსენებულ ერთობეულში, რომელიც იხსნება ლექსით „ბარათი ლაერენტი ბერიას“. ქართველი ხალხის საიმაყო შეილისადმი მიძღვნილ ამ ლექსში პოეტი აღფრთოვანებით უძღერის იმ უდიდეს ამავს, რომელიც ამხანაგმა ლაერენტმა პავლეს-ძე ბერიამ ჩვენი ქვეყნის აღორძინებას, მის ზრდასა და დავაყვაცებას დასდო:

„შენ, ბებერ ხეებს ჩამოხველვ  
ხმელი მკლავები  
რომ ახალ ნერგებს აღვის ტანი  
ცად აესროლათ!  
და აი, რატომ ცჭიალებდნენ  
ცად ვარსკვლავები,  
აი, აღვებიც აღიონზე რამ აათრთოლა“—ო.

ამბობს პოეტი და ამ პლასტიკური სურათით იგი გადმოგვცემს შიდალ გრძნობას, რომელსაც ჩვენში აღვიძებს დიდი სტალინის უახლოესი თანამებრძოლის სახელის ხსენება.

დიდი ბელადის იოსებ ჯუღაშვილის დაბადების თარიღი და ქალაქი გორია აღებული თემად ლექსში „გორი, დეკემბრის 21“, რომელიც პოეტს ბელადის სიყვამის შეგობრებითსადმი — პ. კაპანაძისა და გ. გლურჯიძისადმი 11. „მნათობი“, № 4.

მიუძღვნია, ემიგრირი სიმშვიდით გამსჭვალულ ამ ლექსში უაღრესი უშუალობითაა დახატული დიდი სტალინის სიყვამის შეგობართა შოგონებებით გამოწვეული სურათები „ჯუღაშანთ ქობის“ და გორის იმ წარსულიდან, რომელიც პოეტის თქმით „მომავალს ერთვის“.

ხსენებული ორი ლექსის შემდეგ წარმოდგენილი მასალა კრებულში დანაწილებულია ცალკე თავებად, რომლებშიაც სხვადასხვა დროს დაწერილი, თემატურად ერთგვარი ლექსებია გაერთიანებული.

კრებულის პირველ თავში („სიყვარულის და სიმღერის დრო არის“) შეკრებილია ნაწი და, მასთან, ჯამსაღი ლირიზმით აღსავსე ის ლექსები, რომელიც დანიშნულება პოეტის სიტყვებით იმაშია, რომ

„მღერით გავფანტოთ მტერივით ურჩი  
ლაშქმის და ღრუბლების აღუა“.

მშენებლობის პათოსითაა შთაგონებული პოეტის სიტყვები ლექსიდან „ქალაქში თქმული სიმღერა“, რომ:

„ჩვენ საცხოვრებლად თბილისი გვერგო!  
მაგრამ განცხობით დროს არ ვაგებდით—  
იყო გარჯა და აქვე საჯაროდ  
აღმაშენებელ ვეყავს ვაჭებდით,  
ქვაზე ქვა უქმად არ დაჩრენილი  
თვალ-და-ხელშეა ქალაქს ვაგებდით“.

დაუღალავი შრომით აგებულ ქალაქებსა და სოფლებს დავუტყრა 1941 წლის ივნისში „მტერთა ფოლადის მაგლაჯუნები“, რომელიც დასაღწეად ამდგართ შორის იყო „თამა“.

რის საოცნებო ვაეკაცი" (ლექსი „თამარის ოცნება“), რომელსაც პოეტი გამარჯვებას უსურვებს და თანაც არწმუნებს, რომ მისი „სიყვარული გზას არ დაჰკარავს“.

„მტერს არ ასცდება სიყვლილი შინც“-ო, წერს იგი ლექსში „ღამით, მტერის პირად“, რომელშიაც იგი გულსმხიერებით, სიდაჭიზითა და ჰუმანიტარულ პოეტური მგზნებარებით უმღერის „იარაღში ჩამსხდართ“, რომ

„ოცნება გახდა შორი მხატვარი  
გზიბლავს სიშორე დახატულსა...

შენცა გაყავს ალბად შენი ფატმანი  
მტრცხალი შენი გახაფხულისა“-ო.

გენერალისიმუსი სტალინის ხელმძღვანელობით მტერზე მოპოვებული გამარჯვებით იღვრთვებულნი, შინ დაბრუნებულნი საბჭოთა არმიის გმირი მებრძოლის სიხარული აქვს გადმოცემული პოეტს სიმღერაში „ისევ გნახეთ“. იგი წინ უწერებს კრებულის ამ ნაწილის დამაგვირგვინებელ მუხამაზს „სიყვარულის და სიმღერის დრო არ არის“.

კრებულის მეორე თავს ეწოდება „ისევ შშობლიურ სოფელში“, რომლის თემაა იმერეთის სოფელი, მისი მომხიბვლელი ყოფით, პეიზაჟებით, სადაც

„თვალს მიიტაცებს ნათელი ოდა,  
ზღვისფერი შოლი, ცაცხვის ჩრდილები.  
და ალაღბედათ ფრთებგაშლილები  
მოგონებები ბავშვობის დროთა“.

(ლექსი „ჩემი სოფელი“).

თითქმის იმერეთის სოფლიდანაა წამოსული „სიყრმის გოგონა“, რომელიც პოეტის იმავ სახელწოდების ლექსში აუცხვ, შოლტივით მოქნულ წილით, სტრიკონებ შორის გაიშრიალებს“.

იმერეთის მოწმენდილი ცის ფონზე გაშლილ ცოცხალ სურათებად აქვს დახატული პოეტს სამი ლირიკული მინიატურა — „ბუღბუღო იგავი“, „მე ახლაც მასსვს“, „როგორც ქალ-ვაჟი“, — რომლებშიაც იგი უწყუალო ხმით უმღერის სიყვარულის წმინდა გრანობას, ფრონტიდან დაბრუნებული „ჩემი ლმილით მღუმარე“ აეთანდლისა და „აღვის ტოტივით შემკრთალი“ ნათელას გრანობის ზოტბა აქვს გამოთქმული პოეტს ლექსში „მე მათ შეხვედრის წუთებს ვუხატავ“. კრებულის ამ ნაწილშია მოთავსებული პოეტის ცნობილი „ბაღადა სიყვარულისა“, რომელსაც

ქართულმა კრიტიკამ თავის დროს მხოლოდ შეფასება მისცა და რომელშიც პოეტი ერთად უმღერის სიყვარულსა და პატრიოტული ვაეკაციონის გრანობასაც. **ქვენს ლექსში**

ფსიქოლოგიური სიმჭიდროვეს ქვეყნის პოეტს დასურთებელი „ზამთრის დილა“-ში სახე დედისა, რომელიც „შეფერინებთ შეგხარის შინ დაბრუნებულ თავის ვაეკას“ და „მომცინარი მზერით უწყუბებს მას ტყვიით შემკრთალ კენთს“. დათოვლილი სოფლების მღუმარების ფონზე აქვს მას გაშლილი ამ ლექსში ომის გრივალის შემდეგ ჩამომდგარი მყუდროება, რადესაც

„არ ეშურება სოფელს არავინ —

ზის მთაზე შვეიდად მტრედების გუნდი“

და „შვეიდად ჩამომსხდარ მტრედების ამ გუნდში“ პოეტი სიმბოლიურად გეგარანობინებს იმ საერთო მშვიდობას, რომელიც დიდი სტალინის გენიით ნაწრობმა უსწევველმა საბჭოთა არმიამ მოუტანა ჩვენს ქვეყანას მტერზე მოპოვებული გამარჯვებით.

იმერეთის ყოფითი სურათები აქვს დახატული პოეტს ლექსში „იმერული მოთხრობა“, რომელიც თავისი კოლორიტულობით კ. კალაძის ერთერთ სატყუთესო ლექსად შეიძლება ჩათვალოს.

დიდი სტალინის ეპოქის ვაეკაციური სულით არის ანთებული ლამაზი მხატვრული სახეებით შემკობილი ბაღადა „მოხუცი მას პინძელი“. მასში პოეტი ადიდებს ჩვენი ქვეყნის მაკოცლებელ ძალას, რომელიც მოხუცსაც კი ათქვევინებს, რომ

„დღეს არი ჩემი ცხოვრება  
აღმართზე ამოტანილი,  
სიბერე ვერ მომერცვა, —  
მეც მაევაეკაცებს სტალინი“-ო.

კრებულში მოთავსებული ლექსების შემდგომ ციკლს ეწოდება „შავი ზღვის პირად“. წიგნის ამ ნაწილში მოთავსებულ 14 ლექსში შავი ზღვის თემა გაშუქებულია ახალი ცხოვრების მშენებლობის ასპექტით. ლექსების ამ ციკლში ზღვა მხოლოდ ფონია, რომელზედაც, ნათელი პოეტური შტრიხებით წარმოადგენილია სიკაცების რეალისტური შეგრანება.

„დაებედავ მთაბარს და მხოლოდ მიკვირს,  
რად ვისწრაფევდი ოცნებით ცისკენ, —  
როცა ძირს უდგრო თვალწარმტაცია  
ზღვათა ღელვა და კლდეების სისქე“-ო,

ამბობს პოეტი ლექსში „ღურჯი ცის ნაცვლად“, და ამ სტრიქონებში დამაჯერებლად მოჰქანს სიდიადე სოციალისტური სამშობლოს სინამდვილას, რომელსაც მწიფი სიხარულით მიესალმება მამაპაპათა დრომოკმედი ყოფის წინააღმდეგ ამხედრებული ახალგაზრდა აქარელი გოგონა (ლექსი „ამბავი აქარელ ამბანაგებისა“), ეს განზოგადებული სახე ჩვენი ქვეყნის მოწიფე ახალგაზრდობისა.

განყოფილებაში — „პირველი ლექსები“ — მოთავსებულია პოეტის პირველი წლების ქმნილებანი, რომლებშიაც ახალგაზრდული პათოსითაა ასახული სიცოცხლის ძალა და ოპტიმიზმი.

„პირველი ლექსები“ ციკლიდან განსაკუთრებული შინაგანი ექსპრესიით გამოირჩევა ლექსი „მუზა და ქარიზხალი“, რომელიც ათასობრას ოცდართი წლით არის დათარიღებული და აგრეთვე ლექსი „ძახილი აღმოსავლეთს“, რომელშიაც პოეტი ძმური სიყვარულსა და გულსტკივილის გრძნობით გასძახის „ცხრა მთას გადაღმა“ მყოფ ფერეიდანელ ქართველთ.

იმ ლექსთ შორის, რომლისთვისაც ფეტრის „აღმოსავლური“ უწოდებია, განცდითა სიღრმით ყველაზე ძლიერია ის „უსათაურა“, რომელიც ეკავს „შვილის ნეტრის ნაამბობის“ თავისებურ პოეტურ ფარაიციას წარმოადგენს და რომელშიაც ანტროპომორფიზირებულია ბერდიას მიერ თავისი შვილის გადასარჩენად შეწირული შვილის ნეტრის დედის სევდა, სრემლი და საყვედური ადამიანის სისასტიკის მიმართ. ის ეს ლექსიც:

„ის, როგორც ცისკრის პეპელა კვდებოდა მიუწუნებელი ბერდიას გულთანა...  
 ხმლით შვილის ნეტრი გაჰკვირა ბერდიამ და გული წამლად შევიხ მიუტანა.  
 დილით კი მზიარულს შერბიხდა შველი და მოხუცმა თვალების სევდაც გაიგვა:  
 — ბერდიავ, ღმერთმა გიკოცლოს გოგონა, მან ჩემი ნეტრის სიცოცხლე გაიყო“.

პოეტისათვის დამახასიათებელია ოპტიმისტური მსოფლმხედრების განსაკუთრებული ძალა ჩანს „ნეტრისის განთიადებში“. როგორც თვით კ. კალაძე წერს, ლექსების ეს ციკლი წარმომობილია მესხეთა და ჯავახეთში პოეტის მოგზაურობის შედეგად მასში დამაბრძანებელია ერთის მხრივ ჩვენი ქვეყნის მრავალსაუცხოო წარსული, რომელიდანაც ამ კუთხეს მხოლოდ „ნანგრევთა სურნელება“ — ლა ქქანდა — შერჩენილი და შეორენს მხრივ დიდი სტალინური იწმყო, რო-

მელმაც საქართველოს ამ ნაწილს შარად სადიდებელი სიცოცხლე დაუბრუნა პოეტს ხალასი პატრიოტული განცდით აქვს გადმოცემული ჩვენი ქვეყნის ამ უმწველესი კეთხეში ჩვენს დროში დაწვეულნი მამდელი ვანთიადის რომანტიკა.

სამშობლოსადმი, დიდი სტალინისადმი ქართველი ხალხის უსაზღვრო სიყვარულის და თავდადების მაღალ გრძნობას უძღერის პოეტი პატრიოტულ ლექსების იმ ციკლში, რომლისთვისაც მას დაურქმევია „შეხვედრები ბრძოლის ველზე“.

ამავე გრძნობას ამჟღავნებს პოეტი იმ ლექსებში, რომლებიც თავმოყრილია განყოფილებაში — „ხმა შორეულთა“.

სამშობლოს ნათელი და წმინდა სახე დგას პოეტის წინაშე ყველგან, სადაც არ უნდა იშუაფებოდეს იგი. იმერეთის „შალვა ღამე, თავისი მთავარის ფაუნაკით“ წარმოუდგება მას მუსკოვში, „ქართველი ქალის თვალი ეგებება“ კავკასიის მთებზე ვადისელისა და ტბაზე ქართულს ისმენს იგი „შორი ღნებრის პირად“.

სამშობლოსადმი რომანტიკული სიყვარულის მაღალი გრძნობითაა აღსავსე ბაღდა „გიორგი“, რომლის გვირი შორეულ აღმოსავლეთში იცავს თავის მშობლიურ გურიას და მუდრობებს ვერული ოდებისას.

კრებულში უკანასკნელ განყოფილებას ეწოდება „მთების ეკოსი“.

ჩვენი ქვეყნის ბუნების მრავალფეროვნება თავის გამოხატულებას პოეტობს პოეტის შემოქმედებაშიც, სადაც უღვის რომანტიკას მთებზე რომანტიკა სცვლის.

სამაშულო ომის მრისხანე დღეებში მთაში ნაზარდი ვაგაკანი ბარელებთან ერთად იცავდნენ დიად საბჭოთა ქვეყანას მტერთა ურდობისაგან. ზეიმიითა და დიდებით შეეგება ომგადაბდილ თავის შვილს მთა, რომელსაც სიამაყის გრძნობით ევსება გული, რადგან ხედავს, რომ

„არ აღუზრდიათ მთებს იგი მშინადა,  
 თავი საქვეყნოდ კვლავ ისახელა,  
 და გამარჯვების უბრალო ნიშნად  
 გულმკერდს უმშვენებს დღეს ცისარტყელა“.

სამშობლოსა და დიდი სტალინის სახელით ებრძოდა საბჭოთა ქვეყანა ვერაც მტერს. სტალინი — მილიონების დროშაა. მილიონებს უყვართ იგი უსაზღვროდ, რადგან, როგორც პოეტი ამბობს:

„... თვითელს სჯერა,  
რომ შიგნის გულშიაც გვებდავს ბელადი,  
რომ ჩენი სუნთქვა და გულის ძგერა  
სწედება შორეულ ყურთასმენამი“.

საბჭოთა საქართველოს 25 წლისთავისადმი  
აქვს მიძღვნილი პოეტის კრებულის ამ ნა-  
წილში მოთავსებული ლექსი „საზეიმოდ“.  
შრომაში, თუ შტერთან ბრძოლაში, ყველგან  
ისახელა თავი საბჭოთა საქართველომ, რო-  
მელიც „თვალტანადი, თავმომწონე, კაცკა-  
სის მწვერვალთ ასედა“ და ახლა

„ღვას აქ, როგორც დღავანი,  
გადაპყრებს გაშლილ ბალებს,  
ოცდახუთის საზეიმოდ  
გაზაფხულის ცისკარს იღებს“.

ჭვეყნის ძღვეამოსილებსა და ამ ძღვეა-  
მოსილებით მოპოებული ხალხთა მშვიდობის  
დიდებად გიჟმის კრებულის დამავეირგვინე-  
ბელი ლექსი „კაცკასიონზე“.

ქეშმარიტი პატრიოტის გრძობით აღი-  
დებს პოეტი ამ ლექსში „მყინვარების ქარ-

თულ ჩუქურთმებს“, „სევნთა ხეობასთან შე-  
მოერთებულ ქალხორს“, სადაც

„ერთი სოფლისთვის სოფლებია  
სახელი „მზისა“  
ერთხელ, გზად გავლით შიშული  
კანდიდ ჩარკვიანს“.

სამშობლო და მისი კეთილდღეობაა პოე-  
ტის რწმენით სიცოცხლის აზრი და ამიტო-  
მაც ელერს დამაჯერებლად მისი სიტყვები  
რომ

„იქ, სადაც არის საქართველო  
— მუდამ იქა უარ  
და კაცკასის ფრთავაშლილი  
თავს დაესტრიალებ“—ო.

პატრიოტიზმის ამ სუფთა გრძობით, სი-  
ცოცხლის ოპტიმისტური შეგრძნებით დაი-  
კვიდრა კარლო კალაძემ თავისი იდეული  
ქართულ საბჭოთა პოეზიაში.

**ვლადიმერ ზამხაზიძე.**

პასუხისმგებელი რედაქტორი  
ირაკლი აბაშიძე

სარედაქციო კოლეჯია:

ალექსანდრე აბაშელი, ნიკოლოზ აბიაშვილი (პასუხისმგებელი  
მდივანი), იოსებ ბრიშაშვილი, პავლე ინგოროსვა, სერგო კლდია-  
შვილი, ალიო მირცხულავა (გაზეთში), ბესარიონ შლინტი,  
გაბრიელი ტაბიძე, სანდრო შანშიაშვილი, დიანა შანგალაია.

ბელოშვილი დასაბეჭდად 6/VI-47 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 10¼ ფ. ში 00979-  
შეკვეთის № 1038. ტირაჟი 5.300.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ბიბლიოგრაფიისა და გამოცემლობის  
საქმეთა სამმართველოს ბეჭდვითი, სიტყვის კომბინატი. თბილისი, ურბისის ქ. № 5.